| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ (საკუთარი შემოსავლები) | სულ (საკუთარი შემოსავლები) | სულ (საკუთარი შემოსავლები) | სულ (საკუთარი შემოსავლები) |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | | | |
| 06 02 05 | მარტოხელა მშობლის სოციალური დაცვის პროგრამა | 84.8 | 0.0 | 84.8 | 110.0 | 0.0 | 110.0 | 115.0 | 121.0 | 127.4 | 134.1 |
| 06 02 06 | ხანდაზმულთა,მარტოხელა მოხუცების შინმოვლისა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა | 18.7 | 0.0 | 18.7 | 24.5 | 0.0 | 24.5 | 25.0 | 26.3 | 27.7 | 29.2 |
| 06 02 07 | სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა | 88.5 | 0.0 | 88.5 | 100.0 | 0.0 | 100.0 | 100.0 | 105.2 | 110.8 | 116.6 |
| 06 02 08 | ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამა | 152.2 | 0.0 | 152.2 | 160.0 | 0.0 | 160.0 | 150.0 | 157.8 | 166.2 | 175.0 |

| ორგ. კოდი | დასახელება | 2025 წლის ფაქტი | | | 2026 წლის დაზუსტებული გეგმა | | | 2027 წლის გეგმა | 2028 წლის პროგნოზი | 2029 წლის პროგნოზი | 2030 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ (საკუთარი შემოსავლები) | სულ (საკუთარი შემოსავლები) | სულ (საკუთარი შემოსავლები) | სულ (საკუთარი შემოსავლები) |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | | | |
| 06 02 09 | სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამა | 488.4 | 0.0 | 488.4 | 432.0 | 0.0 | 432.0 | 400.0 | 420.8 | 443.1 | 466.6 |
| 06 02 10 | დევნილთა მხარდაჭერის პროგრამა | 43.3 | 0.0 | 43.3 | 70.0 | 0.0 | 70.0 | 40.0 | 42.1 | 44.3 | 46.7 |
| 06 02 11 | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გათბობის საშუალებებით მხარდაჭერის და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების მატერიალური დახმარების პროგრამა | 377.8 | 0.0 | 377.8 | 264.0 | 0.0 | 264.0 | 250.0 | 263.0 | 276.9 | 291.6 |

| ორგ. კოდი | დასახელება | 2025 წლის ფაქტი | | | 2026 წლის დაზუსტებული გეგმა | | | 2027 წლის გეგმა | 2028 წლის პროგნოზი | 2029 წლის პროგნოზი | 2030 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ (საკუთარი შემოსავლები) | სულ (საკუთარი შემოსავლები) | სულ (საკუთარი შემოსავლები) | სულ (საკუთარი შემოსავლები) |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | | | |
| 06 02 12 | სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება | 9.7 | 0.0 | 9.7 | 14.3 | 0.0 | 14.3 | 15.0 | 15.8 | 16.6 | 17.5 |
| 06 02 13 | პროგრამა "სოციალური საცხოვრისი კეთილმოწყობილ გარემოში" | 31.2 | 0.0 | 31.2 | 3.7 | 0.0 | 3.7 | 10.0 | 10.5 | 11.1 | 11.7 |
| 06 02 14 | უსახლკაროდ და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა | 802.8 | 0.0 | 802.8 | 938.6 | 0.0 | 938.6 | 750.0 | 789.0 | 830.8 | 1,374.9 |
| 06 03 | ბავშვის უფლებებისა და მხარდაჭერის პროგრამა | 77.2 | 0.0 | 77.2 | 90.0 | 0.0 | 90.0 | 80.2 | 84.4 | 88.8 | 93.6 |

| ორგ. კოდი | დასახელება | 2025 წლის ფაქტი | | | 2026 წლის დაზუსტებული გეგმა | | | 2027 წლის გეგმა | 2028 წლის პროგნოზი | 2029 წლის პროგნოზი | 2030 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ (საკუთარი შემოსავლები) | სულ (საკუთარი შემოსავლები) | სულ (საკუთარი შემოსავლები) | სულ (საკუთარი შემოსავლები) |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | | | |
| 06 03 01 | უკიდურეს სიღარიბეში მყოფი სოციალურად დაუცველი ბავშვების მატერიალური დახმარების პროგრამა | 48.8 | 0.0 | 48.8 | 49.8 | 0.0 | 49.8 | 40.0 | 42.1 | 44.3 | 46.7 |
| 06 03 03 | ბავშვთა სადღესასწაულო და სოლიდაროზის დღეების აღნიშვნის პროგრამა | 2.5 | 0.0 | 2.5 | 3.0 | 0.0 | 3.0 | 3.0 | 3.2 | 3.3 | 3.5 |
| 06 03 04 | სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი და საგანმანათლებლო წრეების დაფინანსების პროგრამა | 25.9 | 0.0 | 25.9 | 37.2 | 0.0 | 37.2 | 37.2 | 39.1 | 41.2 | 43.4 |

## 2.2 გასული 2025 წლის და მიმდინარე 2026 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულება

### 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი კანონმდებლობით დაწესებული ვადის გათვალისწინებით დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბერს №30 დადგენილებით, 70500.0 ათასი ლარის მოცულობით.

შემდგომ, საფინანსო წლის განმავლობაში რიგ გარემოებათა გათვალისწინებით (მათ შორის წლის დასაწყისში არსებული ნაშთების, ძირითადში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხების, დელეგირებული თანხების, ზოგიერთი შიდა ცვლილებების დაზუსტების სახით) ბიუჯეტში საკრებულოს დადგენილებით შევიდა ცვლილებები 10 შემთხვევაში, რის შემდგომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაზუსტებული მოცულობა წლის ბოლოსათვის მთლიანობაში განისაზღვრა 112,798.6 ათასი ლარის, მათ შორის საკუთრივი ბიუჯეტის 79,308.9 ათასი ლარის და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები 33,489.7 ათასი ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების, შემოსავლების და გადასახდელების შესრულების მონაცემები წარმოდგენილია შემდეგი ფინანსური პარამეტრებით და მაჩვენებლებით.

**ბიუჯეტის შემოსულობები**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების მთლიანმა მოცულობამ ფაქტობრივად შეადგინა **105069.3** ათასი ლარი, ხოლო შემოსავლების მოცულობამ **102547.9** ათასი ლარი ნაცვლად დაზუსტებული გეგმის 103631.5 ათასი ლარისა ანუ 1083.6 ათასი ლარით ნაკლები; ეს თანხა არის ძირითადში სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი, რაც ვერ იქნა ათვისებული, აღნიშნული აიხსნება შემდეგი გარემოებით: გასული წლის ბოლო თვეებში მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილ თანხებზე ცხადია სრულად ვერ განხორციელდა ტენდერების გამოცხადება, შერჩევა-შეფასება, შესაბამისად ხელშეკრულებათა დადება და თანხების მოთხოვნა ცენტრალური ბიუჯეტიდან, რაც აუცილებელი პროცედურაა.

ბიუჯეტის შემოსავლების საერთო მოცულობიდან საკუთრივი ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა **72,048.2** ათასი ლარი, ფაქტიურმა შემოსავალმა 72,002.4 ათასი ლარი ანუ შესრულება უტოლდება 100%-ს (99.9%).

საკუთრივი ბიუჯეტის შემოსავლების მოცულობაში ძირითადი - 83.3% არის საგადასახადო შემოსავლები (დღგ და ქონების გადასახადი), რომლის დაზუსტებული საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენდა **59,881.8** ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა **59,987.6** ათასი ლარი, მათ შორის დღგ 49,165.1 ათასი ლარი, ქონების გადასახადი 10,822.5 ათასი ლარი, საგადასახადო შემოსავლები შემოსულია 105.8 ათასი ლარით მეტი.

გრანტები საკუთრივ ბიუჯეტში მთლიანობაში პროგნოზირებული იყო 5769.0 ათასი ლარი, რომელიც მთლიანად არის შემოსული ბიუჯეტში. მათ შორის 36.5 ათასი ლარი საერთაშორისო ორგანიზაციიდან, 420.8 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული საქმიანობისთვის, 3800.0 ათასი ლარი სპეციალური ტრანსფერი ფინანსური დახმარების სახით, 1511.7 ათასი ლარი კაპიტალური ტრანსფერი საჯარო სკოლებისთვის.

სხვა შემოსავლები მთლიანობაში შემოსულია 6245.8 ათასი ლარი, რაც პროგნოზირებული თანხის 99%-ს შეადგენს.

სხვა შემოსავლებში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი 50%-ზე მეტი (თუმცა აღნიშნული არ არის დადებითი მაჩვენებელი) ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლებია.

სხვადასხვა პოზიციების მიხედვით ჯარიმებიდან შემოსულია სულ 3648.6 ათასი ლარი ანუ სხვა შემოსავლების 58.4 პროცენტი. თვით ჯარიმებიდან შემოსავლებში ძირითადი არის ჯარიმები საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის და იგი შეადგენს 3212.2 ათას ლარს.

სხვა შემოსავლების საერთო თანხიდან მნიშვნელოვანი თანხა 802.0 ათასი ლარი არის შემოსული დასუფთავების მოსაკრებლიდან. ამ მიმართულებით წლების მიხედვით აღნიშნული მოსაკრებლის მობილიზების მაჩვენებელი უმჯობესდება: 2022 წელს შემოსულ თანხასთან შედარებით 2025 წელს

დასუფთავების მოსაკრებელი შემოსულია 226.5 ათასი ლარით მეტი ანუ გაზრდილია 39.4 პროცენტით. 2026 წელს ამ სახეში პროგნოზირებულია 900.0 ათასი ლარის მობილიზება.

წლის განმავლობაში კონტროლის გამკაცრების შედეგად 391.4 ათასი ლარი შემოვიდა სახელშეკრულებო პირობების დარღვევის გამო, რაც 2024 წელს ამ დანიშნულებით შემოსულ თანხაზე ორჯერ მეტია. აღნიშნული ხელს უწყობს დაგეგმილი (განსაკუთრებით ინფრასტრუქტურულ) სამუშაოების დროულად შესრულებას და შესაბამისად გამოყოფილი თანხების დროულად ათვისებას.

შემოსავლები მიწის და ქონების იჯარიდან 2025 წელს მთლიანობაში შემოსულია **482.2** ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების კიდევ რიგი სხვა სახეობების საპროგნოზო მაჩვენებლები ძირითადში შესრულებულია.

რაც შეეხება არაფინანსური აქტივების კლებას, ამ სახეში საპროგნოზო მაჩვენებლის შესრულებას დააკლდა 1278.6 ათასი ლარი, რაც ძირითადში განაპირობა გამოცხადებულმა და ვერ შემდგარმა აუქციონებმა.

2025 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი გრანტებით მიღებული თანხები შემოსულობებში აისახა მთლიანობაში 30545.5 ათასი ლარი, მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებულ უფლებამოსილებათა შესასრულებლად 1779.1 ათასი ლარის და კაპიტალური გრანტი 28766.4 ათასი ლარის ოდენობით.

მონაცემები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით 2025 წლის დასაწყისში და წლის ბოლოსათვის არსებული ფულადი ნაშთების თაობაზე იძლევა შემდეგ სურათს:

2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფულადი სახსრების ნაშთი მთლიანობაში შეადგენდა 5368.3 ათას ლარს, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით 1907.6 ათას ლარს, ადგილობრივი ბიუჯეტით 3460.7 ათას ლარს. 2025 წლის ბოლოსა და 2026 წლის დასაწყისისათვის მთლიანმა ნაშთმა შეადგინა 5465.5 ათასი ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტით 3400.5 ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით 2065.0 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მნიშვნელოვანი ოდენობით 1493.5 ათასი ლარით ზრდა ძირითადში განაპირობა წლის ბოლოსათვის მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი თანხების ხარჯვაზე კანონით გათვალისწინებული პროცედურების გასავლელად საჭირო დრომ.

ამასთან, ამ ეტაპზე წლის დასაწყისისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ნაშთი თებერვლის თვის მდგომარეობით შემცირებულია.

2025 წელს დეკემბრის თვეში საქართველოს მთავრობის 2025 წლის 5 დეკემბრის N2032 განკარგულებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან სხვადასხვა განკარგულებით პროექტების განსახორციელებლად გამოყოფილი თანხებით სამუშაოს შესრულებიდან დარჩენილი ეკონომიების, რომელმაც ჯამში შეადგინა 94.1 ათასი ლარი, გამოყენების ნება დაერთო მუნიციპალიტეტს სამი ახალი პროექტის განსახორციელებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო 7 წლის განმავლობაში მერიამ უზრუნველყო მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი სახსრებით შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებიდან დარჩენილი თავისუფალი თანხების გამოყენება (გაცოცხლება) ახალი პროექტებისათვის საერთო თანხით 1889.0 ათასი ლარის ოდენობით.

რაც შეეხება ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთს, 2025 წლის დასაწყისისათვის გარკვეული მიზეზებით დარჩენილი იყო 3460.7 ათასი ლარი, რომელიც წლის ბოლომდე შემცირდა 1395.7 ათასი ლარით და შეადგინა 2065.0 ათასი ლარი, თუმცა აღნიშნულ ნაშთსაც აქვს ახსნა: წლის ბოლოსთვის განათლების სფეროში გამოყოფილი იქნა ადგილობრივი ბიუჯეტის ქვემდებარე დიდი ოდენობის დელეგირებული თანხები, რომლის განკარგვა პროცედურების დაცვით ობიექტური მიზეზების გამო ცხადია ვერ მოხერხდა.

**ბიუჯეტის გადასახდელები**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დაზუსტებული გადასახდელების მთლიანი მოცულობა 2025 წელს განისაზღვრა 112,798.6 ათასი ლარის, მათ შორის საკუთრივი ბიუჯეტით 79308.9 ათასი ლარის ოდენობით.

ფაქტიურმა შესრულებამ მთლიანობაში შეადგინა 104972.1 ათასი ლარი, მათ შორის საკუთარი ბიუჯეტით 75919.5 ათასი ლარი.

ბიუჯეტის გადასახდელებში ყველაზე დიდი ხვედრითი წილით არის წარმოდგენილი ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის დარგი.

აღნიშნული დარგით მთლიანმა ფაქტიურმა გადასახდელებმა შეადგინა 45388.6 ათასი ლარი ანუ მთლიანი მოცულობის 43.2%.

ასევე საკუთრივ ბიუჯეტით ფაქტიური გადასახდელები ამავე სფეროში არის 17756.8 ათასი ლარი, რაც მთლიანი მოცულობის 22.4 პროცენტს შეადგენს.

ინფრასტრუქტურის დარგით ყველაზე დიდი ხვედრითი წილი მოდის **საგზაო ინფრასტრუქტურაზე,** რისთვისაც მთლიანობაში გამოიყო 19105.6 ათასი ლარი, აღნიშნული დარგის 42.1%. მათ შორის ძირითადი 16,966.7 ათასი ლარი არის სახელმწიფო ბიუჯეტის თანხები.

**ხიდების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე** (კოდი 02 01 02) 2025 წელს დაგეგმილი იყო 79.6 ათასი ლარი და აქედან ათვისებულია 58.3 ათასი ლარი;

**საგზაო ნიშნები და უსაფრთხოების ხელშეწყობის პროგრამაზე** (კოდი 02 01 03) 2025 წლის გეგმა-პროგნოზით გათვალისწინებული იყო 486.2 ათასი ლარი, აქედან ათვისებულია 484.0 ათასი ლარი.

2025 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების სამუშაოების შესყიდვაზე მიიმართა 97.9 ათასი ლარი. ამავე წელს, საგზაო მოძრაობის მოწესრიგებისა და ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენციის მიზნით, ხუთ ლოკაციაზე განხორციელდა შუქნიშნების ავტომატური მართვის არსებული კონტროლერების დემონტაჟი, ახალი კონტროლერების მონტაჟი და მათი ექსპლუატაციაში გაშვება, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან გახარჯულია 386.1 ათასი ლარი.

**წყლისა და სანიაღვრე სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციაზე** გამოიყო 804.0 ათასი ლარი, აქედან 70.4 ათასი ლარი შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებს, ხოლო 733.6 ათასი ლარი - ადგილობრივი ბიუჯეტით ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გამოყოფილ თანხებს.

**სოფლის მხარდაჭერის** პროგრამით განხორციელებულ სამუშაოებზე მიიმართა 1213.9 ათასი ლარი, აქედან 859.7 ათას ლარს შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები, ხოლო 354.1 ათას ლარს - ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები.

**მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოების** განხორციელების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილია სახსრები - 44.2 ათასი ლარის ოდენობით. დაფინანსდა შემდეგი პროექტი:

- კოლხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბუკიას ქუჩა N30 და N34-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები.

**საექსპერტო მომსახურებასა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე** გახარჯულია 462.2 ათასი ლარი;

**სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე** სულ მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები - 8832.2 ათასი ლარის ოდენობით. სამუშაოები განხორციელებულია სხვადასხვა ლოკაციებზე.

აქვე შევნიშნავთ, რომ სტიქიასთან დაკავშირებით მთავრობის ბოლო 2025 წლის განკარგულება გამოიცა დეკემბრის თვეში, რის გამო საჭირო პროცედურების გავლის გათვალისწინებით შესაძლებელი ვერ გახდა დასახელებული თანხის სრულად გამოყოფა.

**სამოქალაქო ბიუჯეტის და მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის** პროგრამებით განხორციელებულ პროექტებზე გახარჯულია 656.0 ათასი ლარი, აქედან 652.4 ათასი ლარი შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ სახსრებს.

**გარე განათებისათვის** წლის განმავლობაში გამოიყო 1359.1 ათასი ლარი მთლიანად ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებით.

5166.6 ათასი ლარი მიიმართა **მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამაზე,** რომლის განმახორციელებელია მერიის დაფუძნებული შპს მუნიციპალური ტრანსპორტი.

შპს მუნიციპალური ტრანსპორტის სარგებლობაში არსებული 42 ერთეული სამგზავრო ავტობუსი ყოველდღიურად ოპერირებდა 32 მარშრუტზე, აქედან 10 ავტობუსი ქალაქის ტერიტორიაზე და დანარჩენი სოფლის მარშრუტებზე მომსახურებისათვის. ავტობუსები დღეში გადიან დაახლოებით 8000 კმ-ს, წელიწადში 2 700 000 კმ-ს.

2025 წელს სამგზავრო ავტობუსებმა გადაიყვანეს 2587503 მგზავრი, საშუალოდ დღეში 7089, ერთი მგზავრის გადაყვანა დაჯდა 2.63 ლარი. მუნიციპალურ ტრანსპორტს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიუხედავად ჯერ კიდევ გააჩნია პრობლემები, რაც უკავშირდება საჭირო ფინანსური ბაზის შექმნას, საკუთარი ფულადი სახსრების გაზრდის ღონისძიებებს.

შპს ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტის მიღებულმა ფაქტიურმა შემოსავალმა 2025 წელს შეადგინა 6807.8 ათასი ლარი. აქედან ძირითადი 5166.6 ათასი ლარი არის ბიუჯეტიდან მიღებული სუბსიდია - 75.9%, ხოლო საკუთარი შემოსავლები არის 1641.2 ათასი ლარი ანუ 24 პროცენტი.

ამასთან, მერიას მიაჩნია, რომ საკუთარი შემოსავლების წილი უნდა გადიდდეს, რასაც ხელი უნდა შეუწყოს კერძო მიკროავტობუსების პარალელურად ფუნქციონირების მოწესრიგებამ - სამგზავრო ავტობუსების გაჩერებასთან და დაწესებული გრაფიკების პარალელურად მიკროავტობუსების მოძრაობამ. აღნიშნულ საკითხზე მერია შეიმუშავებს და წარმოადგენს წინადადებებს.

ასევე მიგვაჩნია, რომ შესაძლებელია მოქმედი ტარიფების გადასინჯვა, რათა შპს ტრანსპორტის საკუთარი შემოსავლები გაიზარდოს.

ზემოაღნიშნული საკითხები მოითხოვს შესწავლას და განხილვას, რამდენადაც მუნიციპალიტეტის საკუთრივი მწირი შემოსავლები ვერ უზრუნველყოფს ტრანსპორტის სფეროს საჭიროებისათვის თანხების დამატებით გამოყოფას, სუბსიდიის კიდევ უფრო გაზრდას. უნდა აღინიშნოს, რომ სუბსიდირებული თანხები დიდი ოდენობით მიიმართება სახელმწიფო სესხებით შეძენილი სამგზავრო ავტობუსების წლების მიხედვით სასესხო ვალდებულებების დაფარვაზე.

ინფრასტრუქტურის დარგით საზოგადოებრივი დანიშნულების მუნიციპალური ავტოპარკის განახლების და გაფართოების პროგრამით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით მიმართულია 206.1 ათასი ლარი.

კეთილმოწყობის მიმართულებით ძირითადში თანხები 6350.2 ათასი ლარი გამოყოფილია ბიუჯეტის საკუთარი სახსრებით. აქედან ძირითადი თანხა 6060.4 ათასი ლარი მიიმართა **აიპ კეთილმოწყობის ღონისძიებათა პროგრამისათვის.**

2025 წლის განმავლობაში ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს მიერ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველდღიურად ხდებოდა გარე განათების ქსელის მოვლა, ექსპლუატაცია-რეაბილიტაციასთან და ქსელის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სამუშაოებისა და საჭირო ღონისძიებების განხორციელება, ამ მიზნით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 166.2 ათასი ლარი. საახალწლოდ ქალაქის განათებისათვის გაწეულ იქნა ხარჯი 136.8 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სისტემატურად ხორციელდებოდა წყალმომარაგების სისტემების აღდგენა-რეაბილიტაცია, წყალსაქაჩი ტუმბოებისა და ტუმბოს ძრავების შესყიდვა-შეკეთება, შადრევნების, შადრევნების სანიაღვრე არხების ამოწმენდა-რეაბილიტაცია, გზების მოსწორება-მოხრეშვა და მოწესრიგებასთან დაკავშირებული სამუშაოები, ამ კუთხით „ცენტრი“-ს მიერ გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 242.9 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში გაწეულია ხარჯი 314.9 ათასი ლარი. მათ შორის შეძენილ იქნა 263.8 ათასი ლარის ღირებულების მქონე ტელესკოპური ამწე კალათა.

2025 წელს პერიოდულად მიმდინარეობდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გამწვანების ობიექტების, მწვანე ნარგავების, დეკორატიული ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული სამუშაოები.

სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის დამტკიცებული წესის შესაბამისად ხორციელდებოდა სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა.

საანგარიშო პერიოდში საკუთარი შემოსავლებიდან შემოსულია 64.6 ათასი ლარი, შესაბამის პერიოდში გაწეულია ხარჯი 59.0 ათასი ლარი, მათ შორის: ოფისისათვის მცირეფასიანი სამეურნეო საქონლის შეძენის 18.6 ათასი ლარი, ოფისის შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯი 4.6 ათასი ლარი.

**მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების კეთილმოწყობის და შეძენის პროგრამისათვის** (კოდი 02 07 03) 2025 წელს გამოიყო 309.5 ათასი ლარი, აქედან ათვისებულია 286.2 ათასი ლარი, მათ შორის: 80.2 ათასი ლარი მიიმართა მუნიციპალიტეტში ქუჩების დასახელების და აბრების მოწყობაზე; ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული იონა მეუნარგიას სახელობის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციას მოხმარდა 72.7 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერიის ეზოში საკანალიზაციო კოლექტორის რეაბილიტაციას 49.3 ათასი ლარი, სამისამართო კონსტრუქციების რეაბილიტაციას 7.4 ათასი ლარი.

როგორც ცნობილია, **სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის პოპულარიზებისკენ მიმართული აქტივობების კოორდინირება** მიზნად ისახავს სამეგრელოში და მათ შორის ზუგდიდში შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას და ახალი ტურისტული პროდუქტების შექმნას.

ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი უზრუნველყოფდა მოსახლეობის ინფორმირებას ტურისტული პოტენციალის შესახებ; 2025 წელს წინა წლებთან შედარებით გაზრდილია ვიზიტორთა ნაკადი. 2025 წელს, ძირითადი ვიზიტორების ნაკადი განისაზღვრა ევროპის ცენტრალური ქვეყნებით: საფრანგეთი, ავსტრია, იტალია, ესპანეთი, გერმანია და სხვ. ასევე შეიმჩნევა ზრდის მაჩვენებელი აზიის ქვეყნებიდან, განსაკუთრებით ჩინეთიდან. მზარდი ტურისტული ნაკადი ფიქსირდება ისრაელიდან და ახალი ზელანდიიდან.

ზუგდიდის ტურისტული პოტენციალი და შესაძლებლობები წარმოდგენილი იყო სხვადასხვა მსოფლიოს წამყვან ტურისტულ გამოფენებზე (თურქეთი - „EMITT 2025“, ჩინეთი - „ITB China 2025“, საფრანგეთი - „IFTM Top Resa 2025“).

აღნიშნულ გამოფენებზე სამეგრელოს და მათ შორის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტურისტულ პოტენციალს გაეცნო მსოფლიოს წამყვანი ტურისტული კომპანიები, საერთაშორისო მედიასაშუალებები და სხვა ტურისტული ორგანიზაციები. ნიშანდობლივია, რომ გამოფენებში მონაწილეობდა 200-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელი. ახალი პარტნიორების მოზიდვის მიზნით ჩატარდა B2B შეხვედრები. ტურისტული კომპანიების მიერ გამოიხატა მზარდი ინტერესი და გაირკვა მათი ძირითადი ტურისტული პროდუქტების მიმართ არსებული მოთხოვნები.

საანგარიშო პერიოდში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ორგანიზაციული ბიუჯეტის 02 08 პროგრამული კოდით გათვალისწინებული სამეგრელოს რეგიონის პოპულარიზებისკენ მიმართული აქტივობების კოორდინირებისთვის სუბსიდიის სახით გამოყოფილი 30.0 ათასი (ოცდაათი ათასი) ლარი, გაიხარჯა შემდეგი მიზნობრიობით:

- ანაკლიაში საზღვაო-ტურისტული სეზონის გახსნასთან დაკავშირებით, საქართველოს კულტურის სამინისტროს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისა და ა(ა)იპ „სამეგრელოს დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის“ ერთობლივი ორგანიზებით გაიმართა საზეიმო კონცერტი (პროექტი „მუსიკალური საღამოების“ ფარგლებში).

- განხორციელდა მეგრული გასტრონომიული კულტურის, როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ბაზარზე პოპულარიზაციისა და ცნობადობის ამაღლების და სამეგრელოში გასტრონომიული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ზუგდიდის საიმიჯო-საპრომოციო ვიდეორგოლის „ჰამო სამეგრელოს“ მომსახურების შესყიდვა.

**„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამით“** (კოდი 02 05) 2025 წელს დაფინანსდა მერიაში რეგისტრირებული სხვადასხვა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო ქონების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით წარმოდგენილი 11 პროექტი:

1. სადარბაზოს რეაბილიტაცია - 2

2. რეგულირებადი შლაგბაუმი - 3
3. გარე საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია - 5
4. სარდაფის და რკინის კარების რეაბილიტაცია - 1

2025 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა შეადგენდა 240.0 ათას ლარს. ათვისებულია მიზნობრივად 186.2 ათასი ლარი.

**მიწების საკადასტრო ნახაზების შედგენის და ქონების შეფასების** (კოდი 02 13) სამუშაოების მომსახურების კუთხით 2025 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაიხარჯა 19.6 ათასი ლარი.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების, მათ შორის მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების, არასაცხოვრებელი ფართების და ხაზოვანი ნაგებობების საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი და შიდა აზომვითი ნახაზების მომზადებაზე გაიხარჯა 6.9 ათასი ლარი.

აუდიტორული დასკვნებისა და განსახლების სამოქმედო გეგმის დოკუმენტაციის მომზადებისთვის 12.7 ათასი ლარი.

**საინვესტიციო პროექტების და დონორებთან ურთიერთობის პროგრამით** (კოდი 02 15) 2025 წელს გამოიყო ასიგნება 65.0 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა პროექტის: „შემოქმედებითი კომპასი საქართველო“ და მრავალწლიანი პროექტის - „მწვანე ქალაქები“ დაფინანსებას.

გარდა საბიუჯეტო ასიგნებით გათვალისწინებული ღონისძიებებისა, განვლილ 2025 წელს ჩატარებულია რიგი აქტივობები:

2025 წლის იანვარში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ მიიღო **50,000 ევროს** ოდენობის გრანტი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისგან (GIZ).

პროექტის მიზანია ურბანული ლაბორატორიის ჩართულობით წინასწარ შერჩეული სივრცის სამეზობლო განვითარების კონცეფციის შემუშავება, რომელიც მოიცავს:

- ✓ მცირე მასშტაბიან ურბანულ ინტერვენციებს;
- ✓ სადემონსტრაციო და საინვესტიციო პროექტების კონცეფციებს.

2025 წლის იანვარში დაიწყო GIZ-ის პროექტის „მდგრადი ურბანული განვითარება საქართველოში“ მეორე კომპონენტის – ენერგომენეჯმენტის სისტემის (EnMS) დანერგვა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში.

პროექტის განხორციელებაში ჩართულია:

- ✓ „ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველოში“;
- ✓ ავსტრიული კომპანია **All Plan**;
- ✓ საერთაშორისო ექსპერტი რაინერ სტიფტერი.

2025 წლიდან, შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მხარდაჭერით და **HELVETAS Swiss Intercooperation**-თან პარტნიორობით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი ჩართულია პროექტში „ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება საქართველოში“ (LEDP).

პროექტის მიზანია კოლხეთის ეროვნული პარკისა და მისი მიმდებარე თემების გარდაქმნა მდგრადი ეკონომიკური საქმიანობების ცენტრად, ადგილობრივ ხელისუფლებას, კერძო სექტორსა და თემებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების გზით.

**დასუფთავება და გარემოს დაცვა**

**2025 წელს დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის** დაფინანსებაზე მიმართულ იქნა 10,570.1 ათასი ლარი (გეგმა-პროგნოზი 10,665.2 ათასი ლარი), აქედან 8,197.1 ათასი ლარი მოდის დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის მუნიციპალური პროგრამის დაფინანსებაზე (პროგრამული კოდი: 03 01), რომლის განმახორციელებელია ა(ა)იპ „**ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“**. ბიუჯეტის ასიგნებიდან ცენტრის მიერ 6,282.0 ათასი ლარი მიმართულ იქნა - შრომის ანაზღაურებაზე; 1,903.4 ათასი ლარი კი - საქონელსა და მომსახურებაზე.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2025 წელს მიღებული სახსრების ეფექტურად ხარჯვისა და დაგეგმილი პროგრამების შესრულების შედეგად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობა და მოსახლეობასა და საჯარო სივრცეებში სისუფთავის ხარისხი. ნაგავშემკრები კონტეინერებისა და მომსახურე ტექნიკის რაოდენობის ზრდის შედეგად, გაიზარდა როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობისათვის და ეკონომიკის სექტორისათვის მომსახურების სერვისის მიწოდების ჯერადობა და მომსახურების ხარისხი. ქალაქის და სოფლის ადმინისტრაციული ერთეულების, საჯარო სივრცეების და ცალკეული ქუჩების ინტენსიური დასუფთავებისა და მორწყვის შედეგად, მუნიციპალიტეტში მკვეთრად შემცირდა დანაგვიანების მაჩვენებელი, უფრო მიმზიდველი და სუფთა გახდა ქალაქი, სოფლები, ანაკლია-განმუხურის ზღვის სანაპირო ზოლი და სხვადასხვა ტურისტული მიზიდულობის მქონე ობიექტები.

ეფექტურად ხორციელდებოდა ქაღალდისა და მუყაოს ნარჩენების სეპარირება-რეციკლირების პროცესი, შედეგად შემცირდა ნაგავსაყრელებზე მოხვედრილი ნარჩენების მოცულობა, გაუმჯობესდა გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობა.

სეპარირების მაჩვენებლები მზარდი მონაცემებით ხასიათდებოდა და მეორადი ნედლეულის რეალიზაციის შედეგად იზრდებოდა საკუთარი შემოსავლები, კერძოდ:

2025 წელს სეპარირებული და რეალიზებული იქნა 280 ტონა ქაღალდი და მუყაო, თითქმის 2-ჯერ მეტი 2024 წელთან შედარებით და მიღებული იქნა 90.4 ათასი ლარის ფულადი შემოსავალი. სულ სეპარირებული შეგროვების დაწყებიდან რეალიზებულია 710 ტონა ქაღალდი და მუყაო 200.4 ათასი ლარის ოდენობით.

საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შედეგად შესრულებული სამუშაოები და პროგრამის განხორციელების ინდიკატორული მაჩვენებლები გამოიხატება შემდეგ მონაცემებში:

- 2025 წელს მყარი ნარჩენების გატანის მომსახურების სერვისი მიეწოდებოდა ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრებ 13000-ზე მეტ ოჯახს, ანუ ქალაქის მოსახლეობის 100%-ს; სოფლის 48 ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ 16 385 კომლს, ანუ სოფლის მოსახლეობის 90%-ს; ეკონომიკის სექტორის 1220-ზე მეტ კომერციულ, ინსტიტუციურ და ინდუსტრიულ ობიექტს;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვებულია 33.1 ათასი ტონა მუნიციპალური ნარჩენი, 700.0 ტონით მეტი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. ნაგავსაყრელში ტრანსპორტირებულია 32.6 ათასი ტონა, ხოლო 280 ტონა ქაღალდი და მუყაო (დაახლოებით 36.4 მ3) დაექვემდებარა სეპარირებულ შეგროვებას, დაწნეხვას და რეალიზაციას;
- ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობიდან და ეკონომიკის სექტორის კომერციული, ინსტიტუციური და ინდუსტრიული ობიექტებიდან ნაგავსაყრელში სულ გაზიდულია 24.1 ათასი ტონა, ყოველდღიურად კი, ქალაქიდან გაიზიდებოდა 67.0 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი;
- სოფლის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები მოსახლეობიდან და ეკონომიკის სექტორის კომერციული, ინსტიტუციური და ინდუსტრიული ობიექტებიდან გაზიდულია 8.1 ათასი ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი, ყოველდღიურად გაიზიდებოდა 22.4 ტონა მყარი ნარჩენი;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, გასულ წელს ყოველდღიურად საშუალოდ დაგვა-აკრეფვის წესით სუფთავდებოდა 45.7 ჰექტარი. მათ შორის ქალაქის ტერიტორიაზე 31.1 ჰექტარი, სოფლის ადმინისტრაციულ ერთეულებში კი 14.6 ჰექტარი; გარდა ამისა, ხელით აკრეფვის წესით სუფთავდებოდა ქალაქისა და სოფლის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრები, მთავარი გზისპირები და ტროტუარები, მასობრივი თავშეყრის ადგილები, ბაღები და სკვერები;
- ცენტრის ძალებით ყოველდღიურად სუფთავდებოდა ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე მრავალსართულიანი სახლების ეზოები, ქალაქის ცენტრალური ხეივანი, დადიანების სასახლის ეზო, ცენტრალური სუპერმარკეტის შიდა და გარე პერიმეტრები, ზუგდიდის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლესთან მდებარე სკვერი და მისი მიმდებარე ტერიტორია, სკეიტ-პარკი, „ვეტერანთა ხეივანი“, გულუას სახელობის სკვერი, ქალაქის რკინიგზის სადგურისა და ცენტრალური ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორია და სხვა;
- ცენტრი მომსახურებას უწევდა მუნიციპალიტეტის 180-ზე მეტ სასაფლაოს;
- დღეს მუნიციპალიტეტში მთლიანად არის ლიკვიდირებული სტიქიური ნაგავსაყრელები.

გარემოს დაცვის სფეროში შემავალი მხარჯავი სუბიექტის **შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“-ის** ფინანსურ ხელშეწყობაზე (პროგრამული კოდი: 03 02) 2025 წელს ათვისებული იქნა 900.0 ათასი ლარი. სუბსიდირებული თანხების ძირითადი ნაწილი მიიმართა: 601.7 ათასი ლარი - შრომის ანაზღაურებაზე; 74.7 ათასი ლარი - მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების დასაფარად. ამასთან, თანხები გაიხარჯა ისეთი ძირითადი კაპიტალური და სამეურნეო დანიშნულების ღონისძიებებზე, როგორიცაა:

- ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე არსებული გამწვანების ზოლის ფიტოსანიტარული მონიტორინგი და მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე ხე-მცენარეების შეწამვლა და ნიადაგის გაჯერება მინერალური სასუქებით;
- განმუხურის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ფეხბურთის მოედნის მინდვრის საფარის განახლება, კერძოდ: ქვიშის დაყრა, მინდვრის საფარის დაჩხვლეტა, ნიადაგის დატკეპვნა და მინერალური სასუქის შეტანა;
- კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა ბულვარის ტერიტორიაზე მდებარე ორ სანიტარულ კვანძს;
- ანაკლიის ბულვარის ტერიტორიაზე დამონტაჟდა კბილანა ბარიერი და შესაბამისი მაჩვენებელი ნიშანი, ასევე ბულვარის ტერიტორიაზე განხორციელდა საჩრდილობლების გადახურვა ბამბუკით;
- ანაკლიის ქვიშის ფრენბურთის მოედნების მოწესრიგების მიზნით შეტანილ იქნა კვარციტული ქვიშა;
- შეძენილ იქნა კაიაკის ტიპის ნავები თავისი ბუქსირებით;
- დაიწყო ანაკლია-განმუხურის დამაკავშირებელი საფეხმავლო ხიდის დაზიანებული ნაწილების ჩანაცვლება-რეაბილიტაციის სამუშაოები.

საკუთარი სახსრებიდან გაწეული ხარჯების ჯამმა შეადგინა 172.5 ათასი ლარი, აღნიშნული სახსრებით განხორციელებულ პროექტებს შორის აღსანიშნავია:

- მოეწყო ორი ღია სავაჭრო ობიექტი;
- აშენებულ იქნა 5 გასახდელი;
- ბულვარის ტერიტორიაზე მოეწყო ელექტრორეგულირებადი შლაგბაუმი;
- ბულვარის ტერიტორიაზე მდებარე სველ წერტილებთან მოეწყო სეპტიკი;
- სეზონის გახსნასთან დაკავშირებით ჩატარდა გასართობი ღონისძიებები და გადაღებულ იქნა სარეკლამო კლიპი.

**ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამის** ფარგლებში 2025 წლის მონაცემებით შესრულებულია მნიშვნელოვანი სამუშაოები და ჩატარებულია რიგი თემატური აქტივობები.

გასულ წელს ა(ა)იპ „ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღს“, რომელიც არის ზემოხსენებული პროგრამის განმახორციელებელი, გამოეყო ასიგნება 1 394.5 ათასი ლარი, რომელიც სრულად ათვისებულია და უტოლდება პროგნოზირებულ მაჩვენებელს. გამოყოფილი ასიგნება მიიმართა შემდეგი ძირითადი ხარჯების ასანაზღაურებლად: 1 341.5 ათასი ლარი მოხმარდა შრომის ანაზღაურებას; 31.7 ათასი ლარი საქონელსა და მომსახურებას; 21.3 ათასი ლარი სოციალურ უზრუნველყოფას.

საკუთარმა შემოსავლებმა მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ბოტანიკურ ბაღში შეადგინა 278.7 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 251.0 ათასი ლარი.

ბოტანიკური ბაღის ძალებით 2025 წელს ჩატარდა რიგი აქტივობები და პრაქტიკული ღონისძიებები მუშაობის ძირითადი მიმართულებების მიხედვით:

ა) *კულტურული მემკვიდრეობის, ეკო-განათლების, ტურიზმისა და მარკეტინგის კუთხით ბოტანიკურმა ბაღმა ღია და დახურულ სივრცეში უმასპინძლა სხვადასხვა მნიშვნელოვან ღონისძიებასა და აქტივობას, მათ შორის:*

- მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ჟურნალისტთა კლუბმა „სარკმელი“ საინფორმაციო ფოტომარათონი „კადრის ფესტივალი 2025“ გამართა პლატფორმა „ჩემი მედიასახლის“ და ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის მხარდაჭერით, რომელშიც 35 მონაწილე მონაწილეობდა;
- ჩატარდა საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტი „ღია გაკვეთილი ბუნებაში“, პროექტში 10 სკოლის 150 მოსწავლის მონაწილეობით;

ბაღში დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „დეკორატიული მებაღეობის“ ღია კარის დღე გაიმართა, რომელსაც ესწრებოდა 50-მდე სტუდენტი;

- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიულმა პარტნიორმა, ზუგდიდის ბოტანიკურმა ბაღმა, სასწავლო საწარმოს სტატუსი 6 წლის ვადით მიიღო. 2019 წლიდან დღემდე, ზემოხსენებულ პარტნიორთან მჭიდრო თანამშრომლობით, წარმატებით ხორციელდება დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „დეკორატიული მებაღეობა“, რომელიც 23 სტუდენტმა დაამთავრა.
- ბოტანიკური ბაღი პერიოდულად მასპინძლობს სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს (შშმ პირთა უფლებების დაცვის დღე, ბავშვთა დაცვის დღე, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე და ა.შ.).

ბ) მცენარეთა კოლექციის გამრავალფეროვნებისა და მოვლის მიზნით განხორციელებულია რიგი აქტივობები:

- 12 თვის განმავლობაში ბაღის სხვადასხვა ტერიტორიაზე ღია სივრცეში დაირგო ახალი ნერგები (შესყიდული, უსასყიდლოდ გადმოცემული, ბაღში გამოყვანილი), სულ 26 787 ნერგი, მათ შორის: ხე-ბუჩქი 1411 ერთეული, ბალახოვან-ყვავილოვანი 25376 ერთეული;
- შესყიდულ იქნა 182 სახეობის 587 ერთეული ნერგი, მათ შორის 196 ერთეული ვარდი, 23 ლოროპეტალუმი, 320 ლავანდა და 48 იასამანი;
- უსასყიდლოდ გადმოცემულია 25742 ერთეული ნერგი, მათ შორის 656 ხე-ბუჩქი, 25086 ბალახოვან-ყვავილოვანი;

- სათბურში არსებული დაკალმებული და ქოთნებში ჩარგული მცენარეები სულ 14086. მათ შორის 8979 ხე-ბუჩქი და 5107 ბალახოვან-ყვავილოვანი;
- სულ მოეწყო 12 ახალი ყვავილნარი (5 გადაჭრილი ხის მორზე, 7 ღია სივრცეში);
- შეივსო რცხილების ხეივანი 25 ძირი კავკასიური რცხილის ნერგით, მოეწყო კოლხური ბზისა (320 ერთეული) და გარდენიას ხეივანი (42 ერთეული);
- ბოტანიკური ბაღის მიერ, სხვადასხვა ორგანიზაციებს უსასყიდლოდ გადაეცა სულ 8007 ერთეული მცენარე. მათ შორის ბუჩქი 109 ძირი, ბალახოვან-ყვავილოვანი 7898 ძირი;
- სარეალიზაციოდ გამოყვანილ იქნა 45 სახეობის 3553-მდე ქოთნის მცენარე;
- მიმდინარეობს ფენოლოგიური დაკვირვება ხე-მცენარეებსა და ბუჩქებზე, როგორც მორფოლოგიური, ასევე ანატომიური თვალსაზრისით. ასევე ხე-მცენარეებისა და ბუჩქების ინვენტარიზაცია-პასპორტიზაციის გაციფრულება, ამჟამად ეტიკეტირებულია 371 სახეობის 8000-მდე ერთეული ხე-ბუჩქი. მომზადდა 14 დენდროლოგიური აქტი დასკვნებით.

**სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის** ფარგლებში ათვისებულია 50.0 ათასი ლარი, რომლის უდიდესი ნაწილი მოხმარდა 370-მდე მსხვილფეხა საქონლის ხელოვნური განაყოფიერების პროცედურის მომსახურების თანადაფინანსებას და სახელმწიფო პროგრამაში „დანერგე მომავალი“ მონაწილე ფერმერების ხელშეწყობას, კერძოდ ნიადაგის ლაბორატორიული კვლევების მომსახურების თანადაფინანსებას.

გარემოს დაცვის სფეროს მიკუთვნებული პროგრამის ფარგლებში გარკვეული მუშაობა ტარდებოდა **მუნიციპალიტეტის ტერიტორიისა და მოსახლეობის მღრღნელებისა და მოხეტიალე უზედამხედველო ცხოველებისგან დაცვის** მიზნით, რომელიც მოიცავდა მიუსაფარი ძაღლების გაყვანას, ვაქცინაციას, კასტრაციას და უკან დაბრუნებას თავისუფალ არეალში; გარეული მტაცებელი ცხოველების (მგელი, ტურა) ამოღებას ველური ბუნებიდან; ქვეწარმავლებისა და მღრღნელების წინააღმდეგ ტერიტორიის შეწამვლას. ამ დანიშნულებით 2025 წელს ათვისებულია 28.5 ათასი ლარი.

**განათლება**

მუნიციპალიტეტში **განათლების დარგით** საბიუჯეტო ასიგნების მოცულობა 2025 წელს განისაზღვრა 20,614.9 ათასი ლარი, მათ შორის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 18,578.5 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 17,452.1 ათასი ლარი, აღნიშნული თანხის ძირითადი ნაწილი 87.6 პროცენტი თანხით 15279.8 ათასი ლარი მიიმართა განათლების კუთხით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტის - **„სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამის“** დაფინანსებაზე, რომელსაც ახორციელებს ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი.

ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრს აკისრია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვის ფუნქცია, რომლის მიზანია საბავშვო ბაღების გამართული ფუნქციონირება.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 63 საბავშვო ბაღი; მათგან 18 - ქალაქში, ხოლო 45 - სოფლად, ადმინისტრაციულ ერთეულებში, ბაღებში კონტინგენტი განისაზღვრება 3553 ბავშვის რაოდენობით. აღნიშნულ დაწესებულებებში დასაქმებულია 1186 თანამშრომელი, გახსნილია 164 სააღმზრდელო ჯგუფი.

ზემოხსენებული ცენტრის მიერ 2025 წელს ჩატარებულია გარკვეული მუშაობა ბავშვთა სკოლამდელი განათლების ხარისხის ამაღლების, სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის და შიდა ინფრასტრუქტურის განვითარების, აღსაზრდელების სრულფასოვანი კვებით უზრუნველყოფის, აღმზრდელ-პედაგოგთა და მომსახურე პერსონალის შრომის და მატერიალური პირობების გაუმჯობესებისათვის.

ცენტრის მიერ 2025 წელს სუბსიდიის სახით საბიუჯეტო თანხები მიიმართა ხარჯების შემდეგი ძირითადი მუხლების მიხედვით, კერძოდ იგი მოხმარდა:

- **11687.5** ათასი ლარი - შრომის ანაზღაურებას (თანამდებობრივი სარგო და საპრემიო ანაზღაურება);
- 3425.7 ათასი ლარი - საქონელსა და მომსახურებას, მათ შორის:

- ✓ 631.7 ათასი ლარი - შტატგარეშე თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებას;
- ✓ 1072.6 ათასი ლარი - ოფისის ხარჯებს;
- ✓ 1335.3 ათასი ლარი - ბავშვთა კონტინგენტის კვებით მომსახურებას;
- ✓ 362.6 ათასი ლარი - სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებას;
- 98.4 ათასი ლარი - არაფინანსური აქტივების ზრდას.

13 საბავშვო ბაღი განთავსებულია ნაქირავებ ფართში, რომლის ქირავნობის საფასური გასულ საანგარიშო პერიოდში გადახდილია 253.2 ათასი ლარი.

ყოველწლიურად ტარდება სასმელი წყლის ლაბორატორიული გამოკვლევა, სურსათის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნიდან გამომდინარე. ამ დანიშნულებით 2025 წელს გადახდილია 19.1 ათასი ლარი.

უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წელს სკოლამდელ დაწესებულებათა მართვის სფეროში ჩატარებულია რიგი ღონისძიებები და აქტივობები:

2025 წლის ბოლოს 63-ვე საბავშვო ბაღში ჩატარდა საახალწლო ზეიმები/აქტივობა, თითოეული საბავშვო ბაღის პერსონალმა პატარა აღსაზრდელების საახალწლო განწყობის ამაღლებაზე იზრუნა. ზეიმების დასასრულს, 3553 აღსაზრდელს გადაეცა საახალწლო სასაჩუქრე ნაკრები, რომლის ღირებულებამ შეადგინა 33.5 ათასი ლარი.

ავტორიზაციის სტატუსის მისანიჭებლად, სახელმწიფო სისტემაში დარეგისტრირებულმა 9 (ცხრა) საბავშვო ბაღმა, კერძოდ კი: №1, №2, №12, №13, №16, №18, ანაკლიის, ჯუმის, შამგონის საბავშვო ბაღებმა გაიარეს ატესტაცია.

2025 წელს ექსპლუატაციაში შევიდა ახალაშენებული, სტანდარტების შესაბამისი: შამგონის, ქვემო კახათის, ერგეტის და დარჩელის №1 საბავშვო ბაღები. მშენებლობა მუნიციპალური განვითარების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

აგრეთვე აშენებულია და იგეგმება ეტაპობრივად ექსპლუატაციაში გადაცემა: რუხის, ჭითაწყარის, კახათის „რწმენა“, ნარაზენის №2, რიყის, ცაცხვის, ოქტომბრის და №5 საბავშვო ბაღები.

მუნიციპალიტეტის მერიის და ააიპ ზუგდიდის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის ინიციატივით ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) მიერ, განხორციელდა საგრანტო პროექტი ბაღების აღჭურვა ტექნიკით, რის შედეგადაც №1, №2, №3, №4, №6, №7, №8, №9, №10, №11, №12, №16, №18, აგრეთვე ახალკახათის, კოკის, ნარაზენის №1, ზედაეწერის, ჭკადუაშის, ორულუს ბაღები პროექტის ფარგლებში აღიჭურვა და განახლდა თანამედროვე სამზარეულო ინვენტარით, რაც მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს ბავშვთა ჯანსაღ კვებას, ჰიგიენას და შეიქმნება სტანდარტის შესაბამისი გარემო.

**„მოსწავლე-ახალგაზრდობის სკოლისგარეშე სწავლისა და განვითარების პროგრამა“,** რომელსაც ახორციელებს ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე, მოიცავს სკოლისგარეშე მრავალპროფილიან სააღმზრდელო-საგანმანათლებლო და შემოქმედებით მიმართულებას, რომელიც მოზარდებს, ახალგაზრდებს ეხმარება თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებაში, შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენაში, უნარ-ჩვევების განვითარებაში, ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევების ათვისებაში, პრაქტიკული და თეორიული მუშაობის წარმართვაში.

ზემოთაღნიშნულ მხარჯავ სუბიექტს 2025 წლის ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით გამოეყო ასიგნება 1238.5 ათასი ლარი, საკასო შესრულების მოცულობამ შეადგინა 1182.6 (ერთი მილიონ ასოთხმოცდაორი ათას ექვსასი) ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმის 99.43%-ია. 2025 წელს მიღებული აქვს საკუთარი შემოსავლები (სწავლის ქირა, დარბაზის ქირა, სხვა ფულადი სახსრები) 52.2 ათასი ლარი.

აღნიშნული მხარჯავი სუბიექტის მიერ ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდია მოხმარდა:

- **994.7** ათასი ლარი - შრომის ანაზღაურებას (თანამდებობრივი სარგო და საპრემიო ანაზღაურება);
- 181.1 ათასი ლარი - საქონელსა და მომსახურებას, მათ შორის:
- ✓ 23.1 ათასი ლარი - შტატგარეშე თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებას;
- ✓ 19.5 ათასი ლარი - ოფისის ხარჯებს;

- ✓ 132.9 ათასი ლარი - სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებას;
- 6.7 ათასი ლარი - არაფინანსური აქტივების ზრდას.

ზემოხსენებული პროგრამის საბიუჯეტო დაფინანსების ფარგლებში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის მიერ ჩატარებულია და მის ბაზაზე შექმნილი მოზარდებისა და ახალგაზრდების სასწავლო-შემოქმედებით კოლექტივებსა და ჯგუფებს 2025 წელს მონაწილეობა მიღებული აქვთ ადგილობრივ და ქვეყნის მასშტაბით გამართულ მთელ რიგ მუსიკალურ, მხატვრულ, შემოქმედებით და სახელოვნებო აქტივობებში, მათ შორის უნდა აღინიშნოს:

- ანსამბლი გინცის სოლისტებმა მონაწილეობა მიიღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ლას-ვეგასის საერთაშორისო „Golden Dream 2025“ კონკურს-ფესტივალზე;
- სამეჯლისო-სპორტული ცეკვების სტუდია „ეზი“ მონაწილეობდა ქ. თბილისში საქართველოს ცეკვისა და სპორტული ცეკვის პროფესიონალთა ეროვნული საბჭოს ორგანიზებით, საკლუბო ჩემპიონატში „STAR CUP 2025“;
- თანამედროვე ცეკვების სტუდია „Dance Dynasty“ თბილისში გამართულ „OPEN NATIONAL CHAMPIONSHIP OF GEORGIA 2025“-ში მიიღეს მონაწილეობა და საქართველოს თასი მოიპოვეს.
- ბულგარეთის რესპუბლიკა, ქ. სოფიაში საერთაშორისო ფესტივალზე „Sunny Olympia“ ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „მტრედები“ მონაწილეობა მიიღო და უმაღლესი ჯილდო - გრან პრი მოიპოვა ქ. სოფიაში (ბულგარეთი) გამართულ საერთაშორისო ფესტივალში.
- სასახლის დრამატული სტუდია „შთამომავლები“ ქალაქ თელავში გამართულ თეატრალურ ფესტივალზე „გაზაფხულის დღეები“ მონაწილეობა მიიღო და ფესტივალის მთავარი პრიზი „გრანპრი“, ასევე ფულადი ჯილდო 1000 ლარი გადაეცა „შთამომავლებს“ სპექტაკლისათვის „HELLADOS“; ნომინაცია „საუკეთესო მუსიკალური გაფორმება“ სპექტაკლმა „პეპის ოინები“ მოიპოვა. სტუდიის ყველა მონაწილე დიპლომით, მედლითა და სამახსოვრო საჩუქრით დაჯილდოვდა.

**საგანმანათლებლო შემეცნებითი ღონისძიებების დაფინანსება/თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში** 2025 წელს გათვალისწინებული 91.5 ათასი ლარიდან ფაქტიურად გახარჯულია 91.0 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა მოხმარდა წიგნების და სიგელების ბეჭდვის, საზაფხულო ბანაკის მომსახურების შესყიდვას და მასწავლებელთა ეროვნულ დღესთან დაკავშირებით ჯილდოების გაცემას.

**ბავშვების და ახალგაზრდების შესაძლებლობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამით** 2025 წელს გათვალისწინებული 410.2 ათასი ლარიდან გახარჯულია 407.8 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა მერის სტიპენდიანტების დაფინანსებაზე და წარმატებული ახალგაზრდების ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე.

**სსიპ შ. მესხიას სახელობის სახელმწიფო** სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსური ხელშეწყობის მიმართულებით ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 44.0 ათასი (ორმოცდაოთხი ათასი) ლარი, რომელიც მოხმარდა შენობის გარე ფასადის მოწესრიგების სამუშაოებს.

საქართველოს მთავრობის სხვადასხვა განკარგულებების მიხედვით საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამაზე დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 3548.1 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1867.7 ათასი ლარი, აქედან დელეგირებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად (სკოლებში მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება) 1511.7 ათასი ლარი დაზუსტდა ადგილობრივი ბიუჯეტით. რამდენადაც აღნიშნულ თანხაზე საქართველოს მთავრობის №1098 დადგენილება გამოცემული იყო 2025 წლის 8 სექტემბერს, ცხადია ასეთ მოკლე პერიოდში მისი განკარგვის პროცედურები წლის ბოლომდე ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი, რის გამოც ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა მხოლოდ 446.9 ათასი ლარი, ხოლო დარჩენილი თანხა აისახა 2026 წლის ბიუჯეტში განსაკარგავად.

მერიის განათლების პროფილის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული საქართველოს მთავრობის 2025 წლის 24 იანვრის N146 განკარგულების და 30 ივლისის N302 დადგენილების შესაბამისად ახორციელებს **საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამას დელეგირებული თანხებით,** რომელიც მოიცავს

სასკოლო დაწესებულებების მოსწავლეთა სატრანსპორტო მომსახურებით უზრუნველყოფას. მასში ჩართულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ზუგდიდის 39 და აფხაზეთის 5 საჯარო სკოლის 4027 (ოთხი ათას ოცდაშვიდი) მოსწავლე. 2025 წელს აღნიშნული მომსახურების ასანაზღაურებლად ჯამში გახარჯულია 1420.8 (ერთი მილიონ ოთხას ოცი ათას რვაასი) ათასი ლარი.

**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები**

**კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დასაფინანსებლად** 2025 წელს ასიგნებანი განსაზღვრული იყო 8,578.5 ათასი ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ შეადგინა 8,050.1 ათასი ლარი, რომელიც გადანაწილდა კონკრეტულ პროგრამებს შორის. აქედან სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაზე, რომლის განმახორციელებელია **ა(ა)იპ „სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი“,** მიიმართა 1800.3 ათასი ლარი (გეგმა-პროგნოზი 1831.1 ათასი ლარი), რომელიც ძირითადი მუხლების მიხედვით გაიხარჯა: შრომის ანაზღაურებაზე 1,175.8 ათასი ლარი; შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე - 182.0 ათასი ლარი; სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისთვის - 52.3 ათასი ლარი; კვების ხარჯებისთვის - 70.4 ათასი ლარი; სპორტული ღონისძიებისათვის - 116.8 ათასი ლარი.

წლის განმავლობაში ზუგდიდელმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს ოცამდე საერთაშორისო და 70-მდე რესპუბლიკურ, რეგიონალურ და ადგილობრივ სპორტის ჩვიდმეტი სახეობის ტურნირში, როგორიცაა: ძალოსნობა, კრივი, ჭადრაკი, ხელბურთი, კალათბურთი, ძიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, ტაეკვანდო, რაგბი, სპორტული კარატე, მძლეოსნობა, კიკბოქსინგი, კუდო, სამბო, ქართული ჭიდაობა, მხატვრული ტანვარჯიში.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ჩატარდა ოცდაათამდე სპორტული ღონისძიება, მათ შორის ტურნირი „დებიუტანტი“ ჭადრაკში; სამეგრელო-ზემო სვანეთის ჩემპიონატი ჭადრაკში; ზუგდიდის ღია ჩემპიონატი ძალოსნობაში (U15); საქართველოს პირველობა რაგბიში (დასავლეთ ზონის B ჯგუფი); „კოლხეთის თასი“ ჭიდაობა ძიუდოში; საერთაშორისო ტურნირი კიკბოქსინგში; „საერთაშორისო ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილი გარბენი“; „სპორტის საერთაშორისო დღე“; ველორბოლა 2025; ტრადიციული ტურნირი ცხენოსნობაში „მარულა 2025“; სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონალური თამაშები. აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 16 საჯარო და კერძო სკოლის 124-მა მოსწავლემ.

სპორტის სხვადასხვა სახეობაში ჩემპიონი და პრიზიორი გახდა 120-მდე სპორტსმენი. მათგან მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე თავი გამოიჩინა ცხრამეტმა ზუგდიდელმა სპორტსმენმა, მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს:

- გოგა ჯაჯვანი - მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის ძალოსნობაში (პერუ);
- ნათია გადელია - ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის ძალოსნობაში (დურესი, ალბანეთი) - ოქროს მედალი;
- ნიკა ბიგვავა - მსოფლიო ჩემპიონი პროფესიონალურ კრივში - WBF-ის ეგიდით ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატი (თბილისი, საქართველო);
- გივი თოდუა - მსოფლიო ჩემპიონი პროფესიონალურ კრივში - WBF-ის ეგიდით ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატი (თბილისი, საქართველო);
- ელენე ქარჩავა - ევროპის ჩემპიონი კრივში - ოქროს მედლის მფლობელი;
- ლევან დადეშქელიანი - სპორტულ კარატეში - ოქროს მედლის მფლობელი;
- ნიკა ჭაფანძე - ევროპის ჩემპიონატზე კიკბოქსინგსა და ტაილანდურ კრივში გამარჯვებული;
- გიგა სიჭინავა - ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვებული, ოქროს მედალოსანი;
- დიმიტრი ბერაია - ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვებული, ოქროს მედალოსანი.

**სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების** პროგრამის ფარგლებში ნაწილობრივ დაფინანსდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საყოველთაო პროექტი - „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა“ და ზუგდიდის სამოყვარულო ფეხბურთის გუნდი „მეგრი“ „BETLIVE MASTER LEAGUE“ ჩემპიონატში ჩართვისათვის; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ახალგაზრდებისთვის ახალგაზრდული პროექტების ფარგლებში დაფინანსდა ერთი პროექტი; ოირემეს ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდა კომპაკ სპორტინგის ჩემპიონატი; საჯარო სკოლების კურსდამთავრებულთათვის ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში მოეწყო მუსიკალური ჯგუფი „ურსას“ კონცერტი; ინგირის ადმინისტრაციულ

ერთეულში ჩატარდა „ავტო დრაგის“ ჩემპიონატი; მოეწყო ტექნოლოგიური ბანაკი ახალგაზრდებისთვის. სულ პროგრამის ფარგლებში ათვისებულ იქნა 85.7 ათასი ლარი.

**„ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამას“** ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში, რომლის განმახორციელებელია ა(ა)იპ „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი“.

2025 წელს ზემოაღნიშნული პროგრამის დასაფინანსებლად, ბიუჯეტიდან გამოყოფილია 1 920.0 ათასი ლარი, რომელიც პრაქტიკულად სრულად ათვისებულია. აღნიშნული მიმართული იქნა ძირითადი ხარჯების ასანაზღაურებლად, კერძოდ: 1 594.3 ათასი ლარი შრომის ანაზღაურებაზე, 323.9 ათასი ლარი საქონელსა და მომსახურებაზე.

ცენტრის საკუთარი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს სამხატვრო გალერეის, სარეპეტიციო და საკონცერტო დარბაზის დაქირავებიდან მიღებული შემოსავალი. ცენტრის საკუთარი შემოსავალი დაიგეგმა 2025 წლისთვის 30.0 ათასი ლარის ოდენობით. შემოსავალმა შეადგინა 22.9 ათასი ლარი.

„ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის“ პროფილი მრავალფეროვანია და ის მოიცავს კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობის სხვადასხვა მიმართულებას. ცენტრის მიერ გასულ წელს ჩატარებულია აღნიშნული მიმართულების 35-მდე კულტურულ-სახელოვნებო ღონისძიება, მათ შორის უნდა გამოიყოს რამდენიმე აქტივობა, კონკრეტულად:

- 1 იანვარს - ცენტრის ფოლკლორული ანსამბლი „ოდოია“ მონაწილეობდა ტელეკომპანია იმედის ყოველწლიურ საახალწლო გადაცემაში „საშობაო მეჯლისი“;
- 7 მარტს - ბელგიაში ქალაქ გენტში მიხეილ (მაცი) ხორავას სამხატვრო გალერეის ექსპოზიციონერის, მხატვარ ელენე ფიფიას მორიგი პერსონალური გამოფენა გაიხსნა;
- 3-14 აპრილს - მიხეილ (მაცი) ხორავას სამხატვრო გალერეაში ზუგდიდელ მხატვართა ნამუშევრების საგაზაფხულო გამოფენა მოეწყო;
- 17-24 აპრილს - თურქეთში ქ. მერსინში გამართულ ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალზე მიწვეული იყო ცენტრის ბავშვთა და მოზარდთა სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლი „ცისკარი“. ღონისძიება ქ. მერსინის მერიის ორგანიზებით განხორციელდა;
- 18 მაისს - მუზეუმების საერთაშორისო დღე აღინიშნა კონდრატე თათარიშვილის სახლ-მუზეუმში;
- 22 ივნისს - ქალაქ ფოთში გაიმართა „კოლხურ-ლაზური“ კონკურს-ფესტივალი, სადაც მონაწილეობდა ბავშვთა და მოზარდთა სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლი „ცისკარი“. ჟიურის გადაწყვეტილებით ანსამბლს გადაეცა ცნობილი ხელოვანის ჯემალ ნავროზაშვილის სახელობის სპეციალური პრიზი;
- 25 ივნისს - ჩხორიის სამოყვარულო თეატრმა მაყურებელს მორიგი პრემიერა უჩვენა. წარმოდგენილი იყო ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“;
- 14-15 ივლისს - პოლიკარპე ხუბულავას სახელობის ფოლკლორის V საერთაშორისო ფესტივალი „კოლხი და...“ ჩატარდა. ფესტივალი საქართველოს სახალხო არტისტის, ლოტბარისა და საზოგადო მოღვაწის ჯემალ ჭკუასელის 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენითა და კონცერტით - „ჯემალ ჭკუასელი 90“ გაიხსნა. ფესტივალი გალა-კონცერტით დაიხურა, რომელშიც უცხოური და ქართული სახელმწიფო აკადემიური და მუნიციპალური ფოლკლორული ანსამბლები მონაწილეობდნენ;
- 1-2 სექტემბერს - ზუგდიდში უკვე ტრადიციად ქცეული კლასიკური მუსიკის IV ფესტივალი გაიმართა. ღონისძიება 1 სექტემბერს გაიხსნა, ხოლო 2 სექტემბერს - ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის საჯარო სივრცეში დასკვნითი კონცერტით დაიხურა;
- 14 სექტემბერს - დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის საჯარო სივრცეში გამართულ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის და საპატიო ზუგდიდელის წოდების მინიჭების ცერემონიაზე, სპეციალური კონცერტი გამართა ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ფოლკლორულმა ანსამბლმა „ოდოიამ“.
- 1 ოქტომბერს - ცნობილი საზოგადო მოღვაწის, მწერლისა და პუბლიცისტის იონა მეუნარგიას სახლ-მუზეუმში გამართულ ღონისძიებაში რეზო ბულიას სახელობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ჩელა“ და ფოლკლორული ანსამბლი „ოდოია“ წარსდგა მაყურებლის წინაშე;

- 28 ოქტომბერს - სამხატვრო გალერეაში ზუგდიდელ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა მოეწყო, სადაც წარმოდგენილი იყო შემოდგომის მოტივებზე შესრულებული ნახატები;
- 12 დეკემბერს - ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის საკონცერტო დარბაზში, ამავე ცენტრის ფოლკლორული ანსამბლების საანგარიშო კონცერტი გაიმართა;
- 17 დეკემბერს - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ჩხორიის სამოყვარულო თეატრში ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩას“ პრემიერა გაიმართა;
- 29 დეკემბერს - მიხეილ (მაცი) ხორავას სახელობის სამხატვრო გალერეაში ზუგდიდელი მხატვრების ნამუშევრების საახალწლო-საშობაო გამოფენა მოეწყო;
- 29 დეკემბერს - სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ქორეოგრაფთა კავშირის ორგანიზებით ცენტრის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ხელოვნების ფესტივალი „საახალწლო მეჯლისი“, სადაც მონაწილეობდა ცენტრის რეზო ბულიას სახელობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ჩელა“.

**კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამით** გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსებისთვის, რომელიც ხორციელდება მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის - ძეგლთა დაცვის განყოფილების მიერ, 2025 წელს ათვისებულია 23.8 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა: საერთაშორისო კავკასიური ლიტერატურული ფესტივალი „ანაკლია 2025“-ის ჩატარებაზე და „ნორჩი მკვლევარი 2025 - ვიცნობდეთ ჩვენი კუთხის ისტორიას“ კონკურსის ფარგლებში, ფინალურ ტურში გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოებისათვის სასაჩუქრე წიგნების შესყიდვაზე.

**ა(ა)იპ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის** სუბსიდირებაზე 2025 წელს გამოიყო 1,182.5 ათასი ლარი, აქედან ძირითადი თანხა - 1,111.0 ათასი ლარი მიიმართა შრომის ანაზღაურებაზე, 71.5 ათასი ლარი - საქონელსა და მომსახურებაზე.

მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო ქსელში გაერთიანებული ცენტრალური, 3 საქალაქო და 30 სასოფლო ბიბლიოთეკა წლის განმავლობაში მოემსახურა სულ 6961 მკითხველს, ჩატარებულ აქტივობებს დაესწრო 611721 დაინტერესებული პირი, დაფიქსირდა წიგნადი ფონდისა და ინფორმაციის გაცემის 101330 ფაქტი.

განვლილ საანგარიშო პერიოდში წიგნადი ფონდი შეივსო 1430-მდე წიგნით; შესყიდულ იქნა 818 ცალი, საჩუქრად მიღებულ იქნა 519, ხოლო ვაუჩერით შეძენილ იქნა 91 ცალი წიგნი.

2025 წლის ბოლოს ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის წიგნადმა ფონდმა შეადგინა 187 399 წიგნი, რომლის ჯამური ღირებულებაა 472.0 ათასი ლარი.

ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან, სასოფლო და საქალაქო ბიბლიოთეკა-ფილიალებთან და მის დაქვემდებარებაში არსებულ „ამერიკულ კუთხე“-სთან ერთად ახორციელებდა სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებას. გასულ წელს ჩატარებულია სულ 100-ზე მეტი ღონისძიება და აქტივობა, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია:

- პროექტის „ელაპარაკე ახალგაზრდებს“ ფარგლებში საქართველოს ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლ „ბასიანის“ სოლისტისა და ლოტბარის სერგო ურუშაძის მიერ ჩატარებული მასტერკლასი მეგრულ ფოლკლორზე. მასტერკლასში მონაწილეობა მიიღეს პოლიკარპე ხუბულავას სახელობის სალოტბარო სკოლის მოსწავლეებმა;
- ქ. ზუგდიდს სამუშაო ვიზიტით ეწვია ევროპა ნოსტრას ექსპერტთა მისია, ჭაქვინჯის ციხის დეტალური შესწავლის, მისი გადარჩენისთვის შესაბამისი საექსპერტო დასკვნისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით. ვიზიტის ფარგლებში გამოიკვეთა თანამშრომლობის პერსპექტივები და დაიგეგმა სამომავლო აქტივობები;

- ცენტრალურ ბიბლიოთეკაში „ვეფხისტყაოსნის“ საჯაროდ კითხვის დღესთან დაკავშირებით განხორციელდა ლიტერატურულ-საგანმანათლებლო პროექტი „ამბები ვეფხისტყაოსანზე“. პროექტის ფარგლებში წარმოდგენილი იყო სხვადასხვა აქტივობები: დიანა ანფიმიადის წიგნის - „ჩვენ,

ვეფხისტყაოსნები“ პრეზენტაცია; საუბარი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფრესკაზე, პირველ რუსთველოლოგზე, ბრიტანელ ქართველებსა და „ვეფხისტყაოსანზე“. გაიმართა „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა გამოცემების გამოფენა;

- ჩატარდა ბერტა ფონ ზუტნერის საერთაშორისო საზოგადოების დამფუძნებლის, გერმანისტის ბესიკ გეგეჭკორის საჯარო ლექცია - „ბერტა ფონ ზუტნერის მოღვაწეობა სამეგრელოში“. საჯარო ლექცია მიეძღვნა ავსტრიელი მწერლის, პაციფიზმის საერთაშორისო მოძრაობის აქტივისტის ბერტა ფონ ზუტნერისათვის ნობელის პრემიის გადაცემიდან 120 წლისთავს;
- ცაიშის სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალში გაიმართა ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოცემული გაზეთ „ივერიის“ 1886 წლის ნომრების კომპლექტის წარდგენა. გაზეთის კომპლექტი გამოიცა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის პროექტ „გიგანტური წიგნების“ ფარგლებში, რომლის კოორდინატორია ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელი ნოდარ დუგლაძე. სწორედ ამ პროექტის ფარგლებში დაბეჭდილი, გაზეთ „ივერიის“ ზუგდიდის ცენტრალური ბიბლიოთეკისთვის საჩუქრად გადაცემული, გამოცემის წარდგენა სიმბოლურად გაიმართა რეაბილიტირებულ ცაიშის სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალში. იქ, სადაც 140 წლის წინ დიდი ილია სტუმრობდა იონა მეუნარგიას;
- ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში ცენტრალური ბიბლიოთეკისა და წიგნის მოყვარული ახალგაზრდების ორგანიზებით ჩატარდა გრანდიოზული ახალგაზრდული საღამო. საღამოზე წიგნისმოყვარული ახალგაზრდების მიერ მოეწყო სხვადასხვა აქტივობა, კერძოდ: მთარგმნელისა და ცნობილი მოჭადრაკის, ფიდეს ოსტატის, მადონა ბოკუჩავას საჯარო ლექცია - საუბრები თანამედროვე იტალიელ მწერლებსა და პოეტებზე. ორატორმა ახალგაზრდებს გააცნო ორიანა ფალაჩის, ელენა ფერანტესა და ალდა მერინის შემოქმედება;
- ცენტრალურ ბიბლიოთეკას სტუმრობდნენ ნიდერლანდებში მცხოვრები ქალბატონი თიკა სვანიძე-ვენკო და ნიდერლანდების სამეფოს ქართული კულტურის ცენტრის ბაზაზე შექმნილი სამოყვარულო თეატრალური დასების მსახიობები, ქართული საერთაშორისო კალიგრაფიის სკოლის მოსწავლეები;
- 2025 წლის 30-31 აგვისტოს ზუგდიდის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ უკვე მეორედ უმასპინძლა საავტორო პროექტს „ლაზური წიგნიერების დღეები“. პროექტის ფარგლებში ზუგდიდს ეწვივნენ თურქეთში მოქმედი ლაზური ინსტიტუტის წარმომადგენლები და დამოუკიდებლად მომუშავე პირები, რომლებიც ზრუნავენ ლაზური ენის გადარჩენაზე, გამოსცემენ სამეცნიერო და მხატვრულ ლიტერატურას, ქმნიან მუსიკას;
- 26 მაისს ზუგდიდის ცენტრალური ბიბლიოთეკის ორგანიზებით განხორციელდა პროექტი - „თარგმნე ქართველი ავტორები“. პროექტის ფარგლებში მოსწავლე-ახალგაზრდებმა ქართულიდან ინგლისურად თარგმნეს 1918-1921 წლების ქართული ლიტერატურის რჩეული ნიმუშები გრიგოლ რობაქიძის, პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, კოლაუ ნადირაძის, გიორგი ლეონიძის, სერგო კლდიაშვილის შემოქმედებიდან. თარგმანების ავტორები დასაჩუქრდნენ წიგნებით;

„ამერიკულ კუთხეში“ აქტიურად ტარდებოდა სხვადასხვა თემატური შეხვედრები, ფუნქციონირებდა სხვადასხვა მიმართულების კლუბები: ინგლისურის კლუბი სამი ასაკობრივი ჯგუფისთვის; მოზრდილთა უფასო ინგლისურის გაკვეთილები; ინგლისურის კლუბი მოზრდილთათვის; არტთერაპიის კლუბი; რობოტიკის კლუბი.

აღსანიშნავია, რომ **ბიბლიოთეკარის** დღესთან დაკავშირებით გასული წლის 30 აპრილს საქართველოს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ საბიბლიოთეკო საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ოთხი მუნიციპალური ბიბლიოთეკის დირექტორი დააჯილდოვა, მათ შორის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის დირექტორი ბესიკ არახამია, რომელსაც სპეციალურად ამ დღისთვის შექმნილი დიმიტრი ყიფიანის სახელობის მედალიონი და სიგელი გადაეცა.

**კულტურული ღონისძიებების დაფინანსებისთვის**, რომლის განმახორციელებელია მერიის შესაბამისი სამსახური, გასულ წელს პროგნოზირებული იყო 407.1 ათასი ლარი, გახარჯულია 388.5 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა საახალწლო და საშობაო ღონისძიების, ზუგდიდის საპატიო მოქალაქისა და

საპატიო ზუგდიდელის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებული ღონისძიების ორგანიზებასა და ჩატარებაზე, ასევე სხვადასხვა სახის 10 აქტივობის ფინანსურ მხარდაჭერაზე.

**ტელერადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის** საბიუჯეტო კოდით გათვალისწინებული ხარჯების ასანაზღაურებლად მიიმართა 37.7 ათასი ლარი.

**რელიგიის ფინანსური ხელშეწყობის** დანიშნულებით 2025 წელს გახარჯულია 135.0 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა ზუგდიდის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის მამათა სამონასტრო კომპლექსის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მომსახურების შესყიდვას და ეზოს კეთილმოწყობას.

**სახელოვნებო სკოლების ფინანსური ხელშეწყობის პროგრამას** ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კულტურის სფეროს სხვა მუნიციპალურ პროგრამებს შორის, რომლის განმახორციელებელია **ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლების გაერთიანება**. აღნიშნულ მხარჯავ სუბიექტს გასულ წელს ათვისებული აქვს 1277.5 (ერთი მილიონ ორას სამოცდაჩვიდმეტი ათას ხუთასი) ათასი ლარი. ათვისებული თანხები ძირითადში მოხმარდა: 1077.3 ათასი ლარი - ძირითად მომსახურეთა და შემოქმედებითი პედაგოგიური საქმიანობით დაკავებული მუშაკების შრომის ანაზღაურებას, 176.1 ათასი ლარი - შტატგარეშე მუშაკთა ხელფასებს; გაერთიანების საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 92.2 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა მიმდინარე საოპერაციო ხარჯების ანაზღაურებაზე.

2025 წელს, როგორც სახელოვნებო სკოლების გაერთიანების, ისე საქართველოს მუსიკალურ-სახელოვნებო ცენტრთან მათი ჩართულობით ჩატარებულია და განხორციელებულია 40-მდე აქტივობა და პროექტი. აღნიშნულ აქტივობებსა და პროექტებში მონაწილე სახელოვნებო სკოლების მუსიკალურმა ანსამბლებმა და გუნდებმა, შემოქმედებითმა ჯგუფებმა მუსიკალურ-შემოქმედებით კონკურსებზე და კონკურს-ფესტივალებზე მიაღწიეს თვალსაჩინო წარმატებებს, კერძოდ:

- 2025 წლის 20 მარტს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ჩატარდა ი.ს. ბახის სახელობის მე-8 ეროვნული კონკურსი, სადაც საგუნდო-სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა ლაურეატის წოდება დაიმსახურეს.
- 2025 წლის 20-29 მარტს ჩატარდა კლასიკური მუსიკის მე-18 ეროვნული კონკურს-ფესტივალი „მომავალი ვარსკვლავები“, რომელშიც წარმატებით მონაწილეობდნენ სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სამუსიკო სკოლები.
- 2025 წლის 17-23 მარტს ჩატარდა ბავშვთა და მოზარდთა მე-17 რესპუბლიკური კონკურს-ფესტივალი „იპოვე შენი ვარსკვლავი“, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სამუსიკო სკოლები.
- 2025 წლის 3 ივნისს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, ჩატარდა კარლ ჩერნის სახელობის მე-3 კონკურსი, რომელშიც პირველი ადგილი დაიმსახურა საგუნდო-სამუსიკო სკოლის აღსაზრდელმა დარე ცინდელიანმა.
- 2025 წლის 11-17 ივნისს, საბერძნეთში ასპროვალტა-ვრასნაში გაიმართა საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი „ოქროს ოცნება“, რომელშიც ანსამბლი „ლილე“ გახდა პირველი ადგილის მფლობელი და მიწვეულ იქნა ლას-ვეგასში.

**ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ფინანსური ხელშეწყობის** პროგრამის ფარგლებში, 2025 წელს გახარჯულია 20.0 ათასი (ოცი ათასი) ლარი, რომელიც მიიმართა მე-19 საუკუნის 4 მართმადიდებლური ხატის სარესტავრაციო სამუშაოების შესყიდვაზე.

**საცხენოსნო კლუბ „ხარებას“ ფინანსური ხელშეწყობის** პროგრამის ფარგლებში 2025 წელს გახარჯულია 80.0 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა საცხენოსნო სპორტული ღონისძიების ორგანიზებასა და ცხენების საკვებით უზრუნველყოფაზე.

**„ქართული ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“** (კოდი 05 04) დასაფინანსებლად 2025 წელს გამოიყო 790.9 ათასი ლარი და გაიხარჯა 789.3 ათასი ლარი. აღნიშნული პროგრამის განმახორციელებელია **ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“,** რომელმაც 2025 წელს გაიარა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საფეხბურთო სკოლების კატეგორიზაციის პროცესი, რომლის შედეგად მიენიჭა II კატეგორია,

მიიღო საფეხბურთო სკოლის სტატუსი და პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 200.0 ათასი ლარით. აღნიშნული თანხის მიზნობრივი ხარჯვა გათვალისწინებულია 2026 წელს საფეხბურთო სკოლის საჭიროებისთვის სპორტული ინვენტარის შესაძენად.

2025 წელს **ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“-ის** საფეხბურთო სკოლის სხვადასხვა ასაკობრივი გუნდები, წლის დასაწყისიდან ჩართული იყვნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, იმერეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ჭაბუკთა შეჯიბრში და აღწევდნენ მაღალ სპორტულ შედეგებს.

უნდა აღინიშნოს, რომ **საფეხბურთო კლუბ „ოდიში 1919“-ს**, ძირითადი გუნდისა და რეგიონალურ ლიგაში მოასპარეზე გუნდის გარდა, ჰყავდა 7 ასაკობრივი კატეგორიის გუნდი, კერძოდ:

- **U10, U11, U12, U13 და U14** ასაკობრივი გუნდები მონაწილეობდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ჭაბუკთა შეჯიბრებებში და საერთო ჯამში ჩაატარეს 136 საშინაო და გასვლითი მატჩი;

- **U15 და U17** ასაკობრივი გუნდები კი მონაწილეობდნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ჭაბუკთა ლიგაში, კერძოდ, „ვერცხლის ლიგა“-ში და საერთო ჯამში ჩაატარეს 53 საშინაო და გასვლითი მატჩი.

2025 წელს საფეხბურთო კლუბ „ოდიში 1919“-ის U14 ასაკობრივმა გუნდმა წარმატებით გაიარა შერჩევითი ეტაპი სამეგრელოს რეგიონალური ნაკრებისათვის. აღნიშნულ პროცესში, კლუბის **9 ფეხბურთელი** ოფიციალურად გახდა რეგიონალური ნაკრების წევრი.

**სსიპ „ქალაქ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის“** ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, გასულ წელს თეატრის პოპულარიზაციის, საგასტროლო და ახალი სპექტაკლების დადგმასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე გამოიყო 30.0 ათასი ლარი, რითაც განხორციელდა 2 სპექტაკლის დადგმა (მერი შელის „ფრანკენშტაინი“ და ალექს ჩიღვინაძის „მარინა რევია“). სპექტაკლები ნაჩვენები იყო 11-ჯერ კულტურისა და ხელოვნების ცენტრში, რომელიც მუნიციპალიტეტის 2500-მდე მაყურებელმა ნახა. „ფრანკენშტაინის“ ჩვენება გატანილი იყო თბილისში და ყაზახეთში საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც ჟიურის სპეციალური პრიზი დაიმსახურა.

**ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებისათვის განვლილ 2025 წელს პროგნოზირებული იყო 5561.9 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო შესრულებამ შეადგინა 5326.2 ათასი ლარი.

ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებანი ჯანდაცვის და სოციალურ სფეროს მიკუთვნებული პროგრამების მიხედვით მიიმართა:

**მუნიციპალიტეტზე დელეგირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსებაზე**, რომელიც ხორციელდება ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ, 2025 წელს მიმართულია 583.5 ათასი ლარი, მათ შორის დელეგირებული თანხები 317.6 ათასი ლარი.

შესაბამისი პროგრამით 2025 წელს უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით გატარებულია რიგი პრევენციული ღონისძიებები და ჩატარებულია კვლევები:

- სასწრაფო და რუტინული შეტყობინების საფუძველზე დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონულ ინტეგრირებულ სისტემაში (დზეი) დარეგისტრირებული იქნა ინფექციური დაავადებების 5276 შემთხვევა. მათ შორის ტუბერკულოზზე საეჭვო 1061 შემთხვევა, რომელთა შორის აქტიური ტუბერკულოზი მგბ(+) დაუდასტურდა 20-ს, მგბ(–) 24-ს, ტუბერკულოზის ინფექციის კერებში 134 კონტაქტირებულ პირს ჩაუტარდა სკრინინგული კვლევა, დამყარდა მეთვალყურეობა აქტიური ტუბერკულოზის გამოვლენის მიზნით.
- დარეგისტრირდა ცხოველთან ექსპოზიციის 2826 შეტყობინება, აქედან აფხაზეთში მცხოვრები 39 პირი, სხვა რაიონში მცხოვრები 493 პირი. ანტირაბიული მკურნალობის სრული კურსი ჩაუტარდა 807 პირს, პირობითი 1909 პირს. შეწყვიტა მკურნალობა ცხოველთა იდენტიფიცირების შედეგად 212-მა პირმა.
- „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სამედიცინო დაწესებულებაში ხორციელდება ორსულთა გამოკვლევა „ბ“ ჰეპატიტზე, აივ-ინფექციაზე, სიფილისსა და „ც“ ჰეპატიტზე, სულ გასული წლის განმავლობაში გამოკვლეულია 621 ორსული, ტესტირებით დადებითი შედეგის მქონე 11 ორსულის ლაბორატორიული მასალა გაგზავნილი იყო კონფირმაციული კვლევისათვის, აქედან „ბ“ ჰეპატიტი დაუდასტურდა 3-ს, აივ-ინფექცია - 2-ს, სიფილისი - 1-ს, „ც“ ჰეპატიტი - 5-ს.
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-60/ნ „პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის, აგრეთვე იმუნიზაციის მართვის წესების და საჭირო სააღრიცხვო-საანგარიშგებო ფორმების შესრულების შესახებ“ ბრძანების შესაბამისად, ჩატარდა 84 მონიტორინგი ამბულატორიებში წინასწარ შემუშავებული გეგმა-გრაფიკის მიხედვით.
- 2025 წელს გრიპის სეზონისთვის საქართველოს მასშტაბით, გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ჩატარდა ოთხკომპონენტიანი, SANOFI PASTEUR-ის წარმოების ვაქცინით (Vaxigrip Tetra) რისკჯგუფების მიხედვით - 3762 აცრა.
- 2025 წელს ზუგდიდის ტერიტორიაზე სულ განხორციელდა 11 179 აცრა, მ.შ. გეგმიური - 10 279: ბცჟ ვაქცინაცია ჩაუტარდა 633 ახალშობილს; ბ ჰეპატიტის საწინააღმდეგო - 640-ს; იმუნიზაცია ჰექსაქსიმით (6-ვალენტიანი ვაქცინა) ჩატარდა 1513 აცრა, ტეტრაქსიმით (18 თვის; 5 წლის ასაკში) - 1607; წითელა-წითურა-ყბაყურის საწ. 1, 2 დოზით აიცრა 1510 ბავშვი; როტა 1, 2 დოზით - 828; პნევმოკოკით - 1468; აპვ ვაქცინით - 1277; ტდ ვაქცინით - 803 აცრა და არაგეგმიური - 900 აცრა (აპვ გოგონები 13-45 წ. - 210 აცრა, აპვ ბიჭები 13-26 წ. - 177 აცრა, პნევმოკოკი 60 წ.> - 24 აცრა, ბ ჰეპატიტი - 482 (სამედიცინო პერსონალი და C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირები), წწ 10 წლის> - 7).
- 2025 წელს გრიპის და გრიპისმაგვარი დაავადებების მონიტორინგის ფარგლებში ჰოსპიტალიზირებულ პაციენტთა რაოდენობამ შეადგინა 14 122, მათ შორის რესპირატორული ინფექციის გართულებით 2058. ამბულატორიული მომსახურება გაეწია 64 179 პაციენტს, გრიპისმაგვარი დაავადება გამოვლენილი იყო 4 896 შემთხვევაში.
- სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ცენტრში 2025 წელს მიღებულ იქნა 690 787.72 ლარის და გაცემული იქნა 682 667.25 ლარის ვაქცინები, სტრატეგიული შრატები, სწრაფი მარტივი ტესტები სახარჯი მასალით.
- 2025 წელს ჩატარებული იქნა მონიტორინგი 136 სახელმწიფო საბავშვო ბაღში, კერძო - 22. მონიტორინგის დროს სახელმწიფო საბავშვო ბაღში გამოვლენილი დარღვევების შესახებ ეცნობა ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრს ზომების მისაღებად. 45 საჯარო სკოლაში ჩატარდა მონიტორინგი.
- თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციის იმპლემენტაციის ფარგლებში, ცენტრის მიერ განხორციელდა 230 მოწევის აკრძალვის მონიტორინგი.
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სტომატოლოგიური სერვისის მიმწოდებლებში ინფექციის კონტროლის ღონისძიებებზე ზედამხედველობა განხორციელდა 48 კაბინეტში, გამოვლინდა, რომ სასტერილიზაციო ოთახის მოწყობას საჭიროებს 6 კაბინეტი, ინსტრუმენტების სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებების სრულყოფილი ნაკრები არ გააჩნდათ 6 კაბინეტს, ნორმატივებით განსაზღვრულ დოკუმენტაციას სრულყოფილად აწარმოებს 30, ხოლო არ

აწარმოებს 18 კაბინეტი, ნარჩენების გატანის წესის დარღვევა გამოვლინდა 8 კაბინეტში. წესის თითოეულ დამრღვევ სტომატოლოგიური სერვისის მიმწოდებელს მიეთითა, დარღვევებზე დროულად მოეხდინა რეაგირება და გონივრულ ვადაში მოეხდინა ხარვეზების აღმოფხვრა.

- პირველად ჯანდაცვაში C ჰეპატიტის, აივ/შიდსის და ტუბერკულოზის ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამის ფარგლებში ცენტრის მიერ სკრინინგი ჩაუტარდა 1567 ბენეფიციარს, მათ შორის გამოვლინდა პირველად დიაგნოსტირებული C ჰეპატიტის 4 და აივ/შიდსის 1 შემთხვევა.
- ცენტრის პარაზიტოლოგიური სამსახურის მიერ პარაზიტულ დაავადებებზე ლაბორატორიული კვლევა ჩაუტარდა ბაღების 2085 აღსაზრდელს, მათ შორის ინვაზირებული აღმოჩნდა 110 აღსაზრდელი. დაინვაზირება შეადგენს გამოკვლეულთა 5%-ს.
- ცენტრმა განახორციელა ზედამხედველობა და მონიტორინგი ზუგდიდის ტერიტორიაზე მდებარე საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებზე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად: მონიტორინგი ჩაუტარდა 192 ბიზნეს ოპერატორს. რეგულაციების მოთხოვნები სრულად იყო დაცული 148 შემთხვევაში, არასრულად 44-ში, მათ მიეცათ გონივრული ვადა მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, გადამოწმებით მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორებულია.

**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის** მიმართულებით გასულ წელს სხვადასხვა პროგრამის განხორციელებაზე, მიიმართა სულ 3,311.2 ათასი ლარი, რითაც სოციალური სერვისი და დახმარება მიიღო **7259-მა** ადამიანმა.

**მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა ჯანმრთელობის დაცვა -** საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია ჯანმრთელობის დაცვის საკითხების შემსწავლელი კომისიის 48 სხდომა, იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შუამდგომლობა გაეწია 479 მოქალაქეს. 5090 (ქალი-3494, კაცი-1596) ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურების დაფინანსებისთვის საკასო შესრულებამ შეადგინა 1863.9 ათასი ლარი, გეგმა-პროგნოზი შეადგენდა 1865.3 ათას ლარს. ქვეპროგრამების მიხედვით ასიგნებები მიიმართა:

- **317.1 ათასი ლარი** - ძვირადღირებული გამოკვლევების (კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია) თანადაფინანსებაზე. ისარგებლა 1301-მა მოქალაქემ;
- **73.9 ათასი** ლარი - კორონაროგრაფიის თანადაფინანსებაზე. ისარგებლა 82-მა მოქალაქემ;

- **35.8 ათასი ლარი** - PET/კტ კვლევის თანადაფინანსებაზე. ისარგებლა 40-მა მოქალაქემ;

- **171.5 ათასი ლარი** - სამედიცინო მომსახურების (ქირურგიული ოპერაცია) თანადაფინანსებაზე. ისარგებლა 269-მა მოქალაქემ;
- **196.4 ათასი ლარი** - ძვირადღირებული მედიკამენტების თანადაფინანსებაზე. ისარგებლა 990-მა მოქალაქემ;
- **676.0 ათასი ლარი** - აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე 0-18 წლამდე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამაზე. სარგებლობს 150 ბავშვი;
- **155.9 ათასი ლარი** - სხვადასხვა სახის ინტელექტუალური შეზღუდვისა და ქცევითი აშლილობის მქონე 0-18 წლამდე ბავშვებისათვის სარეაბილიტაციო მკურნალობის დაფინანსება/თანადაფინანსებაზე. ისარგებლა 387-მა ბავშვმა;
- **5.9 ათასი ლარი** - 18 წლის და მეტი ასაკის შშმ (მკვეთრად გამოხატული) პირების სარეაბილიტაციო მკურნალობის თანადაფინანსებაზე. ისარგებლა 12-მა მოქალაქემ;
- **16.8 ათასი ლარი** - იშვიათი დაავადებების (ცელიაკია/ფენილკეტონურია/მუკოვისციდოზი) მქონე პირების სპეციალიზირებული საკვების შესაძენი თანხით უზრუნველყოფაზე. სარგებლობს 4 მოქალაქე;
- **4.2 ათასი ლარი** - განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სპეციფიკური მოვლის საშუალებების თანადაფინანსებაზე (ექსკრემენტის მიმღები კონტეინერი). ისარგებლა 21-მა მოქალაქემ;
- **35.9 ათასი ლარი** - ბინაზე მყოფი პალიატიური ზრუნვის საჭიროების მქონე პირების სამედიცინო ერთჯერადი სახარჯი მასალის, მოვლის საშუალებების და სხვა თანხით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაზე. სარგებლობს 26 მოქალაქე;
- **4.2 ათასი ლარი -** 0-18 წლამდე კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბავშვებისათვის, იმპლანტის დამხმარე საშუალებების შესაძენი თანხით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის დაფინანსებაზე. ისარგებლა 7 ბავშვმა;

- **79.7 ათასი ლარი -** ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ადრეული გამოვლენის ქვეპროგრამაზე. ისარგებლა 1372-მა მოქალაქემ;
- **85.6 ათასი ლარი** - ძვირადღირებული თერაპიის (ქიმიო, სხივური, რადიო, ტარგეტული ან სხვა) საჭიროების მქონე ონკოლოგიური ავადმყოფების ფინანსური მხარდაჭერის ქვეპროგრამაზე. ისარგებლა 428-მა მოქალაქემ;
- ამასთან, ერთი მოქალაქის სტაციონარული მომსახურების თანხა **5.0 ათასი ლარი** გაიხარჯა ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან, რომელიც დაზუსტდა ჯანმრთელობის დაცვის (06 01 03) პროგრამაში.

**სოციალური დაცვის** პროგრამების ფარგლებში, **5004 (ქალი-3386, კაცი-1618)** მოქალაქის სოციალურ დახმარებასა და სერვისებზე მიიმართა **2 801.6 ათასი ლარი,** გეგმა-პროგნოზი კი შეადგენდა 3008.6 ათას ლარს. დაფინანსების თანხა პროგრამების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად:

**334.5 ათასი ლარი - სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამაზე,** რომლითაც საანგარიშო პერიოდში ისარგებლა 725-მა ბენეფიციარმა. თანხა მიიმართა სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ერთჯერადი უფასო კვების დასაფინანსებლად;

**43.4 ათასი ლარი -** ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამაზე, ისარგებლა 18-მა ბენეფიციარმა.

**58.3 ათასი ლარი -** ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამაზე, რომლითაც ისარგებლა 196-მა ბენეფიციარმა.

**268.0 ათასი ლარი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამაზე,** რომლითაც ისარგებლა 944-მა მოქალაქემ.

**საჭიროების მქონე პირთა ინდივიდუალური მობილობა - „თავისუფალი გადაადგილების სოციალური სერვისი“**-ს ფარგლებში, განხორციელდა 1715 გასვლა სხვადასხვა მიმართულებით, სერვისით ისარგებლა 255-მა მოქალაქემ;

**84.8 ათასი ლარი** - **მარტოხელა მშობლის სოციალური დაცვის პროგრამაზე,** ისარგებლა 300-მა მოქალაქემ.

**18.7 ათასი ლარი - ხანდაზმულთა, მარტოხელა მოხუცების შინმოვლისა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამაზე,** ისარგებლა 44-მა ბენეფიციარმა.

**88.5 ათასი ლარი -** სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამაზე, თანხა გახარჯულია:

- **87.5 ათასი ლარი** - აღდგომისა და ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით მრავალშვილიანი ოჯახების, დედ-მამით ობოლი ბავშვების, მარტოხელა მშობლების, 100 წელს გადაცილებული ხანდაზმულების, უფასო სასადილოსა და სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარებისა და უკიდურესად შეჭირვებული მოქალაქეების სასაჩუქრე პაკეტისათვის (550 მოსარგებლე);
- **1.0 ათასი ლარი** - შშმ პირთა უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებით გამართული ღონისძიების კვებით მომსახურება (ფურშეტი);

**152.2 ათასი ლარი - ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამაზე**, ისარგებლა 155-მა მოქალაქემ. კერძოდ:

- **137.2 ათასი ლარი -** ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული 81 ბენეფიციარის ტრანსპორტირების თანადაფინანსებისთვის (ყოველთვიურად თითოეულს 100-150 ლარის ოდენობით);
- **14.0 ათასი ლარი** - სოციალურად დაუცველი 50 სტუდენტის ტრანსპორტირების თანადაფინანსებისთვის (თითოეულს 200 ლარის ოდენობით);
- **1.0 ათასი ლარი -** სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა - „დღის ცენტრების“ ქვეპროგრამაში ჩართული 4 შშმ ბავშვის თანმხლებ პირთა ტრანსპორტირების თანადაფინანსებისთვის;

**488.4 ათასი ლარი - სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამაზე.** ისარგებლა 212-მა მოქალაქემ, თანხა მიიმართა:

- **319.4 ათასი ლარი -** 143 ბენეფიციარის ბინის ქირით უზრუნველყოფისათვის (ყოველთვიურად თითოეულს 200 ლარის ოდენობით);
- **141.5 ათასი ლარი -** ხანძრის შედეგად დაზარალებული 32 ოჯახის ფინანსური მხარდაჭერისთვის (თითოეულს 5 000 ლარის ფარგლებში);
- **8.2 ათასი ლარი -** სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული 11 ოჯახის ფინანსური მხარდაჭერისთვის (თითოეულს 3 000 ლარის ფარგლებში);
- **19.3 ათასი ლარი -** მეწყრის შედეგად დაზარალებული 26 ოჯახის ფინანსური მხარდაჭერისთვის (500 ლარი თითოეულს);

**43.3 ათასი ლარი - დევნილთა მხარდაჭერის პროგრამაზე,** ისარგებლა 433-მა ბენეფიციარმა (თითოეულს 100 ლარის ოდენობით);

**377.7 ათასი ლარი - სოციალურად დაუცველი ოჯახების გათბობის საშუალებებით უზრუნველყოფისა და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამაზე.** ისარგებლა 1398-მა მოქალაქემ. კერძოდ, აღნიშნული თანხა მიიმართა:

- **39.7 ათასი ლარი -** 406 სოციალურად დაუცველი ოჯახის კომუნალური გადასახადებისთვის (თითოეულს 25-25 ლარის ოდენობით ოთხი თვის განმავლობაში);
- **270.0 ათასი ლარი -** სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი 822 ოჯახის ფინანსური დახმარებისთვის (თითოეულს 100-500 ლარის ფარგლებში);
- **68.0 ათასი ლარი -** სოციალურად დაუცველი 170 ოჯახის გაზიფიცირებისთვის.

**9.8 ათასი ლარი - სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების პროგრამა** - დაფინანსდა 2 პროექტი.

**31.2 ათასი ლარი - პროგრამა „სოციალური საცხოვრისი კეთილმოწყობილ გარემოში“ –** ისარგებლა 29 ბენეფიციარმა;
**802.8 ათასი ლარი - უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა**. 2024-2025 წლებში გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად პროგრამის ფარგლებში დასრულდა 9 საცხოვრებელი სახლის სამშენებლო და 10 სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

**ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში,** 2025 წლის მონაცემებით 18 წლამდე ასაკის ბავშვების ფინანსურ მხარდაჭერასა და სერვისებზე საკასო შესრულებამ ჯამში შეადგინა **77.2 ათასი ლარი.** დაფინანსება/მომსახურება ქვეპროგრამების მიხედვით მიიღო **189 (101 გოგონა, 88 ვაჟი)** მოსარგებლემ, რომელიც გადანაწილდა შემდეგნაირად:

- **48.7 ათასი ლარი** - სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის მატერიალური დახმარების ქვეპროგრამაზე. ისარგებლა 89-მა ბენეფიციარმა;
- **2.5 ათასი ლარი** - ბავშვთა სადღესასწაულო და სოლიდარობის დღეების აღსანიშნავად; 1 ივნისის გასართობ ღონისძიებაში მონაწილეობდა 60 ბავშვი;
- **13.0 ათასი ლარი -** ინგლისური ენის შემსწავლელი წრის დაფინანსებაზე. ისარგებლა 30-მა ბავშვმა;
- **13.0 ათასი ლარი** - საცურაო აუზის მომსახურებაზე (აქვათერაპია). ისარგებლა 10-მა ბენეფიციარმა.

განყოფილება აქტიურად მუშაობს მოწყვლადი ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების კუთხით. საანგარიშო პერიოდში სოციალური მუშაკის მიერ განხორციელდა 95 ვიზიტი, რომლის შედეგადაც ბავშვიანი ოჯახები ჩართულ იქნა შესაბამის მუნიციპალურ პროგრამებში, ასევე, განხორციელდა რამდენიმე მათგანის გადამისამართება სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში.

2025 წლის განმავლობაში (გაზაფხული-შემოდგომა) მშობლებისთვის ჩატარდა ტრენინგების 2 ციკლი თემაზე: „პოზიტიური მშობლობა“. ტრენინგები მოიცავს 6 სესიისგან შემდგარ საგანმანათლებლო მოდულს, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამებით მოსარგებლე 13-მა მშობელმა (I ციკლი-7 მშობელი, II ციკლი-6 მშობელი). ტრენინგი მიზნად ისახავს ინფორმირებულობის დონის ამაღლებას მშობლობისა და ბავშვის საჭიროებების ძირითად საკითხებთან დაკავშირებით. ტრენინგის დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები. ტრენინგები ჩატარდება მომავალშიც, წელიწადში ორჯერ.

**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების საკასო შესრულებამ (ბიუჯეტის კოდი 01 00) 2025 წელს შეადგინა 16764.2 ათასი ლარი, რაც უტოლდება გეგმა-პროგნოზით გათვალისწინებულ მაჩვენებელს.

- **საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის** უზრუნველყოფისათვის მიიმართა 12325.6 ათასი ლარი, მათ შორის:

- საკრებულოს საქმიანობის ფინანსურ უზრუნველყოფაზე 2115.3 ათასი ლარი;
- მერიის სამსახურებისა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების დაფინანსებისათვის 10210.3 ათასი ლარი;

**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან** მიზნობრივი დანიშნულებით მერის ბრძანებით გამოიყო 32.0 ათასი ლარი, რომელიც მთლიანად ათვისებულია.

**რგფ-დან და მგფ-დან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსებაზე** 2025 წელს მიიმართა 781.8 ათასი ლარი;

1. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 8 თებერვლის N193 განკარგულების საფუძველზე მუნიციპალიტეტს აღებული ჰქონდა სასესხო ვალდებულება ავტოპარკის განახლებისათვის 3500.0 ათასი ლარის ოდენობით, რომლის სარგებლობის პროცენტი იყო 2379.7 ათასი ლარი. სასესხო ვალდებულება მთლიანობაში შეადგენს 5879.7 ათას ლარს, მ/წლის 1 იანვრის მდგომარეობით გადახდილია 3195.5 ათასი ლარი, ბოლო ვადამდე - 2029 წლამდე დარჩენილია 2683.2 ათასი ლარი. მათ შორის 2026 წელს გადასახდელი თანხა **578.5** ათასი ლარი.

2. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 დეკემბრის N2564 განკარგულებით მუნიციპალიტეტს მიეცა უფლება მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2293.8 ათასი ევროს ეკვივალენტი ლარის ოდენობით ავტობუსების შესაძენად სესხის აღების თაობაზე, რომლის მთლიანმა ღირებულებამ, პროცენტის ჩათვლით შეადგინა 14014.5 ათასი ლარი. 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გადახდილია 7634.5 ათასი ლარი, დარჩენილია 6380.0 ათასი ლარი, მათ შორის 2026 წელს გადასახდელია 1804.3 ათასი ლარი.

3. (გარდა სასესხო ვალდებულებებისა, მთავრობის 2023 წლის N1085 განკარგულების და 2024 წლის N43 განკარგულების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით 2 ავტობუსის შესაძენად მუნიციპალიტეტს გამოეყო 987.0 ათასი ლარი).

4. 2018 წლიდან 5 ნაგავმზიდისა და 454 კონტეინერის შეძენაზე აგრეთვე აღებული იყო სასესხო ვალდებულება მომსახურების პროცენტის ჩათვლით 1690.7 ათასი ლარი; 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დარჩენილია ვალდებულების დასაფარი თანხა მხოლოდ **82.3** ათასი ლარი.

5. ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაციისათვის სასესხო ვალდებულება აღებული იყო 8870.4 ათას ლარზე პროცენტის ჩათვლით. 2026 წლის 1 იანვრამდე აღნიშნული ვალდებულებიდან გადახდილია 6601.3 ათასი ლარი, რჩება გადასახდელი 2269.1 ათასი ლარი, მათ შორის 2026 წელს **1008.5** ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის 2025 წლის გადასახდელების შესრულება სინთეზური სახით, ცალკეული მუხლების მიხედვით იძლევა შემდეგ ფინანსურ სურათს, კერძოდ, გადასახდელების საერთო თანხიდან (104972.1 ათასი ლარი) ხარჯები შეადგენს 69651.6 ათას ლარს, აქედან:

- შრომის ანაზღაურება - 9848.5 ათასი ლარი;
- საქონელი და მომსახურება - 6903.2 ათასი ლარი;
- პროცენტი - 1020.7 ათასი ლარი;
- სუბსიდიები - 45564.8 ათასი ლარი;
- გრანტები - 96.9 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 3672.2 ათასი ლარი;
- სხვა ხარჯები - 2545.3 ათასი ლარი.

2025 წელს არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 32781.7 ათასი ლარი;
ფინანსური ვალდებულებების კლება შეადგენს 2538.8 ათას ლარს.

## ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების მიმოხილვის თაობაზე

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი საქართველოს საბიუჯეტო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №39 დადგენილებით. ბიუჯეტის საწყისი მოცულობა განისაზღვრა 76,500.0 ათასი ლარით.

წლის განვლილ პერიოდში ბიუჯეტში შესული ცვლილებებით, რომელიც ეხებოდა წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთების და ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მთავრობის დადგენილებათა შესაბამისად თანხების ბიუჯეტში ასახვას, მ/წლის 1 ოქტომბრისათვის ბიუჯეტის საერთო მოცულობა განისაზღვრა 116277,8 ათასი ლარით.

მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესრულება 9 თვეში იძლევა შემდეგ სურათს:

**ბიუჯეტის შემოსულობები**

მუნიციპალიტეტის 2026 წლის 9 თვეში ბიუჯეტის შემოსულობები მთლიანობაში, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების გათვალისწინებით განისაზღვრა 86138,9 ათასი ლარით, მათ შორის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები 59820,4 ათასი ლარის ოდენობით.

აქედან, **საგადასახადო შემოსავლები** 9 თვეში დაგეგმილი იყო 47489,0 ათასი ლარით - წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის /63401,2 ათ.ლარი/ 74,9 პროცენტის ოდენობით, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 43640,4 ათასი ლარი, 91,9% ანუ 3848,6 ათასი ლარით ნაკლები.

**სხვა შემოსავლები** 9 თვეში პროგნოზირებული იყო 5968,4 ათასი ლარის ოდენობით, წლიურის 78,2 % /წლიური-7628,8 ათ.ლარი/ ფაქტიურად შემოსულია 5533,8 ათასი ლარი ანუ 9 თვესი დაგეგმილზე 434,6 ათასი ლარით ნაკლები, რაც ძირითადში საგზაო ჯარიმების თანხის ნაკლებად შემოსვლამ განაპირობა, როგორც მიმდინარე წლის საპროგნოზო მაჩვენებელთან, ისე გასული წლის შესაბამის პერიოდის 9 თვის ფაქტიურ შემოსავალთან მიმართებაში.

**არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან** შემოსავალმა შეადგინა 498,2 ათასი ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 24,9 პროცენტია,/წლიური გეგმა 2000,0 ათ.ლარი/.

## გადასახდელების ნაწილში

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის მოცულობა, შესული ცვლილებების გათვალისწინებით, 1 ოქტომბრამდე მთლიანობაში განისაზღვრა 116277,86 ათასი ლარის, მათ შორის 9 თვეში 91514,1 ათასი ლარის ოდენობით.

აქედან ადგილობრივი ბიუჯეტის მოცულობა 9 თვეში პროგნოზირებული იყო 61885,4 ათასი ლარის ოდენობით, რამაც წლიური გეგმის 77,5 პროცენტი შეადგინა.

მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში როგორც მთლიანი, ისე ადგილობრივი ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლის წლიური გადასახდელების 9 თვის ოდენობაზე გაცილებით მეტი პროცენტული მაჩვენებლით პროგნოზირება განაპირობა ერთის მხრივ წლის დასაწყისში არსებული ნაშთების და ასევე 2026 წელს მთავრობის განკარგულებებით ახლად გამოყოფილი თანხების ძირითადში I კვარტალში გათვალისწინებამ, აგრეთვე 9 თვის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებლების შეუსრულებლობამ და ასევე წინა წლიდან გადმოსული რიგი პროექტების განხორციელების დაუსრულებლობამ განაპირობა, შესაბამისად გადასახდელების ნაწილში შესრულების არასაკმარისი პროცენტული მაჩვენებლების დაფიქსირება.

კონკრეტულად:

9 თვეში გადასახდელების ფაქტიურმა შესრულებამ მთლიანობაში შეადგინა 73752,7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლების 80,6 %-ია/გეგმა-პროგნოზი 91514,1 ათ.ლარი/;

მათ შორის ადგილობრივი ბიუჯეტის ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 56043,0 ათასი ლარი, რაც 9 თვის გეგმის 90,6 პროცენტია.

ცალკეული დარგების და სფეროების მიხედვით შესრულება იძლევა შემდეგ სურათს:

## ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მთლიან გადასახდელებში ყველაზე დიდი მოცულობით არის წარმოდგენილი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციას (0200) მიკუთვნებული გადასახდელები. რომელთა ფაქტიურმა მოცულობამ 2026 წელს მთლიანობაში შეადგენა 47180,6 ათასი ლარი, რაც მთლიანი გადასახდელების 40,5 პროცენტია.

აღნიშნული დარგიდან ყველაზე დიდი ხვედრითი წილი თანხით 23748,7 მიმართულია საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (გზებისა და ხიდების მშენებლობა-რეაბილიტაცია).

აღნიშნულ სფეროზე მოდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებათა მნიშვნელოვანი ნაწილი, შესაბამისი დარგით (კაპიტალური პროექტები) 2026 წლის 9 თვეში გამოიყო 19798,8 ათასი ლარი, მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით 18871,7 ათასი ლარი და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით 927,1 ათასი ლარი.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის** განვითარებას მთლიანობაში მოხმარდა 12350,5 ათასი ლარი, აქედან 11650,8 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით, ხოლო 699,7 ლარი- ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით.

საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე მიმართულია თანხები შემდეგი დანიშნულებით:

- რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში, რუხის და ახალაბასთუმნის დამაკავშირებელი და ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სინწიდან სოფლის ცენტრამდე საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 780.9 ათასი ლარი;
- რიყის ადმინისტრაციულ ერთეულში, რიყე-ზედაეწერის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 215.9 ათასი ლარი;
- კახათის (კოსტავას ქუჩა) და ინგირის (ჭავჭავაძისა და დადიანის ქუჩები) ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები - 216.5 ათასი ლარი;
- რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში, რუხი-რიყეს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის (კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩა) საფარის და სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები (II ეტაპი) - 164.6 ათასი ლარი;
- ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, ცაიშის და ოქტომბრის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 405.0 ათასი ლარი;
- ორსანტიას ადმინისტრაციულ ერთეულში, კ. გამსახურდიას, ზუგდიდის, ენგურის და თამარ მეფის ქუჩებზე საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები (II ეტაპი) – 243.4 ათასი ლარი;
- ხეცერის ადმინისტრაციულ ერთეულში, საკუტალიო-სამოლაშხიოს უბნის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 259.3 ათასი ლარი;
- დარჩელის ადმინისტრაციულ ერთეულში, კუნოშის უბანში (კოსტავას ქუჩა) საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 37.8 ათასი ლარი;

- ქ. ზუგდიდში მიხეილ ჯავახიშვილის, წაღვერის და პეტრე ჩაიკოვსკის ქუჩებზე საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები – 276.0 ათასი ლარი;
- ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სამანიო, სანაჭყებიოს და ჯინჯოლავების უბანში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 87.9 ათასი ლარი;
- ზედაეწერის ადმინისტრაციულ ერთეულში, სათორდიოს უბანში, საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები – 148.3 ათასი ლარი;
- უჩაშონას ადმინისტრაციულ ერთეულში მაცხოვრის კარის (გორკის ქუჩის) შემაერთებელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 190.0 ათასი ლარი;
- დიდინეძის კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში, ცოტნე დადიანის ქუჩაზე საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 415.5 ათასი ლარი;
- რიყის ადმინისტრაციულ ერთეულში, ვახტანგ გორგასალის ქუჩაზე საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 126.1 ათასი ლარი;
- ოქტომბრის ადმინისტრაციულ ერთეულში, თბილისის ქუჩაზე საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 237.5 ათასი ლარი;
- ორულუს ადმინისტრაციულ ერთეულში, მოგირის უბანში საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 363.6 ათასი ლარი;
- ხეცერის ადმინისტრაციულ ერთეულში, იონა მეუნარგიას ქუჩის (საფირცხელაო-სამელიოს უბანი) გზის რეაბილიტაცია - 332.5 ათასი ლარი;
- ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ონარიის დასახლებაში, ინფექციურ საავადმყოფომდე მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 141.8 ათასი ლარი;
- დარჩელის და ოქტომბრის ადმინისტრაციულ ერთეულებში, გრიგოლ რობაქიძის და ვალიკო მეუნარგიას ქუჩაზე საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 143.1 ათასი ლარი;
- ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში შოთა რუსთაველის ქუჩის IV ჩიხში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 104.9 ათასი ლარი;
- ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში, მეფრინველეობის დასახლებაში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 391.5 ათასი ლარი;
- ინგირის ადმინისტრაციულ ერთეულში, ვეკუას ქუჩაზე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 227.5 ათასი ლარი;
- ერგეტის ადმინისტრაციულ ერთეულში, ერგეტის ცენტრიდან ბუის გავლით დიდგვიმარას უბნამდე საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 315.3 ათასი ლარი;
- დარჩელის ადმინისტრაციულ ერთეულში, საკერზაიოს უბანში, იაკობ გოგებაშვილის ქუჩაზე საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 427.5 ათასი ლარი;
- დარჩელის ადმინისტრაციულ ერთეულში, ცოტნე დადიანის ქუჩაზე საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 412.0 ათასი ლარი;
- ყულიშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, იონა მესხის ქუჩაზე საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 298.8 ათასი ლარი;
- ინგირის ადმინისტრაციულ ერთეულში, 9 აპრილის ქუჩის და 9 აპრილის ქუჩის III შესახვევში საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 293.5 ათასი ლარი;
- ქალაქ ზუგდიდში, წერეთლის ქუჩის III შესახვევში საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 232.9 ათასი ლარი;
- ქალაქ ზუგდიდში, ილია ვეკუას ქუჩაზე საგზაო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 600.0 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ამბროსი ხელაიას ქუჩაზე საგზაო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 226.1 ათასი ლარი;
- ქალაქ ზუგდიდში, დავით ჯიქიას ქუჩის, დავით ჯიქიას ქუჩის I, II, III და ბორჯომის ქუჩის I და II შესახვევებში საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 668.3 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, შოთა ნიშნიანიძის ქუჩაზე საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - 56.6 ათასი ლარი;

- ქ. ზუგდიდში, ტერენტი გრანელის და ბერტა ფონ ზუტნერის ქუჩაზე საავტომობილო გზის საფარის რეაბილიტაცია - 259.3 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, თედო სახოკიას ქუჩაზე საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - 296.8 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში მიხეილ ჯავახიშვილის, წაღვერის და პეტრე ჩაიკოვსკის ქუჩებზე საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები (II ეტაპი) – 246.4 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ტაშკენტის ქუჩაზე, ტაშკენტის ქუჩის I შესახვევში და ონერ შენგელიას ქუჩაზე საავტომობილო გზის საფარის რეაბილიტაცია - 227.0 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, შოთა დარასელიას ქუჩაზე საგზაო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 267.8 ათასი ლარი;
- რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში, 9 აპრილის ქუჩაზე (საჭკადუოს უბანი) საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 307.2 ათასი ლარი;
- რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში, დუტუ მეგრელის ქუჩაზე გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 66.6 ათასი ლარი;
- კოკის ადმინისტრაციულ ერთეულში, ნალიმას უბანში საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 136.5 ათასი ლარი;
- ახალაბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში ზვიად გამსახურდიას და მარო მაყაშვილის ქუჩებზე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 202.9 ათასი ლარი;
- განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში ჭაფანძეების უბანში (თამარ მეფის ქუჩა) საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 374.9 ათასი ლარი;
- ორსანტია-დარჩელის ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 60.5 ათასი ლარი;
- რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში, ლევან II დადიანის ქუჩაზე საავტომობილო გზის საფარის რეაბილიტაცია - 164.1 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, საავტომობილო გზის საფარის მოვლა-შეკეთების სამუშაოები - 261.9 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების რეაბილიტაციისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და სამშენებლო სამუშაოები - 277.5 ათასი ლარი;
- ჩხოუშის ადმინისტრაციულ ერთეულში, თემურ ვაწაძის ქუჩის I ჩიხში საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 68.6 ათასი ლარი;
- ქალაქ ზუგდიდში, თეთრი გიორგის ქუჩაზე დაზიანებული საფეხმავლო ხიდის ბურჯისა და ნაპირსამაგრი ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 15.2 ათასი ლარი;
- ურთას ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაგარგულიოს უბანში, მდ. ჯუმზე საფეხმავლო ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 17.6 ათასი ლარი;
- აბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში, მენჯის უბანში მილხიდის სათავისისა და მილხიდის მოწყობის სამუშაოები - 6.9 ათასი ლარი;
- ტყაიას ადმინისტრაციულ ერთეულში, ჩიქოვანის ქუჩაზე ხიდის მოწყობის სამუშაოები - 1.5 ათასი ლარი.

- **წყლისა და სანიაღვრე სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციაზე** გახარჯულია 975,5 ათასი ლარი, აქედან 703,1 ათას ლარს შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები, ხოლო 272,4 ათას ლარს - ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები. განხორციელებულია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, დიდობერას უბანში წყალმომარაგების მოწყობის სამუშაოები - 166.8 ათასი ლარი;
- ნაცატუს ადმინისტრაციულ ერთეულში, სათოლორაიოს უბანში წყალმომარაგების მოწყობის სამუშაოები - 130.4 ათასი ლარი;
- ოდიშის და უჩაშონას ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგების სისტემების მოწყობა - 327.4 ათასი ლარი;
- ყულიშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, საფიფიოს უბანში წყალმომარაგების ქსელის მოწყობა - 29.4 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ჯანაშიას ქუჩაზე სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები - 26.3 ათასი ლარი;

- ორსანტიას ადმინისტრაციულ ერთეულში, შოთა რუსთაველის ქუჩაზე სანიაღვრე სისტემის და მართკუთხა მილის მოწყობის სამუშაოები - 22.7 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ცოტნე დადიანის ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოში არსებული საკანალიზაციო სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 139.4 ათასი ლარი;
- კორცხელის ადმინისტრაციულ ერთეულში (სალაგვილაოს უბანი) არსებული ჭაბურღილის ამოწმენდის სამუშაოები - 6.8 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, თამარ მეფის ქუჩა N27-დან ხორავას ქუჩამდე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები - 8.0 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, გოროზიას ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები - 32.4 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდის ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, ვნუკოვისა და წმ. გიორგის ქუჩებზე სანიაღვრე არხის და მილხიდის მოწყობის სამუშაოები - 12.2 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, კ. გამსახურდიას ქუჩა N217-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი N1-ის ეზოში სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 23.4 ათასი ლარი;
- ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, დუმბაძის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები - 50.3 ათასი ლარი.

➢ **სოფლის მხარდაჭერის** პროგრამით განხორციელებულ სამუშაოებზე მიიმართა 296.6 ათასი ლარი, აქედან 202.6 ათას ლარს შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები, ხოლო 94.0 ათას ლარს - ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები.განხორციელებულია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ბაშის ადმინისტრაციულ ერთეულში, მინი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები - 5.8 ათასი ლარი;
- ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, საჭურღულიოს უბანში, ნ. ვაჩნაძის ქუჩაზე მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები - 14.3 ათასი ლარი;
- ხურჩას ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფლის ცენტრში, სატრენაჟორო და სხვა სპორტული ინვენტარით აღჭურვილი გადახურული სივრცის მოწყობის სამუშაოები - 6.5 ათასი ლარი;
- ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, აბაშიძის ქუჩაზე გარე განათების მოწყობის სამუშაოები - 5.8 ათასი ლარი;
- ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჩხოუშის უბანში, გარე განათების მოწყობის სამუშაოები - 9.0 ათასი ლარი;
- ცვანეს ადმინისტრაციულ ერთეულში, კოლხეთის ქუჩაზე სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები - 22.1 ათასი ლარი;
- დიდინეძის ადმინისტრაციულ ერთეულში, დ. აღმაშენებლის მე-6 ჩიხში (N2 სასაფლაოს მიმდებარედ) ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები - 11.3 ათასი ლარი;
- ანაკლიას ადმინისტრაციულ ერთეულში, თიქორის უბანში, დადიანის ქუჩის I და II ჩიხში გარე-განათების მოწყობის სამუშაოები - 9.5 ათასი ლარი;
- კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში, მ. კოსტავას ქუჩაზე გარე განათების მოწყობის სამუშაოები - 18.1 ათასი ლარი;
- ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, შიდა საუბნო გზების მოხრეშვა და სანიაღვრე არხების ამოწმენდის სამუშაოები - 14.9 ათასი ლარი;
- ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ი. გოგებაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ლევან II დადიანის, მეუნარგიას, თამარ მეფის, აკ. წერეთლის, დუტუ მეგრელის, ზვ. გამსახურდიას ქუჩებზე გზების მოხრეშვა და სანიაღვრე არხების ამოწმენდის სამუშაოები - 18.6 ათასი ლარი;
- ჩხოუშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო (ჭაბურღილზე წყლის ავზის დამონტაჟება) სამუშაოები - 3.3 ათასი ლარი;
- ორულუს ადმინისტრაციულ ერთეულში, საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო (მოხრეშვა) სამუშაოები - 32.6 ათასი ლარი;
- აბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში, შიდა საუბნო გზების მოხრეშვის სამუშაოები - 45.5 ათასი ლარი;

- ადმინისტრაციულ ერთეულებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - 44.1 ათასი ლარი;
- დიდინეძის ადმინისტრაციულ ერთეულში, საბავშვო ბაღის შენობის გადახურვის სამუშაოები - 3.5 ათასი ლარი;
- ბაშის ადმინისტრაციულ ერთეულში, საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 23.0 ათასი ლარი;
- ანაკლიას ადმინისტრაციულ ერთეულში, შოთა რუსთაველის ქუჩაზე სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 8.8 ათასი ლარი.

➢ **მუნიციპალიტეტში ბოლო პერიოდში განვითარებული სწრაფი მოვლენების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე** 9 თვეში სულ მიიმართა - 2 384.0 ათასი ლარი, აქედან 2 292.9 ათას ლარს შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები, ხოლო 91.1 ათას ლარს - ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები.კონკრეტულად:

- ქ. ზუგდიდში, მდინარე ჩხოუშიაზე საავტომობილო ხიდის მოწყობის სამუშაოები - 14.3 ათასი ლარი;
- დიდინეძის კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში, მდ. ჩხოუშიაზე საავტომობილო ხიდის მოწყობის სამუშაოები - 684.0 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ბარამიას ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი კორპუსი N2-ის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 63.6 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ბარამიას ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი კორპუსი N7-ის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 49.2 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, სანკტ-პეტერბურგის ქუჩა N25-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 32.3 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, მე-9 საჯარო სკოლის მიმდებარედ მდ. კუჩხობონზე ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები - 65.4 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, მოსაშვილის ქუჩის ჩიხში სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 71.8 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზების (აღმართები) სარეაბილიტაციო სამუშაოები - 9.6 ათასი ლარი;
- ნარაზენის ადმინისტრაციულ ერთეულში, კ. ლომაიას და თბილისის ქუჩის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 15.1 ათასი ლარი;
- ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, საბულიოს უბანში საფეხმავლო ხიდის მოწყობის სამუშაოები - 94.0 ათასი ლარი;
- ოფაჩხაფუს ადმინისტრაციულ ერთეულში, მდ. ყულისწყალზე ნაპირსამაგრის სარეაბილიტაციო სამუშაოების და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, საფეხმავლო ხიდის მიმდებარედ ნაპირსამაგრის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 113.1 ათასი ლარი;
- ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში, საანთიოს უბანში აღმართის სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჩხორიის ადმინისტრაციულ ერთეულში, რუსთაველის ქუჩაზე აღმართის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 101.2 ათასი ლარი;
- ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, ცაიში-ოქტომბრის დამაკავშირებელ გზაზე, მდ. ჩხოუშზე არსებული საავტომობილო ხიდის მარცხენა ნაპირის აღდგენითი სამუშაოები - 119.5 ათასი ლარი;
- რიყის ადმინისტრაციულ ერთეულში, დავით ჯიქიას ქუჩაზე და კ. გამსახურდიას ქუჩის ჩიხში ხიდ-ბოგირის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 21.0 ათასი ლარი;
- შამგონას ადმინისტრაციულ ერთეულში, ხუბუებისა და ხუბულიების უბანში, ხიდ-ბოგირის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 27.0 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საავტომობილო გზების თოვლისგან გაწმენდის სამუშაოების განსახორციელებლად სამშენებლო ტექნიკისა და მათი ოპერატორების დაქირავება - 7.4 ათასი ლარი;
- ზედაეწერის ადმინისტრაციულ ერთეულში, წერეთლის ქუჩაზე (სათორდიოს უბანში) და ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში, (საყალიჩაოს უბანში) ხიდ-ბოგირების სარეაბილიტაციო სამუშაოები - 35.7 ათასი ლარი;

- ოქტომბრის ადმინისტრაციულ ერთეულში, დევნილთა დასახლებაში შენობის დაზიანებული წყალსაწრეტი მილების სარეაბილიტაციო სამუშაოები - 3.5 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ბარამიას ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი კორპუსი N4-ის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 98.2 ათასი ლარი;
- ქალაქ ზუგდიდში, მესხიას ქუჩაზე წყალგამტარი არხის კედლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, შევჩენკოს და მიხეილ მესხის ქუჩაზე სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 79.2 ათასი ლარი;
- ქალაქ ზუგდიდში, სანკტ-პეტერბურგის ქუჩის მიმდებარედ, მდ. ჩხოუშიაზე არსებული ნაპირსამაგრის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 218.1 ათასი ლარი;
- შამადელას ადმინისტრაციულ ერთეულში, საავტომობილო გზის ორ მონაკვეთზე ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობის სამუშაოები - 139.3 ათასი ლარი;
- ჩხოუშის ადმინისტრაციულ ერთეულში, ადმინისტრაციული შენობის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 29.1 ათასი ლარი;
- ნაწულუკუს ადმინისტრაციულ ერთეულში, ილ. ჭავჭავაძის ქ. N95-ში მდებარე N2 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 49.6 ათასი ლარი;
- ჩხორიის ადმინისტრაციულ ერთეულში, რუსთაველის ქუჩის VI ჩიხში ახალი სახიდე გადასასვლელის მოწყობის სამუშაოები - 84.2 ათასი ლარი;
- ნარაზენის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჟვანიას ქუჩაზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 6.5 ათასი ლარი;
- ჩხორიის ადმინისტრაციულ ერთეულში, ეგნატე ფიფიას ქუჩაზე ხიდ-ბოგირის და ნაპირდამცავი გაბიონის მოწყობის სამუშაოები - 58.3 ათასი ლარი;
- ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, ეგრისის ქუჩაზე (მგალობლიშვილების უბანი) სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 93.8 ათასი ლარი.

ინფრასტრუქტურის დარგით 9 თვეში ასევე განხორციელდა შემდეგი პროექტები:

- **საგზაო ნიშნების მოწყობისა და მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამის (კოდი 02 01 03)** განსახორციელებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაიხარჯა 50.5 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავდა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესებას, სატრანსპორტო ნაკადების მოწესრიგებასა და ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენციას;

- **გარე განათებისათვის** 9 თვეში გაიხარჯა 1,158.7 ათასი ლარი მთლიანად ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებით.აღნიშნული თანხა მიიმართა გარე განათებაზე გახარჯული ელექტროენერგიის დასაფარავად;

- 3,531.3 ათასი ლარი 2026 წლის 9 თვეში სუბსიდიით მიიმართა **მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამაზე,** ხოლო საკუთარი სახსრებით გაიხარჯა 1419.1 ათასი ლარი, რომლის განმახორციელებელია მერიის დაფუძნებული **შპს „მუნიციპალური ტრანსპორტი“;**

- **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის** ფარგლებში მიმდინარე წელს 9 თვეში გაეწია დახმარებები (კონსულტაცია) ამხანაგობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით 7 პოტენციურ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას.

დაფუძნდა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში რეგისტრაცია გაიარა 4-მა ახალდაფუძნებულმა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობამ,

| ბაღებში რეგისტრაციის მსურველთა მოთხოვნის დაკმაყოფილება და აღსაზრდელთა სტანდარტის შესაბამისად მომსახურება | ბავშვთა მიმართვიანობისა და მოთხოვნის დაკმაყოფილების მაჩვენებელი | დაკმაყოფილების მაჩვენებელი 90% | დაკმაყოფილების მაჩვენებლის ზრდა 100%-მდე | 10% | მიმართვიანობის შემცირება/გაზრდა |
| თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეკონსტრუქცია/კაპიტალური რეაბილიტაცია | აშენებული/განახლებული/რეაბილიტირებული საბავშვო ბაღების რაოდენობა | 8 აშენებული 4 რეაბილიტირებული | 4 აშენებული 2 რეაბილიტირებული | სახელშეკრულებო ღირებულების 10% | ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა |

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 04 03 | 7091 | სკოლისგარეშე სწავლისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა | ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე | განათლება |

**პროგრამის აღწერა და მიზანი**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე წარმოადგენს სკოლისგარეშე, მრავალპროფილიან სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც მოზარდებს ეხმარება თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებასა და შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენაში. უზრუნველყოფს პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევების ათვისებისათვის პრაქტიკული და თეორიული მუშაობის წარმართვას, საყმაწვილო ჟურნალისტიკის განვითარებას. უზრუნველყოფს ხელოვნების სხვადასხვა დარგის მაღალპროფესიულ დონეზე სწავლებასა და პოპულარიზაციას (ქართული ფოლკლორი, ხალხურ საკრავთა ანსამბლი, კლასიკური და საესტრადო მუსიკა, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი, ქართული ხალხური ქორეოგრაფია, საყმაწვილო თეატრი, სამეჯლისო-სპორტული და თანამედროვე ცეკვები, ბალეტი, პანტომიმა, დრამატული სტუდია). სასახლეში ტარდება სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციები, ინტელექტუალურ-შემეცნებითი თამაშობები, ვიქტორინები, სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო პროექტები, თემატური გამოფენები, შეხვედრები, ლაშქრობები, მასობრივი სპორტული ღონისძიებები, სხვა საგნობრივი კონკურსები, გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა-კონკურსები, ექსპედიციები, საქველმოქმედო აქციები, მოსწავლე-ახალგაზრდობის დღეები. წრეებსა და სტუდიებში გაერთიანებულია 820-მდე მოზარდი. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს ემსახურება 67 თანამშრომელი, მათგან 26 პედაგოგია. ყოველწლიურად მოსწავლეთა სასახლის აღსაზრდელთათვის არაერთი საინტერესო პროექტი ხორციელდება, სასახლის მხატვრული კოლექტივები წარმატებით მონაწილეობენ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ გამართულ საერთაშორისო კონკურს-ფესტივალებსა და სხვა ღონისძიებებში.

| | |
|---|---|
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა** | • მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის |
| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • მოზარდებისა და ახალგაზრდების გაზრდილი ჩართულობა ახალგაზრდულ საგანმანათლებლო, შემეცნებით და განვითარების ღონისძიებებში, მათი ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება;<br>• წლის განმავლობაში განხორციელებულ პროგრამებსა და ღონისძიებებში ჩართულ მოზარდთა და ახალგაზრდების რაოდენობის ზრდა. |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| მოზარდებისა და ახალგაზრდების აქტიური ჩართულობისა და განვითარების ხელშეწყობა, მათი ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების გაუმჯობესება, პროფესიული ორიენტაციისა და განვითარების ხელშეწყობა | ღონისძიებებისა და პროექტების რაოდენობა | 20 | 32 | 10% | ნაკლები მიმართვიანობა/მონაწილეთა დაბალი აქტივობა; ამინდის არახელსაყრელი პირობები (ღია ცის ქვეშ გამართული ტურნირები) |
| | ღონისძიებებში მონაწილეთა და ბენეფიციართა საერთო რაოდენობა | 800 | 1000 | 10% | ცნობიერების დაბალი დონე; ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა მომწოდებლების მხრიდან |

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 04 04 | 7091 | საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური ხელშეწყობა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება | განათლება |

**პროგრამის აღწერა და მიზანი**

პროგრამა ითვალისწინებს საზოგადოებრივი და არაფორმალური განათლების ხელშეწყობას, საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროექტებისა და ღონისძიებების, ბანაკების, კონფერენციების, კონკურსებისა და სასწავლო-შემეცნებითი ტურების ორგანიზებას. ასევე, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობას, მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების ფინანსურ მხარდაჭერას (მერის სტიპენდია), მათ შორის უცხოეთში სწავლის ხელშეწყობას, აგრეთვე მედალოსანი კურსდამთავრებულების დაჯილდოებას და სხვა ღონისძიებებს. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა, მოსწავლეთა, სტუდენტთა და პედაგოგთა შესაძლებლობების გაძლიერება და წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერა.

| | |
|---|---|
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა** | • მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის |
| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების ხელშეწყობა, წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერა, ეროვნული და სახელმწიფოებრივი ღირებულებების პოპულარიზაცია. |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების ხელშეწყობა, წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერა, ეროვნული და სახელმწიფოებრივი ღირებულებების პოპულარიზაცია | ღონისძიებებისა და პროექტების რაოდენობა | 10 | 20 | 10% | ნაკლები მიმართვიანობა/მონაწილეთა დაბალი აქტივობა; ამინდის არახელსაყრელი პირობები (ღია ცის ქვეშ გამართული ღონისძიებები) |
| | სტიპენდიის მიმღები სტუდენტების რაოდენობა | 150 | 150 | 10% | სტიპენდიის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის არასრულად/არასათანადოდ წარმოდგენა |
| | უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული, მერიის მიერ დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობა | 80 | 100 | 10% | დაფინანსების მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის არასრულად/არასათანადოდ წარმოდგენა |

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 04 06 | 7091 | შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხელშეწყობის პროგრამა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება | განათლება |

| პროგრამის აღწერა და მიზანი | |
|---|---|
| პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც ახორციელებს პროფესიულ, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს. გამოყოფილი ფინანსური რესურსი მიიმართება სტუდენტური აქტივობების მხარდაჭერის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, საგანმანათლებლო პროექტების დაფინანსებისა და თანადაფინანსებისათვის. | |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა** | • მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის |
| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • გაუმჯობესებულია უმაღლესი განათლების ხარისხისა და სტუდენტთა განვითარების ხელშემწყობი პირობები. |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| მხარდაჭერილი საგანმანათლებლო და სტუდენტური პროექტების რაოდენობა | მხარდაჭერილი სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის რაოდენობა (ბენეფიციარი) | 250 | 350 | 10% | სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის დაბალი ჩართულობა დაგეგმილ აქტივობებში |

## კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურულ და ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად აუცილებელია კულტურული ტრადიციების დაცვა და მათი ღირსეული გაგრძელების ხელშეწყობა. ერთ-ერთი პრიორიტეტია ასევე ახალგაზრდების მრავალმხრივი, სულიერი და ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერა ხელს უწყობს რეგიონის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას. ეს სფეროები სხვა დარგებთანაც არის დაკავშირებული და ხელს უწყობს ტურიზმისა და მეწარმეობის განვითარებას, ასევე ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას და წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას. ის შექმნის შესაბამის პირობებს, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა. ასევე ჩატარდება ღონისძიებები ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით.

ამ მიმართულებით პროგრამებს ახორციელებენ მერიის კულტურის სამსახური და კულტურისა და სპორტის სფეროში შექმნილი ა(ა)იპ-ები.

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2027 წლის პროექტი | 2028 წლის პროგნოზი | 2029 წლის პროგნოზი | 2030 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|
| **05 00** | **კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები** | **9,397.7** | **9,760.9** | **10,398.7** | **11,523.2** |
| **05 01** | **სპორტისა და ახალგაზრდული პროგრამების განვითარების ხელშეწყობა** | **2,540.0** | **2,657.0** | **2,815.5** | **3,400.8** |
| 05 01 01 | მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი | **1,950.0** | **2,051.4** | **2,210.1** | **2,527.3** |
| 05 01 02 | სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება | **90.0** | **90.0** | **94.8** | **249.8** |
| 05 01 03 | მინი სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია | **200.0** | **200.0** | **210.6** | **323.8** |
| 05 01 04 | რაგბის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა | **300.0** | **315.6** | **300.0** | **300.0** |
| **05 02** | **კულტურის სფეროს განვითარება** | **6,030.7** | **6,233.9** | **6,675.7** | **7,171.1** |
| 05 02 01 | ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამა | **2,421.0** | **2,496.9** | **2,629.2** | **2,918.6** |
| 05 02 02 | კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამა | **30.0** | **31.5** | **33.2** | **35.0** |

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2027 წლის პროექტი | 2028 წლის პროგნოზი | 2029 წლის პროგნოზი | 2030 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|
| 05 02 03 | საბიბლიოთეკო დარგის განვითარების პროგრამა | 1,550.0 | 1,585.9 | 1,770.9 | 1,864.7 |
| 05 02 04 | კულტურული ღონისძიებების დაფინანსება | 300.0 | 300.0 | 315.9 | 332.6 |
| 05 02 05 | ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | 40.0 | 42.1 | 44.3 | 46.7 |
| 05 02 06 | რელიგიის ხელშეწყობის პროგრამა | 135.0 | 142.0 | 160.0 | 160.0 |
| 05 02 07 | სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა | 1,534.7 | 1,614.5 | 1,700.1 | 1,790.2 |
| 05 02 08 | ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ფინანსური ხელშეწყობა | 20,0 | 21 | 22,2 | 23.3 |
| **05 03** | **საცხენოსნო კლუბ „ხარებას“ ფინანსური ხელშეწყობა** | 80.0 | 84.2 | 80.0 | 80.0 |
| **05 04** | **ქართული ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა** | 717.0 | 754.3 | 794.3 | 836.4 |
| **05 05** | **სსიპ შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის ხელშეწყობის პროგრამა** | 30.0 | 31.6 | 33.2 | 35.0 |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 05 01 01 | 7081 | მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების პროგრამა | ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი“ | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები |

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**

მუნიციპალური სპორტის განვითარების პროგრამა წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის სტრატეგიულ მიმართულებას, რომელიც ორიენტირებულია როგორც მასობრივი სპორტის ხელშეწყობაზე, ისე პროფესიული ეტაპების მხარდაჭერასა და შესაბამისი გარემოს შექმნაზე. პროგრამა მიმართულია მუნიციპალიტეტში ფიზიკური აქტივობის ხელმისაწვდომობის გაზრდაზე, მასობრივი სპორტის განვითარებასა და ჯანსაღი თაობების აღზრდაზე. იგი უზრუნველყოფს როგორც დამწყები, ისე პროფესიონალი სპორტსმენებისთვის შესაბამისი პირობების შექმნას, მუნიციპალური სპორტული ობიექტების ეფექტურ ფუნქციონირებას და ადგილობრივი ნიჭის გამოვლენა-მხარდაჭერას, სპორტული ინფრასტრუქტურის განახლებას, სხვადასხვა სპორტული სექციის მუშაობის ხელშეწყობას და ნიჭიერი სპორტსმენების გამოვლენას, ადგილობრივი და გასვლითი ტურნირების დაფინანსებას სპორტის სხვადასხვა სახეობაში და წარმატებული სპორტსმენების წახალისებას, ადგილობრივი ტურნირების მოწყობას და სპორტსმენების მივლინებას ქვეყნის მასშტაბით გამართულ შეჯიბრებებზე. პროგრამის ძირითადი მიზანია მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარება, ხელშეწყობა, პოპულარიზაცია და მოსახლეობაში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებში, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, სპორტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ახალგაზრდობის სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარება, სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობა.

| | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • სპორტული სექციების მრავალფეროვნება და სტაბილურობა — ყველა ძირითადი სპორტული მიმართულების უწყვეტი ფუნქციონირება საწვრთნელი ბაზების მატერიალური უზრუნველყოფის ხარჯზე;<br>• სპორტში ჩართულობის ზრდა და ხელმისაწვდომობა — მუნიციპალიტეტის მასშტაბით სპორტში ჩართული ბავშვებისა და მოზარდების რაოდენობის ყოველწლიური ზრდა;<br>• სპორტული ღონისძიებების ინტენსივობა — მუნიციპალური ტურნირების, პირველობებისა და ტრადიციული მემორიალური შეჯიბრებების ჩატარება;<br>• მაღალი სპორტული მიღწევები ეროვნულ დონეზე — ნიჭიერი სპორტსმენების დროული იდენტიფიცირება (სელექცია), მათი ოპტიმალური მომზადება და, შედეგად, ზუგდიდელი სპორტსმენების მიერ მსოფლიოს, ევროპისა და საქართველოს ჩემპიონატებსა და თასის გათამაშებებზე მოპოვებული საპრიზო ადგილებისა და მედლების რაოდენობის ზრდა. |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| სპორტულ სექციებში ახალგაზრდების ჩართულობის ზრდა.<br>მოზარდებში სპორტის ხელმისაწვდომობის გაფართოება | სპორტულ სექციებში (ჭიდაობა, კრივი, ცურვა, ძალოსნობა და ა.შ.) ჩარიცხული მოზარდების ჯამური რაოდენობა | 1480 | 1500 | 15% | წლის ბოლოს მიგრაცია |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| მასობრივი და პროფესიული სპორტის მხარდაჭერა.<br>ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და ადგილობრივი სპორტსმენების შედეგების გაუმჯობესება | წლის განმავლობაში ცენტრის მიერ ორგანიზებული ან თანადაფინანსებული სპორტული ტურნირებისა და მასობრივი ღონისძიებების რაოდენობა | 40 | 60 | 10% | სპორტული ტრავმები ან შეჯიბრებების გადადება |
| | საერთაშორისო და ეროვნულ ჩემპიონატებში საპრიზო ადგილზე გასული ზუგდიდელი სპორტსმენების რაოდენობა | 108 | 120 | 10% | სპორტული ტრავმები ან შეჯიბრებების გადადება |
| სპორტული ინფრასტრუქტურის ეფექტური მართვა და ხელმისაწვდომობის გაზრდა.<br>მუნიციპალური ბაზების, მოედნებისა და ახალი სპორტკომპლექსის გამართული ფუნქციონირება | ცენტრის დაქვემდებარებაში არსებული ფუნქციონირებადი სპორტული ობიექტების (დარბაზები, მოედნები) რაოდენობა | 4 | 6 | 5% | უამინდობა, სამუშაოების შეფერხება |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 05 01 02 | 7081 | სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები |

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**

პროგრამა ითვალისწინებს სპორტისა და ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობას, სპორტული და ახალგაზრდულ-შემეცნებითი ღონისძიებების, პროექტებისა და ინიციატივების განხორციელებასა და ფინანსურ მხარდაჭერას. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მასობრივი და ეროვნული სპორტის სახეობების პოპულარიზაცია, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა, არაფორმალური განათლებისა და მოხალისეობრივი საქმიანობის მხარდაჭერა, ახალგაზრდების უნარებისა და შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა.
პროგრამის მიზანია სპორტისა და ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა, ახალგაზრდების ფიზიკური, ინტელექტუალური და შემოქმედებითი შესაძლებლობების გაძლიერება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა.

| | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • პროგრამის განხორციელების შედეგად გაიზრდება მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდების, ჩართულობა სპორტულ, შემეცნებით და საზოგადოებრივ აქტივობებში, გაუმჯობესდება სპორტისა და ახალგაზრდული საქმიანობის ხელმისაწვდომობა, გაძლიერდება ახალგაზრდების უნარები და ინიციატივები, ხელი შეეწყობა ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| პროგრამის განხორციელების შედეგად გაიზრდება მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდების, ჩართულობა სპორტულ, შემეცნებით და საზოგადოებრივ აქტივობებში, გაუმჯობესდება სპორტისა და ახალგაზრდული საქმიანობის ხელმისაწვდომობა, გაძლიერდება ახალგაზრდების უნარები და ინიციატივები, ხელი შეეწყობა ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას | განხორციელებული სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებებისა და პროექტების რაოდენობა | 10 | 15 | 10% | პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და პროექტების განხორციელებისას მონაწილეთა არასაკმარისი ჩართულობა, ასევე დაგეგმილი აქტივობების ვადებში განხორციელების შეფერხება |
| | სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებსა და პროექტებში მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა | 1000 | 2000 | 10% | პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და პროექტების განხორციელებისას მონაწილეთა არასაკმარისი ჩართულობა, ასევე დაგეგმილი აქტივობების ვადებში განხორციელების შეფერხება |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 05 01 03 | 7086 | მინი სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია | სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები |

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**

პროგრამა მოიცავს არსებული დაზიანებული მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაციას და ახალი მინი სტადიონების/მოედნების მშენებლობას. პროგრამის მიზანია ბავშვთა და მოზარდთა სპორტის და ჯანსაღი ცხოვრების წესის შემდგომი განვითარება.

| | |
|---|---|
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა<br>• მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა |
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • მუნიციპალიტეტში სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების უზრუნველყოფა, მოსახლეობის (განსაკუთრებით ახალგაზრდების) ჩართულობის გაზრდა მასობრივ სპორტში და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| მუნიციპალიტეტში სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების უზრუნველყოფა, მოსახლეობის (განსაკუთრებით ახალგაზრდების) ჩართულობის გაზრდა მასობრივ სპორტში და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია | აშენებული და რეაბილიტირებული მინი სპორტული მოედნების რაოდენობა | 0 | 2 | 50% | ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა ან ვადების დარღვევა |
| | ახალი/რეაბილიტირებული სივრცეებით რეგულარულად მოსარგებლე მოქალაქეთა რაოდენობა | 0 | სამიზნე ლოკაციებზე სპორტულ აქტივობებში ჩართულ პირთა რაოდენობის ზრდა მინიმუმ 40%-ით | 10% | სეზონური/არახელსაყრელი ამინდები; ალტერნატიული გასართობი სივრცეების არსებობა |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 05 01 04 | 7086 | რაგბის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები |

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის რაგბის სასწავლო-საწვრთნელ პროცესზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, საკლუბო რაგბის განვითარების ხელშეწყობასა და რაგბის, როგორც სპორტის სახეობის, პოპულარიზაციას. სასწავლო-საწვრთნელი პროცესი ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მწვრთნელებისა და სპეციალისტების მიერ და მოიცავს ბავშვების ფიზიკურ, ტექნიკურ და ტაქტიკურ მომზადებას. პროგრამის ფარგლებში ასევე უზრუნველყოფილია სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ეფექტიანი წარმართვისთვის საჭირო ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა.
ქვეპროგრამის მიზანია რაგბის განვითარების, ახალგაზრდების სპორტული აღზრდისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა.

| | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • გაუმჯობესდება რაგბის სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ხარისხი, გაიზრდება მონაწილეთა რაოდენობა და გაუმჯობესდება სპორტული შედეგები. |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| გაუმჯობესდება რაგბის სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ხარისხი, გაიზრდება მონაწილეთა რაოდენობა და | საწვრთნელ პროცესში ჩართული ბავშვებისა და ახალგაზრდების რაოდენობა | 152 | 160 | 10% | არახელსაყრელი ამინდის პირობები, რამაც შესაძლოა ღონისძიებების გადადება ან გაუქმება გამოიწვიოს; ჯანმრთელობის პრობლემები ან სპორტსმენების ტრავმირება |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| გაუმჯობესდება სპორტული შედეგები | სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილე გუნდების რაოდენობა | 4 | 4 | 10% | არახელსაყრელი ამინდის პირობები, რამაც შესაძლოა ღონისძიებების გადადება ან გაუქმება გამოიწვიოს; ჯანმრთელობის პრობლემები ან სპორტსმენების ტრავმირება |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 05 02 01 | 7082 | ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამა | ა(ა)იპ ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები |

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**

ა(ა)იპ „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის“ სტრუქტურა შედგება მიხეილ (მაცი) ხორავას სახელობის სამხატვრო გალერეის, ადგილობრივი მუზეუმების, ჩხორიის სამოყვარულო თეატრისა და კულტურის განვითარების განყოფილებისგან. ქვეპროგრამის მიზანია: ქართული ფოლკლორის აღორძინება, ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის შენარჩუნება, განვითარება და პოპულარიზაცია; ფოლკლორული ჯგუფების ხელშეწყობა, ქართული ხალხური სიმღერების აღდგენა და შენარჩუნება; ხალხური ცეკვის სასცენო დამუშავების (დადგმის) მხატვრული კანონების დაცვა მისი წარმომავლობისა და კუთხური თავისებურებების (მოძრაობა, ილეთები, შესრულების მანერა) გათვალისწინებით. ასევე სახელოვნებო ნიჭით დაჯილდოებული პირების გამოვლენა, ღვაწლმოსილი ხელოვანი ადამიანების წარმოჩენა; ლიტერატურულ-თეატრალური წარმოდგენების გამართვა, მუდმივად სხვადასხვა მხატვრის ექსპოზიციებისა და თემატური გამოფენების გახსნა, რაც ხელს უწყობს სახვითი ხელოვნების განვითარებას; ადგილობრივი მუზეუმების შენარჩუნება, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდებში ინტერესის გაღვივებას ეროვნული ფასეულობებისა და ჩვენი კულტურული მემკვიდრეობისადმი.

| | |
|---|---|
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | • მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება |
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • ქართული ფოლკლორისა და ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის შენარჩუნება, განვითარება და პოპულარიზაცია;<br>• ფოლკლორული ჯგუფების შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა და ხალხური სიმღერისა და ცეკვის ტრადიციების შენარჩუნება;<br>• სახელოვნებო ნიჭით დაჯილდოებული პირებისა და ღვაწლმოსილი ხელოვანების გამოვლენა და წარმოჩენა;<br>• ლიტერატურულ-თეატრალური და საგამოფენო საქმიანობის განვითარება;<br>• ადგილობრივი მუზეუმების ფუნქციონირებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების უზრუნველყოფა;<br>• ახალგაზრდებში ეროვნული და კულტურული ფასეულობებისადმი ინტერესის გაძლიერება და კულტურულ ცხოვრებაში მათი ჩართულობის ზრდა. |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| ქართული ფოლკლორისა და ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის შენარჩუნება, განვითარება და პოპულარიზაცია; ფოლკლორული ჯგუფების შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა და ხალხური სიმღერისა და ცეკვის ტრადიციების შენარჩუნება; სახელოვნებო ნიჭით დაჯილდოებული პირებისა და ღვაწლმოსილი ხელოვანების გამოვლენა და წარმოჩენა; ლიტერატურულ-თეატრალური და საგამოფენო საქმიანობის განვითარება; ადგილობრივი მუზეუმების ფუნქციონირებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების უზრუნველყოფა; ახალგაზრდებში ეროვნული და კულტურული ფასეულობებისადმი ინტერესის გაძლიერება და კულტურულ ცხოვრებაში მათი ჩართულობის ზრდა | კულტურული ღონისძიებების რაოდენობა | 40 | 44 | 10% | ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა |
| | კულტურულ ღონისძიებებზე ვიზიტორთა რაოდენობა | 9000 | 10000 | 10% | სტიქიური მოვლენები და ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა |
| | ადგილობრივ მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა | 3000 | 4000 | 10% | სტიქიური მოვლენები და ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 05 02 02 | 7082 | კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები |

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**

პროგრამა ითვალისწინებს მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ინვენტარიზაციას, აღწერას, რეესტრის წარმოებასა და პოპულარიზაციას; შემეცნებითი ექსკურსია-ლაშქრობებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სამეცნიერო-კვლევითი კონფერენციების ორგანიზებას; კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში მომუშავე ორგანიზაციებთან პარტნიორული თანამშრომლობის განვითარებას.

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის მიზანია კულტურული მემკვიდრეობის აღრიცხვის, დაცვისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება. | | | | |
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა | • მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება | | | |
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი | • აღრიცხული და პოპულარიზებულია კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები, ამაღლებულია მოსწავლე-ახალგაზრდობის ცნობიერება კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ და გაძლიერებულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში პარტნიორული თანამშრომლობა. | | | |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| აღრიცხული და პოპულარიზებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების რაოდენობა; კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის ღონისძიებებში მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩართულობისა და პარტნიორული თანამშრომლობის მაჩვენებელი | აღრიცხული და პოპულარიზებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების რაოდენობა | 3 | 4 | 2% | ობიექტების გამოვლენისა და აღრიცხვის პროცესში ინფორმაციის სიმწირე და კვლევითი სამუშაოების შეზღუდული შესაძლებლობები |
| | კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის ღონისძიებებში მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩართულობისა და პარტნიორული თანამშრომლობის მაჩვენებელი | 40 | 70–80 | 1% | სამიზნე ჯგუფების ჩართულობის არასტაბილურობა და პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის უწყვეტობის შენარჩუნების სირთულე |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 05 02 03 | 7082 | ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა | ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი“ | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები |

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**

ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა უზრუნველყოფს ბიბლიოთეკების მართვის ცენტრში შემავალი 31 ბიბლიოთეკის — ერთი ცენტრალური, სამი საქალაქო და 27 სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალის — ფუნქციონირებისა და განვითარების ხელშეწყობას.
ბიბლიოთეკების ფონდები მოიცავს სხვადასხვა ტიპის საბიბლიოთეკო რესურსებს, მათ შორის ბეჭდურ, ელექტრონულ და მულტიმედიურ მასალებს. ბიბლიოთეკებში შექმნილია კულტურულ-საინფორმაციო და საგანმანათლებლო სივრცეები, რომლებიც ხელმისაწვდომია სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისათვის და ხელს უწყობს განათლების, წიგნიერებისა და კულტურული აქტივობების განვითარებას.

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მკითხველთა მომსახურება, საბიბლიოთეკო ფონდების გამოყენების ხელშეწყობა, წიგნის პრეზენტაციები, შეხვედრები მწერლებთან და თანამედროვე ავტორებთან, კონფერენციები, ტრენინგები, დისკუსიები, შემოქმედებითი საღამოები, კლუბური და საგანმანათლებლო აქტივობები, კინოჩვენებები, ფოტოგამოფენები, ფესტივალები და გასვლითი კულტურული ღონისძიებები. ასევე, ორგანიზდება მოსწავლეებისა და ახალგაზრდების ვიზიტები და მათთვის სხვადასხვა შემეცნებითი და შემოქმედებითი აქტივობა.<br>პროგრამა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვებისა და ახალგაზრდების წიგნითა და კითხვის კულტურით დაინტერესებას, მათი შემოქმედებითი და ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებას, ასევე ბიბლიოთეკების საზოგადოებრივ და საგანმანათლებლო ცხოვრებაში აქტიური როლის გაძლიერებას.<br>პროგრამის მიზანია მოსახლეობისათვის ხარისხიანი საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ახალი თაობის წიგნითა და განათლებით დაინტერესების ზრდა, საზოგადოების წიგნიერების, ინფორმირებულობის, შემოქმედებითი და ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარება და ბიბლიოთეკების, როგორც საგანმანათლებლო, კულტურული და საზოგადოებრივი სივრცეების, როლის გაძლიერება. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურული და შემეცნებითი პროექტისა და ფართომასშტაბიანი ღონისძიების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს ბიბლიოთეკების პოპულარიზაციასა და მათი მომსახურებით სარგებლობის ზრდას. | | | | |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | • მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება | | | |
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • მოსახლეობისათვის განახლებული სერვისების შეთავაზებით მკითხველთა დაინტერესების ზრდა;<br>• საბიბლიოთეკო სფეროს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა. | | | |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| მოსახლეობისათვის განახლებული სერვისების შეთავაზებით მკითხველთა დაინტერესების ზრდა | სერვისებით მოსარგებლე პირთა რაოდენობა | 80 000-მდე პირი საშუალოდ წლის განმავლობაში | საბაზისო მაჩვენებლის ზრდა 20%-ით | 5% (მკითხველი) | ინტერესის ნაკლებობა |
| | საგანმანათლებლო-სამეცნიერო და კულტურული ღონისძიებების რაოდენობა | 70-მდე ღონისძიება საშუალოდ წლის განმავლობაში | საბაზისო მაჩვენებლის ზრდა 20%-ით | 3 ღონისძიება | ნაკლები ინტერესი, ღონისძიების ცვლილება |
| საბიბლიოთეკო სფეროს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა | განახლებული სივრცეების რაოდენობა | მუდმივად ხორციელდება ფილიალების აღჭურვა ინვენტარით, ტექნიკით, წიგნადი, აუდიო, ვიდეო და ციფრული ფონდებით; | განახლებული სივრცეების დამატება — 4 ობიექტი (სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალები) | 1 ობიექტი | ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| | | სარემონტო სამუშაოების ჩატარებით თანამედროვე სივრცის შექმნა | | | |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 05 02 04 | 7082 | კულტურული ღონისძიებების დაფინანსება | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები |

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**

პროგრამა უზრუნველყოფს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში კულტურული ღონისძიებების სისტემურ დაგეგმვას, ხარისხიან ორგანიზებასა და განხორციელებას, რომლის მიზანია მათი საზოგადოებრივ ტრადიციებად ჩამოყალიბება. ის მოიცავს სახელმწიფოებრივ, ისტორიულ, ადგილობრივ ტრადიციულ და შემოქმედებით ღონისძიებებს, ასევე კულტურულ-საიმიჯო აქტივობებს.
პროგრამის ფარგლებში ფინანსდება და ხორციელდება სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიება, მათ შორის: კონცერტები, შემოქმედებითი და საიმიჯო პროექტები, საიუბილეო და სახელმწიფო მნიშვნელობის თარიღებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ასევე ადგილობრივი ტრადიციული და საზოგადოებრივი მნიშვნელობის კულტურული ინიციატივები. აღნიშნული ღონისძიებები ხელს უწყობს კულტურული ტრადიციების შენარჩუნებას, შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერას და მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების გააქტიურებას.
პროგრამის მიზანია საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე ტრადიციული და მასობრივი კულტურული ღონისძიებებისა და კულტურული გამოცდილების განვითარება.

| | |
|---|---|
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | • მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება |
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • მასობრივი და სტაბილური აუდიტორიის ფორმირება და ღონისძიებების ტრადიციულ მოვლენებად დამკვიდრება;<br>• კულტურული იდენტობის გაძლიერება და კულტურული ცხოვრების მდგრადი, ხარისხიანი განვითარება. |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| გაზრდილია მოსახლეობის კულტურულ ღონისძიებებში ჩართულობა, შენარჩუნებული და პოპულარიზებულია | კულტურულ ღონისძიებებზე დამსწრე აუდიტორიის რაოდენობისა და დინამიკის მაჩვენებელი | 4000 | 6000 | 2% | აუდიტორიის მოზიდვისა და შენარჩუნების შესაძლებლობებზე მოქმედი ფაქტორები, მათ შორის |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| ადგილობრივი კულტურული ტრადიციები და გაძლიერებულია მუნიციპალიტეტის კულტურული იდენტობა და საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალფეროვნება | | | | | საზოგადოების ინტერესის ცვლილება და ღონისძიებების ხელმისაწვდომობა |
| | რეგულარულ, ტრადიციულ კულტურულ მოვლენებად დამკვიდრებული ღონისძიებების რაოდენობა და კულტურულ ცხოვრებაში საზოგადოების ჩართულობის მაჩვენებელი | 7 | 10 | 2% | კულტურული ღონისძიებების უწყვეტობისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად საჭირო ორგანიზაციული და ფინანსური რესურსების შეზღუდულობა და საზოგადოების ჩართულობის არასტაბილურობა |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 05 02 05 | 7083 | ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახური | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები |

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, საგანმანათლებლო, ისტორიული, მემუარული, საცნობარო და სხვა მნიშვნელოვანი გამოცემების ხელშეწყობა, ასევე თანამედროვე ციფრული და მულტიმედიური საშუალებების გამოყენებით მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ეფექტიანი გავრცელების უზრუნველყოფა.

| | |
|---|---|
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | • მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე |
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა;<br>• მუნიციპალიტეტის ციფრული და მულტიმედიური საკომუნიკაციო შესაძლებლობების გაუმჯობესება;<br>• მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო, ისტორიული, მემუარული და საცნობარო გამოცემების მომზადებისა და გავრცელების უზრუნველყოფა. |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობისა და | მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინ ფრასტრუქტურული | ყოველდღიურად შეუქდება ყველა სიახლე და | საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება | 3% | ტექნიკური შეფერხებები, ვებგვერდისა და სოციალური ქსელების მომსახურების ხარვეზები ან |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა; მუნიციპალიტეტის ციფრული და მულტიმედიური მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვან გამოცემათა უზრუნველყოფა. | პროექტების და სხვა ღონისძიებების გაშუქების დონე | მიეწოდება ინფორმაცია მოქალაქეებს | | | ინფორმაციის დროული მომზადების შეფერხება, რამაც შესაძლოა დაგეგმილი მასალების განთავსების რაოდენობაზე იმოქმედოს |
| | მაცნეზე გამოქვეყნებული საკანონმდებლო აქტების ოდენობა | აბსოლუტურად ყველა საკანონმდებლო აქტი ქვეყნდება მაცნეზე, თუ ამას მოითხოვს კანონმდებლობა | საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება | 2% | გაუთვალისწინებელი გარემოება |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 05 02 06 | 7082 | რელიგიის ხელშეწყობის პროგრამა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები |

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მოქმედი რელიგიური ორგანიზაციების ფინანსურ ხელშეწყობას და მათი საჭიროებების გათვალისწინებით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 თებერვლის №177 დადგენილების შესაბამისად, სსიპ – რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან შეთანხმებითა და სააგენტოს მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე, ხორციელდება რელიგიურ-საკულტო დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობის, რეაბილიტაციის, რესტავრაციისა და რეკონსტრუქციის ღონისძიებები.
ქვეპროგრამის მიზანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მოქმედი რელიგიური ორგანიზაციების საჭიროებების მხარდაჭერა, რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპების ხელშეწყობა, რელიგიურ გაერთიანებებს შორის ურთიერთთანამშრომლობისა და ინტერრელიგიური დიალოგის გაძლიერება, აგრეთვე საკულტო-სარიტუალო შენობა-ნაგებობების შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

| | |
|---|---|
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა | • მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება |
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი | • რელიგიური ორგანიზაციებისთვის შესაბამისი და თანაბარი პირობების გაუმჯობესება;<br>• საკულტო-სარიტუალო შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშეწყობა. |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| რელიგიური ორგანიზაციებისთვის შესაბამისი და თანაბარი პირობების გაუმჯობესება; საკულტო-სარიტუალო შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშეწყობა | რეაბილიტირებული, აღდგენილი ან კეთილმოწყობილი საკულტო-სარიტუალო შენობა-ნაგებობების რაოდენობა | 5 | 7 | 2% | შესყიდვის პროცედურების გაჭიანურებამ შესაძლოა შეაფერხოს დაგეგმილი სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელება |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 05 02 07 | 7082 | სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა | ა(ა)იპ „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება“ | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები |

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**

სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა მიზნად ისახავს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ბავშვებისა და მოზარდების მუსიკალური და სახვითი ხელოვნების მიმართულებით შემოქმედებითი უნარების განვითარებას, ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებასა და ხელოვნების საფუძვლების შესწავლას. პროგრამა უზრუნველყოფს სამუსიკო, საგუნდო-სამუსიკო და სამხატვრო სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობას, მოსწავლეთათვის ხარისხიანი სახელოვნებო განათლების ხელმისაწვდომობას, ქართული ფოლკლორისა და კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციას, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა-შენარჩუნებასა და შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებას. აღნიშნული მიზნების მისაღწევად პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სასწავლო და შემოქმედებითი საქმიანობა, კონცერტები, გამოფენები, კონკურსები და ფესტივალები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა პროფესიულ განვითარებასა და კულტურულ ცხოვრებაში მათ აქტიურ ჩართულობას.

| | |
|---|---|
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | მიზანი 5 -გენდერული თანასწორობა<br>მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა |
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • გაუმჯობესდება სახელოვნებო განათლების ხარისხი და ხელმისაწვდომობა, განვითარდება მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარები, გაიზრდება კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მათი მონაწილეობის შესაძლებლობა. |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| გაუმჯობესდება სახელოვნებო განათლების ხარისხი და ხელმისაწვდომობა, განვითარდება მოსწავლეთა | სახელოვნებო განათლების პროგრამებში ჩართული მოსწავლეების რაოდენობა | 466 | 600 | 5% | სახელოვნებო განათლების მიმართ მოსწავლეთა ინტერესის შემცირებამ შესაძლოა გამოიწვიოს პროგრამაში |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| შემოქმედებითი უნარები, გაიზრდება კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მათი მონაწილეობის შესაძლებლობა | | | | | ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობის კლება |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 05 02 08 | 7082 | ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ფინანსური ხელშეწყობა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები |

| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | |
|---|---|
| ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა მოიცავს სხვადასხვა სახის მხარდაჭერას, რომელიც ხელს უწყობს ზუგდიდის, როგორც ისტორიულ-კულტურული ცენტრის, პოზიციონირებას, შეუფერხებელი ტურისტული პოლიტიკის წარმოების შესაძლებლობას, დადიანების მუზეუმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებას და შემოქმედებითი ნაშრომების პუბლიკაციას.<br>პროგრამის მიზანია სსიპ ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული სამუზეუმო კომპლექსის ფინანსური ხელშეწყობა და პოპულარიზაცია. | |
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი | • მუზეუმის მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება;<br>• მუზეუმში დაცული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და არტეფაქტების პოპულარიზაცია და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის გაზრდა;<br>• დადიანების სასახლის საგანძურისა და ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;<br>• ზუგდიდის, როგორც ისტორიულ-კულტურული და ტურისტული ცენტრის, პოპულარიზაციის ხელშეწყობა. |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| მუზეუმის მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება; მუზეუმში დაცული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და არტეფაქტების პოპულარიზაცია და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის გაზრდა; | უზრუნველყოფილია კულტურული, ისტორიული და სამეცნიერო ღირებულების პუბლიკაციებისა და გამოცემის მხარდაჭერა | 1 | 1 | 1% | გამოცემების მიმართ მკითხველთა დაბალი ინტერესი და სამიზნე აუდიტორიაში მათი გავრცელების შეზღუდული შესაძლებლობები |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| დადიანების სასახლის საგანძურისა და ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება; ზუგდიდის, როგორც ისტორიულ-კულტურული და ტურისტული ცენტრის, პოპულარიზაციის ხელშეწყობა | | | | | |

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 05 03 | 7086 | საცხენოსნო კლუბ „ხარებას“ ფინანსური ხელშეწყობა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები |

**პროგრამის აღწერა და მიზანი**

პროგრამის მიზანია სპორტული და ტრადიციული ცხენოსნობის პოპულარიზაცია, ახალგაზრდობის დაინტერესება საცხენოსნო სპორტით და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობის უზრუნველყოფას ქვეყნის მასშტაბით ორგანიზებულ შეჯიბრებებში ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში (ისინდი, ცხენბურთი, დოღი, მარულა), ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტული ღონისძიებების, მათ შორის ცხენოსნობის სპორტულ და ეროვნულ სახეობებში შეჯიბრებების, ორგანიზებას. პროგრამა ხელს უწყობს ცხენოსნობის ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებასა და მომავალი თაობისთვის გადაცემას.

| | |
|---|---|
| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • გაზრდილია ცხენოსნობის სპორტული და ეროვნული სახეობების პოპულარობა და მათით დაინტერესებული ახალგაზრდების რაოდენობა;<br>• უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეჯიბრებების ჩატარება და მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობა ეროვნულ შეჯიბრებებში. |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| გაზრდილია ცხენოსნობის სპორტული და ეროვნული სახეობების პოპულარობა და მათით დაინტერესებული ახალგაზრდების რაოდენობა; | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებული შეჯიბრებებისა და ეროვნულ შეჯიბრებებში მონაწილეობის რაოდენობა | 14 | 17 | 10% | არახელსაყრელი ამინდის პირობები, რამაც შესაძლოა ღონისძიებების გადადება ან გაუქმება გამოიწვიოს; ცხენების ჯანმრთელობის პრობლემები ან სპორტსმენების ტრავმირება |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეჯიბრებების ჩატარება და მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობა ეროვნულ შეჯიბრებებში | შეჯიბრებებში მონაწილე სპორტსმენების, მათ შორის ახალგაზრდების, რაოდენობა | 3 | 5 | 10% | არახელსაყრელი ამინდის პირობები, რამაც შესაძლოა ღონისძიებების გადადება ან გაუქმება გამოიწვიოს; ცხენების ჯანმრთელობის პრობლემები ან სპორტსმენების ტრავმირება |

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 05 04 | 7086 | ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის ხელშეწყობის პროგრამა | ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა „ოდიში 1919“ | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები |

**პროგრამის აღწერა და მიზანი**

ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის ხელშეწყობის პროგრამა ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვისკენ საფეხბურთო სკოლის საქმიანობაში, მათი მეთოდური აღზრდის, სპორტული განვითარებისა და დაოსტატების უზრუნველსაყოფად. „ოდიში 1919“-ის ასაკობრივი გუნდები მუდმივად და წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა დონის ტურნირებში, ასპარეზობენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ჭაბუკთა ლიგებში და აქტიურად მონაწილეობენ ამხანაგურ და საფეხბურთო ტურნირებში. სკოლა მუდმივად მუშაობს ინფრასტრუქტურისა და სამწვრთნელო შტაბის კვალიფიკაციის ამაღლებაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ჩატარებული ოფიციალური შეფასების საფუძველზე.
საფეხბურთო სკოლა „ოდიში 1919“-ის ინფრასტრუქტურის განვითარება, კვალიფიციური კადრების არსებობა, ნაყოფიერი სასწავლო-საწვრთნელი გარემოს შექმნა და სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა აღსაზრდელებს უვითარებს სასწავლო-საწვრთნელი პროცესის შედეგად მიღებულ ცოდნასა და უნარებზე დაყრდნობის უნარს, პასუხისმგებლობის გრძნობას, თვითპატივისცემას, დისციპლინასა და გუნდური მუშაობის კულტურას, რაც განაპირობებს აღსაზრდელთა რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდას. პროგრამის მიზანია ნიჭიერი და პერსპექტიული აღსაზრდელების გამოვლენა, მათი შერჩევა და ხარისხიანი სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მეშვეობით განვითარება, რათა ჩამოყალიბდნენ მაღალი დონის ფეხბურთელებად. რაც უფრო ფართოა აღსაზრდელთა ბაზა, მით მეტია ნიჭიერი ფეხბურთელების აღმოჩენისა და განვითარების შესაძლებლობა. სწორედ ამიტომ, ფართო და ხელმისაწვდომი საფეხბურთო გარემოს შექმნა წარმოადგენს წარმატებული ფეხბურთელების აღზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობას.

| | |
|---|---|
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | • მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის |
| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • ფეხბურთში ჩართული ზუგდიდელი ბავშვებისა და მოზარდების რაოდენობის ყოველწლიური ზრდა. სპორტული კულტურის ამაღლება და ახალგაზრდებში ჯანსაღი აქტივობების პოპულარიზაცია;<br>• ადგილობრივი სკოლის აღზრდილების (U6–U17) სტაბილური და უწყვეტი გადაყვანა პროფესიულ, ძირითად გუნდში. ეროვნულ ლიგა 2-ში პოზიციების გამყარება და ეროვნულ ლიგაში აღზევების რეალური პერსპექტივა;<br>• სკოლის სპეციალისტების მიერ UEFA-ს უმაღლესი კატეგორიის ლიცენზიების მოპოვება და თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვა. შედეგებზე მიბმული ბონუსების მაქსიმალური ათვისება და სკოლის ბიუჯეტის გამჭვირვალე, ეფექტური მართვა. |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| საფეხბურთო სკოლაში ჩართულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობის ზრდა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია | პროგრამაში ჩართული სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის (U6–U19) აქტიური სპორტსმენების (ბავშვების) საერთო რაოდენობა | 433 ბავშვი (მიმდინარე სეზონზე რეგისტრირებული ბავშვების რაოდენობა) | ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობის ზრდა მინიმუმ 15%-ით | 10% — შესაძლოა გამოწვეული იყოს სხვა ალტერნატიული სპორტული სექციების გახსნით ან მიგრაციით | დემოგრაფიული ცვლილებები, ბავშვთა ინტერესის კლება, სპორტული ეკიპირების დეფიციტი |
| ადგილობრივი ნიჭიერი ფეხბურთელების პროფესიული ზრდა და ძირითად გუნდში ინტეგრაცია | ასაკობრივი გუნდებიდან საფეხბურთო კლუბ „ოდიში 1919“-ის პირველ (ძირითად) გუნდში დაწინაურებული ახალგაზრდა მოთამაშეების რაოდენობა | 8 ფეხბურთელი (წინა სეზონში დაწინაურებული მოთამაშეები) | სეზონში მინიმუმ 4–5 პერსპექტიული მოთამაშის ძირითად/დუბლ შემადგენლობაში გადაყვანა | 15% — მოთამაშეთა ტრავმიანობა ან სხვა კლუბებში ნაადრევი ტრანსფერები | სპორტული ტრავმები, კონკურენცია სხვა რეგიონულ აკადემიებთან, არასაკმარისი სათამაშო პრაქტიკა |
| სამწვრთნელო შტაბის კვალიფიკაციის ამაღლება და თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვა | სფფ/UEFA-ს შესაბამისი ლიცენზიის (C, B, A) მქონე გადამზადებული მწვრთნელების პროცენტული წილი | 100% (ლიცენზირებული მწვრთნელების არსებული რაოდენობა) | სამწვრთნელო შტაბის 100%-მდე გაზრდა მოქმედი ლიცენზიებით | 5% — სასწავლო კურსების გრაფიკის ცვლილება ან მწვრთნელთა მიერ ატესტაციის ვერგავლა | კვალიფიციური კადრების გადინება, ლიცენზირების კურსების ფინანსური ხარჯები |

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 05 05 | 7086 | სსიპ შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის ხელშეწყობის პროგრამა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები |

**პროგრამის აღწერა და მიზანი**

პროგრამა ითვალისწინებს სსიპ ქალაქ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის ახალი სპექტაკლების სადადგმო ხარჯებისა, საქართველოს მასშტაბით საგასტროლო ტურნეების დაფინანსებას და სხვას. პროგრამის მიზანია თეატრის შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერა, ახალი სპექტაკლების შექმნა და ზუგდიდის თეატრის პოპულარიზაცია.

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის მოსალოდნელი შედეგი | | • შექმნილია ახალი სპექტაკლები, გაზრდილია თეატრის შემოქმედებითი პროდუქტის ხელმისაწვდომობა საქართველოს მასშტაბით და გაძლიერებულია ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის ცნობადობა. | | |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| თეატრის შემოქმედებითი საქმიანობის განვითარება, საგასტროლო ტურნეების განხორციელება და საზოგადოებისთვის მაღალი ხარისხის თეატრალური პროდუქციის ხელმისაწვდომობა | დადგმული ახალი სპექტაკლების რაოდენობა | 4 | 2 | 2% | ახალი სპექტაკლების დადგმის პროცესში შემოქმედებითი და საორგანიზაციო სირთულეები, მათ შორის შემოქმედებითი ჯგუფის დაკომპლექტებისა და დადგმის ვადების დაცვის შეფერხება |
| | განხორციელებული საგასტროლო ტურნეების რაოდენობა | 4 | 7 | 2% | საგასტროლო ტურნეების ორგანიზებისა და განხორციელების პროცესში ლოგისტიკური სირთულეები და მასპინძელ თეატრებთან ან ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შეფერხება |

## მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. არსებული რესურსების ფარგლებში მუნიციპალიტეტი კვლავ ეხმარება სოციალურად დაუცველ მოსახლეობას და უზრუნველყოფს მათ სხვადასხვა შეღავათით. ამასთან, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში ხორციელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაცვას გადამდები და ინფექციური დაავადებისგა.

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2027 წლის პროექტი | 2028 წლის პროგნოზი | 2029 წლის პროგნოზი | 2030 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|
| **06 00** | **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | 5,228.0 | 5,499.9 | 5,791.3 | 6,818.3 |
| **06 01** | **ჯანმრთელობის დაცვა** | 2,625.8 | 2,762.3 | 2,908.7 | 3,282.9 |
| 06 01 01 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 640.8 | 674.1 | 709.9 | 747.5 |
| 06 01 03 | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა | 1,100.0 | 1,157.2 | 1,218.5 | 1,503.1 |
| 06 01 04 | აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამა | 885.0 | 931.0 | 980.4 | 1,032.3 |
| **06 02** | **სოციალური დაცვა** | 2,522.0 | 2,653.1 | 2,793.8 | 3,441.8 |
| 06 02 01 | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა | 360.0 | 378.7 | 398.8 | 419.9 |
| 06 02 02 | ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამა | 42.0 | 44.2 | 46.5 | 49.0 |
| 06 02 03 | ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ოჯახებისა და ბავშვების გაძლიერება | 65.0 | 68.4 | 72.0 | 75.8 |
| 06 02 04 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამა | 200.0 | 210.4 | 221.6 | 233.3 |
| 06 02 05 | მარტოხელა მშობლის სოციალური დაცვის პროგრამა | 115.0 | 121.0 | 127.4 | 134.1 |
| 06 02 06 | ხანდაზმულთა, შინმოვლისა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა | 25.0 | 26.3 | 27.7 | 29.2 |
| 06 02 07 | სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა | 100.0 | 105.2 | 110.8 | 116.6 |

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2027 წლის პროექტი | 2028 წლის პროგნოზი | 2029 წლის პროგნოზი | 2030 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|
| 06 02 08 | ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამა | 150.0 | 157.8 | 166.2 | 175.0 |
| 06 02 09 | სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამა | 400.0 | 420.8 | 443.1 | 466.6 |
| 06 02 10 | დევნილთა მხარდაჭერის პროგრამა | 40.0 | 42.1 | 44.3 | 46.7 |
| 06 02 11 | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გათბობის საშუალებებით მხარდაჭერისა და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამა | 250.0 | 263.0 | 276.9 | 291.6 |
| 06 02 12 | სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება | 15.0 | 15.8 | 16.6 | 17.5 |
| 06 02 13 | პროგრამა „სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში“ | 10.0 | 10.5 | 11.1 | 11.7 |
| 06 02 14 | უსახლკაროდ და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა | 750.0 | 789.0 | 830.8 | 1,374.9 |
| **06 03** | **ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა** | 80.2 | 84.4 | 88.8 | 93.6 |
| 06 03 01 | სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის მატერიალური დახმარების პროგრამა | 40.0 | 42.1 | 44.3 | 46.7 |
| 06 03 03 | ბავშვთა სადღესასწაულო და სოლიდარობის დღეების აღნიშვნის პროგრამა | 3.0 | 3.2 | 3.3 | 3.5 |
| 06 03 04 | სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი და საგანმანათლებლო წრეების დაფინანსების პროგრამა | 37.2 | 39.1 | 41.2 | 43.4 |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 06 01 01 | 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა |
| **ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი** | | | | |
| 1. გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები:<br>1.1 პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება;<br>1.2 ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა;<br>1.3 დაავადების კონტროლის პირველადი ღონისძიებები;<br>1.4 ლაბორატორიული სინჯის აღება.<br>2. იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა:<br>2.1 იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით;<br>2.2 იმუნოპროფილაქტიკაზე რუტინული სტატისტიკური ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით;<br>2.3 მუნიციპალიტეტის იმუნოპროფილაქტიკის მონაცემთა რუტინული დამუშავება ელექტრონულ პროგრამაში;<br>2.4 იმუნოპროფილაქტიკის მონაცემთა რუტინული ანალიზი, შეფასება, დაზუსტება; | | | |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 2.5 ვაქცინების, სხვა ასაცრელი მასალისა და ცივი ჯაჭვის ინვენტარის საჭიროების განსაზღვრა მუნიციპალიტეტისათვის დადგენილი წესის მიხედვით.<br>3. იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა:<br>3.1 ვაქცინების, სხვა ასაცრელი მასალის 1 თვის მარაგის შექმნა მუნიციპალიტეტში (ეპიდემიოლოგის ზედამხედველობის ქვეშ დაგეგმვა, მოთხოვნა, კოორდინაცია რეგიონულ დონესთან);<br>3.2 ვაქცინების, სხვა ასაცრელი მასალის მიღება, რეგისტრაცია, გაცემა მუნიციპალიტეტის პირველადი ჯანდაცვის რგოლის დაწესებულებებისათვის დადგენილი წესის მიხედვით;<br>3.3 „ცივი ჯაჭვის“ ფუნქციონირების უზრუნველყოფა;<br>3.4 იმუნოპროფილაქტიკაზე რუტინული სტატისტიკური ანგარიშის მომზადება;<br>3.5 ვაქცინების, სხვა ასაცრელი მასალისა და ცივი ჯაჭვის ინვენტარის საჭიროების განსაზღვრა.<br>4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა/დადგენა:<br>4.1 წყალსატევების პასპორტიზაცია დადგენილი წესით;<br>4.2 გადამტანების არსებობის დადგენა სეზონის განმავლობაში.<br>5. პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები:<br>5.1 წყალსატევებში გამბუზიის გავრცელება;<br>5.2 ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, მათ შორის გადამტანების წინააღმდეგ ბრძოლა.<br>6. პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა:<br>6.1 სხვა პარაზიტული და ჰელმინთური დაავადებების სკრინინგული კვლევა.<br>7. სანიტარული ღონისძიებები:<br>7.1 საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა;<br>7.2 საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;<br>7.3 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.<br>1. ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელობის ინფორმირება;<br>2. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ინფორმირება;<br>3. შესაბამისი სამსახურების ინფორმირება;<br>4. სახელმწიფო (ცენტრალური) პროგრამების ორგანიზებისა და განხორციელების ხელშეწყობა.<br>პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა; ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების გაუმჯობესება, გადამდები და არაგადამდები დაავადებების პრევენცია, დროული გამოვლენა და ეფექტიანი მართვა; იმუნიზაციის დონის გაზრდა და ინფექციური დაავადებების შემცირება; საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება და სტანდარტებთან შესაბამისობის მიღწევა; ეპიდემიური რისკების დროული გამოვლენა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის მზადყოფნის გაძლიერება; მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება პრევენციული ღონისძიებებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ; სხვადასხვა სექტორთან და უწყებასთან კოორდინაციის გაძლიერება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით.<br>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, ეპიდემიური რისკების დროული იდენტიფიცირება და შესაბამისი რეაგირება. ასევე გატარდება პრევენციული ღონისძიებები, უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და ცნობიერების ამაღლება. განხორციელდება დაავადებების გადამტანების გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებები; სამედიცინო სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის საფუძველზე უზრუნველყოფილი იქნება დაავადებების დროული გამოვლენა, ეფექტიანი რეაგირება და პრევენციული ღონისძიებების მიზნობრივი დაგეგმვა. | | | | |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის<br>მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე | | | |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | | • ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის სტაბილიზაცია და გაუმჯობესება;<br>• ინფექციური და არაინფექციური დაავადებების გავრცელების შემცირება;<br>• მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება;<br>• სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის დონის ამაღლება საზოგადოებრივი მნიშვნელობის ობიექტებში;<br>• საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მონაცემებზე დაფუძნებული მართვის გაძლიერება;<br>• ეპიდემიური რისკების შემცირება და მართვადი გარემოს შექმნა. | | |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვაქცინაციით პრევენცირებადი დაავადებების ავადობის, გართულებებისა და სიკვდილიანობის მინიმუმამდე შემცირება | ვაქცინაციით პრევენცირებადი დაავადებების ინციდენტობის მაჩვენებელი; ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული აცრებით იმუნიზაციის მოცვის პროცენტული მაჩვენებელი | ბცჟ – 98%<br>B ჰეპ – 96.9%<br>ჰექსა – 74.4%<br>წწყ – 77.3%<br>ტეტრა – 76.4%<br>ტდ – 60.8%<br>აპვ (გოგო) – 20.8%<br>აპვ (ბიჭი) – 21.5% | ≥95.5% | მიზნობრივ და საბაზისო მაჩვენებლებს შორის გადახრა შეადგენს 1%-დან 5%-მდე | მიზნობრივი ასაკობრივი ჯგუფების (სამიზნე პოპულაციის) ზუსტი რაოდენობის აცდენა რეალურ შობადობასთან ან მიგრაციასთან; უნდობლობა მშობელთა მხრიდან, ანტივაქსერული კამპანიები |
| გადამდები დაავადებების საერთო მაჩვენებლის შემცირება მოსახლეობაში | დაავადებების ინციდენტობის მაჩვენებელი; სეზონური გავრცელების შემცირების დინამიკა | მაღალი რისკის ჯგუფები — ვაქსიგრიპი: 3835 აცრილი პირი, მუნიციპალიტეტის თვის გამოყოფილი ვაქცინის 95.8% | რისკჯგუფების ვაქცინაცია ≥95% | მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი ვაქცინის რაოდენობის თითქმის 100%-იანი ათვისება. ცდომილების ალბათობა 0-ის ტოლია; ზოგადი მოსახლეობის შემთხვევაში გადახრა 20%–25% | სტატისტიკური აცდენა; შტამების დამთხვევის ცდომილება; სეზონური დინამიკა და აღრიცხვა |
| სანდო და დროული ეპიდემიოლოგიური მონაცემების არსებობა | ეპიდაფეთქებებზე რეაგირების დრო; დროულად გამოვლენილი შემთხვევების % | დადასტურებულ შემთხვევებზე 100%-იანი დროული რეაგირება | დადასტურებულ შემთხვევებზე 100%-იანი დროული რეაგირება | ეპიდაფეთქებს დროს 1%-იანი გადახრაც კი კრიტიკულად | ეპიდემიის გაჭიანურება და „ინფექციის კერების“ შექმნა; ვირუსის ახალი მუტაციის რისკი; ცრუ უსაფრთხოების განცდა; ჰოსპიტალური სისტემის გადატვირთვა |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | მაღალ რისკს შეიცავს | |
| ანტირაბიული მომსახურების შედეგად დაკბენილ-დადორბლილ პაციენტთა შორის ჰიდროფობიის, ლეტალობის შემთხვევათა ნულოვანი მაჩვენებელი | ანტირაბიული მომსახურებით მოსარგებლე პირთა პროცენტული რაოდენობა; ცოფის შემთხვევების რაოდენობა; დასრულებული მკურნალობის % | 100% | 100% | გადახრა/ცდომილება შეადგენს 8%-დან 12%-მდე, რაც ძირითადად პაციენტის მხრიდან კურსის თვითნებურ შეწყვეტას უკავშირდება | გვიანი პოსტექსპოზიციური რეაგირება |
| სუფთა, უსაფრთხო და ჰიგიენური გარემო საგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში | ინსპექტირებული დაწესებულებების პროცენტი, რომელიც აკმაყოფილებს სანიტარულ-ჰიგიენურ სტანდარტებს (%) | 80% | 100% | გადახრის/ცდომილების ალბათობა 12%–20% | ეპიდაფეთქებები ჩაკეტილ სივრცეში; აკადემიური პროცესის შეფერხება |
| გადამტანებით გავრცელებადი დაავადებების გავრცელების მინიმუმამდე დაყვანა და უსაფრთხო ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის უზრუნველყოფა | ჩატარებული პრევენციული/სადეზინსექციო ღონისძიებების რაოდენობა; დაავადებების ინციდენტობის მაჩვენებელი | 75% | მაღალი რისკის ზონებში 100% | გადახრის/ცდომილების ალბათობა 20%–25% | კერების გაფართოება |
| საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში გაუმჯობესებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა და სტანდარტებთან შესაბამისობის გაზრდილი მაჩვენებელი | სტანდარტებთან შესაბამისობის %; ინფექციური ინციდენტების შემცირება | 75–80% | 100% | გადახრის/ცდომილების ალბათობა 20%–25% | სისხლით გადამდები პათოგენების (C და B ჰეპატიტი) ტრანსმისია; ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციების გავრცელება |
| ჯანმრთელ ქცევებზე ორიენტირებული, ინფორმირებული მოსახლეობა | ცოდნის/ცნობიერების დონის ზრდა (% კვლევით) | 80% | 100% | | საინფორმაციო გადატვირთვა და „ცრუ“ ინფორმირებულობა |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 06 01 03 | 7076 | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა |

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სამედიცინო მომსახურებების დაფინანსება/თანადაფინანსება, მათ შორის:
1. ძვირადღირებული სამედიცინო გამოკვლევები: კომპიუტერული და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, კორონაროგრაფია და PET/CT კვლევა, შესაბამისი ლიმიტების ფარგლებში, პროგრამით განსაზღვრული მოსარგებლეებისთვის;
2. სტაციონარული სამედიცინო მომსახურება: გეგმიური და გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსება, მათ შორის სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამებით გათვალისწინებული ოპერაციების პაციენტის თანაგადახდის დაფინანსება, განსაზღვრული პირობებისა და ლიმიტების შესაბამისად;
3. ონკოლოგიური პაციენტების მხარდაჭერა: ქიმიოთერაპიის, სხივური, რადიო, ტარგეტული და სხვა სახის თერაპიის თანადაფინანსება;
4. ძვირადღირებული მედიკამენტების დაფინანსება ქრონიკული დაავადებების მქონე პირებისა და მოწყვლადი ჯგუფებისთვის;
5. 0–18 წლამდე ბავშვთა და შშმ პირთა რეაბილიტაცია: 0–18 წლამდე ბავშვებისა და 18 წლის ზევით შშმ პირების სარეაბილიტაციო მკურნალობის დაფინანსება/თანადაფინანსება, პროგრამით განსაზღვრული მოსარგებლეებისთვის, ლიმიტების ფარგლებში;
6. იშვიათი დაავადებების მქონე პირების მხარდაჭერა: ცელიაკიის, ფენილკეტონურიისა და მუკოვისციდოზის მქონე პირების სპეციალიზებული საკვებით უზრუნველყოფა;
7. ონკოლოგიური დაავადებების ადრეული გამოვლენა: ფარისებრი ჯირკვლისა და ფილტვის კიბოს ადრეული გამოვლენის მიზნით სკრინინგული მომსახურება;
8. სპეციფიკური მოვლის საშუალების — ექსკრემენტის მიმღები კონტეინერის — დაფინანსება;
9. ბინაზე მყოფი, პალიატიური ზრუნვის საჭიროების მქონე პირების სამედიცინო სახარჯი მასალითა და დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა;
10. კოხლეარული იმპლანტის მქონე ბავშვებისთვის სასმენი აპარატისა და პროცესორის დამხმარე საშუალებების დაფინანსება/თანადაფინანსება;
11. მხედველობის პრობლემების მქონე ბავშვების მხარდაჭერა.
პროგრამის მიზანია მოსახლეობის, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების, სამედიცინო მომსახურებებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა და ჯანმრთელობის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

| | |
|---|---|
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა<br>• მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის |
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • მოწყვლადი ჯგუფებისა და საჭიროების მქონე პირებისათვის სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, დაავადებების ადრეული გამოვლენისა და დროული მკურნალობის ხელშეწყობა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და ცხოვრების ხარისხის ამაღლება. |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივ და დევნილ) პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა და მძიმე დაავადებების პრევენცია/პროფილაქტიკა | დაფინანსებული/თანადაფინანსებული ბენეფიციარების რაოდენობა | 5090 | 6000 | 2% | მომართვიანობის ცვლილება |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 06 01 04 | 7076 | აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა |

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**

პროგრამა გულისხმობს მიმწოდებლის მიერ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა მოტორული, შემეცნებითი, სოციალური განვითარების, თვითმოვლისა და დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარების ჩამოყალიბების ხელშეწყობას, რაც მოიცავს მულტიდისციპლინური გუნდის, საჭიროების შემთხვევაში — რამდენიმე სპეციალისტის (ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, ნევროლოგი, ქცევითი თერაპევტი, ოკუპაციური თერაპევტი, ლოგოპედი, სპეციალური პედაგოგი და სხვა) მომსახურებას. აუტიზმის სპექტრის დარღვევის (F84.0; F84.9) მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამის დაფინანსება გათვალისწინებულია 195 ბავშვისთვის. მომსახურება ფინანსდება ყოველთვიურად, არაუმეტეს 18 საათისა; თვეში დაფინანსების მაქსიმალური ლიმიტია 378 (სამას სამოცდათვრამეტი) ლარი.

| | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა განვითარების სტიმულირება, ადაპტაციური ფუნქციონირების გაუმჯობესება, სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი ოჯახების მხარდაჭერა. |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა განვითარების სტიმულირება, ადაპტაციური ფუნქციონირების გაუმჯობესება, სოციალური ინტეგრაციის | პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა, საშუალოდ თვეში | 195 | საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება | 2% | მიმართვიანობის ცვლილება |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| ხელშეწყობა და მათი ოჯახების მხარდაჭერა | | | | | |

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 06 02 | 7109 | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა |

**პროგრამის აღწერა და მიზანი**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისთვის გარკვეული შეღავათებისა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებული პირების უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა პროგრამების განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მარტოხელა მშობლების, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფსიქო- სოციალური მხარდაჭერასა და გენდერული თანასწორობის დაცვას. სოციალურად დაუცველი, კანონთან კონფლიქტში მყოფი და ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემების მქონე ბავშვების ეკონომიკურ და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერას.

| | |
|---|---|
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა<br>• მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა |
| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • გაზრდილია მუნიციპალურ და კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა. გამჯობესებულია საზოგადოების ცალკეული კატეგორიის სოციალური პირობები. |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 06 02 01 | 7109 | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა |

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფსიქოსოციალურ მხარდაჭერას — სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ცხელი სადილით უზრუნველყოფას, რომელიც გაანგარიშებულია ადამიანის სიცოცხლისთვის აუცილებელი კალორაჟის გათვალისწინებით. ყოველდღიური რაციონი (მენიუ) შეიცავს ისეთ ნივთიერებებს (ნახშირწყლები, ცილები, ცხიმები და სხვა), რომლებიც საჭიროა ადამიანის ჯანმრთელობისა და მისი სრულფასოვანი არსებობისთვის. სასადილოს ბენეფიციარები შეიძლება იყვნენ: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული პირები, მარტოხელა, უმუშევარი პენსიონერები, შშმ

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| პირები და სხვა (300 ბენეფიციარი). აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სოფელში მცხოვრები, განსაკუთრებით მძიმე სოციალური და ეკონომიკური პირობების მქონე პირები (შშმ პირები, მარტო მცხოვრები მოხუცები და ა.შ.) მიიღებენ საკვები პროდუქტებით დახმარებას ერთჯერადად წლის განმავლობაში. | | | | |
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • სოციალურად დაუცველი და მოწყვლადი მოსახლეობის საკვებითა და ფსიქოსოციალური მხარდაჭერით უზრუნველყოფა, მათი ძირითადი კვებითი საჭიროებების დაკმაყოფილება, ცხოვრების ხარისხისა და სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა და განსაკუთრებით მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში მყოფი პირების მხარდაჭერა. | | | |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა<br>მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა | | | |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| უფასო სასადილოს სერვისის მეშვეობით მოწყვლადი ჯგუფების კვებით უზრუნველყოფა | უფასო კვებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარების რაოდენობა | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 1 სასადილოა, რომლითაც სარგებლობს 300 ბენეფიციარი | უფასო სასადილოს მეშვეობით ბენეფიციარების კვებით უზრუნველყოფა | 2% | სოციალურად დაუცველი პირების რაოდენობის ცვლილება |
| ზამთრის თვეებში სოფელში მცხოვრები, განსაკუთრებით მძიმე სოციალური და ეკონომიკური პირობების მქონე ოჯახების საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა | სერვისით მოსარგებლე ოჯახების რაოდენობა | 425 | სერვისით მოსარგებლე ოჯახების საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა | 2% | მიმართვიანობის ცვლილება |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 06 02 02 | 7109 | ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა |
| **ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი** | | | | |
| პროგრამა ითვალისწინებს ომის ვეტერანთა და მათი ოჯახების ხელშეწყობას: მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებული პირების დახმარებას 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან — 9 მაისთან დაკავშირებით; ა(ა)იპ „ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ზუგდიდის ვეტერანთა კავშირის“ ფინანსურ უზრუნველყოფას ამავე კავშირის თავმჯდომარის მიმართვის საფუძველზე, ყოველი თვის ბოლო რიცხვებში; საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული | | | | |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე ვეტერანების დაკრძალვის ხარჯების თანადაფინანსებას 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით; ყოველწლიურად, აგვისტოში, 2008 წლის აგვისტოს ომში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების ფინანსურ მხარდაჭერას, თითოეულ ოჯახზე 1000 (ათასი) ლარის ოდენობით წელიწადში ერთხელ, მათი ღვაწლის დაფასებისა და თანადგომის მიზნით. | | | | |
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი | • ომის ვეტერანებისა და საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე ვეტერანთა და მათი ოჯახების ფინანსური და სოციალური მხარდაჭერის უზრუნველყოფა, ვეტერანთა დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯების ნაწილობრივი დაფინანსება, დაღუპულთა ოჯახების მხარდაჭერა და ვეტერანთა ღვაწლისა და დამსახურების დაფასების ხელშეწყობა. | | | |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთან გათანაბრებული პირების, გარდაცვლილ ვეტერანთა ოჯახების, აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახების მატერიალური მხარდაჭერა | პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა | 2026 წლის განმავლობაში ისარგებლა 18 ბენეფიციარმა | 2027 წელს საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება | 1% | ბენეფიციართა რაოდენობის კლება |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 06 02 03 | 7104 | ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ოჯახებისა და ბავშვების გაძლიერება | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა |

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მრავალშვილიანი და ახალშობილიანი ოჯახების ერთჯერად დახმარებას, დედ-მამით ობოლი ბავშვების ყოველთვიურ დახმარებას, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფინანსურ მხარდაჭერას.

ბავშვიანი ოჯახების სოციალური დაცვის ერთჯერადი ფულადი დახმარებები: მრავალშვილიანი ოჯახებისათვის — 18 წლამდე ასაკის 4 ბავშვზე 300 ლარი, 5 ბავშვზე 400 ლარი და ა.შ.; პირველი-მეორე შვილის შეძენისას სოციალურად დაუცველ ოჯახებზე (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები) ერთჯერადი ვაუჩერული დახმარება 500 ლარის ოდენობით ბავშვის მოვლისა და ჰიგიენის საშუალებების შესაძენად; ნებისმიერი კატეგორიისთვის ტყუპის შეძენისას — 1000 ლარი; დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ყოველთვიური დახმარება 100 ლარის ოდენობით; ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 100–800 ლარის ოდენობით (შემაკავებელი და დამცავი ორდერის მოქმედების პირობებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით), სტატუსის მოქმედების ვადის შესაბამისად.

ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობის ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალთა სოციალური და ეკონომიკური გაძლიერების საკითხებთან დაკავშირებული ღონისძიებების მხარდაჭერას, თემატური ტრენინგების ჩატარებას, საინფორმაციო ბიულეტენების მომზადებასა და მოსახლეობისათვის მიწოდებას, „ქალთა ოთახის“ სერვისის ხელშეწყობას.

პროგრამის მიზანია სოციუმში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობა, ოჯახებისა და ბავშვების მატერიალური სახსრებით გაძლიერება.

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა | | მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე • | | |
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი | | • მრავალშვილიანი, ახალშობილიანი და დედ-მამით ობოლი ბავშვების მქონე ოჯახების, ასევე ქალთა მიმართ და/ან ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფინანსური და სოციალური მხარდაჭერის უზრუნველყოფა;<br>• ბავშვიანი ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და ბავშვთა საჭიროებების დაკმაყოფილების ხელშეწყობა;<br>• ქალთა სოციალური და ეკონომიკური გაძლიერებისა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა, შესაბამის სერვისებსა და მხარდამჭერ ღონისძიებებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. | | |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| ქალისა და მამაკაცის თანასწორობის უზრუნველყოფა; მრავალშვილიანი ოჯახების, დედ-მამით ობოლი ბავშვების, ტყუპების შეძენისას ოჯახების, ბავშვის შეძენისას სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერა | ფსიქოსოციალურად მხარდაჭერილი მრავალშვილიანი ოჯახების რაოდენობა | 154 | 160 | 2% | ბენეფიციართა რაოდენობის ცვლილება |
| | ფსიქოსოციალურად მხარდაჭერილი დედ-მამით ობოლ ბავშვთა რაოდენობა | 4 | 5 | 1% | ობოლ ბავშვთა რაოდენობის ცვლილება |
| | ტყუპების შეძენასთან დაკავშირებით ფსიქოსოციალურად მხარდაჭერილი ოჯახების რაოდენობა | 4 | 5 | 1% | ბენეფიციართა რაოდენობის ცვლილება |
| | პირველი და მეორე შვილის შეძენასთან დაკავშირებით ფსიქოსოციალურად მხარდაჭერილი სოციალურად დაუცველი ოჯახების რაოდენობა | 8 | 12 | 1% | ბენეფიციართა რაოდენობის/მიმართვიანობის ცვლილება |
| | ფსიქოსოციალურად მხარდაჭერილი ოჯახში ძალადობის მსხვერპლი პირების რაოდენობა | 26 | 30 | 1% | მიმართვიანობის ცვლილება |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 06 02 04 | 71012 | შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა |

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**

18 წლამდე ასაკის შშმ და მძიმე ქრონიკული დაავადებების მქონე ბავშვებისთვის ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 ლარის ოდენობით, გარდა ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში ყოველთვიური დაფინანსების მქონე ბავშვებისა; სმენა- და მხედველობადაქვეითებული, მკვეთრად გამოხატული ხარისხის მქონე შშმ პირებისთვის კომუნალური ხარჯების თანადაფინანსების მიზნით ფულადი დახმარება 30-30 ლარის ოდენობით 4 თვის განმავლობაში; ზრუნვის განსაკუთრებული (მოვლის) საჭიროების მქონე პირთა ოჯახების ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა სოციალურად დაუცველ ოჯახებს (სარეიტინგო ქულა 35 001-ზე ნაკლები) 200 (ორასი) ლარის ოდენობით. თავისუფალი გადაადგილების სოციალური სერვისი ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული/მცხოვრები გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირთა ინდივიდუალურ მობილობას. პერსონალური ასისტენტის სერვისი (დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში). პროგრამის მიზანია შშმ პირთა გაძლიერება და მხარდაჭერა.

| | |
|---|---|
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | • მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა |
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მძიმე ქრონიკული დაავადებების მქონე ბავშვების, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და ზრუნვის განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა ოჯახების ფინანსური და სოციალური მხარდაჭერა; გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირთათვის თავისუფალი გადაადგილებისა და პერსონალური ასისტენტის სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მათი დამოუკიდებელი ცხოვრების, სოციალური ინტეგრაციისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა. |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| შშმ და მძიმე ქრონიკული დაავადებების მქონე ბავშვების, სმენა/მხედველობადაქვეითებული, მკვეთრად გამოხატული ხარისხის მქონე შშმ პირების, ზრუნვის განსაკუთრებული საჭიროების მქონე ოჯახების მხარდაჭერა, თავისუფალი გადაადგილების სერვისით უზრუნველყოფა | ფსიქოსოციალურად მხარდაჭერილი შშმ და ქრონიკული დაავადების მქონე 18 წლამდე პირების რაოდენობა | 176 | 180 | 2% | სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პროგრამის მოსარგებლეების რაოდენობის ცვლილება |
| | კომუნალური გადასახადების თანაგადახდით სოციალურად მხარდაჭერილი შშმ და სმენადაქვეითებული პირების რაოდენობა | 340 | 360 | 2% | სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პროგრამის მოსარგებლეების რაოდენობის ცვლილება |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| | სოციალურად მხარდაჭერილი მომვლელის საჭიროების მქონე პირების რაოდენობა | 173 | 175 | 2% | სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პროგრამის მოსარგებლეების რაოდენობის ცვლილება |
| | სოციალურად მხარდაჭერილი, თავისუფალი გადაადგილების სოციალური სერვისის საჭიროების მქონე პირების რაოდენობა | 255 | 270 | 2% | სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პროგრამის მოსარგებლეების რაოდენობის ცვლილება |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 06 02 05 | 7103 | მარტოხელა მშობლის სოციალური დაცვის პროგრამა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა |

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მარტოხელა მშობელთა და მარჩენალდაკარგული ოჯახების ფინანსურ მხარდაჭერას: მარჩენალდაკარგულ ოჯახს, რომელსაც ჰყავს 18 წლამდე შვილი, — ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 (ორასი) ლარი წელიწადში ერთხელ, მარტოხელა მშობელს — 100 (ასი) ლარი ყოველთვიურად, მათი მხარდაჭერის მიზნით.

| | |
|---|---|
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | • მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა |
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • მარტოხელა მშობლებისა და მარჩენალდაკარგული ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქება და არასრულწლოვანი შვილების საჭიროებების დაკმაყოფილების ხელშეწყობა. |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| მარჩენალდაკარგული ოჯახებისა და მარტოხელა მშობლების მატერიალური უზრუნველყოფა | ფსიქოსოციალურად მხარდაჭერილი მარტოხელა მშობლების რაოდენობა | 74 | 80 | 2% | მარტოხელა მშობლების რაოდენობის ცვლილება |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| | ფსიქოსოციალურად მხარდაჭერილი მარჩენალდაკარგული ოჯახების რაოდენობა | 226 | 240 | 2% | მარჩენალდაკარგული ოჯახების რაოდენობის ცვლილება |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 06 02 06 | 7102 | ხანდაზმულთა, შინმოვლისა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა |

| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | |
|---|---|
| ქვეპროგრამა ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ 100 წელს გადაცილებულ პირთა ერთჯერად 1000-ლარიან დახმარებას, სოციალურად დაუცველ (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები) ადგილობრივ გარდაცვლილ ბენეფიციართა ოჯახისთვის ერთჯერად ფულად დახმარებას 500 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამის ფარგლებში მოქმედებს ასევე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მარტოხელა და მარტომცხოვრები ხანდაზმულების შინმოვლის სერვისი: სპეციალურად ადაპტირებული მიკროავტობუსის საშუალებით ექიმით, მომვლელი ქალითა და მძღოლით დაკომპლექტებული მობილური ჯგუფი, რომელიც ადგილზე ახორციელებს ვიზიტებს და საჭიროების მიხედვით უწევს ხანდაზმულებს სხვადასხვა სოციალურ მომსახურებას, ხანდაზმულთა გაძლიერებისა და მხარდაჭერის მიზნით. | |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | • მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა |
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • 100 წელს გადაცილებული პირებისა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერა, მარტოხელა და მარტომცხოვრები ხანდაზმულებისთვის შინმოვლისა და საჭირო სოციალური მომსახურებების მიწოდება, მათი ყოფითი და სოციალური საჭიროებების შემსუბუქება, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და სოციალური მხარდაჭერის გაძლიერება. |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| ხანდაზმულთა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერა | ფსიქოსოციალურად მხარდაჭერილი 100 წელს გადაცილებული პირები | 12 | 12 | 2% | ბენეფიციართა რაოდენობის ცვლილება |
| | ფსიქოსოციალურად მხარდაჭერილი მარტოხელა და | 51 | 60 | 2% | ბენეფიციართა რაოდენობის ცვლილება |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| | მარტომცხოვრები ხანდაზმულები | | | | |
| | სოციალურად დაუცველი პირის გარდაცვალებისას სოციალურად მხარდაჭერილი ოჯახები | 32 | 48 | 2% | ბენეფიციართა რაოდენობის ცვლილება |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 06 02 07 | 7109 | სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა |

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**

სადღესასწაულო დღეებში (შობა-ახალი წელი და აღდგომა) საზეიმო განწყობის შექმნის მიზნით დედ-მამით ობოლი ბავშვების, მარტოხელა მშობლების, მრავალშვილიანი ოჯახების, 100 წელს გადაცილებული პირების, მზრუნველობამოკლებულთა უფასო სასადილოსა და სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარების, ასევე განსაკუთრებით შეჭირვებული ოჯახების მხარდაჭერა საკვები პროდუქტებით. შშმ პირთა და ხანდაზმულთა უფლებების დაცვის დღეების აღსანიშნავი ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა (14 ივნისი, 3 დეკემბერი, 1 ოქტომბერი).

| | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • სოციალურად დაუცველი და მოწყვლადი ჯგუფებისათვის სადღესასწაულო დღეებში სოციალური და მატერიალური მხარდაჭერის უზრუნველყოფა, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქება და საზოგადოებაში მათი ინტეგრაციისა და ღირსეული ცხოვრების ხელშეწყობა. |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | • მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| სოციალურად დაუცველი და მოწყვლადი ჯგუფებისათვის სადღესასწაულო დღეებში სოციალურ-მატერიალური მხარდაჭერა | შობა-ახალი წლისა და აღდგომის დღესასწაულებზე პროდუქტების სასაჩუქრე ნაკრებით უზრუნველყოფილი და გუნება-განწყობაამაღლებული | 550 | 550 | 1% | ბენეფიციართა რაოდენობის ცვლილება |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| | სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის ბენეფიციართა რაოდენობა | | | | |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 06 02 08 | 7109 | ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა |

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**

ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პაციენტებისა და პერიტონეალური დიალიზის პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების ხარჯების თანადაფინანსება, თითოეულზე თვეში 100–150 ლარის ოდენობით, ადმინისტრაციული ერთეულის სერვისის მიმწოდებელი ცენტრიდან დაშორების გათვალისწინებით. სოციალურად დაუცველი სტუდენტების (65 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულით), რომლებიც სწავლობენ მუნიციპალიტეტის საზღვრებს გარეთ აკრედიტებულ უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებში, მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება წელიწადში ერთხელ 200 (ორასი) ლარის ოდენობით. სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის დღის ცენტრების ქვეპროგრამაში ჩართული შშმ ბავშვების თანმხლებ პირთა ტრანსპორტირების თანადაფინანსება, მათი აუცილებელ სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

| | |
|---|---|
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა<br>მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება |
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • ჰემოდიალიზისა და პერიტონეალური დიალიზის პროგრამაში ჩართული პაციენტების, სოციალურად დაუცველი სტუდენტებისა და შშმ ბავშვების თანმხლები პირების ტრანსპორტირების ხარჯების თანადაფინანსება, რის შედეგადაც გაუმჯობესდება მათი ხელმისაწვდომობა აუცილებელ სამედიცინო, საგანმანათლებლო და სოციალურ სერვისებზე და შემცირდება ტრანსპორტირების ხარჯით გამოწვეული ფინანსური ტვირთი. |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| ჰემოდიალიზისა და პერიტონეალური დიალიზის პროგრამაში ჩართული პაციენტების, სოციალურად დაუცველი სტუდენტებისა და შშმ ბავშვების თანმხლები | ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართული მოქალაქეების ტრანსპორტირების თანადაფინანსების გზით სამედიცინო სერვისის შეუფერხებელი მიწოდებით | 81 | 85 | 2% | ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართული მოქალაქეების რაოდენობის ცვლილება |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| პირების ტრანსპორტირების ხარჯების თანადაფინანსება | უზრუნველყოფილი მოსარგებლეების რაოდენობა | | | | |
| | ფსიქოსოციალურად მხარდაჭერილი სოციალურად დაუცველი სტუდენტების რაოდენობა | 70 | 70 | 2% | სტუდენტთა რაოდენობის ცვლილება |
| | ტრანსპორტირების თანადაფინანსებით უზრუნველყოფილი, სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ ბავშვთა თანმხლები პირების რაოდენობა | 4 | 10 | 1% | ბენეფიციართა რაოდენობის ცვლილება |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 06 02 09 | 7109 | სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა |

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**

ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს ხანძრის, დიდთოვლობის, ქარბუქის, მიწისძვრის, წყალდიდობისა და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისთვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა, ყოფითი პირობების გაუმჯობესება, ფსიქოსოციალური მხარდაჭერა, უსახლკაროდ დარჩენილთა ბინის ქირით უზრუნველყოფა.

ხანძრის შედეგად დაზარალებული, უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ერთჯერადი დახმარება — 5 000 ლარამდე: საცხოვრებელი სახლის/ბინის მთლიანად განადგურების შემთხვევაში ერთჯერადი დახმარება 5 000 ლარის ოდენობით, ხოლო ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში — მდგომარეობისა და პირობების შემსწავლელი კომისიის გადაწყვეტილებით. ხანძრის შედეგად საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული სამზარეულო სახლის მთლიანად განადგურების შემთხვევაში დაზარალებულ ოჯახზე გაიცემა ერთჯერადი ფულადი დახმარება 2 000 ლარის ოდენობით; სამზარეულო სახლის ნაწილობრივ დაზიანების შემთხვევაში დაფინანსების ლიმიტს განსაზღვრავს სოციალური მდგომარეობისა და პირობების შემსწავლელი კომისია, დაზიანებული ფართობის მიხედვით.

დიდთოვლობის, ქარბუქის, მიწისძვრის, წყალდიდობისა და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე გაიცემა ერთჯერადი დახმარება (3 000 ლარამდე). მეწყრის შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე — 500 ლარი ერთჯერადად, დაზარალების I კატეგორიის შემთხვევაში.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (რეგისტრაცია უნდა ფიქსირდებოდეს არანაკლებ 1 წლისა) უსახლკაროდ დარჩენილი, ყველაზე მძიმე ეკონომიკურ პირობებში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების (სარეიტინგო ქულა 65 001-მდე), ძალადობის მსხვერპლთა, სახლდამწვართა, მეწყრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილთა, ზრუნვის სისტემიდან გასული პირებისა და ყოფილი პატიმრების დახმარება ბინის ქირის საფასურის გადახდის მიზნით — ფინანსური მხარდაჭერა

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| თითოეულ ოჯახზე 200 ლარის ოდენობით ყოველთვიურად, შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით, მათთვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნის, საცხოვრებლის ქირით უზრუნველყოფისა და ყოფითი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. | | | | |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | • მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა | | | |
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • დაზარალებული ოჯახების საცხოვრებელი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და უსახლკაროდ დარჩენილი პირებისთვის საცხოვრებლით უზრუნველყოფის ხელშეწყობა. | | | |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| სტიქიური მოვლენებისა და ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და უსახლკაროდ დარჩენილი პირებისთვის საცხოვრებლით უზრუნველყოფის ხელშეწყობა | ფინანსურად მხარდაჭერილი, გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობების მქონე (სტიქიის/მეწყრის/ხანძრის შედეგად) დაზარალებული ოჯახების რაოდენობა | 69 | 100 | 2% | ბუნებრივი სტიქია/კატასტროფები, ბენეფიციართა რაოდენობის ცვლილება |
| | ბინის ქირით უზრუნველყოფილი, უსახლკაროდ დარჩენილი და მძიმე სოციალურ პირობებში მცხოვრები პირების რაოდენობა | 143 | 150 | 2% | ბენეფიციართა რაოდენობის ცვლილება |

| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის სანიაღვრე ქსელის გაფართოება და გამტარუნარიანობის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სანიაღვრე და წყალსაწრეტი არხების რეაბილიტაცია, ასევე ახალი წყალსაწრეტი არხების და ნაპირსამაგრი ჯებირების მოწყობა. | | |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა** | მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა<br>მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის<br>მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მოწყობილია გამტარუნარიანი სანიაღვრე ქსელი და მოსახლეობისთვის შექმნილია უსაფრთხო საცხოვრებელი პირობები. | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | **გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | **02 03** | | 1400.0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | **სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური , ეკონომიკის სამსახური** | | |

| | |
|---|---|
| პროგრამის აღწერა და მიზანი | მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ქუჩების განათება. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა, მუნიციპალიტეტის გზებზე და შიდა ეზოებში გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა. |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა** | მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის<br>მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა<br>მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება |
| მოსალოდნელი შედეგი | მოწყობილია გარე განათების ქსელი და შექმნილია პირობები ღამის საათებში მოსახლეობის (ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირთა) უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის. |

| პროგრამის დასახელება | კოდი | **მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამა** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **02 04 01** | | 5399,3 |
| პროგრამის განმახორციელებელი | **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შპს „ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი“** | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | მუნიციპალური ტრანსპორტის ფინანსური ხელშეწყობა ემსახურება ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფას; მგზავრების გადაყვანის შეღავათიან და კომფორტული პირობების შექმნას.ავტობუსების გაჩერების ადგილებზე სპეციალური ნიშნების დამონტაჟება. მძღოლებისა და კონტროლიორების სპეციალური ფორმების შეძენა განახლება წელიწადში ერთხელ,კვალიფიციური კადრების შერჩევა. | | |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა** | მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მგზავრთა უსაფრთხო და კომფორტული გადაყვანა | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **02 05** | | 250,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | **ეკონომიკის სამსახური** | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამით, ამხანაგობების საერთო ქონებების ექსპულატაციისა და განვითარების მიზნით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მიერ წარმოდგენილი პროექტებით-რეაბილიტაციის, აღდგენის და მოწყობის სამუშაოების დაფინანსება-განხორციელება. | | |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა** | მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება | | |

| | |
|---|---|
| მოსალოდნელი შედეგი | საცხოვრებელი კორპუსების საექსპლუატაციო ვადის გაზრდა; მოსახლეობისათვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნა;<br>მოწესრიგებული, რეაბილიტირებული და კეთილმოწყობილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინფრასტრუქტურა. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | **სოფლის მხარდაჭერის პროგრამა** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში | |
| | **02 06** | | 200,0 | |
| პროგრამის განმახორციელებელი | **სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური** | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის მიზანია ადმინისტრაციული ერთეულების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის მხარდაჭერა. პროექტის კონკრეტული მიზნებია:<br>• სოფლის შიდა გზების რეაბილიტაცია;<br>• წყალმომარაგების სისტემების მოწყობა;<br>• გარე განათების სისტემების მოწყობა;<br>• სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია;<br>• სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაცია;<br>• სკვერების და პარკების მოწყობა-რეაბილიტაცია.<br>,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული თანხები მიიმართება ადმინისტრაციული ერთეულების პირველი რიგის მცირე ინფრასტრუქტურულ საჭიროებათა დასაფინანსებლად. გასული წლების პრაქტიკის გათვალისწინებით, პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სოფლის შიდა გზების (მოხრეშვა), გარე განათების, სკვერების, წყალმომარაგების სისტემების, სანიაღვრე არხების, სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება-მოწყობა. | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | უზრუნველყოფილია სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარება | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | **საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობა** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | **02 07** | | 6352,6 |
| პროგრამის განმახორციელებელი | **სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური** | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული ობიექტების კეთილმოწყობა და მოვლა-პატრონობა; საზოგადოებრივი დანიშნულების ინფრასტრუქტურული სივრცეების მოწესრიგება და განვითარება;<br>მოსახლეობის დასვენებისა და გართობისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნა, სადაც გათვალისწინებული იქნება შშმ პირთა, საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა, ბავშვების, ქალების და კაცების საჭიროებები. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული ობიექტების კეთილმოწყობა და მოვლა-პატრონობა; დაგეგმილია საზოგადოებრივი სივრცეების მოწესრიგება: პარკებისა და სკვერების მოწყობა/რეაბილიტაცია; განხორციელდება სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების მოვლა-პატრონობა: სანიაღვრე არხების, შიდა სარგებლობის გზების, ხიდების, მიწისქვეშა გადასასვლელის, მდინარეთა ჯებირების და სხვა ნაგებობების მოწყობა, შეკეთება | | |

| | |
|---|---|
| | და მოვლა-პატრონობა და სხვა. შშმ პირთათვის ფიზიკური ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით დაგეგმილია საზოგადოებრივი ობიექტების ადაპტირება. |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა** | მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება<br>მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე |
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტში მოწესრიგებულია საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები |

| პროგრამის დასახელება | კოდი | **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **02 07 01** | | 5852,6 |
| პროგრამის განმახორციელებელი | **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,კეთილმოწყობის ცენტრი"** | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | მუნიციპალიტეტის ტერიტორიისა და თვითმმართველი ერთეულის სარგებლობაში/საკუთრებაში არსებული ობიექტების კეთილმოწყობა და მოვლა. კერძოდ, გარე განათების ქსელის მოწყობა, არსებულის მოვლა, ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია; სანიაღვრე ქსელების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; შადრევან-აუზების მოვლა, ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია; ტროტუარებისა და ბორდიურების კეთილმოწყობა და რეაბილიტაცია; გამწვანების ზოლების მოწყობა; ხეებისა და მცენარეების დარგვა, ჩანაცვლება და მოვლა-პატრონობა; შიდა სარგებლობის გზების, ხიდების, მიწისქვეშა გადასასვლელის, მდინარეთა ჯებირების და სხვა ნაგებობების მოწყობა, შეკეთება და მოვლა-პატრონობა; გზაჯვარედინების მარეგულირებელი შუქნიშნების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული წყალმომარაგების და კანალიზაციის ქსელის ექსპლოატაცია-რეაბილიტაცია; სადღესასწაულო დღეებში გაფორმების ღონისძიებების უზრუნველყოფა; მუნიციპალიტეტში მცხოვრები უმწეო და სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის მიზნობრივი მომართვის საფუძველზე საცხოვრებელი შენობის მცირე შეკეთებითი სამუშაოების ჩატარება; მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული „სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის“ წესის შესაბამისად სამუშაოების ჩატარება. პროგრამის ფარგლებში, ასევე შეიქმნება არარეგისტრირებული კავშირები (ე.წ. ადგილობრივი განვითარების ჯგუფები), რომლებიც მუნიციპალიტეტს მიმართავენ გამწვანების პროექტებითა და სავარაუდო ხარჯთაღრიცხვებით, ხოლო მუნიციპალიტეტი, თავის მხრივ უზრუნველყოფს აღნიშნული პროექტების თანადაფინანსებას პროექტის საერთო ღირებულების 95 პროცენტით. | | |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა** | მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება<br>მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე | | |

| | |
|---|---|
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების და მოვლა-პატრონობის ეფექტიანობის ამაღლება;<br>ქალაქისა და მუნიციპალიტეტის სასოფლო ადმინისტრაციული ერთეულების გაუმჯობესებული იერსახე;<br>ბუნების სტიქიისა და შესაძლო რთული მეტეოროლოგიური პირობების შედეგად მოსახლეობისათვის შესაძლო ზიანისა და მატერიალური ზარალის მიყენების შემცირებული რისკები. |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების კეთილმოწყობა** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | **02 07 03** | | 500,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | **სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური , ადმინისტრაციული სამსახური** | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებრივი აქტივების კერძოდ: ადმინისტრაციული კაპიტალური შენობებისა და ნაგებობების კეთილმოწყობა, რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა. აღნიშნულ შენობებში შშმ პირთათვის ადვილად შეღწევადობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი სამუშაოების ჩატარება. | | |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა** | მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება | | |
| მოსალოდნელი შუალედური შედეგი | ხარისხობრივი თვალსაზრისით გაუმჯობესებული მუნიციპალური აქტივები. | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| როგრამის დასახელება | კოდი | **სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის პოპულარიზებისკენ მიმართული აქტივობების კოორდინირება** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | **02 08** | | 50,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | **ა(ა)იპ „სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია“** | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის მთავარ ფოკუსს წარმოადგენს:<br>— უნიკალური ტურისტული პროდუქტების შექმნა, ინტერმუნიციპალური პროექტებისა და თემატური ტურების დაგეგმვა, რომლებიც ხელს შეუწყობს ვიზიტორთა დანახარჯებისა და რეგიონში დაყოვნების ხანგრძლივობის გაზრდას;<br>— საჯარო და კერძო სექტორებს, ასევე სამოქალაქო ორგანიზაციებს შორის მჭიდრო პარტნიორობის უზრუნველყოფა ერთობლივი მარკეტინგული და სარეკლამო აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებისათვის;<br>— სამეგრელოს საინფორმაციო ცენტრის გამართული ფუნქციონირება, ინფოტურების ორგანიზება, სარეკლამო-საინფორმაციო მასალების/ბანერების მომზადება და სოციალურ ქსელებში ტურისტული ობიექტებისა თუ სერვისების აქტიური პოპულარიზაცია; | | |

| | |
|---|---|
| | — ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით და ტურიზმის სფეროში დასაქმებულ თანამშრომელთა სისტემატური გადამზადება/კვალიფიკაციის ამაღლება.<br><br>პროგრამის მიზანია მდგრადი ტურიზმის პრინციპებზე დაყრდნობით სამეგრელოს რეგიონისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის განვითარება, რეგიონის იმიჯისა და ცნობადობის ამაღლება ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე, უნიკალური ტურისტული პროდუქტებისა და ინტერმუნიციპალური მარშრუტების დანერგვა, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და საჯარო-კერძო თანამშრომლობის გზით ვიზიტორთა რაოდენობის, დანახარჯებისა და რეგიონში დაყოვნების ხანგრძლივობის გაზრდა. |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე |
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტში არსებული ღირსშესანიშნაობებისა და ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ცნობადობის ამაღლება;<br>ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების, ვიზიტორებისა და დამსვენებლების გაზრდილი ოდენობა;<br>დონორების დაინტერესება მხარის ღირსშესანიშნაობებით. |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | **რგფ-დან მგფ-დან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | **02 09** | | 650,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | **სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური** | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის სახსრებით განხორციელდება ძირითადი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორიცაა გზების მშენებლობა, სანიაღვრე არხების მოწყობა, წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა და სხვა. | | |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა<br>მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება | | |
| მოსალოდნელი შედეგი | უზრუნველყოფილი მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება; | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | **სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების პროგრამა** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | **02 10** | | 100,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | **სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური** | | |

| | |
|---|---|
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში სტიქიური მოვლენების დროს მოსახლეობისთვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად საჭირო ფინანსურ-მატერიალური საფუძვლების შექმნა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები. გარდა ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებისა, სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია დაფინანსედება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით. |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა<br>მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა |
| მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | ლიკვიდირებულია სტიქიით გამოწვეული შედეგები და უზრუნველყოფილია დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა-ფუნქციონირება |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | **სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | **02 11** | | 500,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | **ზედამხედველობის სამსახური** | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის მიზანია ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზა და სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოს საპროექტო დოკუმენტაციისა და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზა, მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის გაწევის მიზნით საექსპერტო მომსახურების შესყიდვა, შენობა-ნაგებობების და საინჟინრო კომუნიკაციების ტექნიკური მდგომარების შესახებ ექსპერტიზების მომზადება; | | |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა | | |
| მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | უზრუნველყოფილია ინფრასტრუქტურული სამუშაოების ხარისხის და მოცულობის შესაბამისობის კონტროლი | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| **პროგრამის დასახელება** | **კოდი** | **საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები** | **2027 წლის დაფინანსება ათას ლარში** |
| | **02 12** | | **501.5** |
| პროგრამის განმახორციელებელი | **სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური** | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის მიზანია ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი სხვადასხვა სახის პროექტებისათვის საპროექტო დოკუმენტაციისა და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის შედგენა. | | |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის** | მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა | | |

| | |
|---|---|
| **მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | |
| მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | უზრუნველყოფილია კაპიტალური სამშენებლო პროექტების შეუფერხებლად და ხარისხიანად განხორციელება; |

| პროგრამის დასახელება | კოდი | **მიწების საკადასტრო ნახაზების შედგენის და ქონების შეფასების ხარჯები** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **02 13** | | 20,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | **ეკონომიკის სამსახურის ქონების მართვის და მოსაკრებლების განყოფილება** | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის მიზანია მუნიციპალური ქონების ეფექტურად მართვა და განკარგვა. ქვეპროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტის დაგეგმარების შესაბამისად, არასასოფლო-სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების შემდგომ გამოყენებისთვის საკადასტრო ნახაზებისა და მათი ელექტრონული ვერსიების მომზადება, შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზების შედგენა, აღრიცხვაზე ასაყვანი ქონების შეფასება, მათ შორის სტრატეგიული ძირითადი აქტივების. | | |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა** | მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება<br>მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე | | |
| მოსალოდნელი შედეგი | უძრავი ქონების მართვისა და პრივატიზების ეფექტური პროცესის უზრუნველყოფა; მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული დამატებითი ქონების ზრდა, რომელიც ასახულია ბალანსზე. | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | **საინვესტიციო პროექტების,დონორებთან ურთიერთობის და ტურიზმის ხელშეწყობის პროგრამა** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **02 15** | | 50,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | **ეკონომიკის სამსახური** | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამა წარმოადგენს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიულ კომპონენტს, რომელსაც ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკის განყოფილება. პროგრამა აერთიანებს ადგილობრივი საინვესტიციო პოტენციალის მობილიზების, საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის, მწვანე და კლიმატზე ორიენტირებული ურბანული პროექტების, ტურიზმის განვითარებისა და მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ დონეზე დანერგვის ღონისძიებებს. პროგრამის მიზანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი, ინკლუზიური და მდგრადი განვითარება, რათა ქალაქი ჩამოყალიბდეს რეგიონის ძირითად ეკონომიკურ, ტურისტულ, კულტურულ და საგანმანათლებლო ჰაბად. მიზნის მისაღწევად პროგრამა უზრუნველყოფს ხელსაყრელი ბიზნესგარემოს შექმნას, ინვესტიციების მოზიდვას, ენერგორესურსების ეფექტიან მართვას, გარემოსდაცვითი სტანდარტების გაუმჯობესებას და დონორებთან პარტნიორობის გაღრმავებას. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის გაუმჯობესებული საინვესტიციო და ბიზნესგარემო, ინვესტიციებისა და საერთაშორისო დონორული რესურსების მოზიდვის | | |

| | |
|---|---|
| | გაზრდილი შესაძლებლობები, ტურიზმისა და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის გაძლიერებული მექანიზმები;<br>მუნიციპალიტეტის გაუმჯობესებული მწვანე და კლიმატზე ორიენტირებული განვითარების პრაქტიკა, ენერგორესურსების ეფექტიანი გამოყენების ზრდა და გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვა, მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრირება ადგილობრივი განვითარების დაგეგმვის პროცესებში. |

| პროგრამის დასახელება | კოდი | **სამოქალაქო ბიუჯეტი** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **02 16** | | 750,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | **სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური, მუნიციპალიტეტის მერია** | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | სამოქალაქო ბიუჯეტი არის პირდაპირი დემოკრატიის მექანიზმი, რომელიც ქმნის შესაძლებლობას მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნას საზოგადოებრივი ინტერესები.<br>პროგრამის მიზანს წარმოადგენს საბიუჯეტო პროცესში ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთქმედების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეებს სთავაზობს თავად შეიმუშაონ კონკრეტულ დასახლებაში არსებული პრობლემის გადაჭრის გზები და რიგი პროცედურების გავლის შედეგად განსაზღვრონ პრიორიტეტული პროექტები. | | |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა** | მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ხელშეწყობილია ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოსახლეობის ურთიერთთანამშრომლობა პრიორიტეტების განსაზღვრის საქმეში, უზრუნველყოფილია მოსახლეობის ჩართულობა საბიუჯეტო პროცესში და ქ. ზუგდიდში გაუმჯობესებულია საცხოვრებელი გარემო; | | |

**მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა**

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 11190.7 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

| **პროგრამული კოდი** | **დასახელება** | **2027 წლის გეგმა** |
|---|---|---|
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | **11190,7** |
| 03 01 | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | **8,500.0** |
| 03 02 | შპს "**"ანაკლია-განმუხურის ბულვარი**"-ს ფინანსური ხელშეწყობა | **800.0** |
| 03 03 | ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამა | **1790.7** |
| 03 04 | სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა | **0.0** |
| 03 05 | პარკების,სკვერების და ბულვარის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის პროგრამა | **100.0** |
| 03 08 | მუნიციპალური ტერიტორიის და მოსახლეობის დაცვის ღონისძიებები მღრღნელებისა და სხვა ცხოველებისგან | **0.0** |

| პროგრამის დასახელება | კოდი | **დასუფთავება და ნარჩენების გატანა** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **03 01** | | **8500.0** |
| პროგრამის განმახორციელებელი | **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავება“** | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ზუგდიდის მუნიციპალიტეტში შემავალ ქალაქსა და სოფლის 48 ადმინისტრაციულ ერთეულში საჯარო და საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილების, სკვერების, გაზონების, შიდა გზების, ტროტუარების, მოსახლეობის ყოველდღიური კონცენტრაციის ადგილების დაგვა - დასუფთავება, ნარჩენების აკრეფა - შეგროვება და დატვირთვა სატრანსპორტო საშუალებებზე, ნარჩენების შეგროვება და გატანა მოსახლეობიდან, კერძოდ: კარდაკარ - შემოვლით ქალაქის 475 ქუჩაზე მცხოვრები 8.8 ათასი კომლიდან და 48 სოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები 18 ათასი კომლიდან, ასევე კოლექტიური (კონტეინერული) მეთოდით შეგროვებული ნარჩენებისაგან 2551 კონტეინერის დაცლა - დატვირთვა სატრანსპორტო საშუალებებზე და ტრანსპორტირება ნაგავსაყრელში. მყარი ნარჩენების გატანა მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებადი კომერციული, ინსტიტუციური და ინდუსტრიული 1220 - ზე მეტი ობიექტიდან.<br>ქაღალდისა და მუყაოს სეპარირებული შეგროვების, დამუშავების და რეალიზაციის 2024 წელს მიღწეული მაჩვენებლის, კერძოდ, წარმოქმნილის 17% - ის გაზრდა<br>2025 წლისათვის - წარმოქმნილის 30% - მდე, ხოლო 2028 წლისათვის 60% -მდე,<br>2029 წლისათვის 85 %-მდე.<br>ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მყარი მუნიციპალური ნარჩენების სრულყოფილი, ეფექტიანი მართვა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილს დამტკიცებული ,, ნარჩენების მართვის 2016 – 2030 წლების ეროვნული სტრატეგიის“ , ,, ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმის “ და საკრებულოს მიერ 2022 წლის 23 დეკემბერს დამტკიცებული ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2027 – 2030 წწ სამოქმედო გეგმით’’ განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად. | | |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა** | მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება | | |
| მოსალოდნელი შედეგი | • მუნიციპალიტეტში მკვეთრად შემცირდება ნარჩენების გარემოზე ზემოქმედების უარყოფითი შედეგები და გაუმჯობესდება ეკოლოგიური გარემო;<br>• შეიქმნება საზოგადოების ინტერესებზე მორგებული ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემა;<br>• მყარი ნარჩენების შეგროვების, განთავსებისა და სეპარირება - რეციკლირების პროგრამების განხორციელებით, გარემოზე და ადამიანებზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების მიზნით, მუნიციპალიტეტში დაინერგება ნარჩენების მართვის მაღალი სტანდარტები და შეიქმნება მოსახლეობისა და ეკოსისტემის უსაფრთხოების ნორმების შესაბამისი ოპერირების სისტემა;<br>• როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის ასევე ტურისტების და მუნიციპალიტეტის სტუმრებისათვის დასუფთავებული, სანიტარულად და ჰიგიენურად მიმზიდველი გახდება ქალაქი და სოფლები, ბაღები და სკვერები, ზღვის სანაპირო ზოლი და სხვა ტურისტული ობიექტები; | | |

| | |
|---|---|
| | • ნარჩენების გატანის სერვისი მიეწოდება ქალაქის მოსახლეობისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების |

| პროგრამის დასახელება | კოდი | **შპს „"ანაკლია-განმუხურის ბულვარი"-ს ფინანსური ხელშეწყობა** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **03 02** | | 800.0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შპს "ანაკლია-განმუხურის ბულვარი"** | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის მიზანია ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიისა და მასზე განთავსებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, მოვლა-პატრონობა, განახლება; კერძოდ: სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის, ანაკლია-განმუხურის ბულვარის დამაკავშირებელი საფეხმავლო ხიდის, კაფე-რესტორნის, ამფითეატრის, მინი-ფეხბურთის მოედნის, კალათბურთის მოედნის, ტენისის კორტის, ქვიშის ფრენბურთისა და ქვიშის ფეხბურთის მოედნების მოვლა-პატრონობა; ინვესტორებისა და ვიზიტორებისთვის შესაბამისი თანამედროვე გარემო პირობების შექმნა.<br>პროგრამის მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე გამწვანების ზოლში არსებული ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობა, ამ კუთხით წლის განმავლობაში ორჯერ ტარდება ფიტოსანიტარული მონიტორინგი მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრის მიერ ვეგეტაციის დაწყებისა (ადრე გაზაფხულზე) და ვეგეტაციის დასრულების პერიოდისთვის (გვიან შემოდგომაზე). მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრის მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნის საფუძველზე ხდება ხე-მცენარეების გამოკვება სხვადასხვა სასუქ-მინერალებით. | | |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა** | მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა<br>მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება | | |
| მოსალოდნელი შედეგი | 1. მკვეთრად გაუმჯობესებული და განახლებული ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა;<br>2. როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ასევე ტურისტებისა და მუნიციპალიტეტის სტუმრებისათვის დასუფთავებული, განახლებული და მიმზიდველი ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარი;<br>3. კომპანიაში გაჩენილი დამატებითი საკუთარი შემოსულობები. | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | **ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამა** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **03 03** | | 1790.7 |
| პროგრამის განმახორციელებელი | **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრი“** | | |

| | |
|---|---|
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში ოთხმოცამდე გვარის მრავალი სახეობის ხე, ბუჩქი და მცენარე იზრდება, მათ შორის მაგნოლიის ექვსი სახეობა, სხვადასხვა სახეობის მუხა, ატლასისა და ჰიმალაის კედარი, კანარის ვერხვი, აზიის, მათ შორის ინდოეთის, იაპონიის, ხმელთაშუაზღვისპირეთის, ამერიკის და სხვა ადგილებიდან შემოტანილი რელიქტური და ენდემური მცენარეები.<br>როგორც მდებარეობით, ასევე კლიმატური პირობებით ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი ერთ-ერთ საუკეთესო ბაზას წარმოადგენს ძვირფასი სუბტროპიკული მცენარეების ინტროდუქციის, კვლევისა და აკლიმატიზაციისათვის.<br>პროგრამის მიზანია ზუგდიდის რეაბილიტირებული ბოტანიკური ბაღის მოვლა-პატრონობა; მისი განვითარების ხელშეწყობა; ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში ისტორიული მნიშვნელობის ხეივნების აღდგენა/შევსება; ისტორიულ წყაროებში მითითებული კამელიების, ჰორტენზიების და ბზის ხეივნების აღდგენა განვითარება, ოჯალეშისა და ოქროწვიმის ხეივნების მოწყობა; დენდრარიუმის მოწყობა 5 ჰექტარზე.<br>არსებული ფლორის ახალი კოლექციებით გამდიდრება; მრავალფეროვანი სერვისებისა და პროდუქტების დანერგვა; ადგილობრივი მაცხოვრებლებისა და ტურისტებისათვის დასასვენებლად კომფორტული გარემოს შექმნა; სათბურში არსებული და ახალი სახეობების მცენარეთა ჩითილების გამოყვანა და გამრავლება; მცენარეთა სხვლა-ფორმირება და კონსერვაცია; მავნებელ დაავადებებთან და მწერების საწინააღმდეგო ღონისძიებების ორგანიზება; ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე სპორტული, კულტურულ-შემეცნებითი, გასართობი, საგანმანათლებლო და სადღესასწაულო ინფრასტრუქტურის განვითარება; ბოტანიკური ბაღის მოვლა-პატრონობისთვის საჭირო ტექნიკისა და აღჭურვილობის შეძენა; სამეცნიერო ცენტრის შექმნის მიზნით საგანმანათლებლო და სამეცნიერო ბაზის ფორმირება; ჰერბარიუმის შექმნა; სამეცნიერო ექსპედიციების ორგანიზება. |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა** | მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება |
| მოსალოდნელი შედეგი | ზუგდიდის ბოტანიკური ბაღისთვის (მეტნაკლებად) დაბრუნებული ისტორიული იერსახე და ბოტანიკური ბაღებისათვის-21 საუკუნეში განსაზღვრული დღის წესრიგის შესრულება<br>•ზუგდიდის ბოტანიკური ბაღისათვის ისტორიული იერსახის დაბრუნება და მისი როგორც, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შენარჩუნება<br>•ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის თანამედროვე სტანდარტებზე მორგება, სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო დაწესებულებად ჩამოყალიბება<br>•ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი, როგორც რეკრეაციული და ტურისტული ობიექტის განვითარება<br>•ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში მრავალფეროვანი სერვისებისა და პროდუქტების დანერგვა. |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | **პარკების, სკვერების და ბულვარის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის პროგრამა** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | **03 05** | | 100.0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | **სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური** | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური გარემოსა და ლანდშაფტური იერსახის გაუმჯობესება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალი სკვერებისა და პარკების მშენებლობა-რეაბილიტაცია, სკვერებსა და პარკებში ქვაფენილების რეაბილიტაცია, დეკორატიული სანათების შეძენა-მონტაჟი. სკვერების მოწყობა. | | |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი** | მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება | | |

| | |
|---|---|
| **(SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა** | |
| მოსალოდნელი შედეგი | უზრუნველყოფილია სკვერებისა და პარკების ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შექმნილია ჯანსაღი ეკოლოგიური გარემო მოსახლეობის დასვენებისა და გართობისთვის. |

**მუხლი 15. განათლება**

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 20130.0 ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარებში

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2027 წლის გეგმა |
|---|---|---|
| 04 00 | განათლება | **20,130.0** |
| 04 01 | სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამა | **18,169.0** |
| 04 03 | სკოლისგარეშე სწავლისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა | **1,371.0** |
| 04 04 | საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური ხელშეწყობა | **540.0** |
| 04 06 | შ. მესხია სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხელშეწყობის პროგრამა | **50.0** |
| 04 07 | საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა დელეგირებული თანხებით | **0.0** |

| პროგრამის დასახელება | კოდი | **სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამა** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **04 01** | | 18169.0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი** | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 63 საბავშო ბაღი; მათგან 18 - ქალაქში, ხოლო 45-სოფლის ტერიტორიულ ერთეულებში, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამის (მეთოდოლოგის) დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.<br>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვების შესაფერისი უნარჩვევებით უზრუნველყოფა; სტანდარტების შესაბამისი გარემოს შექმნა; სკოლამდელი ასაკი ბავშვების სკოლისთვის მზაობა; სააღმზრდელო პროცესის გაუმჯობესება; აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება; ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო გარემოს შექმნა; კვების ნორმის გაუმჯობესება; სტანდარტების შესაბამისი უსაფრთხო გარემოსა და დაცული ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფა; დაწესებულებების გამართული ფუნქციონირება; | |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა** | მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის | | |

| | |
|---|---|
| მოსალოდნელი შედეგი | თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეკონსტრუქცია/კაპიტალური რეაბილიტაცია;<br>ბაღებში რეგისტრაციის მსურველთა მოთხოვნის დაკმაყოფილება და აღსაზრდელთა სტანდარტის შესაბამისად მომსახურება;<br><br>საბავშვო ბაღების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ფუნქციონირება. |

| პროგრამის დასახელება | კოდი | სკოლისგარეშე სწავლისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **04 03** | | 1371.0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის განვითარების სასახლე** | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე წარმოადგენს სკოლისგარშე, მრავალპროფილიან სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც მოზარდებს ეხმარება თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებასა და შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენაში. უზრუნველყოფს პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას, მეცნიერების ლიტერატურის და ხელოვნების მიღწევების ათვისებისათვის პრაქტიკული და თეორიული მუშაობის წარმართვას საყმაწვილო ჟურნალისტიკის განვითარებას.<br>უზრუნველყოფს ხელოვნების სხვადასხვა დარგის მარალპროფესიულ დონეზე სწავლებას და პოპულარიზაციას, (ქართული ფოლკლორი, ხალხურ საკრავთა ანსამბლი, კლასიკური და საესტრადო მუსიკა, ვოკალურ ინსტრუმენტული ანსამბლი, ქართულ ხალხური ქორეოგრაფია, საყმაწვილო თეატრი, სამეჯლოსო-სპორტული და თანამედროვე ცეკვები, ბალეტი პანტომიმა, დრამატული სტუდია). სასახლეში ტარდება სასწავლო შემოქმედებითი კონფერენციები, ინტელექტუალურ-შემეცნებითი თამაშობები, ვიქტორინები, სხავადასხვა ტიპის საგანმანათლებლო პროექტები, თემატური გამოფენები, შეხვედრები, ლაშქრობები, მასობრივი სპორტული ღონისძიებები, სხვა საგნობრივი კონკურსები, გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა-კონკურსები, ექსპედიციები, საქველმოქმედო აქციები, მოსწავლე -ახალგაზრდობის დღეები. წრეებსა და სტუდიებში გაერთიანებულია 800-მდე მოზარდი. ყოველწლიურად მოსწავლეთა სასახლის აღსაზრდელთათვის არაერთი საინტერესო პროექტი ხორციელდება, სასახლის მხატვრული კოლექტივები წარმატებით მონაწილეობენ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ გამართულ საერთაშორისო კონკურს- ფესტივალებსა და სხვა ღონისძიებებში. | | |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა** | მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მოზარდებისა და ახალგაზრდების გაზრდილი ჩართულობა ახალგაზრდულ საგანმანათლებლო, შემეცნებით და განვითარების ღონისძიებებში, მათი ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება;<br>წლის განმავლობაში განხორციელებულ პროგრამებსა და ღონისძიებებში ჩართულ მოზარდთა და ახალგაზრდების რაოდენობის ზრდა. | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური ხელშეწყობა | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **04 04** | | 540.0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | **განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის განათლების სპორტულ და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება** | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამა ითვალისწინებს საზოგადოებრივი და არაფორმალური განათლების ხელშეწყობას, საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროექტებისა და ღონისძიებების, ბანაკების, კონფერენციების, კონკურსებისა და სასწავლო-შემეცნებითი ტურების ორგანიზებას. ასევე, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობას, მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების ფინანსურ მხარდაჭერას (მერის სტიპენდია), მათ შორის უცხოეთში სწავლის ხელშეწყობას, აგრეთვე მედალოსანი კურსდამთავრებულების დაჯილდოებას და სხვა ღონისძიებებს. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა, მოსწავლეთა, სტუდენტთა და პედაგოგთა შესაძლებლობების გაძლიერება და წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერა. | | |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა** | მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის | | |
| მოსალოდნელი შედეგი | განათლების მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის განმახორციელებელ ორგანოებთან თანამშრომლობით სკოლამდელი, სასკოლო, პროფესიული, უმაღლესი განათლების სფეროში პროგრამის მოსალოდნელი შედეგია, მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეების და მათი პედაგოგების, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სტუდენტების და აკადემიური პერსონალის საგანმანათლებლო/შემეცნებითი უნარების განვითარება, სწავლა/სწავლების გაზრდილი მოტივაცია, განათლების სფეროს წარმომადგენელთა კვალიფიკაციის და საზოგადოების შემეცნებითი უნარების განვითარება. ახალგაზრდების მოტივაციის ამაღლება;<br>განსაკუთრებული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების შემოქმედებითი საქმიანობის გაზრდა და განვითარება;<br>წარმატებული ახალგაზრდების გამოვლენა და ამ კონტიგენტის სისტემატური ზრდა; ახალგაზრდების მეტი აქტიურობა საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ საქმიანობაში; | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | **შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხელშეწყობის პროგრამა** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **04 06** | | 50,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | **განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის განათლების,სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება** | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არსებული აკრედიტებული ერთადერთი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსური ხელშეწყობა, რომელიც ახორციელებს როგორც პროფესიულ, ასევე საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს. გამოყოფილი ფინანსური რესურსი | | |

| | |
|---|---|
| | მიმართულია აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტური აქტივობების, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისდასასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად შექმნილი პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსებისათვის. |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა** | მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის |
| მოსალოდნელი შედეგი | პროგრამის მიზანია შ.მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მდგრადი განვითარება, ხოლო მოსალოდნელი შედეგია საუნივერსიტეტო ცხოვრების გააქტიურება. |

**მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 9397.7 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2027 წლის გეგმა |
|---|---|---|
| 05 00 | კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | **9397.7** |
| 05 01 | სპორტისა და ახალგაზრდული პროგრამების განვითარების ხელშეწყობა | **2,540.0** |
| 05 01 01 | მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების პპროგრამა | **1,950.0** |
| 05 01 02 | სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება | **90.0** |
| 05 01 03 | მინი სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია | **200.0** |
| 05 01 04 | რაგბის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა | **300.0** |
| 05 02 | კულტურის სფეროს განვითარება | **6,055.7** |
| 05 02 01 | ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამა | **2,421.0** |
| 05 02 02 | კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამა | **30.0** |
| 05 02 03 | საბიბლიოთეკო დარგის განვითარების პროგრამა | **1,550.0** |
| 05 02 04 | კულტურული ღონისძიებების დაფინანსება | **300.0** |
| 05 02 05 | ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | **40.0** |
| 05 02 06 | რელიგიის ხელშეწყობის პროგრამა | **135.0** |
| 05 02 07 | სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა | **1,534.7** |
| 05 02 08 | ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ფინანსური ხელშეწყობა | **20.0** |

| | | |
|---|---|---|
| 05 03 | საცხენოსნო კლუბ "ხარებას"<br>ფინანსური ხელშეწყობა | **80.0** |
| 05 04 | ქართული ფეხბურთის განვითარების<br>ხელშეწყობის პროგრამა | **717.0** |
| 05 05 | შ.დადიანის სახელობის სახ. დრამატული თეატრი<br>ხელშეწყობის პროგრამა | **30.0** |

| პროგრამის დასახელება | კოდი | სპორტისა და ახალგაზრდული პროგრამების განვითარების ხელშეწყობა | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **05 01** | | 2540,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | **განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება** | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარება; ახალგაზრდული პოლიტიკის ხელშეწყობა; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; ახალგაზრდობის სულიერი და ფიზიკური ჰარმონიული განვითარება; სპორტული ტრადიციების დაცვა-გაღრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობის შენარჩუნება; სპორტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია.<br>პროგრამა მოიცავს 3 ქვეპროგრამას: მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება, მინი სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ხელშეწყობილია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, უზრუნველყოფილია სპორტის სხვადასხვა სახეობების თანაბარი ხელმისაწვდომობა და წახალისებულია სპორტული მიღწევები | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების პროგრამა** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **05 01 01** | | 1950,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი“** | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარება.<br>ცენტრი ახორციელებს ისეთი სპორტული ღონისძიებებისა და აქტივობების დაფინანსებას, როგორიცაა: სასკოლო სპორტული ოლიმპიადები - ოლიმპიადები ტარდება სკოლებს შორის სპორტის სხვადასხვა სახეობებში; მუნიციპალიტეტში ჩასატარებელი სპორტის სხვადასხვა სახეობის ტურნირის დაფინანსება; გასვლით ტურნირებში მონაწილე სპორტსმენების ფინანსური ხელშეწყობა; წარმატებული სპორტსმენების წახალისება, რომლებმაც მოიპოვეს საქართველოს, ევროპისა და მსოფლის ჩემპიონის ტიტული ან გავიდნენ საპრიზო ადგილებზე; წარმატებული მწვრთნელების (რომელთა აღსაზრდელებმაც მოიპოვეს მსოფლიოს, ევროპისა და საქართველოს ჩემპიონის ტიტული) წახალისება; სპორტული სექციებისა და ადმინისტრაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა და სხვა. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | სპორტის განვითარება; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სპორტის | | |

| | |
|---|---|
| | ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ახალგაზრდობის სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარება სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობა. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **05 01 02** | | 90,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | **განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება** | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | სპორტული და ახალგაზრდულ -შემეცნებითი ღონისძიებების დაფინანსების კუთხით მთავარ მიმართულებას წარმოადგენს სპორტის მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და განხორციელების კოორდინაცია, ახალგაზრდებში არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, ახალგაზრდული პროექტების განხორციელება და დაფინანსება.<br>პროგრამა მოიცავს: სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებას, დაფინანსებასა და ხელშეწყობას, მასობრივი სპორტის განვითარებას, სპორტის ეროვნული სახეობების დანერგვა-პოპულარიზაციას, სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროექტების განხორციელებას, შშმ პირების ხელშეწყობასა და მათ სრულფასოვან ინტეგრაციას საზოგადოებაში, ახალგაზრდული საქმიანობის მხარდაჭერას, ახალგაზრდულ პროექტებზე მომუშავე ორგანიზაციების პროექტების ფინანსურ მხარდაჭერას, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არაფორმალური განათლების მხარდაჭერას, ახალგაზრდული თვითმმართველობების გაძლიერებასა და ახალგაზრდული სივრცეების მოწყობას, ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდას გასართობ-შემეცნებით-სპორტულ აქტივობებში. ახალგაზრდული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსებას, ქალების ჩართვას სხვადასხვა აქტივობებში, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობას, მოხალისეობრივი საქმიანობის მხარდაჭერას, ახალგაზრდების ნიჭისა და უნარების განვითარებას, მათი მოტივაციის ამაღლებას, მოხალისეობრივ საქმიანობაში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდას, ახალგაზრდების გართობა-დასვენების და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობების გაზრდას. | |
| მოსალოდნელი შედეგი | პროგრამის განხორციელების შედეგად გაიზრდება მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდების, ჩართულობა სპორტულ, შემეცნებით და საზოგადოებრივ აქტივობებში, გაუმჯობესდება სპორტისა და ახალგაზრდული საქმიანობის ხელმისაწვდომობა, გაძლიერდება ახალგაზრდების უნარები და ინიციატივები, ხელი შეეწყობა ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **მინი სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **05 01 03** | | 200,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | **განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური; სივრცითი მოწყობისა ინფრასტრუქტურის სამსახური** | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის მიზანია ბავშვთა და მოზარდთა სპორტის განვითარებისათვის სპორტული მატერიალური-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, ფიზიკურად ძლიერი და ჯანმრთელი ახალგაზრდა თაობის აღზრდის ხელშეწყობა. ახალი მინი სპორტული მოედნების მოწყობა და არსებულის რეაბილიტაცია. | | |

| | |
|---|---|
| მოსალოდნელი შუალედური შედეგი | რეაბილიტირებული სპორტული ინფრასტრუქტურა და შექმნილი თანაბარხელმისაწვდომი ფიზიკური გარემო ახალგაზრდებისა და მოზარდი თაობის წვრთნისა და სპორტული მომზადებისათვის |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **რაგბის განვითარების ხელშეწყობის პროგრამას** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | **05 01 04** | | 300,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | **განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება** | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამა ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის რაგბის სასწავლო-საწვრთნელ პროცესზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, საკლუბო რაგბის განვითარების ხელშეწყობასა და რაგბის, როგორც სპორტის სახეობის, პოპულარიზაციას. სასწავლო-საწვრთნელი პროცესი ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მწვრთნელებისა და სპეციალისტების მიერ და მოიცავს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ბავშვების ფიზიკურ, ტექნიკურ და ტაქტიკურ მომზადებას. პროგრამის ფარგლებში ასევე უზრუნველყოფილია სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ეფექტიანი წარმართვისთვის საჭირო ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა.<br>ქვეპროგრამის მიზანია რაგბის განვითარების, ახალგაზრდების სპორტული აღზრდისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა. | | |
| მოსალოდნელი შუალედური შედეგი | გაუმჯობესებული რაგბის სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ხარისხი, მონაწილეთა რაოდენობის გაზრდს და გაუმჯობესებული სპორტული შედეგები. | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | კულტურის სფეროს განვითარება | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | **05 02** | | 6055,7 |
| პროგრამის განმახორციელებელი | **განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური** | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა და განვითარება; კულტურული თვითმყოფადობის გაღრმავების ხელშეწყობა; ენთოგრაფიული მემკვიდრეობის შენარჩუნება; შემოქმედებითი პროცესების წარმართვა; კულტურული თვითმყოფადობის გაღრმავება; ადამიანის სულიერი, ინტელექტუალური, მორალური და ემოციური განვითარების ხელშეწყობა. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | უზრუნველყოფილია საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისთვის კულტურული ფასეულობებისა და ღირებულებების ხელმისაწვდომობა, კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ჩართულობა და ხელშეწყობილია კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობა | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამა** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **05 02 01** | | 2421,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი“** | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ა.ა.ი.პ. „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი"-ს სტრუქტურა შედგება: მიხეილ (მაცი) ხორავას სახ. სამხატვრო გალერეას, ადგ. მუზეუმებს და ჩხორიის სამოყვარულო თეატრის და კულტურის განვითარების განყოფილებისგან. წლის განმავლობაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები, რაც ხელს უწყობა ქართული ფოლკლორის აღორძინებას, ენთოგრაფიული მემკვიდრეობის შენარჩუნებას, განვითარებას და პოპულარიზაციას. ფოლკლორული ჯგუფების ხელშეწყობას, ქართული ხალხური სიმღერების აღდგენას და შენარჩუნებას. ხალხური ცეკვის სასცენო დამუშავების (დადგმის) მხატვრული კანონების დაცვას და მისი წარმომავლობისა კუთხური თავისებურებების (მოძრაობა,ილეთები,შესრულებისმანერა) გათვალისწინებით. ასევე სახელოვნებო ნიჭით დაჯილდოებული პირების გამოვლენას, ღვაწლმოსილი ხელოვანი ადამიანების წარმოჩენას. ლიტერატურულ-თეატრალური წარმოდგენების გამართვას, მუდმივად სხვადასხვა მხატვრების ექსპოზიციების და თემატური გამოფენების გახსნას, რაც ხელ უწყობას სახვითი ხელოვნების განვითარებას. ადგილობრივი მუზეუმების შენარჩუნება და განვითარება, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდებში ინტერესების გაღვივებას ეროვნული ფასეულობებისადმი და ჩვენი კულტურული მემკვიდრეობისადმი | | |
| მოსალოდნელი შედეგი | საზოგადოების სხვადასხვა ფენებისათვის კულტურული ფასეულობებისა და ღირებულებების ფართო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;<br>მოსახლეობის ინტელექტუალურ-შემეცნებითი დონის ამაღლება ხელოვნების სხვადასხვა დარგის მიმართულებით;<br>ქართული ხალხური ფოლკლორის ტრადიციების წარმოჩენა, ამ ჟანრის პოტენციური შესაძლებლობების განვითარება და პოპულარიზაცია;<br>თეატრალური ხელოვნებით საზოგადოების დაინტერესება;<br>მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების შენარჩუნება, განახლება და შევსება, სამუზეუმო საქმიანობის პოპულარიზაცია;<br>სამხატვრო გალერეის ბაზაზე მხატვართა ნამუშევრების, ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშების გამოფენების, მწერლებთან და სხვა დარგის ხელოვან ადამიანებთან შემოქმედებითი საღამოების მოწყობა. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამა | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 02 02 | | 30,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის კულტურის და ძეგლთა დაცვის განყოფილება | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამა ითვალისწინებს მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ინვენტარიზაციას, აღწერას, რეესტრის წარმოებასა და პოპულარიზაციას; შემეცნებითი ექსკურსია-ლაშქრობებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სამეცნიერო-კვლევითი კონფერენციების ორგანიზებას; კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში მომუშავე ორგანიზაციებთან პარტნიორული თანამშრომლობის განვითარებას.<br>პროგრამის მიზანია კულტურული მემკვიდრეობის აღრიცხვის, დაცვისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება. | | |
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა | მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება | | |
| მოსალოდნელი შედეგი | აღრიცხული და პოპულარიზებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები, ამაღლებული მოსწავლე-ახალგაზრდობის ცნობიერება კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ და გაძლიერებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში პარტნიორული თანამშრომლობა. | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | საბიბლიოთეკო დარგის განვითარების პროგრამა | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 02 03 | | 1550,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი“ | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი შედგება ერთი ცენტრალური ბიბლიოთეკისაგან, სამი საქალაქო და 27 სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალისგან. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი იზრუნებს მკითხველთა სწრაფი და სრული დაკმაყოფილებისთვის მათთვის საჭირო ინფორმაციისა და საბიბლიოთეკო დოკუმენტების მიწოდების კუთხით (ბეჭდური, ხელნაწერი და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები); სხვადასხვა პროექტების განხორციელებით აამაღლებს ბიბლიოთეკების როლს საზოგადოების ინფორმირებულობის, მეცნიერების, კულტურის, განათლებისა და ინტელექტუალური დონის ზრდის საქმეში. ამ მიზნით სხვადასხვა შემეცნებით ღონისძიებებს განახორციელებს: შემოქმედებით საღამოებს, შეხვედრებს თანამედროვე ავტორებთან, ჩამოაყალიბებს კლუბებს საზოგადოების, განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობის მონაწილეობით, მოეწყობა კინო ჩვენებები, გასვლითი კულტურული ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს მკითხველების/მომხმარებლების დასვენებას წიგნის გარემოში; ჩატარდება ფოტო გამოფენები, ფესტივალები, როგორც ბიბლიოთეკებში, ასევე ღია სივრცეებში, რაც | | |

| | |
|---|---|
| | ხელს შეუწყობს საზოგადოების წიგნიერების, შემოქმედებითი პოტენციალის ზრდას. ამით ბიბლიოთეკები მოიზიდავენ მკითხველებს და შესაბამისად გაიზრდება მათი რიცხვი. საბიბლიოთეკო სისტემის წიგნადი ფონდის შემადგენლობის გაუმჯობესების მიზნით მოხდება წიგნების შესყიდვა, ცენტრალური ბიბლიოთეკა იმუშავებს მხარეთმცოდნეობითი ციფრული ბიბლიოთეკის ბაზის შექმნაზე, გაგრძელდება ადგილობრივი პერიოდული პრესის ანალიტიკური აღწერა და გამოსაცემად მომზადება თემების მიხედვით; ცენტრალური ბიბლიოთეკა ხელს შეუწყობს მეცნიერებს, მკვლევარებს იმუშაონ ადგილზე იონა მეუნარგიას სახელობის მხარეთმცოდნეობით დარბაზში. |
| მოსალოდნელი შედეგი | • ბიბლიოთეკების უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;<br>• საზოგადოების ინტელექტუალური დონის ამაღლება;<br>• საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის განახლების გზით მოსახლეობის წიგნით დაინტერესება;<br>• ბიბლიოთეკის მასობრივ ღონისძიებებში მონაწილეობით მოზარდებში წიგნისადმი ინტერესის გაღვივება;<br>• ცენტრიდან დაშორებული სოფლების მოსახლეობის საინფორმაციო და წიგნით მომსახურების გაზრდა;<br>• თანამშრომლების საქმიანობის პროდუქტიულობის ზრდა. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **კულტურული ღონისძიებების დაფინანსება** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **05 02 04** | | 300,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | **განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის კულტურის და ძეგლთა დაცვის განყოფილება** | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამა ითვალისწინებს სადღესასწაულო კულტურული ღონისძიებების, ადგილობრივი, ქვეყნის შიდა და საერთაშორისო ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, შემოქმედებითი საღამოების, კონცერტების დაგეგმვა და ორგანიზება; ნიჭიერი შემოქმედებითი ადამიანებისა და ჯგუფების წარმოჩენა და პოპულარიზაცია, მონაწილეთა მასობრიობა, წელიწადის ყველა ღირსშესანიშნავი დღისა და დღესასწაულის აღნიშვნა ღონისძიებებით. თეატრის, კინოს, კლასიკური, საოპერო და საესტრადო მუსიკის, ქორეოგრაფიის, სახვითი, გამოყენებითი ხელოვნებისა და ხელოვნების ტრადიციული დარგების განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა, შენარჩუნება, დაცვა და პოპულარიზაცია. ხელოვნების სხვადასხვა დარგების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. კულტურულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის მიზნით საზოგადოებაში მოტივაციის ამაღლება. ისტორიულად, რელიგიურად და კულტურულად ჩამოყალიბებული ეროვნული ტრადიციების დაცვა და განმტკიცება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საბიბლიოთეკო სისტემის განვითარება და მისთვის მეთოდური დახმარების გაწევა. ადგილობრივ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა საიუბილეო თარიღების აღნიშვნა, ხელოვანების საღამოების მოწყობა, შემოსული მცირე პროექტების ხელშეწყობა. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | დასვენებისა და გართობის კულტურის ჩამოყალიბება, საზოგადოების მოტივირება და კულტურული ფასეულობების დაცვა-პოპულარიზაცია | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **05 02 05** | | 40,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | **მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილება** | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოსახლეობის ჩართულობის გასაზრდელად საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება; საგანმანათლებლო, ისტორიული, მემუარული, საცნობარო და სხვა სახის საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა; წიგნების, ბროშურების, საინფორმაციო ბუკლეტების გამოცემა; საზოგადოების დაინტერესებული ნაწილისათვის თემატურად მნიშვნელოვანი მასალების გაცნობის ხელმისაწვდომობის გაზრდა; მერიის საქმიანობის, დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციისა და ანონსების განთავსება მთავარ და თემატურ გვერდებზე; ფოტო და ვიდეომასალების, ინფომრაციის გავრცელება სოციალურ ქსელში ამ დანიშნულებით შესაბამისი სააგენტოს მომსახურება; ნორმატიული აქტების გამოქვეყნება საკანონმდებლო მაცნეში; გაზეთ „ახალ ზუგდიდში“ მასალებისა და ინფორმაციების განთავსების მომსახურების შესყიდვა; ვებგვერდის მომსახურების შესყიდვა. მუნიციპალიტეტის ნორმატიული სამართლებრივი აქტების და საქართველოს ზოგადადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა მიხედვით აღმასრულებელი ორგანოს ანგარიშის გამოქვეყნება; ადგილობრივ ტელე და რადიო ეთერში მუნიციპალიტეტის საინფორმაციო თუ სხვა საჭიროებისათვის საეთერო დროის მომსახურების შესყიდვა. | | |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობის ზრდა მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე, დაგეგმილ და განხორციელებულ პროგრამებსა და პროექტებზე; მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვან გამოცემათა უზრუნველყოფა. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **რელიგიის ხელშეწყობის პროგრამა** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **05 02 06** | | 135.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | **განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური** | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | რელიგიის ხელშეწყობის პროგრამა ემსახურება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მოქმედი რელიგიური ორგანიზაციების ფინანსურ ხელშეწყობას. საქართველოს მთავრობის N177 19.02.2014 წ. დადგენილების საფუძველზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების, მათ შორის რელიგიურ-საკულტო დანიშნულების ნაგებობების რესტავრაციის, რეკონსტრუქციისა და სამშენებლო-ზედამხედველობის მიზნით სსიპ საქართველოს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან შეთანხმებას და | | |

| | |
|---|---|
| | მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე შემდგომი ქმედითი რონისძიებების განხორციელებას.პროგრამის მიზანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მოქმედი რელიგიური ორგანიზაციების მომართვის საფუძველზე კონკრეტული ქმედითი ღონისძიებების განხორციელება. სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოდან მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე საკულტო-სარიტუალო შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია, მშენებლობა. სახალხო -რელიგიური დღესასწაულების მოწყობა და პოპულარიზება. |
| მოსალოდნელი შედეგი | გაუმჯობესდება საკულტო - სარიტუალო შენობა ნაგებობების მდგომარეობა და მათთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა. მოწყობილი მრევლისთვის ადაპტირებული გარემო. გაზრდილი ტოლერანტული ურთიერთდამოკიდებულება. |

| პროგრამის დასახელება | კოდი | სახელოვნებო სკოლები ხელშეწყობის პროგრამა | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **05 02 07** | | 1534,7 |
| პროგრამის განმახორციელებელი | **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლების განვითარების ცენტრი** | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა მიზნად ისახავს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ბავშვებისა და მოზარდების მუსიკალური და სახვითი ხელოვნების მიმართულებით შემოქმედებითი უნარების განვითარებას, ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებასა და ხელოვნების საფუძვლების შესწავლას. პროგრამა უზრუნველყოფს სამუსიკო, საგუნდო-სამუსიკო და სამხატვრო სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობას, მოსწავლეთათვის ხარისხიანი სახელოვნებო განათლების ხელმისაწვდომობას, ქართული ფოლკლორისა და კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციას, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა-შენარჩუნებასა და შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებას. აღნიშნული მიზნების მისაღწევად პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სასწავლო და შემოქმედებითი საქმიანობა, კონცერტები, გამოფენები, კონკურსები და ფესტივალები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა პროფესიულ განვითარებასა და კულტურულ ცხოვრებაში მათ აქტიურ ჩართულობას. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | გაუმჯობესდება სახელოვნებო განათლების ხარისხი და ხელმისაწვდომობა, განვითარდება მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარები, გაიზრდება კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მათი მონაწილეობის შესაძლებლობა. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ფინანსური ხელშეწყობა** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **05 02 08** | | 20.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | **განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის კულტურისა და ძეგლთა დაცვის განყოფილება** | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ - არქიტექტურული მუზეუმის ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა მოიცავს სხვადასხვა სახის მხარდჭერას, | | |

| | |
|---|---|
| | რომელიც ხელს უწყობს ზუგდიდის, როგორც ისტორიულ - კულტურული ცენტრის პოზიციონირებას. ტურისტული პოლიტიკის წარმოების შესაძლებლობას. დადიანების მუზეუმის მატერიაალურ - ტექნიკური ბაზის განახლებას. შემოქმედებითი ნაშრომების პუბლიკაციას. ზუგდიდის მუზეუმზე საინფორმაციო გზამკვლევი მეგზურისა და მონოგრაფიული გამოცემების მომზადებას. |
| მოსალოდნელი შედეგი | სსიპ ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ - არქიტექტურული სამუზეუმო კომპლექსის ფინანსური ხელშეწყობა და პოპულარიზაცია.<br>ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ - არქიტექტურულ მუზეუმში დაცული არტეფაქტების საზოგადოების ფართო ფენისთვის გაცნობა.<br>დადიანების სასახლეთა საგანძურის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება |

| პროგრამის დასახელება | კოდი | **საცხენოსნო კლუბ "ხარებას" ფინანსური ხელშეწყობა** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **05 03** | | 80,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | **ა(ა)იპ საცხენოსნო კლუბი „ხარება“** | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს სპორტული და ტრადიციული ცხენოსნობის პოპულარიზებას, ქვეყნის მასშტაბით ორგანიზებულ ცხენოსნობის ეროვნული სახეობების (ისინდი, ცხენბურთი, დოღი, მარულა) სპრტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა, ახალგაზრდების დაინტერესება სპორტის ამ სახეობით. ასევე, პროგრამა ითვალისწინებს სპორტული ღონისძიებების (შეჯიბრებები ცხენოსნობის სპორტულ და ეროვნულ სახეობებში) ორგანიზებას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. | | |
| მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | სპორტული ცხენოსნობის პოპულარიზაცია, საცხენოსნო სპორტით ახალგაზრდობის დაინტერესების გაზრდა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | **ქართული ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **05 04** | | 717,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ოდიში“-1919.** | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | სპორტის დახელოვნების, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების, ახალგაზრდებში სპორტული უნარჩვევებისა და სპორტულ-პატრიოტული სულის ჩამოყალიბების მიზნით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“ ანხორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ბავშვთა და მოზარდთა თაობის მაქსიმალური რაოდენობის ჩასაბმელად საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“-ის პროფილის შესაბამისად, მათი მეთოდური აღზრდისა და დაოსტატებისათვის.<br>საფეხბურთო სკოლა „ოდიში 1919“ -ის მიზანია ფეხბურთის, როგორც მასობრივი სპორტის განვითარება, ოფიციალურ საფეხბურთო მატჩებში და სხვადასხვა რანგის საფეხბურთო ტურნირებში მონაწილეობის უზრუნველყოფა. ამასთანავე ხელშეწყობა ახალგაზრდების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაში, თვითრეალიზებასა და დამოუკიდებელი | | |

| | |
|---|---|
| | აზროვნების ჩამოყალიბებაში. ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამის მიზანია განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების გამოვლენა, მათი მხარდაჭერა, ოფიციალურ ტურნირებში მონაწილეობის უზრუნველყოფა, სპორტსმენთათვის მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა, საწვრთნელი ფორმებით უზრუნველყოფა, სამედიცინო დიაგნოსტიკური მომსახურების უზრუნველყოფა. მწვრთნელთა გადამზადება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.<br>საფეხბურთო სკოლა „ოდიში 1919“-ის მიზანია სწავლების დონემ და ხარისხმა თანამედროვე სტანდარტებს უპასუხოს და სწორად გამოვიყენოთ ყველა რესურსი, რომელსაც გვთავაზობს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია. ფეხბურთის მშენებლობა საძირკვლიდან, ბავშვთა ფეხბურთის ხელშეწყობიდან დავიწყოთ. ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარებაში უდიდესი ადგილი უჭირავს ფიზმომზადების როლს, ვარჯიშის სწორად დაგეგმვას. ზედმეტმა დატვირთვამ შესაძლოა მოზარდის შემდგომი განვითარება შეაფერხოს და საბოლოო ჯამში წერტილი დაუსვას მის კარიერას. ამიტომაც საფეხბურთო სკოლა „ოდიში 1919“ ანხორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს მწვრთნელთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. საწვრთნელი ვარჯიშების სწორად დაგეგმისათვის მნიშვნელოვანია ბავშვების ფსიქოლოგიის ცოდნა და ინდივიდუალური მიგდომა, აუცილებელია მწვრთნელი იყოს დინამიური, საქმისადმი ერთგული და პოზიტიურად კონსტრუქციული პედაგოგი ანუ პიროვნება, რომელიც ყოველთვის დაეხმარება , მხარს დაუჭერს თავის მოთამაშეებს და იზრუნებს მათზე, გააღრმავებს მათ მოტივაციას, ექნება შთაგონების უნარი. კვალიფიციური მწვრთნელი უნდა ფლობდეს საუბრის ხელოვნებას. იყო კარგი მწვრთელი არ ნიშნავს მხოლოდ გესმოდეს ფეხბურთი, ეს არც მხოლოდ ტალანტების განვითარება და მოგებებია - ეს არის იცნობდე მოზარდის ხასიათს.<br>ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამაში ჩართულ ყველა ახალგაზრდა ფეხბურთელს ვაძლევთ სტიმულს და საშუალებას მაქსიმალურად იყვნენ ჩაბმულები სასკოლო განათლებაში ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ვარჯიშები იგეგმება სკოლისაგან თავისუფალ დროს.<br>ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამის მიზანია ახალგაზრდა თაობა დაკავდეს სპორტით, განვითარდეს მათი ტექნიკური, ტაქტიკური და ფიზიკური მიმართულებები. მოტივაციისთვის მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ დაძაბულ შეჯიბრებებში, სადაც მათი მთავარი მიზანი უნდა იყოს მოგება. საფეხბურთო კლუბის მიზანია ასწავლოს სპორტსმენებს დაეყრდნონ წვრთნების შედეგად გამომუშავებულ შესაძლებლობებს და განუვითარდეთ პასუხისმგებლობის გრძნობა და თვითპატივისცემა. ახალგაზრდა ნიჭიერი თაობის გამოსავლენად კლუბი ატარებს ღონისძიებებს, ტურნირებს რაიონის მაშტაბით.<br>ფეხბურთი არის სპორტი, როდესაც სპორტსმენებმა დამოუკიდებლად უნდა მიიღონ გადაწყვეტილება. საფეხბურთო სკოლა „ოდიში 1919“-ის მიზანია გამოვძებნოთ და შევარჩიოთ ფეხბურთელები სწორი გენით და შემდეგ ხარისხიანი ვარჯიშების საშუალებით განვავითაროთ, რომ ჩამოყალიბდნენ უმაღლესი დონის ფეხბურთელებად. რაც უფრო ბევრ კარგ ფეხბურთელს შევარჩევთ არსებობს მეტი შანსი ნიჭიერი ფეხბურთელების მოძებნისა. ფართო ბაზის შექმნა პირველი ნაბიჯია უმაღლესი დონის ფეხბურთელის გასაზრდელად. |

| | |
|---|---|
| მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | საფეხბურთო სკოლა „ოდიში 1919“ ინფრასტრუქტურის განვითარება, კვალიფიციური კადრები, ნაყოფიერი სამწვრთნელო გარემო, სწავლების აქტიური მეთოდების დანერგვა განაპირობს ბენეფიციართა მნიშვნელოვან ზრდას.<br>საფეხბურთო კლუბის მიზანია ასწავლოს სპორტსმენებს დაეყრდნონ წვრთნების შედეგად გამომუშავებულ შესაძლებლობებს და განუვითარდეთ პასუხისმგებლობის გრძნობა და თვითპატივისცემა. ახალგაზრდა ნიჭიერი თაობის გამოსავლენად კლუბი ატარებს ღონისძიებებს, ტურნირებს რაიონის მაშტაბით.<br>ფეხბურთი არის სპორტი, სადაც სპორტსმენებმა დამოუკიდებლად უნდა მიიღონ გადაწყვეტილება. საფეხბურთო სკოლა „ოდიში 1919“-ის მიზანია გამოვძებნოთ და შევარჩიოთ ფეხბურთელები სწორი გენით და შემდეგ ხარისხიანი ვარჯიშების საშუალებით განვავითაროთ, რომ ჩამოყალიბდნენ უმაღლესი დონის ფეხბურთელებად. რაც უფრო ბევრ კარგ ფეხბურთელს შევარჩევთ არსებობს მეტი შანსი ნიჭიერი ფეხბურთელების მოძებნისა. ფართო ბაზის შექმნა პირველი ნაბიჯია უმაღლესი დონის ფეხბურთელის გასაზრდელად. |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | **ს.ს.ი.პ. ქალაქ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის ხელშეწყობის პროგრამა** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | **05 05** | | 30,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | **განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური** | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს ს.ს.ი.პ. ,,ქალაქ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის“ პოპულარიზაციის მიზნით საქართველოს ფარგლებში საგასტროლე ტურნეებისა და ახალი სპექტაკლების სადადგმო ხარჯების დაფინანსებას. | | |
| მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | • ქალაქ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ცნობადობის ამაღლება;<br>• საზოგადოების კულტურულ-თეატრალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება;<br>თეატრის რეპერტუარის პოპულარიზაცია. | | |

**მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 5228,0 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

**ათას ლარში**

| **პროგრამული კოდი** | **დასახელება** | **2027 წლის გეგმა** |
|---|---|---|
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | **5,228.0** |
| 06 01 | ჯანმრთელობის დაცვა | **2,625.8** |
| 06 01 01 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | **640.8** |

| | | |
|---|---|---|
| 06 01 03 | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა | **1,100.0** |
| 06 01 04 | აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამა | **885.0** |
| 06 02 | სოციალური დაცვა | **2,522.0** |
| 06 02 01 | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა | **360.0** |
| 06 02 02 | ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამა | **42.0** |
| 06 02 03 | ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა | **65.0** |
| 06 02 04 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამა | **200.0** |
| 06 02 05 | მარტოხელა მშობლის სოციალური დაცვის პროგრამა | **115.0** |
| 06 02 06 | ხანდაზმულთა, შინმოვლისა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა | **25.0** |
| 06 02 07 | სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა | **100.0** |
| 06 02 08 | ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამა | **150.0** |
| 06 02 09 | სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამა | **400.0** |
| 06 02 10 | დევნილთა მხარდაჭერის პროგრამა | **40.0** |
| 06 02 11 | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გათბობის საშუალებებით მხარდაჭერისა და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამა | **250.0** |
| 06 02 12 | სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება | **15.0** |
| 06 02 13 | პროგრამა "სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში" | **10.0** |
| 06 02 14 | უსახლკაროდ და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა | **750.0** |
| 06 03 | ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა | **80.2** |
| 06 03 01 | სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის მატერიალური დახმარების პროგრამა | **40.0** |
| 06 03 03 | ბავშვთა სადღესასწაულო და სოლიდარობის დღეების აღნიშვნის პროგრამა | **3.0** |
| 06 03 04 | სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი და საგანმანათლებლო წრეების დაფინანსების ქვეპროგრამა | **37.2** |

| პროგრამის დასახელება | კოდი | ჯანმრთელობის დაცვა | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 06 01 | | 2625,8 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში 3 ქვეპროგრამა ხორციელდება, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ღონისძიებებსა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებას. | | |
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა | მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის<br>მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე | | |
| მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | უზრუნველყოფილია სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობა | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 06 01 01 | | 640,8 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ჯანდაცვის მიმართულებით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სახელმწიფოს მიერ დელეგირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები, რომელიც მიმდინარეობს ჯანდაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინის) შესაბამისად. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინტეგრირებული პროგრამა ითვალისწინებს გადამდებ დაავადებათა გავრცელების პრევენციას ეპიდზედამხედველობის სისტემით, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვის, განხორციელების ხელშეწყობას საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფით, იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შეზღუდვას, პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევას დაავადების დიაგნოსტიკისა და პროფილაქტიკური მკურნალობისას, სანიტარული ღონისძიებების დაცვის ზედამხველობას სკოლამდელ დაწესებულებებსა და სკოლებში. | |
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა | მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის<br>მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების | | |

| | |
|---|---|
| | ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე |
| მოსალოდნელი შედეგი | ინფექციური და არაინფექციური დაავადებების გამოვლენა, მკურნალობაში დროული ჩართვა, ელიმინაცია. |

| | | | |
|---|---|---|---|
| **ქვეპროგრამის დასახელება** | **კოდი** | **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა** | **2027 წლის დაფინანსება ათას ლარში** |
| | **06 01 03** | | **1100,0** |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | | **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება** | |
| **ქვეპროგრამის აღწერა** | | პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სამედიცინო მომსახურებების დაფინანსება/თანადაფინანსება, მათ შორის:<br>1. ძვირადღირებული სამედიცინო გამოკვლევები: კომპიუტერული და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, კორონაროგრაფია და PET/CT კვლევა, შესაბამისი ლიმიტების ფარგლებში, პროგრამით განსაზღვრული მოსარგებლეებისთვის;<br>2. სტაციონარული სამედიცინო მომსახურება: გეგმიური და გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსება, მათ შორის სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამებით გათვალისწინებული ოპერაციების პაციენტის თანაგადახდის დაფინანსება, განსაზღვრული პირობებისა და ლიმიტების შესაბამისად;<br>3. ონკოლოგიური პაციენტების მხარდაჭერა: ქიმიოთერაპიის, სხივური, რადიო, ტარგეტული და სხვა სახის თერაპიის თანადაფინანსება;<br>4. ძვირადღირებული მედიკამენტების დაფინანსება ქრონიკული დაავადებების მქონე პირებისა და მოწყვლადი ჯგუფებისთვის;<br>5. 0–18 წლამდე ბავშვთა და შშმ პირთა რეაბილიტაცია: 0–18 წლამდე ბავშვებისა და 18 წლის ზევით შშმ პირების სარეაბილიტაციო მკურნალობის დაფინანსება/თანადაფინანსება, პროგრამით განსაზღვრული მოსარგებლეებისთვის, ლიმიტების ფარგლებში;<br>6. იშვიათი დაავადებების მქონე პირების მხარდაჭერა: ცელიაკიის, ფენილკეტონურიისა და მუკოვისციდოზის მქონე პირების სპეციალიზებული საკვებით უზრუნველყოფა;<br>7. ონკოლოგიური დაავადებების ადრეული გამოვლენა: ფარისებრი ჯირკვლისა და ფილტვის კიბოს ადრეული გამოვლენის მიზნით სკრინინგული მომსახურება;<br>8. სპეციფიკური მოვლის საშუალების — ექსკრემენტის მიმღები კონტეინერის — დაფინანსება;<br>9. ბინაზე მყოფი, პალიატიური ზრუნვის საჭიროების მქონე პირების სამედიცინო სახარჯი მასალითა და დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა; | |

| | |
|---|---|
| | 10. კოხლეარული იმპლანტის მქონე ბავშვებისთვის სასმენი აპარატისა და პროცესორის დამხმარე საშუალებების დაფინანსება/თანადაფინანსება;<br>11. მხედველობის პრობლემების მქონე ბავშვების მხარდაჭერა.<br>პროგრამის მიზანია მოსახლეობის, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების, სამედიცინო მომსახურებებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა და ჯანმრთელობის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა. |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა<br>მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის |
| **პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | მოწყვლადი ჯგუფებისა და საჭიროების მქონე პირებისათვის სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, დაავადებების ადრეული გამოვლენისა და დროული მკურნალობის ხელშეწყობა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და ცხოვრების ხარისხის ამაღლება. |

| | | | |
|---|---|---|---|
| **ქვეპროგრამის დასახელება** | **კოდი** | **აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამა** | **2027 წლის დაფინანსება ათას ლარში** |
| | **06 01 04** | | **697.2** |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | | **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება** | |
| **ქვეპროგრამის აღწერა** | | პროგრამა გულისხმობს მიმწოდებლის მიერ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა მოტორული, შემეცნებითი, სოციალური განვითარების, თვითმოვლისა და დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარების ჩამოყალიბების ხელშეწყობას, რაც მოიცავს მულტიდისციპლინური გუნდის, საჭიროების შემთხვევაში — რამდენიმე სპეციალისტის (ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, ნევროლოგი, ქცევითი თერაპევტი, ოკუპაციური თერაპევტი, ლოგოპედი, სპეციალური პედაგოგი და სხვა) მომსახურებას. აუტიზმის სპექტრის დარღვევის (F84.0; F84.9) მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამის დაფინანსება გათვალისწინებულია 195 ბავშვისთვის. მომსახურება ფინანსდება ყოველთვიურად, არაუმეტეს 18 საათისა; თვეში დაფინანსების მაქსიმალური ლიმიტია 378 (სამას სამოცდათვრამეტი) ლარი. |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | | მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა<br>მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის | |
| **პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | | აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა განვითარების სტიმულირება, ადაპტაციური ფუნქციონირების გაუმჯობესება, სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი ოჯახების მხარდაჭერა. | |

## სოციალური დაცვა

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებისა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებული პირების უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა პროგრამების განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მარტოხელა მშობლების, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური მხარდაჭერასა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის დაცვას. სოციალურად დაუცველი, კანონთან კონფლიქტში მყოფი და ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემების მქონე ბავშვების ეკონომიკური და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერას.

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 06 02 | | | 2522,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისთვის გარკვეული შეღავათების დაწესებასა და სოციალური დახმარებების გაწევას: მზრუნველობამოკლებული პირების უფასო კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა პროგრამების განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მარტოხელა მშობლების, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფსიქო- სოციალური მხარდაჭერასა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის დაცვას. სოციალურად დაუცველი, კანონთან კონფლიქტში მყოფი და ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემების მქონე ბავშვების ეკონომიკურ და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერას. | | |
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა | მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა<br>მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა | | |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | გაზრდილია მუნიციპალურ და კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა. გამჯობესებულია საზოგადოების ცალკეული კატეგორიის სოციალური პირობები. | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 06 02 01 | | | 360,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფსიქო-სოციალურ მხარდაჭერას. სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა ცხელი | | |

| | |
|---|---|
| | სადილით უზრუნველყოფას დღეში ერთხელ. სასადილოს ბენეფიციარები შეიძლება იყვნენ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული პირები, მარტოხელა, უმუშევარი პენსიონერები, შშმ პირები და სხვა (300 ბენეფიციარი). აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, სოფელში მცხოვრები განსაკუთრებით მძიმე სოციალური და ეკონომიური პირობების მქონე პირები (შშმ პირები, მარტო მცხოვრები მოხუცები და ა.შ) მიიღებენ საკვები პროდუქტებით დახმარებას ერთჯერადად წლის განმავლობაში. |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა<br>მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა |
| მოსალოდნელი შედეგი | კვებით უზრუნველყოფილი მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფები;<br>მზრუნველობამოკლებულთა სასადილოში ჩართვის მსურველთა მომლოდინეთა ბაზის შექმნა. |

| პროგრამის დასახელება | კოდი | **ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამა** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **06 02 02** | | 42,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება** | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამა ითვალისწინებს ომის ვეტერანთა და მათი ოჯახების ხელშეწყობას: მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებული პირების დახმარებას 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან — 9 მაისთან დაკავშირებით; ა(ა)იპ „ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ზუგდიდის ვეტერანთა კავშირის“ ფინანსურ უზრუნველყოფას ამავე კავშირის თავმჯდომარის მიმართვის საფუძველზე, ყოველი თვის ბოლო რიცხვებში; საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე ვეტერანების დაკრძალვის ხარჯების თანადაფინანსებას 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით; ყოველწლიურად, აგვისტოში, 2008 წლის აგვისტოს ომში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების ფინანსურ მხარდაჭერას, თითოეულ ოჯახზე 1000 (ათასი) ლარის ოდენობით წელიწადში ერთხელ, მათი ღვაწლის დაფასებისა და თანადგომის მიზნით. | |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ვეტერანებისა და მათი ოჯახების წევრების ფსიქოსო-სოციალური და ფინანსური მხარდაჭერა | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | **ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ოჯახებისა და ბავშვების გაძლიერება** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **06 02 03** | | 65,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება** | | |

| | |
|---|---|
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამა ითვალისწინებს მრავალშვილიანი და ახალშობილიანი ოჯახების ერთჯერად დახმარებას, დედ-მამით ობოლი ბავშვების ყოველთვიურ დახმარებას, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფინანსურ მხარდაჭერას.<br>ბავშვიანი ოჯახების სოციალური დაცვის ერთჯერადი ფულადი დახმარებები: მრავალშვილიანი ოჯახებისათვის — 18 წლამდე ასაკის 4 ბავშვზე 300 ლარი, 5 ბავშვზე 400 ლარი და ა.შ.; პირველი-მეორე შვილის შეძენისას სოციალურად დაუცველ ოჯახებზე (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები) ერთჯერადი ვაუჩერული დახმარება 500 ლარის ოდენობით ბავშვის მოვლისა და ჰიგიენის საშუალებების შესაძენად; ნებისმიერი კატეგორიისთვის ტყუპის შეძენისას — 1000 ლარი; დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ყოველთვიური დახმარება 100 ლარის ოდენობით; ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 100–800 ლარის ოდენობით (შემაკავებელი და დამცავი ორდერის მოქმედების პირობებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით), სტატუსის მოქმედების ვადის შესაბამისად.<br>ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობის ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალთა სოციალური და ეკონომიკური გაძლიერების საკითხებთან დაკავშირებული ღონისძიებების მხარდაჭერას, თემატური ტრენინგების ჩატარებას, საინფორმაციო ბიულეტენების მომზადებასა და მოსახლეობისათვის მიწოდებას, „ქალთა ოთახის“ სერვისის ხელშეწყობას.<br>პროგრამის მიზანია სოციუმში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობა, ოჯახებისა და ბავშვების მატერიალური სახსრებით გაძლიერება. |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა<br>მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე |
| მოსალოდნელი შედეგი | დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა;<br>მრავალშვილიანი ოჯახების, ობოლი და მზრუნველობამოკლებული ბავშვების, მარტოხელა მშობლების, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფსიქო- სოციალური მხარდაჭერა; **ქალისა და მამაკაცის** თანასწორების დაცვა;<br>ქვეპროგრამის ფარგლებში ბენეფიციართა გაუმჯობესებული სოციალურ-მორალური მდგომარეობა და გარემოსთან რეინტეგრაცია. |

| პროგრამის დასახელება | კოდი | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამა | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 06 02 04 | | 200,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | 18 წლამდე ასაკის შშმ და მძიმე ქრონიკული დაავადებების მქონე ბავშვებისთვის ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 ლარის ოდენობით, გარდა ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში ყოველთვიური დაფინანსების მქონე ბავშვებისა; სმენა- და მხედველობადაქვეითებული, მკვეთრად გამოხატული ხარისხის მქონე შშმ პირებისთვის კომუნალური ხარჯების თანადაფინანსების მიზნით ფულადი დახმარება 30-30 ლარის ოდენობით 4 თვის განმავლობაში; ზრუნვის განსაკუთრებული (მოვლის) საჭიროების მქონე პირთა ოჯახების ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა სოციალურად დაუცველ ოჯახებს (სარეიტინგო ქულა 35 001-ზე ნაკლები) 200 (ორასი) ლარის ოდენობით. თავისუფალი გადაადგილების სოციალური სერვისი ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული/მცხოვრები გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირთა ინდივიდუალურ მობილობას. პერსონალური ასისტენტის სერვისი (დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში). პროგრამის მიზანია შშმ პირთა გაძლიერება და მხარდაჭერა. | | |
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა | მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა | | |
| მოსალოდნელი შედეგი | შეზღუდული შესაძლებლობის და განსაკუთრებული მოვლის საჭიროების მქონე პირთა სოციალური, ეკონომიური და მორალური მხარდაჭერა, გარემოსთან ადაპტირების შესაძლებლობის გაუმჯობესება. | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | მარტოხელა მშობლის სოციალური დაცვის პროგრამა | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 06 02 05 | | 115,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამა ითვალისწინებს მარტოხელა მშობელთა და მარჩენალდაკარგული ოჯახების ფინანსურ მხარდაჭერას: მარჩენალდაკარგულ ოჯახს, რომელსაც ჰყავს 18 წლამდე შვილი, — ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 (ორასი) ლარი წელიწადში ერთხელ, მარტოხელა მშობელს — 100 (ასი) ლარი ყოველთვიურად, მათი მხარდაჭერის მიზნით. | | |
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა | მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა<br>მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების | | |

| | |
|---|---|
| | ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე |
| მოსალოდნელი შედეგი | მარტოხელა მშობლებისა და მარჩენალდაკარგული ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქება და არასრულწლოვანი შვილების საჭიროებების დაკმაყოფილების ხელშეწყობა. |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | ხანდაზმულთა, შინმოვლისა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | **06 02 06** | | 25,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება** | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამა ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ 100 წელს გადაცილებულ პირთა ერთჯერად 1000-ლარიან დახმარებას, სოციალურად დაუცველ (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები) ადგილობრივ გარდაცვლილ ბენეფიციართა ოჯახისთვის ერთჯერად ფულად დახმარებას 500 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამის ფარგლებში მოქმედებს ასევე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მარტოხელა და მარტომცხოვრები ხანდაზმულების შინმოვლის სერვისი: სპეციალურად ადაპტირებული მიკროავტობუსის საშუალებით ექიმით, მომვლელი ქალითა და მძღოლით დაკომპლექტებული მობილური ჯგუფი, რომელიც ადგილზე ახორციელებს ვიზიტებს და საჭიროების მიხედვით უწევს ხანდაზმულებს სხვადასხვა სოციალურ მომსახურებას, ხანდაზმულთა გაძლიერებისა და მხარდაჭერის მიზნით. | | |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა | | |
| მოსალოდნელი შედეგი | 100 წელს გადაცილებული პირებისა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერა, მარტოხელა და მარტომცხოვრები ხანდაზმულებისთვის შინმოვლისა და საჭირო სოციალური მომსახურებების მიწოდება, მათი ყოფითი და სოციალური საჭიროებების შემსუბუქება, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და სოციალური მხარდაჭერის გაძლიერება. | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | **სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | **06 02 07** | | 100.0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება** | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | სადღესასწაულო დღეებში (შობა-ახალი წელი და აღდგომა) საზეიმო განწყობის შექმნის მიზნით დედ-მამით ობოლი ბავშვების, მარტოხელა მშობლების, მრავალშვილიანი ოჯახების, 100 წელს გადაცილებული პირების, მზრუნველობამოკლებულთა უფასო სასადილოსა და სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარების, ასევე განსაკუთრებით შეჭირვებული ოჯახების მხარდაჭერა საკვები პროდუქტებით. შშმ პირთა და ხანდაზმულთა უფლებების დაცვის დღეების აღსანიშნავი ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა (14 ივნისი, 3 | | |

| | |
|---|---|
| | დეკემბერი, 1 ოქტომბერი). |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა |
| მოსალოდნელი შედეგი | სოციალურად დაუცველი და მოწყვლადი ჯგუფებისათვის სადღესასწაულო დღეებში სოციალური და მატერიალური მხარდაჭერის უზრუნველყოფა, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქება და საზოგადოებაში მათი ინტეგრაციისა და ღირსეული ცხოვრების ხელშეწყობა. |

| პროგრამის დასახელება | კოდი | **ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამა** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **06 02 08** | | 150,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება** | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პაციენტებისა და პერიტონეალური დიალიზის პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების ხარჯების თანადაფინანსება, თითოეულზე თვეში 100–150 ლარის ოდენობით, ადმინისტრაციული ერთეულის სერვისის მიმწოდებელი ცენტრიდან დაშორების გათვალისწინებით. სოციალურად დაუცველი სტუდენტების (65 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულით), რომლებიც სწავლობენ მუნიციპალიტეტის საზღვრებს გარეთ აკრედიტებულ უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებში, მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება წელიწადში ერთხელ 200 (ორასი) ლარის ოდენობით. სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის დღის ცენტრების ქვეპროგრამაში ჩართული შშმ ბავშვების თანმხლებ პირთა ტრანსპორტირების თანადაფინანსება, მათი აუცილებელ სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით. | | |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა<br>მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ჰემოდიალიზისა და პერიტონეალური დიალიზის პროგრამაში ჩართული პაციენტების, სოციალურად დაუცველი სტუდენტებისა და შშმ ბავშვების თანმხლები პირების ტრანსპორტირების ხარჯების თანადაფინანსება, რის შედეგადაც გაუმჯობესდება მათი ხელმისაწვდომობა აუცილებელ სამედიცინო, საგანმანათლებლო და სოციალურ სერვისებზე და შემცირდება ტრანსპორტირების ხარჯით გამოწვეული ფინანსური ტვირთი. | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | **სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამა** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **06 02 09** | | 400,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება** | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს ხანძრის, დიდთოვლობის, ქარბუქის, მიწისძვრის, წყალდიდობისა და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად | | |

| | |
|---|---|
| | დაზარალებული და უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისთვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა, ყოფითი პირობების გაუმჯობესება, ფსიქოსოციალური მხარდაჭერა, უსახლკაროდ დარჩენილთა ბინის ქირით უზრუნველყოფა.<br><br>ხანძრის შედეგად დაზარალებული, უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ერთჯერადი დახმარება — 5 000 ლარამდე: საცხოვრებელი სახლის/ბინის მთლიანად განადგურების შემთხვევაში ერთჯერადი დახმარება 5 000 ლარის ოდენობით, ხოლო ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში — მდგომარეობისა და პირობების შემსწავლელი კომისიის გადაწყვეტილებით. ხანძრის შედეგად საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული სამზარეულო სახლის მთლიანად განადგურების შემთხვევაში დაზარალებულ ოჯახზე გაიცემა ერთჯერადი ფულადი დახმარება 2 000 ლარის ოდენობით; სამზარეულო სახლის ნაწილობრივ დაზიანების შემთხვევაში დაფინანსების ლიმიტს განსაზღვრავს სოციალური მდგომარეობისა და პირობების შემსწავლელი კომისია, დაზიანებული ფართობის მიხედვით.<br><br>დიდთოვლობის, ქარბუქის, მიწისძვრის, წყალდიდობისა და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე გაიცემა ერთჯერადი დახმარება (3 000 ლარამდე). მეწყრის შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე — 500 ლარი ერთჯერადად, დაზარალების I კატეგორიის შემთხვევაში.<br><br>ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (რეგისტრაცია უნდა ფიქსირდებოდეს არანაკლებ 1 წლისა) უსახლკაროდ დარჩენილი, ყველაზე მძიმე ეკონომიკურ პირობებში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების (სარეიტინგო ქულა 65 001-მდე), ძალადობის მსხვერპლთა, სახლდამწვართა, მეწყრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილთა, ზრუნვის სისტემიდან გასული პირებისა და ყოფილი პატიმრების დახმარება ბინის ქირის საფასურის გადახდის მიზნით — ფინანსური მხარდაჭერა თითოეულ ოჯახზე 200 ლარის ოდენობით ყოველთვიურად, შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით, მათთვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნის, საცხოვრებლის ქირით უზრუნველყოფისა და ყოფითი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა |
| მოსალოდნელი შედეგი | დაზარალებული ოჯახების საცხოვრებელი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და უსახლკაროდ დარჩენილი პირებისთვის საცხოვრებლით უზრუნველყოფის ხელშეწყობა. |

| პროგრამის დასახელება | კოდი | **დევნილთა მხარდაჭერის პროგრამა** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **06 02 10** | | 40,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება** | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, განსაკუთრებული საჭიროების მქონე (მარტოხელა დედები, მარტოხელა ხანდაზმულები, შშმ პირები, სოციალურად დაუცველები (სარეიტინგო ქულა 45 001-დან 65 001-მდე), ონკოლოგიური/მძიმე დაავადების მქონე პირები და ა.შ.) დევნილი ოჯახების ერთჯერადი დახმარება 200 (ორასი) ლარის ოდენობით წელიწადში ერთხელ, მათი ფინანსური მხარდაჭერის მიზნით. მოქალაქეები ვერ ისარგებლებენ | | |

| | |
|---|---|
| | აღნიშნული ქვეპროგრამით, თუ მათ დახმარება მიღებული აქვთ სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამიდან. |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა |
| მოსალოდნელი შედეგი | განსაკუთრებული საჭიროების მქონე დევნილი მოსახლეობის ფსიქოსოციალური მხარადჭერა |

| პროგრამის დასახელება | კოდი | **სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გათბობის საშუალებებით მხარდაჭერისა და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამა** | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **06 02 11** | | 250,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვის, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის განყოფილება** | | |
**მუხლი 25. ასიგნებების გადანაწილება**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში განხორციელდეს დამტკიცებული წლიური ასიგნებების ფარგლებში საქართველოს კანონის საბიუჯეტო კოდექსის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**მუხლი 26. სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებზე ზედამხედველობა**

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, შესყიდვების, ზედამხედველობის და სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურებმა ყოველი კვარტლის დასრულებიდან 10 დღის ვადაში მერიის ხელმძღვანელობას წარუდგინოს ინფორმაცია და წინადადებები:

ა) სახელმწიფო და ადგილობრივი საბიუჯეტო სახსრებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი და ხელშეკრულების შესრულების შემდგომ დარჩენილი ეკონომიის თანხების შესახებ.

ბ) წარმოადგინონ წინადადებები ეკონომიის თანხებით ახალი - საშუალოვადიანი პერიოდში გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების თაობაზე.

**მუხლი 27. სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელება**

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელება გაგრძელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შესაბამის საკითხზე დამტკიცებული წესის შესაბამისად.

**მუხლი 28. შშმ პირთა საჭიროებები**

საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი ღონისძიებები, სოციალური პროგრამები, ინფრასტრუქტურული პროექტები მორგებულ (ადაპტირებულ) იქნას შშმ პირთა საჭიროებებს.

**მუხლი 29. 2027 წელს შესასწავლი და განსახორციელებელი ღონისძიებები**

ა) ადგილობრივი ბიუჯეტის დამატებითი შემოსავლების და საბიუჯეტო სახსრების ეფექტურად და რაციონალურად ხარჯვის წინადადების შემუშავება.

ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ კერძო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელების ანგარიშების მოსმენის შედეგად საბიუჯეტო რესურსების განკარგვის თვალსაზრისით გამოთქმული შენიშვნებისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლის დაწესება და შედეგების შესწავლა.

**მუხლი 30.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე, აქტის მოქმედება გავრცელდეს 2027 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

**საკრებულოს თავმჯდომარე:** **მამუკა წოწერია**

განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 83,000 ათასი ლარით, რაც 2026 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (76,500.0 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 6,500.0 ათასი ლარით.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 79 000.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

- საგადასახადო შემოსავლები

2027 წლის პროგნოზით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 66 946.5 ათას ლარს შეადგენს. 2026 წლის თავდაპირველ გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით, 2027 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 3 545.3 ათასი ლარით (5.6%).

2027 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- ❖ დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 57 946.5 ათასი ლარით.
- ❖ ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 9 000.0 ათას ლარს.

**მიზნობრივი ტრანსფერი** დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად წარმოდგენილია 505.4 ათასი ლარის ოდენობით.

**სხვა შემოსავლების სახით** მისაღები თანხები პროექტით წარმოდგენილია **11 548.1** ათასი ლარის ოდენობით, აქედან ყველაზე დიდი ხვედრითი წილი მოდის ჯარიმებზე – 6 759.7 ათასი ლარი, შემდეგ – ტერიტორიის დასუფთავებისთვის ადგილობრივ მოსაკრებელზე – 1 800.0 ათასი ლარი.

**არაფინანსური აქტივების კლების** (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 4 000.0 ათას ლარს.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 83 000.0 ათას ლარს (2026 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 6 500.0 ათასი ლარით).

**განათლების დარგი** 2027 წლის ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილია **20 130.0** ათასი ლარის ოდენობით, რაც სხვა პრიორიტეტებს შორის ყველაზე დიდ ხვედრით წილს შეადგენს.

განათლების სფეროს ძირითადი ნაწილი – **90** პროცენტი – მოდის **სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამაზე,** რომელიც პროექტით **18 169.0** ათას ლარს შეადგენს და მიმდინარე წლის საწყის ბიუჯეტთან შედარებით იზრდება **1 969.0** ათასი ლარით. პროგრამის ფინანსური მაჩვენებლის ზრდა აისახა სახელფასო ფონდსა და საქონლისა და მომსახურების სხვადასხვა მუხლზე.

პროექტით **1 371.0** ათასი ლარით არის წარმოდგენილი **სკოლისგარეშე სწავლისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის** პროგრამა სასახლის ბაზაზე. პროექტით **540.0** ათასი

ლარი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური ხელშეწყობისთვის, ხოლო **50.0** ათასი ლარი – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხელშეწყობისთვის. ამასთან, საჯარო სკოლების ხელშეწყობა ძირითადად დელეგირებული თანხებით ხორციელდება, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი ხელშეკრულებით გამოიყოფა და წლის განმავლობაში სკოლების ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად და მოსწავლეთა ტრანსპორტირებისთვის იქნება გათვალისწინებული.

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციის დარგი** მთლიანობაში წარმოდგენილია 17 673.4 ათასი ლარის მოცულობით, რაც 2026 წლის საწყის მაჩვენებელთან შედარებით იზრდება 1 346.3 ათასი ლარით. მნიშვნელოვანი ზრდა გათვალისწინებულია მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამაში: პროექტით გათვალისწინებულია 5 399.3 ათასი ლარი, რაც მიმდინარე წლის საწყის ბიუჯეტთან შედარებით 690.6 ათასი ლარით მეტია.

**საგზაო ინფრასტრუქტურისთვის** პროექტით წარმოდგენილია **950.0** ათასი ლარი. მართალია, აღნიშნული თანხა საგზაო ინფრასტრუქტურისთვის შედარებით მცირეა, მაგრამ რეგიონალური ფონდებიდან გამოსაყოფი თანხების მოლოდინი 14,0 მილიონ ლარამდეა, რაც სხვადასხვა ინფრასტრუქტურასთან ერთად ძირითადად საგზაო ინფრასტრუქტურას მოხმარდება.
გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაციის ხარჯები პროექტით წარმოდგენილია **1 400.0** ათასი ლარით.

**500.0** ათას ლარს ითვალისწინებს პროექტი წყლის სისტემების განვითარებისთვის.

**200.0** ათასი ლარი პროექტით გათვალისწინებულია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის თანადაფინანსებისთვის.

**კეთილმოწყობის პროგრამა** შესაბამისი ა(ა)იპ-ის ბაზაზე პროექტით წარმოდგენილია 5 852.6 ათასი ლარით.

**338.0** ათასი ლარით იზრდება **მუნიციპალური აქტივების კეთილმოწყობისა და შეძენის პროგრამა,** რომელიც პროექტით გათვალისწინებულია **500.0** ათასი ლარის ოდენობით. პროგრამა ძირითადად ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული სხვადასხვა შენობისა თუ საოფისე ფართის (მ.შ სოფლის ადმინისტრაციულ ერთეულებში) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგებას.

**რეგიონალური ფონდებიდან** გამოსაყოფი თანხებით განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსებისთვის გათვალისწინებულია **650.0** ათასი ლარი, ხოლო საპროექტო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის ხარჯებისთვის – **501.5** ათასი ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიკროინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გათვალისწინებულია სამოქალაქო ბიუჯეტი **750.0** ათასი ლარის ოდენობით.

**დასუფთავებისა და გარემოს დაცვის** დარგის პროგრამები 2027 წლის ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილია **11 190.7** ათასი ლარის მოცულობით და მიმდინარე წელთან შედარებით იზრდება **1 498.7** ათასი ლარით.

**დასუფთავებასა და ნარჩენების გატანის** პროგრამა განისაზღვრა 8500.0 ათასი ლარით.

**შპს „ანაკლია განმუხური ბულვარის“** ფინანსური ხელშეწყობა, საკუთარი შემოსავლების გათვალისწინებით, განსაზღვრულია **1020.0** ათასი ლარის ოდენობით.

**ბოტანიკური ბაღის** ხელშეწყობის პროგრამა განისაზღვრა **1 790.7** ათასი ლარის ოდენობით და მიმდინარე წლის საწყის ბიუჯეტთან შედარებით იზრდება **318.0** ათასი ლარით.

**კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის** დარგით 2027 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია **9 397.7** ათასი ლარის გამოყოფა, რაც **390.4** ათასი ლარით აღემატება მიმდინარე წლის დასაწყისში შესაბამისი პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილ თანხას.

**სპორტისა და ახალგაზრდული პროგრამების** დაფინანსებისთვის პროექტით განსაზღვრულია **2 540.0** ათასი ლარი.
საფეხბურთო სკოლა ოდიში 1919-ისთვის პროექტით **გათვალისწინებულია 717.0 ათასი ლარის ოდენობით**.

**რაგბის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის** საბიუჯეტო ასიგნება პროექტით გათვალისწინებულია 300.0 ათასი ლარი.

**საცხენოსნო კლუბ „ხარებას“** ფინანსური ხელშეწყობის პროგრამა კვლავ წარმოდგენილია **80.0** ათასი ლარის მოცულობით.

**კულტურის სფეროს** განვითარების პროგრამის განხორციელებისთვის პროექტით გათვალისწინებულია **6 030.7** ათასი ლარის გამოყოფა, რაც მიმდინარე წლის საწყისი ბიუჯეტის შესაბამის პროგრამასთან შედარებით იზრდება **647.0** ათასი ლარით. მათ შორის **300.0** ათასი ლარი გათვალისწინებულია კულტურული ღონისძიებებისთვის.

**30.0** ათასი ლარის გამოყოფა გათვალისწინებულია ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ფინანსური ხელშეწყობისთვის.

**371.0** ათასი ლარით იზრდება **ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამა,** რომელიც პროექტით წარმოდგენილია 2 421.0 ათასი ლარის ოდენობით. **1 534.7** ათასი ლარით არის წარმოდგენილი **სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა. 171.4 ათასი ლარით ზრდა** ძირითადად პედაგოგებისა და ხელოვნების მუშაკთა შრომის ანაზღაურების ზრდით არის განპირობებული.

**საბიბლიოთეკო დარგის** განვითარების ხელშეწყობისთვის გათვალისწინებულია **1 550.0** ათასი ლარის გამოყოფა, რაც მიმდინარე წელთან შედარებით **250.0** ათასი ლარით ზრდას ითვალისწინებს.

პროექტით კულტურის სფეროში აგრეთვე გათვალისწინებულია: **30.0** ათასი ლარი – კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამისთვის და **40.0** ათასი ლარი – ტელე-რადიომაუწყებლობისა და გამომცემლობისთვის.

**135.0** ათასი ლარი გამოიყოფა რელიგიის ხელშეწყობისთვის. პროგრამა ემსახურება რელიგიური ორგანიზაციების ფინანსურ ხელშეწყობას, მათთვის თანადაფინანსების გაწევას, საკულტო-სარიტუალო შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციასა და მშენებლობას.

**ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები**

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროგრამების დაფინანსება ძირითადად ცენტრალური ხელისუფლების მიერ ხორციელდება, ეს სფერო თვითმმართველობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

2027 წლის პროექტით ამ სფეროში გათვალისწინებულია **5 228.0** ათასი ლარის გამოყოფა, რაც მიმდინარე წლის საწყის მაჩვენებელთან შედარებით **186.0** ათასი ლარით იზრდება.

**საზოგადოებრივი ჯანდაცვის** პროგრამა პროექტით გათვალისწინებულია **640.0** ათასი ლარის ოდენობით. პროგრამა ითვალისწინებს: გადამდებ დაავადებათა გავრცელების პრევენციას ეპიდზედამხედველობის სისტემით; იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვისა და განხორციელების ხელშეწყობას საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფით; იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფას; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შეზღუდვას; პარაზიტული დაავადებების პირველად ეპიდკვლევას, დაავადების დიაგნოსტიკასა და პროფილაქტიკურ მკურნალობას; სანიტარიული ღონისძიებების შესრულების ზედამხედველობას სკოლამდელ დაწესებულებებსა და სკოლებში. ჯანმრთელობის დაცვის ფარგლებში ფინანსდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა იმუნიზაცია, ეპიდზედამხედველობა, C ჰეპატიტზე, აივ/შიდსსა და ტუბერკულოზზე ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამა და სხვ.

**სამედიცინო პროგრამის** დაფინანსება პროექტით წარმოდგენილია **1 100.0** ათასი ლარით.

**აუტიზმის სპექტრის** დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამა პროექტით წარმოდგენილია **885.0** ათასი ლარის ოდენობით.

**სოციალური დაცვის პროგრამები** 2027 წლისთვის მთლიანობაში პროექტით წარმოდგენილია **2 522.0** ათასი ლარის ოდენობით. პროგრამა აერთიანებს **19** სხვადასხვა ქვეპროგრამას.

მათ შორის ყველაზე დიდი მოცულობის თანხა – **750.0** ათასი ლარი – გათვალისწინებულია უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით (საცხოვრებელი სახლები და თბილი ოთახები) უზრუნველყოფის პროგრამისთვის.

სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილ პირთა პროგრამა წარმოდგენილია **400.0 ათასი** ლარის ოდენობით.

**სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გათბობის საშუალებებით** მხარდაჭერისა და კრიზისული პროგრამა წარმოდგენილია 250.0 ათასი ლარის ოდენობით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამა პროექტით წარმოდგენილია **200.0** ათასი ლარის ოდენობით. მარტოხელა მშობლის სოციალური პროგრამის დაფინანსება პროექტით გათვალისწინებულია **115.0** ათასი ლარის ოდენობით, ხოლო ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის პროგრამა წარმოდგენილია **150.0** ათასი ლარის ოდენობით.

ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა წარმოდგენილია ოთხი ქვეპროგრამის სახით და მთლიანობაში ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია **80.2** ათასი ლარის გამოყოფა.

2027 წლის პროექტით **3 270.0** ათასი ლარის ოდენობით გათვალისწინებულია ვალდებულებათა კლების თანხა, რაც წარმოადგენს წინა წლებში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად და ძირითადი აქტივების შესაძენად (ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაცია, ავტობუსები) მთავრობისგან და მუნიციპალური განვითარების ფონდიდან გრძელვადიანად აღებული სასესხო ვალდებულებების ხელშეკრულებათა გრაფიკის მიხედვით 2027 წლისთვის გასასტუმრებელ თანხას.

საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების შესანახი ხარჯების მოცულობა პროექტით შეადგენს 15 420.2 ათას ლარს, რაც ბიუჯეტის მთლიანი მოცულობის 18.6 პროცენტია. პროექტით საკრებულოს ხარჯები წარმოდგენილია 3 122.3 ათასი ლარით მათ შორის შრომის ანაზღაურების ფონდი შეადგენს 2170.9 ათას ლარს, ხოლო მერიისა და ადმინისტრაციული ერთეულების შესანახი ასიგნება გათვალისწინებულია – 12 297.9 ათასი ლარის ოდენობით. მერიის შესანახ ხარჯებში **შრომის ანაზღაურების ფონდი** შეადგენს **9 709.9** ათას ლარს.

**საერთო დანიშნულების** ხარჯებისთვის გათვალისწინებულია **280.0** ათასი ლარი, მათ შორის: **სარეზერვო ფონდი – 150.0** ათასი ლარი, **საჯარო მოხელეთა გადამზადება – 80.0** ათასი ლარი და **სხვა საერთო დანიშნულების ხარჯები – 50.0** ათასი ლარი.

ბიუჯეტის პროექტის საერთო მოცულობა **შეადგენს 83 000.0 ათას** ლარს, აღნიშნული თანხა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

1. 11 880.8 ათასი ლარი – შრომის ანაზღაურება;
2. 5 906,7 ათასი ლარი – საქონელი და მომსახურება;
3. 605.5 ათასი ლარი – პროცენტი;
4. 50 918,1 ათასი ლარი – სუბსიდიები;
5. 100.0 ათასი ლარი – გრანტები;
6. 3 591.1 ათასი ლარი – სოციალური უზრუნველყოფა;
7. 2 324.8 ათასი ლარი – სხვა ხარჯები;
8. 5 008.5 ათასი ლარი – არაფინანსური აქტივების ზრდა;
9. 2 664.5 ათასი ლარი – ვალდებულებათა კლება.

როგორც ჩანს, ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის ყველაზე დიდი ხვედრითი წილი მოდის სუბსიდიებზე, რომლებიც მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს ( ა(ა)იპ და შპს) გადაეცემა.

**მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:**

| კოდი | დასახელება | 2027 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|
| | | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| | სულ — ზუგდიდის მუნიციპალიტეტი | 83,000.0 | 0.0 | 83,000.0 |

| კოდი | დასახელება | 2027 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|
| | | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | 19,380.2 | 0.0 | 19,380.2 |
| 01 01 | საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 15,420.2 | 0.0 | 15,420.2 |
| 01 01 01 | მუნიციპალიტეტის საკრებულო | 3,122.3 | 0.0 | 3,122.3 |
| 01 01 02 | მუნიციპალიტეტის მერია | 12,297.9 | 0.0 | 12,297.9 |
| 01 02 | საერთო დანიშნულების ხარჯები | 280.0 | 0.0 | 280.0 |
| 01 02 01 | სარეზერვო ფონდი | 150.0 | 0.0 | 150.0 |
| 01 02 03 | საჯარო მოსამსახურეთა გადამზადებასთან დაკავშირებული ხარჯები | 80.0 | 0.0 | 80.0 |
| 01 02 04 | სხვა დანარჩენი საერთო დანიშნულების ხარჯი | 50.0 | 0.0 | 50.0 |
| 01 04 | მგფ-ის და სხვა ვალდებულებების დაფარვა | 3,270.0 | 0.0 | 3,270.0 |
| 01 05 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეო მეთვალყურეობის კამერების დამონტაჟება | 400.0 | 0.0 | 400.0 |
| 01 06 | საექსპერტო- საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის ხელშეწყობის პროგრამა | 10.0 | 0.0 | 10.0 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 17,673.4 | 0.0 | 17,673.4 |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 950.0 | 0.0 | 950.0 |
| 02 01 01 | გზების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა | 500.0 | 0.0 | 500.0 |
| 02 01 02 | ხიდების მშენებლობა რეაბილიტაცია | 100.0 | 0.0 | 100.0 |
| 02 01 03 | საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება | 350.0 | 0.0 | 350.0 |
| 02 02 | წყლის სისტემის განვითარება | 500.0 | 0.0 | 500.0 |
| 02 02 01 | წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 300.0 | 0.0 | 300.0 |
| 02 02 02 | სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 200.0 | 0.0 | 200.0 |
| 02 03 | გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | 1,400.0 | 0.0 | 1,400.0 |
| 02 04 | მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება | 5,399.3 | 0.0 | 5,399.3 |
| 02 04 01 | მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამა | 5,399.3 | 0.0 | 5,399.3 |
| 02 05 | ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა | 250.0 | 0.0 | 250.0 |
| 02 06 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 200.0 | 0.0 | 200.0 |
| 02 07 | კეთილმოწყობა | 6,352.6 | 0.0 | 6,352.6 |
| 02 07 01 | მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებათა უზრუნველყოფის პროგრამა | 5,852.6 | 0.0 | 5,852.6 |
| 02 07 03 | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების კეთილმოწყობა და შეძენა | 500.0 | 0.0 | 500.0 |
| 02 08 | სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის პოპულარიზებისკენ მიმართული აქტივობების კოორდინირება | 50.0 | 0.0 | 50.0 |
| 02 09 | რგფ-დან მგფ-დან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება | 650.0 | 0.0 | 650.0 |

| კოდი | დასახელება | 2027 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|
| | | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| 02 10 | სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების პროგრამა | 100.0 | 0.0 | 100.0 |
| 02 11 | სამშენებლო ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები | 500.0 | 0.0 | 500.0 |
| 02 12 | საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯი | 501.5 | 0.0 | 501.5 |
| 02 13 | მიწების საკადასტრო ნახაზების შედგენის და ქონების შეფასების ხარჯები | 20.0 | 0.0 | 20.0 |
| 02 15 | საინვესტიციო პროექტების,დონორებთან ურთიერთობის და ტურიზმის ხელშეწყობის პროგრამა | 50.0 | 0.0 | 50.0 |
| 02 16 | სამოქალაქო ბიუჯეტი | 750.0 | 0.0 | 750.0 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 11,190.7 | 0.0 | 11,190.7 |
| 03 01 | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | 8,500.0 | 0.0 | 8,500.0 |
| 03 02 | შპს "ანაკლია-განმუხურის ბულვარი"-ს ფინანსური ხელშეწყობა | 800.0 | 0.0 | 800.0 |
| 03 03 | ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამა | 1,790.7 | 0.0 | 1,790.7 |
| 03 05 | პარკების,სკვერების და ბულვარის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის პროგრამა | 100.0 | 0.0 | 100.0 |
| 04 00 | განათლება | 20,130.0 | 0.0 | 20,130.0 |
| 04 01 | სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამა | 18,169.0 | 0.0 | 18,169.0 |
| 04 03 | სკოლისგარეშე სწავლისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა | 1,371.0 | 0.0 | 1,371.0 |
| 04 04 | საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური ხელშეწყობა | 540.0 | 0.0 | 540.0 |
| 04 06 | შ. მესხიას სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხელშეწყობის პროგრამა | 50.0 | 0.0 | 50.0 |
| 05 00 | კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | 9,397.7 | 0.0 | 9,397.7 |
| 05 01 | სპორტისა და ახალგაზრდული პროგრამების განვითარების ხელშეწყობა | 2,540.0 | 0.0 | 2,540.0 |
| 05 01 01 | მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების პროგრამა | 1,950.0 | 0.0 | 1,950.0 |
| 05 01 02 | სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება | 90.0 | 0.0 | 90.0 |
| 05 01 03 | მინი სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია | 200.0 | 0.0 | 200.0 |
| 05 01 04 | რაგბის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა | 300.0 | 0.0 | 300.0 |
| 05 02 | კულტურის სფეროს განვითარება | 6,030.7 | 0.0 | 6,030.7 |
| 05 02 01 | ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამა | 2,421.0 | 0.0 | 2,421.0 |
| 05 02 02 | კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამა | 30.0 | 0.0 | 30.0 |
| 05 02 03 | საბიბლიოთეკო დარგის განვითარების პროგრამა | 1,550.0 | 0.0 | 1,550.0 |
| 05 02 04 | კულტურული ღონისძიებების დაფინანსება | 300.0 | 0.0 | 300.0 |
| 05 02 05 | ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | 40.0 | 0.0 | 40.0 |
| 05 02 06 | რელიგიის ხელშეწყობის პროგრამა | 135.0 | 0.0 | 135.0 |

| კოდი | დასახელება | 2027 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|
| | | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| 05 02 07 | სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა | 1,534.7 | 0.0 | 1,534.7 |
| 05 02 08 | ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ფინანსური ხელშეწყობა | 20.0 | 0.0 | 20.0 |
| **05 03** | **საცხენოსნო კლუბ "ხარებას" ფინანსური ხელშეწყობა** | **80.0** | **0.0** | **80.0** |
| **05 04** | **ქართული ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა** | **717.0** | **0.0** | **717.0** |
| **05 05** | **სსიპ შ.დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის ხელშეწყობის პროგრამა** | **30.0** | **0.0** | **30.0** |
| **06 00** | **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | **5,228.0** | **0.0** | **5,228.0** |
| **06 01** | **ჯანმრთელობის დაცვა** | **2,625.8** | **0.0** | **2,625.8** |
| 06 01 01 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 640.8 | 0.0 | 640.8 |
| 06 01 03 | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა ჯნმრთელობის დაცვის პროგრამა | 1,100.0 | 0.0 | 1,100.0 |
| 06 01 04 | აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამა | 885.0 | 0.0 | 885.0 |
| **06 02** | **სოციალური დაცვა** | **2,522.0** | **0.0** | **2,522.0** |
| 06 02 01 | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა | 360.0 | 0.0 | 360.0 |
| 06 02 02 | ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამა | 42.0 | 0.0 | 42.0 |
| 06 02 03 | ქალი და მამაკაცის თანასწორობის, ოჯახებისა და ბავშვების გაძლიერება | 65.0 | 0.0 | 65.0 |
| 06 02 04 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამა | 200.0 | 0.0 | 200.0 |
| 06 02 05 | მარტოხელა მშობლის სოციალური დაცვის პროგრამა | 115.0 | 0.0 | 115.0 |
| 06 02 06 | ხანდაზმულთა, შინმოვლისა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა | 25.0 | 0.0 | 25.0 |
| 06 02 07 | სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა | 100.0 | 0.0 | 100.0 |
| 06 02 08 | ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამა | 150.0 | 0.0 | 150.0 |
| 06 02 09 | სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამა | 400.0 | 0.0 | 400.0 |
| 06 02 10 | დევნილთა მხარდაჭერის პროგრამა | 40.0 | 0.0 | 40.0 |
| 06 02 11 | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გათბობის საშუალებებით მხარდაჭერისა და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამა | 250.0 | 0.0 | 250.0 |
| 06 02 12 | სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება | 15.0 | 0.0 | 15.0 |
| 06 02 13 | პროგრამა ,,სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში“ | 10.0 | 0.0 | 10.0 |
| 06 02 14 | უსახლკაროდ და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა | 750.0 | 0.0 | 750.0 |

| კოდი | დასახელება | 2027 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|
| | | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| **06 03** | **ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა** | **80.2** | **0.0** | **80.2** |
| 06 03 01 | სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის მატერიალური დახმარების პროგრამა | 40.0 | 0.0 | 40.0 |
| 06 03 03 | ბავშვთა სადღესასწაულო და სოლიდარობის დღეების აღნიშვნის პროგრამა | 3.0 | 0.0 | 3.0 |
| 06 03 04 | სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი და საგანმანათლებლო წრეების დაფინანსების პროგრამა | 37.2 | 0.0 | 37.2 |

დანართი 4

| ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების ნუსხა | | |
|---|---|---|
| პროგრამული კოდი | პროგრამა/ქვეპროგრამა | განმახორციელებელი ორგანიზაცია/სამსახური |
| 01 01 01 | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო | მუნიციპალიტეტის საკრებულო |
| 01 01 02 | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია | მუნიციპალიტეტის მერია |
| 01 02 01 | სარეზერვო ფონდი | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური |
| 01 02 03 | საჯარო მოსამსახურეთა გადამზადებასთან დაკავშირებული ხარჯები | ადმინისტრაციული სამსახური |
| 01 02 04 | სხვა დანარჩენი საერთო დანიშნულების ხარჯი | ადმინისტრაცია, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური |
| 01 04 | მგფ-ის და სხვა ვალდებულებების დაფარვა | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური |
| 01 05 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეო მეთვალყურეობის კამერების დამონტაჟება | ეკონომის სამსახური |
| 02 01 01 | გზების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა | სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური |
| 02 01 02 | ხიდების მშენებლობა რეაბილიტაცია | სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური |
| 02 01 03 | საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება | ეკონომიკის სამსახური |
| 02 02 01 | წყლის სისტემის რეაბილიტაცია | სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური |
| 02 02 02 | სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური |
| 02 03 | გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია და ექსპლოტაცია | ეკონომიკის სამსახური, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური |
| 02 04 01 | მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამა | შპს,, მუნიციპალური ტრანსპორტი“ |
| 02 05 | ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა | ეკონომიკის სამსახური |
| 02 07 01 | მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებათა უზრუნველყოფის პროგრამა | ააიპ ,,კეთილმოწყობის ცენტრი“ |

| | | |
|---|---|---|
| 02 07 03 | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების კეთილმოწყობა და შეძენა | ადმინისტრაციული სამსახური,სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური |
| 02 08 | სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის პოპულარიზებისკენ მიმართული<br>აქტივობების კოორდინირება | ააიპ ,,სამეგრელო ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია“ |
| 02 09 | რგფ-დან მგფ-დან განსახორციელებელი<br>პროექტების თანადაფინანსება | სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური |
| 02 10 | სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების პროგრამა | სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური |
| 02 11 | სამშენებლო ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები | სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური |
| 02 12 | საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯი | სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური |
| 02 13 | მიწების საკადასტრო ნახაზების შედგენის და ქონების შეფასების ხარჯები | ეკონომიკის სამსახური |
| 02 15 | საინვესტიციო პროექტების,დონორებთან ურთიერთობის და ტურიზმის<br>ხელშეწყობის პროგრამა | ეკონომიკის სამსახური |
| 02 16 | სამოქალაქო ბიუჯეტი | სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური |
| 03 01 | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | ააიპ,, ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“ |
| 03 02 | შპს "ანაკლია - განმუხური ბულვარი"-ს ფინანსური ხელშეწყობა | შპს "ანაკლია განმუხური ბულვარი" |
| 03 03 | ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამა | ააიპ,,ბოტანიკური ბაღი“ |
| 03 04 | სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა | ეკონომიკის სამსახური |
| 03 05 | პარკების,სკვერების და ბულვარის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის პროგრამა | სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური |
| 03 08 | მუნიციპალური ტერიტორიის და მოსახლეობის დაცვის ღონისძიებები მღრღნელებისა და სხვა ცხოველებისაგან | ზედამხედველობის სამსახური |
| 04 01 | სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამა | ააიპ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“ |
| 04 03 | სკოლისგარეშე სწავლისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა | ააიპ,,მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე“ |
| 04 04 | საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური ხელშეწყობა | განათლების,კულტურისა და სპორტის სამსახური |

| | | |
|---|---|---|
| 04 06 | შ. მესხიას სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხელშეწყობის პროგრამა | განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური |
| 05 01 01 | მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი | ააიპ სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი“ |
| 05 01 02 | სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები | განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური, |
| 05 01 03 | მინი სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია | სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური, განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური, |
| 05 02 01 | ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამა | ააიპ ,,ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი“ |
| 05 02 02 | კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამა | განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური |
| 05 02 03 | საბიბლიოთეკო დარგის განვითარების პროგრამა | ააიპ,, ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი“ |
| 05 02 04 | კულტურული ღონისძიებების დაფინანსება | განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური |
| 05 02 05 | ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | ადმინისტრაციული სამსახური |
| 05 02 06 | რელიგიის ხელშეწყობის პროგრამა | განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური, |
| 05 02 07 | სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა | ააიპ,,სახელოვნებო სკოლების გაერთიანება“ |
| 05 03 | საცხენოსნო კლუბ "ხარებას" ფინანსური ხელშეწყობა | განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური |
| 05 04 | ქართული ფეხბურთის განვითარების<br>ხელშეწყობის პროგრამა | ააიპ,,საფეხბურთო კლუბი ოდიში 1919“ |
| 05 05 | სსიპ შ.დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის<br>ხელშეწყობის პროგრამა | განათლების, ,კულტურისა და სპორტის სამსახური |
| 06 01 01 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | ააიპ ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ |
| 06 01 03 | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა | სოციალური და ჯანდაცვის სამსახური |
| 06 02 01 | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა | სოციალური და ჯანდაცვის სამსახური |
| 06 02 02 | ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამა | სოციალური და ჯანდაცვის სამსახური |
| 06 02 03 | ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ოჯახებისა და ბავშვების გაძლიერება | სოციალური და ჯანდაცვის სამსახური |

| | | |
|---|---|---|
| 06 02 04 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამა | სოციალური და ჯანდაცვის სამსახური |
| 06 02 05 | მარტოხელა მშობლის სოციალური დაცვის პროგრამა | სოციალური და ჯანდაცვის სამსახური |
| 06 02 06 | ხანდაზმულთა მხარდაჭერის პროგრამა | სოციალური და ჯანდაცვის სამსახური |
| 06 02 07 | სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა | სოციალური და ჯანდაცვის სამსახური |
| 06 02 08 | ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამა | სოციალური და ჯანდაცვის სამსახური |
| 06 02 09 | სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამა | სოციალური და ჯანდაცვის სამსახური |
| 06 02 10 | დევნილთა მხარდაჭერის პროგრამა | სოციალური და ჯანდაცვის სამსახური |
| 06 02 11 | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გათბობის საშუალებებით მხარდაჭერისა და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამა | სოციალური და ჯანდაცვის სამსახური |
| 06 02 12 | სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება | სოციალური და ჯანდაცვის სამსახური |
| 06 02 13 | პროგრამა „სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში“ | სოციალური და ჯანდაცვის სამსახური |
| 06 02 14 | უსახლკაროდ და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა | სოციალური და ჯანდაცვის სამსახური, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური, |
| 06 03 01 | სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის მატერიალური დახმარების პროგრამა | სოციალური და ჯანდაცვის სამსახური |
| 06 03 03 | ბავშვთა სადღესასწაულო და სოლიდარობის დღეების აღნიშვნის პროგრამა | სოციალური და ჯანდაცვის სამსახური |
| 06 03 04 | სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი წრეების დაფინანსების პროგრამა | სოციალური და ჯანდაცვის სამსახური |

## ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების მიმოხილვის თაობაზე

### განმარტებითი ბარათი

**ბატონო მამუკა,**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი საქართველოს საბიუჯეტო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №39 დადგენილებით. ბიუჯეტის საწყისი მოცულობა განისაზღვრა 76,500.0 ათასი ლარით.

წლის განვლილ პერიოდში ბიუჯეტში შესული ცვლილებებით, რომელიც ეხებოდა წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთების და ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მთავრობის დადგენილებათა შესაბამისად თანხების ბიუჯეტში ასახვას, მ/წლის 1 ოქტომბრისათვის ბიუჯეტის საერთო მოცულობა განისაზღვრა 116277,8 ათასი ლარით.

მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესრულება 9 თვეში იძლევა შემდეგ სურათს:

**ბიუჯეტის შემოსულობები**

მუნიციპალიტეტის 2026 წლის 9 თვეში ბიუჯეტის შემოსულობები მთლიანობაში, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების გათვალისწინებით განისაზღვრა 86138,9 ათასი ლარით, მათ შორის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები 59820,4 ათასი ლარის ოდენობით.

აქედან, **საგადასახადო შემოსავლები** 9 თვეში დაგეგმილი იყო 47489,0 ათასი ლარით - წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის /63401,2 ათ.ლარი/ 74,9 პროცენტის ოდენობით, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 43640,4 ათასი ლარი, 91,9% ანუ 3848,6 ათასი ლარით ნაკლები.

**სხვა შემოსავლები** 9 თვეში პროგნოზირებული იყო 5968,4 ათასი ლარის ოდენობით, წლიურის 78,2 % /წლიური-7628,8 ათ.ლარი/ ფაქტიურად შემოსულია 5533,8 ათასი ლარი ანუ 9 თვესი დაგეგმილზე 434,6 ათასი ლარით ნაკლები, რაც ძირითადში საგზაო ჯარიმების თანხის ნაკლებად შემოსვლამ განაპირობა, როგორც მიმდინარე წლის საპროგნოზო მაჩვენებელთან, ისე გასული წლის შესაბამის პერიოდის 9 თვის ფაქტიურ შემოსავალთან მიმართებაში.

**არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან** შემოსავალმა შეადგინა 498,2 ათასი ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 24,9 პროცენტია,/წლიური გეგმა 2000,0 ათ.ლარი/.

### გადასახდელების ნაწილში

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის მოცულობა, შესული ცვლილებების გათვალისწინებით, 1 ოქტომბრამდე მთლიანობაში განისაზღვრა 116277,86 ათასი ლარის, მათ შორის 9 თვეში 91514,1 ათასი ლარის ოდენობით.

აქედან ადგილობრივი ბიუჯეტის მოცულობა 9 თვეში პროგნოზირებული იყო 61885,4 ათასი ლარის ოდენობით, რამაც წლიური გეგმის 77,5 პროცენტი შეადგინა.

მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში როგორც მთლიანი, ისე ადგილობრივი ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლის წლიური გადასახდელების 9 თვის ოდენობაზე გაცილებით მეტი პროცენტული მაჩვენებლით პროგნოზირება განაპირობა ერთის მხრივ წლის დასაწყისში არსებული ნაშთების და ასევე 2026 წელს მთავრობის განკარგულებებით ახლად გამოყოფილი თანხების ძირითადში I კვარტალში გათვალისწინებამ, აგრეთვე 9 თვის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებლების შეუსრულებლობამ და ასევე წინა წლიდან გადმოსული რიგი პროექტების განხორციელების დაუსრულებლობამ განაპირობა, შესაბამისად გადასახდელების ნაწილში შესრულების არასაკმარისი პროცენტული მაჩვენებლების დაფიქსირება.

კონკრეტულად:

9 თვეში გადასახდელების ფაქტიურმა შესრულებამ მთლიანობაში შეადგინა 73752,7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლების 80,6 %-ია/გეგმა-პროგნოზი 91514,1 ათ.ლარი/;

მათ შორის ადგილობრივი ბიუჯეტის ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 56043,0 ათასი ლარი, რაც 9 თვის გეგმის 90,6 პროცენტია.

ცალკეული დარგების და სფეროების მიხედვით შესრულება იძლევა შემდეგ სურათს:

### ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მთლიან გადასახდელებში ყველაზე დიდი მოცულობით არის წარმოდგენილი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციას (0200) მიკუთვნებული გადასახდელები. რომელთა ფაქტიურმა მოცულობამ 2026 წელს მთლიანობაში შეადგენა 47180,6 ათასი ლარი, რაც მთლიანი გადასახდელების 40,5 პროცენტია.

აღნიშნული დარგიდან ყველაზე დიდი ხვედრითი წილი თანხით 23748,7 მიმართულია საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (გზებისა და ხიდების მშენებლობა-რეაბილიტაცია).

აღნიშნულ სფეროზე მოდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებათა მნიშვნელოვანი ნაწილი, შესაბამისი დარგით (კაპიტალური პროექტები) 2026 წლის 9 თვეში გამოიყო 19798,8 ათასი ლარი, მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით 18871,7 ათასი ლარი და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით 927,1 ათასი ლარი.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის** განვითარებას მთლიანობაში მოხმარდა 12350,5 ათასი ლარი, აქედან 11650,8 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით, ხოლო 699,7 ლარი- ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით.

საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე მიმართულია თანხები შემდეგი დანიშნულებით:

- რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში, რუხის და ახალაბასთუმნის დამაკავშირებელი და ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სინწიდან სოფლის ცენტრამდე საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 780.9 ათასი ლარი;
- რიყის ადმინისტრაციულ ერთეულში, რიყე-ზედაეწერის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 215.9 ათასი ლარი;
- კახათის (კოსტავას ქუჩა) და ინგირის (ჭავჭავაძისა და დადიანის ქუჩები) ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები - 216.5 ათასი ლარი;
- რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში, რუხი-რიყეს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის (კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩა) საფარის და სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები (II ეტაპი) - 164.6 ათასი ლარი;
- ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, ცაიშის და ოქტომბრის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 405.0 ათასი ლარი;
- ორსანტიას ადმინისტრაციულ ერთეულში, კ. გამსახურდიას, ზუგდიდის, ენგურის და თამარ მეფის ქუჩებზე საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები (II ეტაპი) – 243.4 ათასი ლარი;
- ხეცერის ადმინისტრაციულ ერთეულში, საკუტალიო-სამოლაშხიოს უბნის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 259.3 ათასი ლარი;
- დარჩელის ადმინისტრაციულ ერთეულში, კუნოშის უბანში (კოსტავას ქუჩა) საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 37.8 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში მიხეილ ჯავახიშვილის, წაღვერის და პეტრე ჩაიკოვსკის ქუჩებზე საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები – 276.0 ათასი ლარი;
- ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სამანიო, სანაჭყებიოს და ჯინჯოლავების უბანში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 87.9 ათასი ლარი;
- ზედაეწერის ადმინისტრაციულ ერთეულში, სათორდიოს უბანში, საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები – 148.3 ათასი ლარი;
- უჩაშონას ადმინისტრაციულ ერთეულში მაცხოვრის კარის (გორკის ქუჩის) შემაერთებელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 190.0 ათასი ლარი;
- დიდინეძის კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში, ცოტნე დადიანის ქუჩაზე საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 415.5 ათასი ლარი;
- რიყის ადმინისტრაციულ ერთეულში, ვახტანგ გორგასალის ქუჩაზე საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 126.1 ათასი ლარი;
- ოქტომბრის ადმინისტრაციულ ერთეულში, თბილისის ქუჩაზე საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 237.5 ათასი ლარი;
- ორულუს ადმინისტრაციულ ერთეულში, მოგირის უბანში საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 363.6 ათასი ლარი;
- ხეცერის ადმინისტრაციულ ერთეულში, იონა მეუნარგიას ქუჩის (საფირცხელაო-სამელიოს უბანი) გზის რეაბილიტაცია - 332.5 ათასი ლარი;
- ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ონარიის დასახლებაში, ინფექციურ საავადმყოფომდე მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 141.8 ათასი ლარი;
- დარჩელის და ოქტომბრის ადმინისტრაციულ ერთეულებში, გრიგოლ რობაქიძის და ვალიკო მეუნარგიას ქუჩაზე საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 143.1 ათასი ლარი;
- ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში შოთა რუსთაველის ქუჩის IV ჩიხში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 104.9 ათასი ლარი;
- ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში, მეფრინველეობის დასახლებაში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 391.5 ათასი ლარი;
- ინგირის ადმინისტრაციულ ერთეულში, ვეკუას ქუჩაზე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 227.5 ათასი ლარი;
- ერგეტის ადმინისტრაციულ ერთეულში, ერგეტის ცენტრიდან ბუის გავლით დიდგვიმარას უბნამდე საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 315.3 ათასი ლარი;
- დარჩელის ადმინისტრაციულ ერთეულში, საკერზაიოს უბანში, იაკობ გოგებაშვილის ქუჩაზე საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 427.5 ათასი ლარი;
- დარჩელის ადმინისტრაციულ ერთეულში, ცოტნე დადიანის ქუჩაზე საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 412.0 ათასი ლარი;

- ყულიშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, იონა მესხის ქუჩაზე საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 298.8 ათასი ლარი;
- ინგირის ადმინისტრაციულ ერთეულში, 9 აპრილის ქუჩის და 9 აპრილის ქუჩის III შესახვევში საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 293.5 ათასი ლარი;
- ქალაქ ზუგდიდში, წერეთლის ქუჩის III შესახვევში საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 232.9 ათასი ლარი;
- ქალაქ ზუგდიდში, ილია ვეკუას ქუჩაზე საგზაო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 600.0 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ამბროსი ხელაიას ქუჩაზე საგზაო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 226.1 ათასი ლარი;
- ქალაქ ზუგდიდში, დავით ჯიქიას ქუჩის, დავით ჯიქიას ქუჩის I, II, III და ბორჯომის ქუჩის I და II შესახვევებში საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 668.3 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, შოთა ნიშნიანიძის ქუჩაზე საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - 56.6 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ტერენტი გრანელის და ბერტა ფონ ზუტნერის ქუჩაზე საავტომობილო გზის საფარის რეაბილიტაცია - 259.3 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, თედო სახოკიას ქუჩაზე საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - 296.8 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში მიხეილ ჯავახიშვილის, წაღვერის და პეტრე ჩაიკოვსკის ქუჩებზე საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები (II ეტაპი) – 246.4 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ტაშკენტის ქუჩაზე, ტაშკენტის ქუჩის I შესახვევში და ონერ შენგელიას ქუჩაზე საავტომობილო გზის საფარის რეაბილიტაცია - 227.0 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, შოთა დარასელიას ქუჩაზე საგზაო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 267.8 ათასი ლარი;
- რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში, 9 აპრილის ქუჩაზე (საჭკადუოს უბანი) საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 307.2 ათასი ლარი;
- რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში, დუტუ მეგრელის ქუჩაზე გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 66.6 ათასი ლარი;
- კოკის ადმინისტრაციულ ერთეულში, ნალიმას უბანში საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 136.5 ათასი ლარი;
- ახალაბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში ზვიად გამსახურდიას და მარო მაყაშვილის ქუჩებზე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 202.9 ათასი ლარი;
- განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში ჭაფანძეების უბანში (თამარ მეფის ქუჩა) საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 374.9 ათასი ლარი;
- ორსანტია-დარჩელის ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 60.5 ათასი ლარი;
- რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში, ლევან II დადიანის ქუჩაზე საავტომობილო გზის საფარის რეაბილიტაცია - 164.1 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, საავტომობილო გზის საფარის მოვლა-შეკეთების სამუშაოები - 261.9 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების რეაბილიტაციისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და სამშენებლო სამუშაოები - 277.5 ათასი ლარი;
- ჩხოუშის ადმინისტრაციულ ერთეულში, თემურ ვაწაძის ქუჩის I ჩიხში საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 68.6 ათასი ლარი;
- ქალაქ ზუგდიდში, თეთრი გიორგის ქუჩაზე დაზიანებული საფეხმავლო ხიდის ბურჯისა და ნაპირსამაგრი ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 15.2 ათასი ლარი;
- ურთას ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაგარგულიოს უბანში, მდ. ჯუმზე საფეხმავლო ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 17.6 ათასი ლარი;
- აბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში, მენჯის უბანში მილხიდის სათავისისა და მილხიდის მოწყობის სამუშაოები - 6.9 ათასი ლარი;
- ტყაიას ადმინისტრაციულ ერთეულში, ჩიქოვანის ქუჩაზე ხიდის მოწყობის სამუშაოები - 1.5 ათასი ლარი.

- **წყლისა და სანიაღვრე სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციაზე** გახარჯულია 975,5 ათასი ლარი, აქედან 703,1 ათას ლარს შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები, ხოლო 272,4 ათას ლარს - ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები. განხორციელებულია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, დიდობერას უბანში წყალმომარაგების მოწყობის სამუშაოები - 166.8 ათასი ლარი;

- ნაცატუს ადმინისტრაციულ ერთეულში, სათოლორაიოს უბანში წყალმომარაგების მოწყობის სამუშაოები - 130.4 ათასი ლარი;
- ოდიშის და უჩაშონას ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგების სისტემების მოწყობა - 327.4 ათასი ლარი;
- ყულიშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, საფიფიოს უბანში წყალმომარაგების ქსელის მოწყობა - 29.4 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ჯანაშიას ქუჩაზე სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები - 26.3 ათასი ლარი;
- ორსანტიას ადმინისტრაციულ ერთეულში, შოთა რუსთაველის ქუჩაზე სანიაღვრე სისტემის და მართკუთხა მილის მოწყობის სამუშაოები - 22.7 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ცოტნე დადიანის ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოში არსებული საკანალიზაციო სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 139.4 ათასი ლარი;
- კორცხელის ადმინისტრაციულ ერთეულში (სალაგვილაოს უბანი) არსებული ჭაბურღილის ამოწმენდის სამუშაოები - 6.8 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, თამარ მეფის ქუჩა N27-დან ხორავას ქუჩამდე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები - 8.0 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, გოროზიას ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები - 32.4 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდის ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, ვნუკოვისა და წმ. გიორგის ქუჩებზე სანიაღვრე არხის და მილხიდის მოწყობის სამუშაოები - 12.2 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, კ. გამსახურდიას ქუჩა N217-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი N1-ის ეზოში სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 23.4 ათასი ლარი;
- ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, დუმბაძის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები - 50.3 ათასი ლარი.

➢ **სოფლის მხარდაჭერის** პროგრამით განხორციელებულ სამუშაოებზე მიიმართა 296.6 ათასი ლარი, აქედან 202.6 ათას ლარს შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები, ხოლო 94.0 ათას ლარს - ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები.განხორციელებულია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ბაშის ადმინისტრაციულ ერთეულში, მინი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები - 5.8 ათასი ლარი;
- ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, საჭურღულიოს უბანში, ნ. ვაჩნაძის ქუჩაზე მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები - 14.3 ათასი ლარი;
- ხურჩას ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფლის ცენტრში, სატრენაჟორო და სხვა სპორტული ინვენტარით აღჭურვილი გადახურული სივრცის მოწყობის სამუშაოები - 6.5 ათასი ლარი;
- ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, აბაშიძის ქუჩაზე გარე განათების მოწყობის სამუშაოები - 5.8 ათასი ლარი;
- ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჩხოუშის უბანში, გარე განათების მოწყობის სამუშაოები - 9.0 ათასი ლარი;
- ცვანეს ადმინისტრაციულ ერთეულში, კოლხეთის ქუჩაზე სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები - 22.1 ათასი ლარი;
- დიდინეძის ადმინისტრაციულ ერთეულში, დ. აღმაშენებლის მე-6 ჩიხში (N2 სასაფლაოს მიმდებარედ) ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები - 11.3 ათასი ლარი;
- ანაკლიას ადმინისტრაციულ ერთეულში, თიქორის უბანში, დადიანის ქუჩის I და II ჩიხში გარე-განათების მოწყობის სამუშაოები - 9.5 ათასი ლარი;
- კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში, მ. კოსტავას ქუჩაზე გარე განათების მოწყობის სამუშაოები - 18.1 ათასი ლარი;
- ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, შიდა საუბნო გზების მოხრეშვა და სანიაღვრე არხების ამოწმენდის სამუშაოები - 14.9 ათასი ლარი;
- ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ი. გოგებაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ლევან II დადიანის, მეუნარგიას, თამარ მეფის, აკ. წერეთლის, დუტუ მეგრელის, ზვ. გამსახურდიას ქუჩებზე გზების მოხრეშვა და სანიაღვრე არხების ამოწმენდის სამუშაოები - 18.6 ათასი ლარი;
- ჩხოუშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო (ჭაბურღილზე წყლის ავზის დამონტაჟება) სამუშაოები - 3.3 ათასი ლარი;
- ორულუს ადმინისტრაციულ ერთეულში, საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო (მოხრეშვა) სამუშაოები - 32.6 ათასი ლარი;
- აბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში, შიდა საუბნო გზების მოხრეშვის სამუშაოები - 45.5 ათასი ლარი;
- ადმინისტრაციულ ერთეულებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - 44.1 ათასი ლარი;
- დიდინეძის ადმინისტრაციულ ერთეულში, საბავშვო ბაღის შენობის გადახურვის სამუშაოები - 3.5 ათასი ლარი;
- ბაშის ადმინისტრაციულ ერთეულში, საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 23.0 ათასი ლარი;
- ანაკლიას ადმინისტრაციულ ერთეულში, შოთა რუსთაველის ქუჩაზე სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 8.8 ათასი ლარი.

- **მუნიციპალიტეტში ბოლო პერიოდში განვითარებული სწრაფი მოვლენების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე** 9 თვეში სულ მიიმართა - 2 384.0 ათასი ლარი, აქედან 2 292.9 ათას ლარს შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები, ხოლო 91.1 ათას ლარს - ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები.კონკრეტულად:

- ქ. ზუგდიდში, მდინარე ჩხოუშიაზე საავტომობილო ხიდის მოწყობის სამუშაოები - 14.3 ათასი ლარი;
- დიდინეძის კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში, მდ. ჩხოუშიაზე საავტომობილო ხიდის მოწყობის სამუშაოები - 684.0 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ბარამიას ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი კორპუსი N2-ის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 63.6 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ბარამიას ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი კორპუსი N7-ის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 49.2 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, სანკტ-პეტერბურგის ქუჩა N25-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 32.3 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, მე-9 საჯარო სკოლის მიმდებარედ მდ. კუჩხობონზე ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები - 65.4 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, მოსაშვილის ქუჩის ჩიხში სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 71.8 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზების (აღმართები) სარეაბილიტაციო სამუშაოები - 9.6 ათასი ლარი;
- ნარაზენის ადმინისტრაციულ ერთეულში, კ. ლომაიას და თბილისის ქუჩის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 15.1 ათასი ლარი;
- ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, საბულიოს უბანში საფეხმავლო ხიდის მოწყობის სამუშაოები - 94.0 ათასი ლარი;
- ოფაჩხაფუს ადმინისტრაციულ ერთეულში, მდ. ყულისწყალზე ნაპირსამაგრის სარეაბილიტაციო სამუშაოების და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, საფეხმავლო ხიდის მიმდებარედ ნაპირსამაგრის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 113.1 ათასი ლარი;
- ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში, საანთიოს უბანში აღმართის სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჩხორიის ადმინისტრაციულ ერთეულში, რუსთაველის ქუჩაზე აღმართის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 101.2 ათასი ლარი;
- ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, ცაიში-ოქტომბრის დამაკავშირებელ გზაზე, მდ. ჩხოუშზე არსებული საავტომობილო ხიდის მარცხენა ნაპირის აღდგენითი სამუშაოები - 119.5 ათასი ლარი;
- რიყის ადმინისტრაციულ ერთეულში, დავით ჯიქიას ქუჩაზე და კ. გამსახურდიას ქუჩის ჩიხში ხიდ-ბოგირის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 21.0 ათასი ლარი;
- შამგონას ადმინისტრაციულ ერთეულში, ხუბუებისა და ხუბულიების უბანში, ხიდ-ბოგირის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 27.0 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საავტომობილო გზების თოვლისგან გაწმენდის სამუშაოების განსახორციელებლად სამშენებლო ტექნიკისა და მათი ოპერატორების დაქირავება - 7.4 ათასი ლარი;
- ზედაეწერის ადმინისტრაციულ ერთეულში, წერეთლის ქუჩაზე (სათორდიოს უბანში) და ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში, (საყალიჩაოს უბანში) ხიდ-ბოგირების სარეაბილიტაციო სამუშაოები - 35.7 ათასი ლარი;
- ოქტომბრის ადმინისტრაციულ ერთეულში, დევნილთა დასახლებაში შენობის დაზიანებული წყალსაწრეტი მილების სარეაბილიტაციო სამუშაოები - 3.5 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ბარამიას ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი კორპუსი N4-ის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 98.2 ათასი ლარი;
- ქალაქ ზუგდიდში, მესხიას ქუჩაზე წყალგამტარი არხის კედლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, შევჩენკოს და მიხეილ მესხის ქუჩაზე სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 79.2 ათასი ლარი;
- ქალაქ ზუგდიდში, სანკტ-პეტერბურგის ქუჩის მიმდებარედ, მდ. ჩხოუშიაზე არსებული ნაპირსამაგრის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 218.1 ათასი ლარი;
- შამადელას ადმინისტრაციულ ერთეულში, საავტომობილო გზის ორ მონაკვეთზე ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობის სამუშაოები - 139.3 ათასი ლარი;
- ჩხოუშის ადმინისტრაციულ ერთეულში, ადმინისტრაციული შენობის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 29.1 ათასი ლარი;
- ნაწულუკუს ადმინისტრაციულ ერთეულში, ილ. ჭავჭავაძის ქ. N95-ში მდებარე N2 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 49.6 ათასი ლარი;
- ჩხორიის ადმინისტრაციულ ერთეულში, რუსთაველის ქუჩის VI ჩიხში ახალი სახიდე გადასასვლელის მოწყობის სამუშაოები - 84.2 ათასი ლარი;

- ნარაზენის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჟვანიას ქუჩაზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 6.5 ათასი ლარი;
- ჩხორიის ადმინისტრაციულ ერთეულში, ეგნატე ფიფიას ქუჩაზე ხიდ-ბოგირის და ნაპირდამცავი გაბიონის მოწყობის სამუშაოები - 58.3 ათასი ლარი;
- ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, ეგრისის ქუჩაზე (მგალობლიშვილების უბანი) სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 93.8 ათასი ლარი.

ინფრასტრუქტურის დარგით 9 თვეში ასევე განხორციელდა შემდეგი პროექტები:

- **საგზაო ნიშნების მოწყობისა და მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამის (კოდი 02 01 03)** განსახორციელებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაიხარჯა 50.5 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავდა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესებას, სატრანსპორტო ნაკადების მოწესრიგებასა და ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენციას;

- **გარე განათებისათვის** 9 თვეში გაიხარჯა 1,158.7 ათასი ლარი მთლიანად ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებით.აღნიშნული თანხა მიიმართა გარე განათებაზე გახარჯული ელექტროენერგიის დასაფარავად;

- 3,531.3 ათასი ლარი 2026 წლის 9 თვეში სუბსიდიით მიიმართა **მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამაზე,** ხოლო საკუთარი სახსრებით გაიხარჯა 1419.1 ათასი ლარი, რომლის განმახორციელებელია მერიის დაფუძნებული **შპს „მუნიციპალური ტრანსპორტი";**

- **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის** ფარგლებში მიმდინარე წელს 9 თვეში გაეწია დახმარებები (კონსულტაცია) ამხანაგობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით 7 პოტენციურ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას.

დაფუძნდა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში რეგისტრაცია გაიარა 4-მა ახალდაფუძნებულმა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობამ,

2026 წლის 9 თვეში ბიუჯეტის **„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამით",** განხორციელდა თანადაფინანსების პრინციპით, მერიაში რეგისტრირებული სხვადასხვა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მიერ წარმოდგენილი 10 **პროექტი:**

- **სადარბაზოს რეაბილიტაცია და რკინის კარის მოწყობაზე - 6 პროექტი**
- **სამგზავრო ლიფტების რეაბილიტაციაზე - 1 პროექტი**
- **შიდა საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციაზე - 2 პროექტი**
- **სამგზავრო ლიფტის მოწყობა და შახტის რეაბილიტაცია - 1 პროექტი**
- **შიდა წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია - 1 პროექტი**

2026 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით ათვისებულია მიზნობრივად - **161,5 ათასი ლარი.**

- **მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოების** განხორციელების მიზნით გახარჯულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები - 356.6 ათასი ლარის ოდენობით. დაფინანსდა ქ. ზუგდიდში, ბუკიას ქუჩა N30 და N34, ჯანაშიას N8 და ოქტომბრის ადმინისტრაციულ ერთეულში, დავით გურამიშვილის ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები.
- **რგფ-დან და მგფ-დან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსებაზე** მიიმართა 593.9 ათასი ლარი;
- **საექსპერტო მომსახურებასა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე** გახარჯულია 313.8 ათასი ლარი;
- **სამოქალაქო ბიუჯეტის და მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის** პროგრამებით განხორციელებულ პროექტებზე გახარჯულია 99.6 ათასი ლარი, აქედან 76.4 ათას ლარს შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ სახსრები. განხორციელებულია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ქ. ზუგდიდის ეგრისის ადმინისტრაციულ ერთეულში, გოროზიას ქ. №114-ის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები - 2.2 ათასი ლარი;
- ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფლის ცენტრში ცხაურის მოწყობის სამუშაოები - 8.9 ათასი ლარი;
- ქალაქ ზუგდიდში, ბადრი ბერანძის ქ. N11-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის ეზოში საჩრდილობლის მოწყობის სამუშაოები - 6.0 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის რუხის, ანაკლიის, კახათის, დავითიანის, დარჩელისა და ოქტომბრის ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - 22.5 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დარჩელის, ჯუმის, ინგირის, ქ. ზუგდიდის კოლხეთისა და ქ. ზუგდიდის ეგრისის ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - 27.0 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოხუმის ქუჩის V ჩიხში მილხიდის მოწყობის სამუშაოები - 6.3 ათასი ლარი;

- ქ. ზუგდიდის ეგრისის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბორჯომის ქუჩაზე მე-2 შესახვევთან მილხიდის მოწყობის სამუშაოები - 2.3 ათასი ლარი;
- ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, საფარჯიკოს, ბოკოთის და საგახარიოს უბანში გარე განათების სარეაბილიტაციო სამუშაოები - 12.5 ათასი ლარი;
- ცაცხვის ადმინისტრაციულ ერთეულში, პერტიას ქუჩაზე გარე განათების მოწყობის სამუშაოები - 3.2 ათასი ლარი;
- ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფლის ცენტრში არსებული სატრენაჟორო სივრცის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 5.7 ათასი ლარი;
- ინგირის ადმინისტრაციულ ერთეულში, ყოფილი მეურნეობის დასახლებაში არსებული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 1.3 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საავტომობილო გზების თოვლისგან გაწმენდის სამუშაოების განსახორციელებლად სამშენებლო ტექნიკისა და მათი ოპერატორების დაქირავება - 1.7 ათასი ლარი.

➢ **მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების კეთილმოწყობის და შეძენის პროგრამისათვის** (კოდი 02 07 03) 2026 წლის 9 თვეში ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო 102,0 ათასი ლარი, აქედან ათვისებულია 70,5 ათასი ლარი, მათ შორის: 13,0 ათასი ლარი მიიმართა მერიის შენობის მე-3 სართულზე არსებული საპირფარეშოს სარეაბილიტაციო სამუშაოებზე.

- დარჩენილი 57,5 ათასი ლარის ფარგლებში მიმდინარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ქუჩების დასახელებებისა და ამ ქუჩების გადასახვევებში განსათავსებელი „ქუჩის დასახელებისა და მიმართულების მაჩვენებელი აბრა (2 ცალმხრივი აბრა ერთმანეთთან მიერთებით) ბოძით (თანმდევი მომსახურებით – მოწყობა-მონტაჟით)“
- ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიაზე გამავალი, ზუგდიდი-ანაკლიის დამაკავშირებელი ცენტრალური საავტომობილო გზა და გადასახვევებში არსებული ქუჩები: ინგირი (18 ერთ.); კახათი (25 ერთ.); ახალკახათი (16 ერთ.); დარჩელი (13 ერთ.); კიროვი (7 ერთ.);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმ. ერთეულებში: ერგეტა (4 ერთ.); ცვანე (4 ერთ.); ცაიში (4 ერთ.); რიყე (4 ერთ.); ახალაბასთუმანი (4 ერთ.); ჭკადუაში (9 ერთ.);

აღნიშნული სოფლების ქუჩებში ჯამში - 108 ერთეული აბრა ბოძით.

- საქ. მთავრობის 2026 წლის 11 მარტის N519 განკარგულებით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების აღჭურვის მიზნით, გამოეყო 676,8 ათასი ლარი, საიდანაც ათვისებულია 371,9 ათასი ლარი, რომელიც მიმართული იქნა:

- საბავშვო ბაღების მოთხოვნის საფუძველზე სამზარეულოს ტექნიკის, სათამაშოების, ქსოვილის ნივთებისა და მზა საფეიქრო ნაწარმის, სხვადასხვა სახის ავეჯის შესყიდვისათვის;

- საჯარო სკოლებისთვის საწვავის ბრიკეტების შესყიდვისათვის.

➢ **საინვესტიციო პროექტების და დონორებთან ურთიერთობის პროგრამით** (კოდი 02 15) 2026 წლის 9 თვეში გაიხარჯა 118.9 ათასი ლარი.

ხორციელდება და გრძელდება პროექტები:

- EU Black Sea CBC პროექტი – „მწვანე ქალაქები, ერთად მწვანე ქალაქებისთვის“;
- ენერგომენეჯმენტის სისტემის (EnMS) დანერგვა;
- პროექტი „ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება საქართველოში“ (LEDP)

გარდა ზემოხსენებული კოდებისა ინფრასტრუქტურის დარგით 02 00 კოდით გათვალისწინებულია ააიპ კეთილმოწყობის ცენტრის და შპს მუნიციპალური ტრანსპორტის საბიუჯეტო პროგრამები რომელთა ხარჯვა პირველ კვარტალში იძლევა შემდეგ სურათს.

➢ **ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის “კეთილმოწყობის მართვის ცენტრისათვის“**, 2026 წლის 9 თვეში ბიუჯეტიდან ათვისებულია 4037,0 ათასი ლარი.

ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“ წესდებით გათვალისწინებული სამსახურეობრივი უფლებამოსილების ფარგლებში, წლის განვლილ პერიოდში ახორციელებდა სხვადასხვა კეთილმოწყობით და ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პერიოდულად ხორციელდებოდა წყალმომარაგების სისტემების აღდგენა-რეაბილიტაცია, წყალსაქაჩი ტუმბოებისა და ტუმბოს ძრავების შესყიდვა-შეკეთება, შადრევნების მოვლა-პატრონობა და მოწესრიგებასთან დაკავშირებული სამუშაოები, ხდებოდა გარე-განათების ქსელის მოვლა. ექსპლუატაცია-რეაბილიტაციასთან და ქსელის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სამუშაოებისა და საჭირო ღონისძიებების განხორციელება, სისტემატიურად მიმდინარეობდა სანიაღვრე არხების ამოწმენდა-რეაბილიტაციასთან, გზების მოსწორება-მოხრეშვასთან, ზღვის სანაპირო ზოლის მოწესრიგებასთან და მდინარეების კალაპოტის ამოწმენდასთან დაკავშირებული სამუშაოები,

პერიოდულად ტარდებოდა სასაფლაოების კეთილმოწყობითი სამუშაოები, რომელიც ითვალისწინებდა კერძოდ: სასაფლაოებზე მისასვლელი გზების მოწესრიგებას, აგრეთვე შეღებვითი სამუშაოების ჩატარებას.

ავარიული და გამხმარი ხეების მოჭრას, გადაბელვას და გადატანას, ეკალ-ბარდისგან გაწმენდას და სხვა სახის სამუშაოების ჩატარებას.

საანგარიშო პერიოდში სასაფლაოს მიწის სარგებლობის საფასურიდან საკუთარი შემოსავლების სახით შემოსულია 54.9 ათასი ლარი.

- 2026 წლის 9 თვეში **შპს „ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს** ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 4913,8 ათასი ლარი, მათ შორის სუბსიდია - 3531,3 ათასი ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავალი - 1382,5 ათასი ლარი. სულ ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 4611,7 ათასი ლარი.

შპს „ ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი“ -ს მომსახურება მნიშვნელოვნად საქალაქო, ასევე საგარეუბნეო მარშუტებზე, მოსახლეობას საშუალება აქვს იმგზავრონ კომფორტული ავტობუსებით.

შპს „ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს მიერ მ/წ 9 თვეში სამგზავრო ავტობუსებით გადაყვანილია 1885031 მგზავრი. მათ შორის: შშმ პირი 9809, სტუდენტი 64270, ვეტერანი 15899, სოციალურად დაუცველი უფასო ბენეფიციარი 25000, მოსწავლე 114278, ბაგა ბაღის მასწავლებელი 47929, სულ შეღავათით ისარგებლა 277185 მგზავრმა, მათ შორის უფასოდ იმგზავრა 34809 მგზავრმა.

## დასუფთავება და გარემოს დაცვა

მიმდინარე წლის 9 თვეში დასუფთავებისა და გარემოს დაცვის დარგით ბიუჯეტიდან გამოიყო **7,670.9** ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის **8,400.5** ათასი ლარის 91%-ს შეადგენს.

აღნიშნული დარგის ასიგნებების ყველაზე დიდი ნაწილი – 6,522.0 ათასი ლარი (78%) – პროგნოზირებული იყო დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის მუნიციპალური პროგრამის დაფინანსებაზე (კოდი 03 01). აღნიშნული პროგრამის განმახორციელებლის, ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრის“ მიერ ათვისებულ იქნა 5,831.4 ათასი ლარი.

- **2026 წლის 9 თვეში** 5831,4 ათასი ლარი მიიმართა დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის მუნიციპალური პროგრამის დაფინანსებაზე (პროგრამული კოდი: 03 01), რომლის განმახორციელებელია ა(ა)იპ „**ზუგდიდდასუფთავების ცენტრი**“. ბიუჯეტის ასიგნებიდან ცენტრის მიერ 4552,7 ათასი ლარი მიმართულ იქნა - შრომის ანაზღაურებაზე; 1257,6 ათასი ლარი კი - საქონელსა და მომსახურებაზე.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2026 წლის 9 თვეში მიღებული სახსრების ეფექტურად ხარჯვისა და დაგეგმილი პროგრამების შესრულების შედეგად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობა და მოსახლეობასა და საჯარო სივრცეებში სისუფთავის ხარისხი. ნაგავშემკრები კონტეინერებისა და მომსახურე ტექნიკის რაოდენობის ზრდის შედეგად, გაიზარდა როგორც ქალაქის ისე სოფლის მოსახლეობისათვის და ეკონომიკის სექტორისათვის მომსახურების სერვისის მიწოდების ჯერადობა და მომსახურების ხარისხი. ქალაქის და სოფლის ადმინისტრაციული ერთეულების, საჯარო სივრცეების და ცალკეული ქუჩების ინტენსიური დასუფთავებისა და მორწყვის შედეგად, მუნიციპალიტეტში მკვეთრად შემცირდა დანაგვიანების მაჩვენებელი, უფრო მიმზიდველი და სუფთა გახდა ქალაქი, სოფლები, ანაკლია - განმუხურის ზღვის სანაპირო ზოლი და სხვადასხვა ტურისტული მიზიდულობის მქონე ობიექტები.

ეფექტურად ხორციელდებოდა ქაღალდისა და მუყაოს ნარჩენების სეპარირება-რეციკლირების პროცესი, შედეგად შემცირდა ნაგავსაყრელებზე მოხვედრილი ნარჩენების მოცულობა, გაუმჯობესდა გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობა.

სეპარირების მაჩვენებლები მზარდი მონაცემებით ხასიათდებოდა და მეორადი ნედლეულის რეალიზაციის შედეგად იზრდებოდა საკუთარი შემოსავლები, კერძოდ:

2026 წლის 9 თვეში სეპარირებული და რეალიზებული იქნა 240,0 ტონა ქაღალდი და მუყაო 103,3 ათასი ლარის ფულადი შემოსავალი. სულ სეპარირებული შეგროვების დაწყებიდან რეალიზებულია 847,8 ტონა ქაღალდი და მუყაო 303,2 ათასი ლარის.

ცალკეული სექტორების მიხედვით დაგეგმილი სამუშაოების შესრულების ინდიკატორული მაჩვენებლები შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება:

2026 წლის ცხრა თვეში მყარი ნარჩენების გატანის მომსახურების სერვისი მიეწოდებოდა ქალაქის 475 ქუჩას და 13 113 ოჯახს, ანუ ქალაქის მოსახლეობის 100%-ს; 48 სასოფლო-ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრებ 18206 კომლს, ანუ სოფლის მოსახლეობის 90%; ეკონომიკის სექტორის 486-ზე მეტ კომერციულ, ინსტიტუციურ და ინდუსტრიულ ობიექტს. მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების და გატანის საშუალო მუნიციპალური მაჩვენებელი 95%-ს შეადგენს და შესრულებულია ნარჩენების მართვის 2026 წლის ცხრა თვის სამოქმედო გეგმის მთავარი მინიმალური ეროვნული მაჩვენებელი, რომელიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების 95%-ს შეგროვება-გატანას ითვალისწინებს.

2026 წლის ცხრა თვეში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვებულია 25205,7 ტონა მყარი მუნიციპალური ნარჩენი, რომელიც შეგროვებულია და ნაგავსაყრელში ტრანსპორტირებულია, ხოლო 871,9 ტონა ქაღალდი და მუყაო (დაახლოებით 15,2 მ³) დაექვემდებარა სეპარირებულ შეგროვებას.

ქალაქის ტერიტორიის მოსახლეობიდან და ეკონომიკის სექტორის კომერციული, ინსტიტუციური და ინდუსტრიული ობიექტებიდან გაზიდულია 18734 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი.

სასოფლო-ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობიდან და ეკონომიკის სექტორის კომერციული, ინსტიტუციური და ინდუსტრიული ობიექტებიდან გაზიდულია 6470,8 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი.

სულ საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნაგავსაყრელში ყოველდღიურად გაიზიდებოდა 93,3 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ქალაქსა და სასოფლო-ტერიტორიულ ერთეულებში ყოველდღიურად დაგვა-დასუფთავებას ექვემდებარებოდა 45,7 ჰექტარი ფართობი, მათ შორის: ქალაქის ტერიტორიაზე 31,1 ჰექტარი, სასოფლო-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით კი 14,6 ჰექტარი; დამგველი მანქანით ყოველდღიურად იგვებოდა 4–5 ჰექტარი; გარდა ამისა ხელით აკრეფის წესით, სუფთავდებოდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიის (48 სასოფლო-ტერიტორიული ერთეულის ჩათვლით) 29–30 ჰექტარი; 7. სისტემატიურად იწმინდებოდა ანაკლია-განმუხურის ზღვის სანაპირო ზოლი;

წარმოშობისთანავე ხდებოდა სპონტანური ნაგავსაყრელების ლიკვიდაცია და წარმოშობის პრევენცია;

2026 წლის 9 თვეში დასუფთავების მომსახურების მოსაკრებლებიდან მიღებულ იქნა 646,7 ათასი ლარი. იურიდიული პირების მოსაკრებელმა შეადგინა 569,5 ათასი ლარი, ხოლო მოსახლეობიდან 77,2 ათასი ლარი.

ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრში“ ფუნქციონირებს ზედამხედველობის მობილური ჯგუფი, რომელიც ახორციელებს მონიტორინგს მყარი ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე.

2026 წლის ცხრა თვეში დაჯარიმებულია 338 ფიზიკური პირი, თანხა შეადგენს - 28,4 ათას ლარს, გაფრთხილებულია 218 იურიდიული პირი და 18 ფიზიკური პირი.

რაც შეეხება ქალაქის ტერიტორიაზე უყურადღებოდ მოხეტიალე ცხოველებს, გაფრთხილებულია მეპატრონეთა უმრავლესობა, რათა არ დაუშვან პირუტყვის უმეთვალყურეოდ ხეტიალი ქალაქის ტერიტორიაზე და აგრეთვე არ მოხდეს პარკში ან სკვერში მწვანე ნარგავების დაზიანება. წინააღმდეგ შემთხვევაში გატარდება საჯარიმო სანქციები. გაფრთხილების მიუხედავად მაინც არის შემთხვევები პირუტყვის უმეთვალყურეობის გარეშე ხეტიალის, რაც ზედამხედველობის სამსახურის პირუტყვის დამჭერი ბრიგადის ოპერატიული მოქმედებით აღიკვეთა და დაჯარიმდა 10 მეპატრონე, ჯარიმის თანხამ შეადგინა 5090 ლარი. მთლიანად ჯარიმის თანხა შეადგენს 33,5 ათას ლარს.

- გარემოს დაცვის სფეროში შემავალი მხარჯავი სუბიექტის **შპს „ანაკლია განმუხურის ბულვარის“ ფინანსურ** ხელშეწყობაზე (პროგრამული კოდი: 03 02) 2026 წლის 9 თვეში ათვისებული იქნა 569,0 ათასი ლარი. სუბსიდირებული თანხების ძირითადი ნაწილი მიიმართა: 483,3 ათასი ლარი - შტატით და შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაზე; 55,1 ათასი ლარი - საქონელსა და მომსახურებაზე. ამასთან თანხები გაიხარჯა ისეთი ძირითადი კაპიტალური და სამეურნეო დანიშნულების ღონისძიებებზე, როგორიცაა:
  - განხორციელდა ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე არსებული გამწვანების ზოლის ფიტოსანიტარული მონიტორინგი;
  - განმუხურის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ფეხბურთის მოედნის მინდვრის საფარის განახლება, კერძოდ: ქვიშის დაყრა, მინდვრის საფარის დაჩხვლეტა, ნიადაგის დატკეპვნა და მინერალური სასუქის შეტანა;
  - კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა ბულვარის ტერიტორიაზე მდებარე ორ სანიტარულ კვანძს;
  - ანაკლიის ბულვარის ტერიტორიაზე დამონტაჟდა კბილანა ბარიერი და შესაბამისი მაჩვენებელი ნიშანი, ასევე ბულვარის ტერიტორიაზე განხორციელდა საჩრდილობლების გადახურვა ბამბუკით;
  - ანაკლიის ქვიშის ფრენბურთის მოედნების მოწესრიგების მიზნით შეტანილ იქნა კვარციტული ქვიშა;
  - შეძენილ იქნა კაიაკის ტიპის ნავები თავისი ბუქსირებით;
  - დაიწყო ანაკლია-განმუხურის დამაკავშირებელი საფეხმავლო ხიდის დაზიანებული ნაწილების ჩანაცვლება-რეაბილიტაციის სამუშაოები;
  - განხორციელდა საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურება ანაკლიის ბულვარის ტერიტორიაზე ერთი ერთეული ღია ობიექტის, ელექტროსკუტერების და სადგომის მოწყობის სამუშაოების.
  - ანაკლია-განმუხურის სანაპირო ზოლზე ხე-მცენარეები შეიწამლა და ნიადაგი გაჯერებულ იქნა სასუქი მინერალებით, განხორციელდა სეზონის გახსნასთან დაკავშირებით, ანაკლიის სანაპირო ზოლზე, გარე სავაჭრო ობიექტების გადასახურად საჭირო ნაჭრის ტენტების შესყიდვა;
  - საკუთარი სახსრებიდან გაწეული ხარჯების ჯამმა 9 თვეში 238.8 ათასი ლარი, აღნიშნული სახსრებით განხორციელებულ პროექტებს შორის აღსანიშნავია:
  - მოეწყო ორი ღია სავაჭრო ობიექტი;
  - აშენებულ იქნა 5 გასახდელი;
  - ბულვარის ტერიტორიაზე მოეწყო ელექტრორეგულირებადი შლაგბაუმი;
  - ბულვარის ტერიტორიაზე მდებარე სველ წერტილებთან მოეწყო სეპტიკი;
  - სეზონის გახსნასთან დაკავშირებით ჩატარდა გასართობი ღონისძიებები და გადაღებულ იქნა სარეკლამო კლიპი.
- **ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამის** ფარგლებში 2026 წლის 9 თვის მონაცემებით შესრულებულია მნიშვნელოვანი სამუშაოები და ჩატარებულია რიგი თემატური აქტივობები.

ა(ა)იპ „ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღი“, რომელიც არის ზემოხსენებული პროგრამის განმახორციელებელი, გამოეყო ასიგნება 1187.6 ათასი ლარი, რომელიც 99.9 %-ით ათვისებულია და უტოლდება პროგნოზირებულ მაჩვენებელს/1186,9 ათ.ლარი/. გამოყოფილი ასიგნება მიიმართა შემდეგი ძირითადი ხარჯების ასანაზღაურებლად: 1170.0 ათასი ლარი მოხმარდა შრომის ანაზღაურებას; 49.2 ათასი ლარი - საქონელსა და მომსახურებას; 20.8 ათასი ლარი - სოციალურ უზრუნველყოფას.

ბოტანიკური ბაღის საკუთარმა შემოსავლებმა მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე შეადგინა 253,8 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 203,0 ათასი ლარი.

ბოტანიკური ბაღის ძალებით განვლილ 9 თვეში ჩატარებულია რიგი აქტივობები და პრაქტიკული ღონისძიებები მუშაობის ძირითადი მიმართულებების მიხედვით:

ა) კულტურული მემკვიდრეობის, ეკო-განათლების, ტურიზმისა და მარკეტინგის კუთხით ბოტანიკურმა ბაღმა ღია და დახურულ სივრცეში უმასპინძლა სხვადასხვა მნიშვნელოვან ღონისძიებასა და აქტივობას, მათ შორის:

- ზუგდიდის ბოტანიკურმა ბაღმა მუნიციპალიტეტში (და არა მარტო) მოქმედ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს შესთავაზა ახალი საგანმანათლებლო პროექტი „ბუნების მკვლევარი (აღმოაჩინე, ისწავლე, დაიცავი)“, რომლის ფარგლებშიც ბაღს 6 საჯარო სკოლის 120-მდე მოსწავლე ეწვია;
- ბოტანიკური ბაღის გუნდი სტუმრობდა სამუშაო ვიზიტით ეროვნულ ბოტანიკურ ბაღს. ასევე ბოტანიკურ ბაღში აღინიშნა „ისტორიული ბაღების ევროპული დღე“; ბოტანიკური ბაღი მასპინძლობდა კაუნასის ტექნოლოგიების განათლების ცენტრის დელეგაციას, 5 ივნისს ასევე აღინიშნა გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე, 17 ივლისს „ბოტანიკურმა ბაღმა“ უმასპინძლა ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალის საზეიმო დახურვას, 8 ივლისს გაიმართა გრანდიოზული კონცერტი - „ქართული და მსოფლიო კინომუსიკა“. დაინერგა ნარჩენების სეპარირების სისტემა და განთავსდა ახალი ურნები. ჩატარებულია 16 ფასიანი ღონისძიება (ღია სივრცის გაქირავება).

ბ) მცენარეთა კოლექციის გამრავალფეროვნებისა და მოვლის მიზნით განხორციელებულია რიგი აქტივობები:

- 9 თვის განმავლობაში, როგორც ბოტანიკური ბაღის ღია სივრცეში, ასევე დახურულ გრუნტში დაირგო (შესყიდული და საკუთარი ძალებით გამოყვანილი) მცენარეთა ნერგები ჯამში 18296 ერთეული, მათ შორის ხე-ბუჩქი 2510 ერთეული, ბალახოვან-ყვავილოვანი მცენარე 15786 ერთეული;
- შესყიდულ იქნა 124 სახეობის 10972 ერთეული ნერგი. მათ შორის ხე-ბუჩქი 172 ერთეული, ბალახოვან-ყვავილოვანი მცენარე 10800 ერთეული;
- ეროვნული ბოტანიკური ბაღის, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) ზუგდიდის ოფისის, ზუგდიდში მცხოვრები ფიზიკური პირების მხრიდან ჯამში გადმოცემულია 922 ერთეული ნერგი (ხე-ბუჩქი 367, ბალახოვან-ყვავილოვანი 555);
- ზუგდიდის ბულვარის რეკონსტრუქციისას, სკეიტ-პარკის მიმდებარე ტერიტორიიდან აღებულია და საჩუქრად გადაეცა ბაღს 2 ერთეული მაგნოლია სტელატა და 225 ბერძნული ბზა (რომელისგანაც მოეწყო ხეივანი);
- სათბურში არსებული დაკალმებული და ქოთნებში ჩარგული მცენარეები სულ 5489. მათ შორის 2693 ხე-ბუჩქი და 2796 ბალახოვან-ყვავილოვანი;
- სარეალიზაციოდ გამოყვანილ იქნა 25 სახეობის 806-მდე ერთეული ქოთნის მცენარე და რეალიზებულია 184 ერთეული;
- აღდგენილია კედრების ხეივანი, მოეწყო დროშის, გულისა და ქართული წარწერის „ზუგდიდი“ ფორმის ყვავილნარი სხვადასხვა ფერის ფოთლისა და ყვავილის ბეგონიას ჩითილებით;
- შეივსო რცხილების ხეივანი 5 ძირი ნერგით;
- ბოტანიკური ბაღის მიერ, სხვადასხვა ორგანიზაციებს უსასყიდლოდ გადაეცა სულ: 197 ერთეული მცენარე;
- მიმდინარეობს ფენოლოგიური დაკვირვება ხე-მცენარეებსა და ბუჩქებზე, როგორც მორფოლოგიური ასევე ანატომიური თვალსაზრისით. ასევე ხე-მცენარეებისა და ბუჩქების ინვენტარიზაცია-პასპორტიზაციის გაციფრულება ძირითადი სისტემატიკური კატეგორიებისა და წესების მიხედვით. ეტიკეტირებული და გაციფრებულია დამატებით 560 ხე-ბუჩქი. მომზადდა 5 დენდროლოგიური აქტი - დასკვნებით.
- სამეცნიერო და სასწავლო დანიშნულებით მცენარეთა ნიმუშების ხანგრძლივი შენახვის უზრუნველყოფის მიზნით, მომზადდა 88-მდე სახეობის მცენარის სულ 110 ერთეული ჰერბარიუმი. მათგან 73 ერთეული ხე-ბუჩქოვან მცენარეებს მიეკუთვნება, ხოლო 37 ერთეული — ბალახოვან კულტურებს;
- გამოიკვება სათბურში არსებული ქოთნის ყველა მცენარე და შერჩევით ბაღის ტერიტორიაზე არსებული ხე-ბუჩქები კომპლექსური სასუქით (NPK 18-18-18) 23 კგ, ამონიუმის გვარჯილა 50 კგ. ტორფი - 711 ლიტრი, დამაფესვიანებელი 60 გ. გაიხარჯა ნიადაგის აერაციისთვის პერლიტი 55,5 ლიტრი; შეიწამლა ცრუფარიანების, ფარიანების, ტკიპების, ბუგრების, ლოქორებისა და სოკოების საწინააღმდეგოდ, როგორც ორანჟერიის მცენარეები, ასევე ღია გრუნტში არსებული ხე-ბუჩქები. მავნებლებთან საბრძოლველად და დაავადებათა პრევენციის მიზნით.

გ) ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის მოვლა-პატრონობისა და ზედამხედველობის ფარგლებში 2026 წლის იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები:

- ყოველდღიურ რეჟიმში უზრუნველყოფილია ბაღის ტერიტორიის, შენობა-ნაგებობების, საპირფარეშოების დასუფთავება, ბაღში არსებული სკამების, ნაგვის ურნების, ნათურების მოვლა (პერიოდულად ხდება ნათურების ჩანაცვლება). სისტემატურად ხორციელდება მოთიბვითი, გაწმენდის სამუშაოები;
- ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში დაინერგა ნარჩენების სეპარირების სისტემა, მოხდა ძველი ურნების ახლებით ჩანაცვლება. შესყიდულ იქნა 50 ცალი ლითონის ურნა, 15 ცალი 120 ლ. მოცულობის პლასტმასის ნაგვის ორბორბლიანი კონტეინერი და 3 ცალი 660 ლ მოცულობის პლასტმასის ნაგვის ოთხბორბლიანი კონტეინერი. ასევე შესყიდულია ერთი ერთეული სამბორბლიანი ელექტრო ტრიციკლი.

- 2026 წლის 9 თვის საანგარიშო პერიოდში შესყიდვების განყოფილების მიერ გაფორმებულ იქნა 80 ხელშეკრულება, მათ შორის 70 - გამარტივებული შესყიდვის წესით, 7 - კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში, 3 - ელექტრონული ტენდერის ფარგლებში. სახელშეკრულებო თანხამ ჯამში შეადგინა 169 026,20 ლარი. აქედან, 112 186,90 ლარი - გამარტივებული შესყიდვა, 24 119,30 ლარი - კონსოლიდირებული ტენდერი, ხოლო 32 720 ლარი - ელექტრონული ტენდერი.
- დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა ა(ა)იპ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის 2026 წლის საკუთარი შემოსავლები.

## განათლება

მიმდინარე წლის 9 თვეში **განათლების დარგის** დაფინანსებაზე სულ გათვალისწინებული იყო **19,220.2** ათასი ლარი, მათ შორის ადგილობრივი ბიუჯეტიდან **14,530.9** ათასი ლარი, ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა **13,962.1** ათასი ლარი, აღნიშნული თანხის ძირითადი ნაწილი (86%), **12,050.4** ათასი ლარი, მიიმართა განათლების კუთხით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტის – **„სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამის“** დაფინანსებაზე, რომელსაც ახორციელებს ა(ა)იპ „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“.

- ზემოხსენებული ცენტრის მიერ 9 თვეში ჩატარებულია გარკვეული მუშაობა ბავშვთა სკოლამდელი განათლების ხარისხის ამაღლების, სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის და შიდა ინფრასტრუქტურის განვითარების, აღსაზრდელების სრულფასოვანი კვებით უზრუნველყოფის, აღმზრდელ-პედაგოგთა და მომსახურე პერსონალის შრომის და მატერიალური პირობების გაუმჯობესებისათვის.

ცენტრის მიერ 9 თვეში სუბსიდიის სახით საბიუჯეტო თანხები მიიმართა ხარჯების შემდეგი ძირითადი მუხლების მიხედვით, კერძოდ იგი მოხმარდა:

- 631,7 ათასი ლარი - შტატგარეშე თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებას;
- 1072,6 ათასი ლარი - ოფისის ხარჯებს;
- 1335,3 ათასი ლარი - ბავშვთა კონტინგენტის კვებით მომსახურებას;
- 362,6 ათასი ლარი - სხვა დარჩენილ საქონელსა და მომსახურებას;
- 23,6 ათასი ლარი - არაფინანსური აქტივების ზრდას.

11 საბავშვო ბაღი განთავსებულია ნაქირავებ ფართში, რომლის ქირავნობის საფასური 9 თვეში გადახდილია 163,9 ათასი ლარი.

ანაკლიის საბავშვო ბაღში დამონტაჟდა ცენტრალური გათბობის ქვაბი, N14 საბავშვო ბაღში განახლდა საბავშვო ავეჯი.

- **„მოსწავლე-ახალგაზრდობის სკოლისგარეშე სწავლისა და განვითარების პროგრამა“,** რომელსაც ახორციელებს ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე, მოიცავს სკოლისგარეშე მრავალპროფილიან სააღმზრდელო-საგანმანათლებლო და შემოქმედებით მიმართულებას, რომელიც მოზარდებს, ახალგაზრდებს ეხმარება თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებაში, შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენაში, უნარ-ჩვევების განვითარებაში, ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევების ათვისებაში, პრაქტიკული და თეორიული მუშაობის წარმართვაში.

ზემოაღნიშნულ მხარჯავ სუბიექტს 2026 წლის ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით გამოეყო ასიგნება 962,5 ათასი ლარი, საკასო შესრულების მოცულობამ შეადგინა 913,4 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმის 94.9%-ია. 9 თვეში მიღებული აქვს საკუთარი შემოსავლები (სწავლის ქირა, დარბაზის ქირა, სხვა ფულადი სახსრები) 70,7 ათასი ლარი.

აღნიშნული მხარჯავი სუბიექტის მიერ ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდია მოხმარდა:

- **824,4** ათასი ლარი - შრომის ანაზღაურებას (თანამდებობრივი სარგო და საპრემიო ანაზღაურება);
- 89,0 ათასი ლარი - საქონელსა და მომსახურებას, მათ შორის:
- 8,6 ათასი ლარი - ოფისის ხარჯებს;
- 80,4 ათასი ლარი - სხვა დარჩენილ საქონელსა და მომსახურებას

ზემოხსენებული პროგრამის საბიუჯეტო დაფინანსების ფარგლებში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის მიერ ჩატარებულია და მის ბაზაზე შექმნილი მოზარდებისა და ახალგაზრდების სასწავლო-შემოქმედებით კოლექტივებსა და ჯგუფებს 2026 წელს მონაწილეობა მიღებული აქვთ ადგილობრივ და ქვეყნის მასშტაბით გამართულ მთელ რიგ მუსიკალურ, მხატვრულ, შემოქმედებით და სახელოვნებო აქტივობებში, მათ შორის უნდა აღინიშნოს:

- სამეჯლისო-სპორტული ცეკვების ანსამბლი „ეზი“ ქ. ბათუმში გამართულ საერთაშორისო კონკურს-ფესტივალში „PRIMAVERA IN WONDERLAND“ მონაწილეობდა. გამორჩეული შესრულებისა და მაღალი პროფესიონალიზმისთვის ანსამბლს გადაეცა სპეციალური საგზური, ისინი მიწვეული არიან ბულგარეთში საერთაშორისო ფესტივალზე „FESTIVAL AND CONGRESS CENTRE-VARNA“.

- სტუდია „რიბირაბო“ ქ. ბათუმში გამართულ საერთაშორისო კონკურს-ფესტივალში „PRIMAVERA IN WONDERLAND“ მონაწილეობდა. ანდრია ესებუამ ფესტივალის უმაღლესი ჯილდო, გრან-პრი მოიპოვა.

- ქართული ცეკვის ანსამბლმა „მტრედები“ მონაწილეობა მიიღო ბაკურიანში გამართულ შემოქმედებით ფესტივალ-გასტროლზე „ფანტელი“. ფესტივალის ფარგლებში ქორეოგრაფსა და მონაწილეებს გადაეცათ სპეციალური დიპლომები ეროვნულ-კულტურული ტრადიციების განმტკიცებისა და ზნეობრივ-ესთეტიკური ინტერესების განვითარებისათვის.

- **2 მარტს** მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეს საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი სტუმრობდა, რომელმაც ვრცელი რეპორტაჟი მიუძღვნა სასახლის საქმიანობის შემეცნებით და შემოქმედებით მიმართულებებს.

- 2026 წლის 9 ივნისს სამეჯლისო-სპორტული ცეკვების სტუდიის აღსაზრდელები მონაწილეობდნენ ქალაქ ფოთში გამართულ სამეჯლისო-სპორტული ცეკვების ჩემპიონატში **„კოლხეთის თასი 2026“**, სადაც წარმატებით იასპარეზეს და საპრიზო ადგილები მოიპოვეს.

- **საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური ხელშეწყობის/თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში** 2026 წლის 9 თვეში გათვალისწინებული 503,6 ათასი ლარიდან ფაქტიურად გახარჯულია 321,7 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა შემდეგ ღონისძიებებზე:

- მერის სტიპენდიანტების დაფინანსებაზე და წარმატებული ახალგაზრდების ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე.

მერის სახელობის სტიპენდია ენიშნებათ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ წარმატებულ სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლების საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე;

მერის სახელობის სტიპენდია დანიშნული ჰქონდა 129 სტუდენტს. ამ მიმართულებით 9 თვეში გახარჯულია 192,5 ათასი ლარი;

- ქვეყნის ფარგლებს გარეთ სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების

ფინანსურ მხარდაჭერაზე 9 თვეში გაცემულია 78,0 ათასი ლარი;

2026 მიმდინარე წლის 9 თვეში ჩატარდა შემდეგი საგანმანათლებლო ღონისძიებები:

- ესეებისა და ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის კონკურსებში გამარჯვებულ მოსწავლეებს გადაეცა წიგნები და სასაჩუქრე ბარათი.
- საგნობრივ ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეები და მათი მასწავლებლები დაჯილდოვდა სასაჩუქრე ბარათით.
- დედაენის დღესთან დაკავშირებით იაკობ გოგებაშვილის ძეგლის შემკობა ყვავილის გვირგვინით
- საჯარო და კერძო სკოლების მედალოსნების დაჯილდოება სასაჩუქრე ვაუჩერებით (179 ც.)
- ა(ა)იპ „საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაციის“ მიერ საქართველოს სკაუტებისთვის ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩითახევში განხორციელდა ზაფხულის ახალგაზრდული სკაუტური ბანაკი
- ბიოტექნოლოგიების ბანაკში მონაწილე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლის 10 მოსწავლე დაჯილდოვდა სასაჩუქრე ვაუჩერებით (10 ც.)

სულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში 9 თვეში გაიხარჯა: 47,5 ათასი ლარი.

## კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დასაფინანსებლად 2026 წლის პირველ კვარტალში ასიგნებანი განსაზღვრული იყო 7369,9 ათასი ლარის ოდენობით, ფაქტიურმა საკასო შესრულებამ შეადგინა 6430,6 ათასი ლარი, რომელიც გადანაწილდა კონკრეტულ პროგრამებს შორის:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში **„სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაზე“,** რომლის განმახორციელებელია ა(ა)იპ „სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი“ 2026 წლის 9 თვეში ასიგნებანი განსაზღვრული იყო 1420.6 ათასი ლარის ოდენობით, ფაქტიურად გაიხარჯა 90.91% - 1290.6 ათასი ლარი. აქედან 895.7 ათასი ლარი - 69.4% მოხმარდა შრომის ანაზღაურებას. 394.9 ათ. ლარი გაიხარჯა სულ საქონელსა და მომსახურებაზე, მათ შორის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე - 115.1 ათასი ლარი; მივლინებისათვის - 4.8 ათ. ლარი; ოფისის ხარჯებისათვის - 40.6 ათასი ლარი; კომუნალური ხარჯებისათვის - 33.5 ათასი ლარი (ელექტროენერგიის ხარჯი - 29.0 ათ. ლარი, წყლის ხარჯი - 1.4 ათ. ლარი და ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯი - 3.1 ათასი ლარი), კვების ხარჯებისათვის - 39.7 ათასი ლარი, რბილი ინვენტარის შესაძენად - 16.4 ათ. ლარი, ტრანსპორტის, ტექნიკის და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებისათვის - 19.2 ათ. ლარი (საწვავისათვის - 9.7 ათ. ლარი), სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე - 159.1 ათ. ლარი, მათ შორის შენობა-ნაგებობის შენახვის ხარჯები - 35.9 ათასი ლარი, ბინის ქირა - 68.4 ათასი ლარი, სპორტული ღონისძიებებისათვის - 47.4 ათასი ლარი, მედლებისა და სიგელებისათვის კი - 4.8 ათასი ლარი.

ა(ა)იპ „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დაქვემდებარებაში მყოფ სასპორტო სკოლებში საანგარიშო პერიოდში სასწავლო საწვრთნელი პროცესი აქტიურად მიმდინარეობდა.

ზუგდიდელმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს 20-ზე მეტ საერთაშორისო და 70-მდე რესპუბლიკურ, რეგიონალურ და ადგილობრივ სპორტის 10-ზე მეტი სახეობის ტურნირში, ჩატარდა თხუთმეტამდე სპორტული ღონისძიება: სალიცენზიო ტურნირები ძიუდოში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ჩემპიონატი ჭაბუკთა და გოგონათა შორის ჭადრაკში. საქართველოს მე-3 სასკოლო ოლიმპიადის ფარგლებში ჭადრაკში ჩატარდა: რაიონული პირველობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს შორის - „ნონა გაფრინდაშვილის თასი 2026“; საჭადრაკო ტურნირი „ფავორიტი-2026“; „ცოტნე დადიანის თასი - 2026“, ხოლო ძიუდოში, „ზუგდიდის მერიის თასი - 2026“ და „კოლხეთის თასი - 2026“. აგრეთვე გაიმართა მასობრივი სპორტული ღონისძიებები: „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ღია პირველობა ქვიშის ფრენბურთში“, „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ღია პირველობა ქვიშის ფეხბურთში“, „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ღია პირველობა ქვიშის ჭიდაობაში“ (ანაკლია-განმუხურის ბულვარში), ტრადიციული ტურნირი ცხენოსნობაში „მარულა - 2026“ და სხვ. 24-მა ზუგდიდელმა სპორტსმენმა მონაწილეობა მიიღო ქ. ბათუმში გამართულ პირველ „ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში“. ცენტრის ორგანიზებით მოეწყო „მსოფლიო ოლიმპიური დღისადმი“ მიძღვნილი გარბენი. აგრეთვე ჩატარდა სპორტის ცხრა სახეობაში სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონალური თამაშები, მხიარული სტარტები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 16 საჯარო და კერძო სკოლის, სულ 124-მა მოსწავლემ.

- **სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების** დაფინანსების პროგრამით 9 თვეში გათვალისწინებული 48,0 ათასი ლარიდან გახარჯულია 44,9 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა შემდეგ ღონისძიებებზე:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ახალგაზრდებისთვის ახალგაზრდული პროექტების ფარგლებში დაფინანსდა ერთი პროექტი; ოირემეს ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდა კომპაკ სპორტინგის ჩემპიონატი; ინგირის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდა „ავტო დრაგის“ ჩემპიონატი; მოეწყო ტექნოლოგიური ბანაკი ახალგაზრდებისთვის. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს, ზუგდიდისა და სენაკის ტექნოპარკის ორგანიზებით 15-17 წლის მოსწავლეებისთვის მესტიაში მოეწყო 6-დღიანი ბიოტექნოლოგიების ბანაკი;

- **მინი სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე** 9 თვეში მიიმართა 714,9 ათასი ლარი. ამ პროგრამით განხოციელებულია:
  - ქ. ზუგდიდში, ბარამიას ქუჩაზე სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები 93.9 ათასი ლარის ღირებულების;
  - ინგირის ადმინისტრაციულ ერთეულში სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 2.0 ათასი ლარის ღირებულების;
  - ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები - 190.6 ათასი ლარის ღირებულების;
  - ქ. ზუგდიდში, მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩაზე სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები - 85.8 ათასი ლარის ღირებულების;
  - ქ. ზუგდიდში, რევაზ თაბუკაშვილის ქუჩის შესახვევში არსებული სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 53.6 ათასი ლარის ღირებულების;
  - ქ. ზუგდიდში, ქუჯის ქუჩაზე არსებული სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 84.0 ათასი ლარის ღირებულების.

- **„ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამას“** ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში, რომლის განმახორციელებელია ა(ა)იპ „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი“.

მიმდინარე წლის 9 თვეში ზემოაღნიშნული პროგრამის დასაფინანსებლად, ბიუჯეტიდან ათვისებულია 1 328,1 ათასი ლარი, რომელიც მიმართული იქნა ძირითადი ხარჯების ასანაზღაურებლად, კერძოდ: 1 190,4 ათასი ლარი თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებაზე, 128,5 ათასი ლარი საქონელსა და მომსახურებაზე, სოციალური უზრუნველყოფა 9,2 ათასი ლარი. რაც შეეხება საკუთარ სახსრებს, შემოსავალმა შეადგინა 29,4 ათასი ლარი, საიდანაც გახარჯულია 21.0 ათასი ლარი.

„ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის“ პროფილი მრავალფეროვანია და ის მოიცავს კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობის სხვადასხვა მიმართულებას. ცენტრის მიერ 9 თვეში აღნიშნული მიმართულებით ჩატარებულია ოცამდე კულტურულ-სახელოვნებო ღონისძიება, მათ შორის უნდა გამოიყოს რამდენიმე აქტივობა, კონკრეტულად:

- 1-7 იანვარს მიხეილ (მაცი) ხორავას სამხატვრო გალერეაში ზუგდიდელი მხატვრების საახალწლო-საშობაო გამოფენა მოეწყო.
- 20 იანვარს - ქართველი პოეტის ზურაბ ნარმანიას დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით აღინიშნა.
- 28 იანვრიდან 3 თებერვლის ჩათვლით ცენტრის ფოლკლორული ანსამბლი „ოდოია“ მიწვეული იყო ესპანეთში, ქ. ბილბაოში საქართველოს კულტურის ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში.
- 24 თებერვალს სამხატვრო გალერეაში თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის, თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტის ლიზა ვეკუას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა მოეწყო.
- 25 თებერვალს ცენტრის ფოლკლორული ანსამბლი „ოდოია“ მიწვეული იყო ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემაში „ჩემი საქართველო“.
- 3 მარტს დედის დღისადმი მიძღვნილი ზუგდიდელ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა მოეწყო.
- 12 მარტს ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ორგანიზებით დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება სლოგანით „გაზაფხულს ია ამოდის...“ გაიმართა, სადაც მონაწილეობდნენ: ანსამბლი „ოდოია“, კვარტეტი „აკორდი“, მუსიკალური ბენდი, ლაშა თოდუა და მაია ჩიტაია.
- 30 მარტს მიხეილ (მაცი) ხორავას სამხატვრო გალერეაში მხატვარ ვლადიმერ ხვიტიას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა გაიხსნა.
- 31 მარტს ქალაქ ზუგდიდში გაიხსნა ზვიად გამსახურდიას საპრეზიდენტო ცენტრი, სადაც ფოლკლორული ანსამბლი „ოდოია“ მონაწილეობდა.
- 3 აპრილს ჩხორიის სამოყვარულო თეატრმა მაყურებელს სპექტაკლის „ქუჩა იყო წითელი ზღვა“ პრემიერა წარუდგინა. რეჟისორი ვეფხვია გორგოძე.
- 6 აპრილს მიხეილ (მაცი) ხორავას სამხატვრო გალერეაში ადგილობრივ მხატვართა ნამუშევრების სააღდგომო გამოფენა გაიხსნა. წარმოდგენილი იყო ჟანრობრივად და თემატიკურად მრავალფეროვანი ნამუშევრები: ფერწერა, ნაქარგობა, თექა, გრაფიკა.
- 5 მაისს - რეზო ბულიას სახელობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „ჩელას“ უფროსი თაობა მიწვეული გახლდათ გურიის მხარეში, ქ. ოზურგეთში დამსახურებული ქორეოგრაფის ვაჟა ახვლედიანის სახელობის ვარსკვლავის გახსნის ცერემონიაზე.

- 14 მაისს ზუგდიდის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარდა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის ნაზი მეშველიანის წიგნის „შეუდრეკელნი“-ს წარდგენა, სადაც საღამოს მეორე ნაწილი დაეთმო ჟურნალისტ მარინა დამენიას საჯარო ლექციას თემაზე „ზუგდიდი ბეჭდურ მედიაში“.
- 18 მაისს მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით იონა მეუნარგიას სახელობის მუზეუმს საჯარო სკოლების მოსწავლეები სტუმრობდნენ.
- 18 მაისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ორგანიზებითა და საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით „აფხაზეთობის კვირეული“ დადიანების ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმების მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალფეროვანი კულტურული და შემეცნებითი ღონისძიებით აღინიშნა, სადაც მონაწილეობდნენ ცენტრის ფოლკლორული ანსამბლები: „ჩელა“ და „ოდოია“.
- 26 მაისს - მიხეილ (მაცი) ხორავას სამხატვრო გალერეაში ზუგდიდელი მხატვრების ნამუშევრების საგაზაფხულო გამოფენა მოეწყო.
- 29 მაისს ჩატარდა ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის რეზო ბულიას სახელობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „ჩელას“ საიუბილეო საღამო.
- 2-3 ივნისს ქ. თბილისში საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ორგანიზებულ მუსიკალურ ტელეპროექტ „ხალხური“-ს ნახევარფინალში ცენტრის პოლიკარპე ხუბულავას სახელობის ფოლკლორული ანსამბლი „ოდოია“ მონაწილეობდა, სადაც ჟიურის გადაწყვეტილებით ანსამბლი ფინალში გადავიდა. ანსამბლი 12-13 ივნისს მიწვეული იყო ტელეპროექტ „ხალხური“-ს მე-2 სეზონის დახურვაზე.
- 19 ივნისს მარტვილში გაიმართა მარტვილის „კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის“ ბავშვთა და მოზარდთა სახალხო ქორეოგრაფიულ ანსამბლ „კოლხიდას“ 30 წლის საიუბილეო კონცერტი, სადაც მიწვეული იყო ცენტრის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ცისკარი“.
- 25-30 ივნისს ზუგდიდში ჩატარდა ხელოვნების რიგით მეცამეტე საერთაშორისო ფესტივალი „არტკოლხი 2026“, სადაც მონაწილეობა მიიღო ცენტრის ბავშვთა და მოზარდთა სახალხო ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ცისკარი“.
- 5-12 ივლისს თურქეთის რესპუბლიკაში, ქ. ბაიბურთში ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი გაიმართა, სადაც მიწვეული იყო ცენტრის ბავშვთა და მოზარდთა სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლი „ცისკარი“.
- 15 ივლისს მიხეილ (მაცი) ხორავას სახელობის სამხატვრო გალერეაში, ვლაქერნობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ზუგდიდელი მხატვრების ნამუშევრების ჯგუფური გამოფენა მოეწყო.
- 16-17 ივლისს ზუგდიდში, ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ორგანიზებით პოლიკარპე ხუბულავას სახელობის ფოლკლორის VI საერთაშორისო ფესტივალი „კოლხი და“ ჩატარდა. ფესტივალი 16 ივლისს, ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის საკონცერტო დარბაზში გაიხსნა და 17 ივლისს ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში ფესტივალი გრანდიოზული გალაკონცერტით დაიხურა. ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს, როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის (იტალია, საბერძნეთი, თურქეთი) ფოლკლორულმა ანსამბლებმა, თუ ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა. ფესტივალს უძღვებოდნენ: სოსო კოპალეიშვილი და გიორგი კალანდია.
- 24 ივლისს - მიხეილ (მაცი) ხორავას სახელობის სამხატვრო გალერეაში, ზუგდიდელი მხატვრის, ბენო სიჭინავას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა მოეწყო სახელწოდებით „70 წლის ასაკში აღმოჩენილი ციფრული სამყარო“. ავტორმა ის თავის იუბილეს მიუძღვნა.
- 18 აგვისტოს სპორტის მუზეუმს, მედია მუზეუმსა და ზვიად გამსახურდიას ოთახ-მუზეუმს თურქეთიდან ლაზები სტუმრობდნენ.
- 19 აგვისტოს გამოჩენილი ქართველი პოეტის, პუბლიცისტისა და მთარგმნელის, ზურაბ ნარმანიას გარდაცვალების თარიღისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო სოფელ კახათში, მისავე სახელობის სახლ-მუზეუმში ჩატარდა.
- 25 აგვისტოს - მიხეილ (მაცი) ხორავას სახელობის სამხატვრო გალერეაში ზუგდიდელ მხატვართა ნამუშევრების ჯგუფური გამოფენა გაიხსნა.
- 31 აგვისტოს ზვიად გამსახურდიას სახელობის საპრეზიდენტო ცენტრში, ორგანიზაციების „მოძრაობა მრავალშვილიანი საქართველოს“ და „მშვიდობის ელჩების“ ერთობლივი ინიციატივით, საქართველოში საფუძველი ჩაეყარა აფხაზეთიდან დევნილი მრავალშვილიანი დედების ყოველწლიური დაჯილდოების ტრადიციას. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ცენტრის ფოლკლორულმა ანსამბლმა „ჩელა“.
- 2 სექტემბერს ჩხორიის სამოყვარულო თეატრში ლანა მანველის „ბედნიერების დღე“ სპექტაკლის პრემიერა გაიმართა. რეჟისორი ვეფხვია გორგოძე, მხატვარი - რევდიკ შარია.
- 18 სექტემბერს ცენტრის რეზო ბულიას სახელობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ჩელა“ ქალაქ თბილისში იმყოფებოდა, სადაც მონაწილეობა მიიღო სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის სახალხო მეგაპროექტ „ნიჭიერის“ შესარჩევ ტურში.
- 21 სექტემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ეზოში ზუგდიდის საპატიო მოქალაქის, საპატიო ზუგდიდელისა და დამსახურებული მოღვაწის მინიჭების ცერემონიალი გაიმართა, სადაც მონაწილეობა მიიღო ცენტრის პოლიკარპე ხუბულავას სახელობის ფოლკლორულმა ანსამბლმა „ოდოია“.
- 25 სექტემბერს - ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის კონტრატე თათარიშვილის სახლ-მუზეუმში, მწერლის დაბადებიდან 154 წლისთავი აღინიშნა, ღონისძიება ძველი აბასთუმნისა და ურთის საჯარო სკოლის მოსწავლეების ჩართულობით განხორციელდა.
- 29 სექტემბერს - ცენტრის ზურაბ ნარმანიას ოთახ-მუზეუმს სტუმრობდნენ მესამე საჯარო სკოლის მოსწავლეები.

- 30 სექტემბერს - ცენტრის ალექსანდრე საჯაიას სახლ-მუზეუმში, ზუგდიდის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ლიტერატურული სპექტაკლი. სპექტაკლი მიეძღვნა ცნობილი ქართველი პოეტისა და მთარგმნელის ალექსანდრე საჯაიას დაბადებიდან 110 წლის იუბილეს.

➢ **ა(ა)იპ „ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის“** სუბსიდირებაზე 2026 წლის 9 თვეში გამოიყო 926.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (1030.2 ათ. ლარი) 89,97 პროცენტია. აქედან ძირითადი თანხა 93.65 პროცენტი - 868.1 ათ. ლარი მიიმართა შრომის ანაზღაურებაზე, 55.7 ათ. ლარი - საქონელსა და მომსახურებაზე, ხოლო 3.2 ათ. ლარი ძირითადი აქტივების, კონკრეტულად წიგნების შეძენას მოხმარდა.

ა(ა)იპ „ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი“ მოიცავს ერთ ცენტრალურ, სამ საქალაქო და 27 სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალს. ცენტრის მიზანია ახალი თაობის დაინტერესება წიგნითა და საზოგადოების განათლებისათვის საჭირო ინფორმაციით. საანგარიშო პერიოდში ცენტრში შემავალი ბიბლიოთეკების სერვისებით ისარგებლა 5620 მკითხველმა, მათზე გაიცა 28 616 წიგნი და ინფორმაცია. 9 თვეში მკითხველთა და მომხმარებელთა დამსწრეთა რაოდენობამ შეადგინა 538 913 ერთეული, ხოლო ინტერნეტ მომსახურებით ინფორმაცია გაიცა 483 081 მკითხველ/მომხმარებელზე.

საანგარიშო პერიოდში ცენტრის ფონდს 6260 ლარის ღირებულების 600 წიგნი დაემატა, აქედან საჩუქრად - 419 წიგნი 3081 ლარის ღირებულების, ხოლო სუბსიდიის თანხებით (3179 ლარი) შესყიდულ იქნა 181 წიგნი. 2026 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით კი ცენტრის წიგნად ფონდში ირიცხება 478 309 ლარის ღირებულების 187 999 წიგნი.

ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის მიერ სულ განხორციელდა 111 სხვადასხვა პროექტი, რომელიც მოიცავს რამდენიმე აქტივობას. კერძოდ,

- ბიბლიოტურები, სულ ჩატარდა 35 ბიბლიოტური, სადაც მონაწილეობა მიიღო ოცდათხუთმეტმა საჯარო სკოლამ (ზუგდიდის საჯარო, კერძო და აფხაზეთის საჯარო სკოლები);
- შეხვედრები ავტორებთან, სხვადასხვა ავტორთა წიგნების პრეზენტაციების ფარგლებში ჩატარდა 11 ღონისძიება. ძალიან მნიშვნელოვანი იყო და საზოგადოების დაინტერესება გამოიწვია ფილოლოგიის დოქტორის, სოფიკო ჭაავას წიგნის „მეგრული ფოლკლორის (ზღაპრები, ლექსები, ანდაზები და გამოცანები)“ წარდგენამ, რომელიც აერთიანებდა მეგრული ფოლკლორის უნიკალურ კულტურულ მემკვიდრეობას. ასევე, მნიშვნელოვანი იყო ახალგაზრდა ავტორების წიგნების პრეზენტაციები (ლუკა ბულია, მართა ჯინჯოლავა, ანა ჯღარკავა), რომლებიც ემსახურება ახალგაზრდა ავტორების წახალისებას, მათ პოპულარიზაციას.
- მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა საიუბილეო ლიტერატურული საღამოების მიმართულებით ჩატარდა 31 ღონისძიება. დიდი მოწონება დაიმსახურა სოფელ ოდიშში, ალექსანდრე საჯაიას სახლ-მუზეუმში, ქართველი პოეტისა და მთარგმნელის ალექსანდრე საჯაიას დაბადებიდან 110 წლის იუბილესადმი მიძღვნილმა ლიტერატურულმა სპექტაკლმა; აგრეთვე ძალიან მნიშვნელოვანი იყო საყმაწვილო ლიტერატურის ფუძემდებლის, საბავშვო მწერლის შიო მღვიმელის საიუბილეო საღამო „სიკეთით დაწერილი ბავშვობის ფურცლები“, მიძღვნილი დაბადებიდან 160 წლის იუბილესადმი;
- „ელაპარაკე ახალგაზრდებს“ აქტივობის ფარგლებში ჩატარდა 2 ღონისძიება, სადაც მოხდა წარმატებული ადამიანების გამოცდილების გაზიარება ახალგაზრდებისათვის; განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ახალგაზრდებში პროფესიონალ ევრითმისტ ია ტაბატაძის მხატვრული ევრითმიის კურსებმა, აგრეთვე დიდი კმაყოფილებით და ინტერესით შეხვდა აუდიტორია ცნობილ ქართველ ფიზიკოსს, პროფესორ ავთანდილ ხარჩილავას.
- საბიბლიოთეკო ლაშქრობებიც ერთ-ერთი საინტერესო აქტივობაა (სულ 8 ლაშქრობა), წიგნისმოყვარული ახალგაზრდების ჯგუფის განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია ლაშქრობებმა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში: ღუნჯის, კირზალასა და ჭითაღალის ჩანჩქერების მონახულებამ, სენაკის მუნიციპალიტეტში: შხეფის ციხის მონახულებამ, ძველი სენაკის საჯარო სკოლამ, სადაც სწავლობდნენ: სიმონ ჯანაშია, არნოლდ ჩიქობავა, პეტრე ქავთარაძე, ვარლამ თოფურია, კონსტანტინე გამსახურდია და მისი ძმა. ბეთლემში ლაშქრობის სათავგადასავლო ნაწილი გაგრძელდა თოკების პარკითა და ზიპლაინით, მოინახულეს დედამოკას თერმული წყლების ადგილი და ნოქალაქევი.
- საზაფხულო სკოლას უკვე რამდენიმე წელია ცენტრის აქტივობებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, ბავშვების დიდი ინტერესი გამოიწვია საზაფხულო სკოლამ „ბიბლიოზაფხული“, რომელიც ჩატარდა ცენტრალური ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილებასა და ამერიკულ კუთხეში, მასში მონაწილეობა მიიღო სულ 280-მა ბავშვმა, სკოლა იყო უფასო და ჩატარდა სხვადასხვა ასაკის ბავშვებისათვის.
- ინგლისური ენის შემსწავლელი კლუბების მიმართულებით წარმატებით დაასრულა მუშაობა ხუთმა კლუბმა, სადაც სხვადასხვა ასაკის 155 მსმენელი მონაწილეობდა. ძალიან პოპულარულია ამერიკის კუთხის სამაგიდო თამაშების კლუბი, სადაც საანგარიშო პერიოდში 300 მონაწილე/ვიზიტორი დაფიქსირდა.
- სხვადასხვა შემეცნებით პროექტს (გამოფენები, კონკურსები და სხვ.) სულ ჯამში 17 ღონისძიება მიეძღვნა; დიდი ინტერესი გამოიწვია ამერიკის დამოუკიდებლობის 250 წლისთავის აღსანიშნავად გამართულმა კოსტუმირებულმა შეხვედრებმა, როგორც ბიბლიოთეკის შიდა სივრცეში, ასევე სხვადასხვა სკოლებში. აგრეთვე დიდი მოწონება დაიმსახურა გამოფენამ „მარადისობის გზა“, რომელიც დიდი ქართველი მეცნიერის, ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის - ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 150 წლის იუბილის აღსანიშნავად გაიმართა.

➢ **კულტურული ღონისძიებების დაფინანსებისთვის**, რომლის განმახორციელებელია **მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური**, საანგარიშო პერიოდში, გახარჯულია **281.9 ათასი ლარი,** რომელიც მიიმართა შემდეგ ღონისძიებებზე:

- დაუნის სინდრომის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, სსიპ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროფესიული სახელმწიფო ინტეგრირებული თეატრის „აზდაკის ბაღი“ სპექტაკლის „მე ვხედავ მზეს“ ჩვენება;
- 31 მარტს, პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე „საქართველო - უპირველეს ყოვლისა“;

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში საზღვაო სეზონის ოფიციალური გახსნის ღონისძიებასთან დაკავშირებით, ჩატარდა ქართული მუსიკალური ჯგუფის „ურსა“ კონცერტი;
- „ვლაქერნობის“ დღესასწაულთან დაკავშირებული ღონისძიებისთვის ანსამბლის „ქართული ხმები“ კონცერტი;
- ზვიად გამსახურდიას საპრეზიდენტო ცენტრში გაიმართა გორის ქალთა გუნდის (ხელმძღვანელი თეონა ცირამუა) კონცერტი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საპატიო ზუგდიდელის, ზუგდიდის საპატიო მოქალაქის და ზუგდიდის დამსახურებული მოღვაწის დაჯილდოების ცერემონია, დამზადდა ქალაქის სიმბოლური გასაღებისა და საპატიო წოდების აღმნიშვნელი მედლები, სასაჩუქრე ყვავილები;
- სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით რუხის ხიდზე გაიმართა სანთლების მდუმარე აქცია.

➢ **ტელერადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის** საბიუჯეტო კოდით გათვალისწინებული ხარჯების ასანაზღაურებლად მიიმართა 31.0 ათასი ლარი.

➢ **რელიგიის ფინანსური ხელშეწყობის** დანიშნულებით 9 თვეში გახარჯულია 160.0 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა ზუგდიდის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის მამათა სამონასტრო კომპლექსის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მომსახურების შესყიდვას და ეზოს კეთილმოწყობას.

➢ **სახელოვნებო სკოლების** ფინანსური ხელშეწყობის პროგრამას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კულტურის სფეროს სხვა მუნიციპალურ პროგრამებს შორის, რომლის განმახორციელებელია ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლების გაერთიანება, აღნიშნულ მხარჯავ სუბიექტს 9 თვეში ათვისებული აქვს 1002,3 ათასი ლარი. ათვისებული თანხები ძირითადში მოხმარდა: 831,3 ათასი ლარი - ძირითად მომსახურეთა და შემოქმედებითი პედაგოგიური საქმიანობით დაკავებული მუშაკების შრომის ანაზღაურებას, 132,5 ათასი ლარი - შტატგარეშე მუშაკთა ხელფასებს; გაერთიანების საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 48.4 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა მიმდინარე საოპერაციო ხარჯების ანაზღაურებაზე.

2026 წელი სახელოვნებო სკოლების გაერთიანებისთვის იყო შემოქმედებითად დატვირთული და ახალი შესაძლებლობების წელი.

2026 წლის 13 იანვრიდან გაერთიანებაში საგაკვეთილო პროცესი ახალი შემართებით გაგრძელდა. განახლდა და დაზუსტდა სასწავლო პროგრამები, მოსწავლეთა ინდივიდუალური და ჯგუფური გეგმები, ასევე საკონკურსო მიმართულებები. პარალელურად, სკოლებში გაგრძელდა პრაქტიკული და თეორიული ღია გაკვეთილები, კამერული კონცერტები, კლასიკური მუსიკის საღამოები, თემატური გამოფენები და სხვადასხვა საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტი. წლის პირველი ნახევარი განსაკუთრებით დატვირთული იყო კონკურსებითა და ფესტივალებით.

თებერვალში სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა ბაკურიანში გამართულ რესპუბლიკურ ფესტივალში მიიღეს მონაწილეობა და წარმატებული ჩართულობისთვის სპეციალური ჯილდოები და დიპლომები დაიმსახურეს. მარტში მუსიკალური მიმართულებების მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს რამდენიმე მნიშვნელოვან კონკურსში. თბილისში, ევგენი მიქელაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში გაიმართა საერთაშორისო კონკურსი „ნორჩი ვირტუოზი“, სადაც საგუნდო-სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო მიმართულების მოსწავლეები წარდგნენ. მარტშივე N1 სამუსიკო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ ფესტივალ-კონკურსში „იპოვე შენი ვარსკვლავი“, ხოლო საქართველოს ხელოვანთა კავშირის მიერ ორგანიზებულ ეროვნულ კონკურს-ფესტივალში „მომავლის ვარსკვლავები“ მონაწილეობდნენ N1, N2 და საგუნდო-სამუსიკო სკოლების მოსწავლეები.

28 მარტს საგუნდო-სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო მიმართულების მოსწავლეები წყალტუბოში, ი. ს. ბახის IX ეროვნულ კონკურსზე წარდგნენ.

აპრილში კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეობა გაგრძელდა. გაიმართა ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკის კონკურს-ფესტივალი „იპოვე შენი ვარსკვლავი“, სადაც გაერთიანების მუსიკალური სკოლების მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა.

12 აპრილს სამხატვრო სკოლის საგამოფენო დარბაზში გაიმართა სააღდგომო გამოფენა.

25 აპრილს ხობის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ საგუნდო კოლექტივებისა და ფოლკლორული ანსამბლების კონკურს-ფესტივალ „ჰარიდაზე“ ფოლკლორულმა ანსამბლმა „ლილემ“ მეორე ადგილი დაიმსახურა.

აპრილის ბოლოსა და მაისის დასაწყისში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩატარებულ კონკურს-ფესტივალში „მომავლის ვარსკვლავები“ კვლავ წარმატებით მონაწილეობდნენ N1, N2 და საგუნდო-სამუსიკო სკოლების მოსწავლეები.

4 მაისს ბათუმში გამართულ კონკურს-ფესტივალ „რონდო-კლასიკა 2026“-ში მონაწილეობდნენ საგუნდო-სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო მიმართულების აღსაზრდელები.

9 მაისს ფოლკლორულმა ანსამბლმა „ლილემ“ მონაწილეობა მიიღო ხელოვნების X ფესტივალში „ქართული“.

18 მაისს სენაკის XIII არტ-ფესტივალზე N1, N2 და საგუნდო-სამუსიკო სკოლების საფორტეპიანო და საორკესტრო მიმართულებების მოსწავლეები წარდგნენ.

ივნისშიც გაგრძელდა აქტიური შემოქმედებითი ცხოვრება.

3-6 ივნისს საგუნდო-სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო მიმართულების მოსწავლეები მონაწილეობდნენ კარლ ჩერნის სახელობის IV კონკურსში ლანჩხუთში.

7 ივნისს ევგენი მიქელაძის სახელობის ცენტრალურ მუსიკალურ სასწავლებელში, კამერულ ორკესტრთან ერთად გამართულ წლის შემაჯამებელ რეგიონულ კონცერტში მონაწილეობდა საგუნდო-სამუსიკო სკოლის მოსწავლე დარე ცინდელიანი.

15 ივნისს სამხატვრო სკოლაში გაიმართა საანგარიშო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო მოსწავლეთა მიერ 2025-2026 სასწავლო წლის განმავლობაში შექმნილი საუკეთესო ნამუშევრები.

19-23 ივნისს ფოლკლორულმა ანსამბლმა „ლილემ“ ქობულეთში საერთაშორისო ფესტივალ „ოქროს ვარსკვლავში“ მიიღო მონაწილეობა.

29 ივნისს, ანაკლიაში, საერთაშორისო ხელოვნების ფესტივალ „არტ-კოლხზე“ წარმატებით წარდგნენ ფოლკლორული ანსამბლები „ლაზიკა“ და „ლილე“.

5 ივლისს, ქ. ბათუმში, საქართველოს პროფკავშირული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შემოქმედთა კავშირის ორგანიზებით, ბავშვთა და მოზარდთა ხალხური შემოქმედებისა და კლასიკური მუსიკის 33-ე რესპუბლიკურ-საერთაშორისო ფესტივალი „ჩემი ლამაზი ქვეყანა-ბათუმი 2026“ გაიმართა.

ფესტივალში მონაწილეობდნენ N1, N2 სამუსიკო და საგუნდო-სამუსიკო სკოლების საფორტეპიანო და საორკესტრო მიმართულების აღსაზრდელები.

11 ივნისს, სოფელ ანაკლიაში, პედაგოგ თინათინ სიჭინავას ინიციატივით, ადგილობრივ დღესასწაულ „ანაობასთან“ დაკავშირებით ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებაზე წარსდგნენ სახელოვნებო სკოლების გაერთიანების ფოლკლორული ანსამბლები: „ლაზიკა“ (პედაგოგი თინათინ სიჭინავა), „ლილე“ (პედაგოგი ელვარდ ყიფიანი), „ოდაბადე“ (პედაგოგი ლადო ჭიხვარია), ქორეოგრაფიული ანსამბლები და მოწვეული შემოქმედებითი ჯგუფები.

ფესტივალზე ანაკლიის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა გააცოცხლეს ცნობილი ქართული ფილმის „მამლუქის“ სიუჟეტი.

18 ივლისს, ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში, სახელოვნებო სკოლების გაერთიანების ორგანიზებითა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკის ფესტივალის „მდუმარე ნოტები-2026“-ის ფარგლებში, გაიმართა კონცერტი „ქართული და მსოფლიო კინომუსიკა“

ფესტივალში მონაწილეობდნენ სახელოვნებო სკოლების გაერთიანების N1, N2 სამუსიკო და საგუნდო-სამუსიკო სკოლების საფორტეპიანო, საორკესტრო და საგუნდო მიმართულების აღსაზრდელები ქუთაისის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, მაესტრო რევაზ ჯავახიშვილის დირიჟორობით.

საკონცერტო პროგრამა მოიცავდა ქართულ და მსოფლიო კინემატოგრაფიის გამორჩეულ მუსიკალურ ნაწარმოებებს, რომლებსაც ეკრანზე გადაშლილი კინოკადრები კიდევ უფრო შთამბეჭდავს ხდიდა.

სახელოვნებო სკოლების გაერთიანებაში ფუნქციონირებს დეკორატიული ხელოვნების წრე, სადაც თექაზე მუშაობის გაკვეთილები უტარდებათ მოზარდებს. 30 ივლისს წარმატებით დასრულდა გამოყენებითი ხელოვნების წრის მოსწავლეებისთვის ჩატარებული ორთვიანი სასწავლო კურსი - „თექის ხელოვნება“, რომელსაც პედაგოგი ეკატერინე ჯოლოგუა უძღვებოდა. 30 ივლისს, დასკვნით გაკვეთილზე კურსდამთავრებულებს სერტიფიკატები გადაეცა.

აგვისტოს თვეში, სახელოვნებო სკოლების გაერთიანებაში დროებით შეწყდა საგაკვეთილო პროცესი. თუმცა ეს პერიოდი გაერთიანებისთვის ახალი სასწავლო წლისთვის მომზადების ეტაპად იქცა. მიმდინარეობდა სასწავლო პროგრამებისა და სამუშაო გეგმების გადახედვა-დაზუსტება, ახალი სასწავლო წლისთვის საჭიროებების განსაზღვრა, შემოქმედებითი და საგანმანათლებლო მიმართულებების დაგეგმვა. ამ პერიოდში ყურადღება დაეთმო როგორც უკვე არსებული მიმართულებების განვითარებას, ისე ახალი შესაძლებლობების შექმნას, რათა ახალი სასწავლო წელი მოსწავლეებსა და პედაგოგებს განახლებული გეგმებით, ახალი იდეებითა და მეტი შემოქმედებითი შესაძლებლობით დაეწყოთ.

14 სექტემბერს განახლდა სახელოვნებო სკოლების გაერთიანებაში ახალი 2026-2027 სასწავლო წელი. N1 სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში, სახელოვნებო სკოლების გაერთიანების ინიციატივით, 2026-2027 სასწავლო წელს ჩარიცხული მოსწავლეებისთვის ღია კარის დღე, გაცნობითი ხასიათის საზეიმო ღონისძიება გაიმართა.

საღამოზე წარსდგნენ N1, N2 სამუსიკო და საგუნდო-სამუსიკო სკოლების მოსწავლეები. ღონისძიების ბოლოს პატარებს ანიმაციური გმირებიც ესტუმრნენ და გადასცეს სიმბოლური საჩუქრები ნიშნად წარმატებული თანამშრომლობის დასაწყისისა.

ოქტომბრის თვიდან სახელოვნებო სკოლების გაერთიანებაში დაინერგა კიდევ ერთი ახალი მიმართულება - სამოყვარულო მუსიკალური ჯგუფი და მუსიკის შექმნის ლაბორატორია. ეს პროექტი ითვალისწინებს სივრცის შექმნას, სადაც მონაწილეობა შეუძლია ყველა მსურველს, ასაკობრივი შეზღუდვის გარეშე. სადაც მთავარი არის არა პროფესიონალიზმი და აკადემიური განათლების მიღება, არამედ მონაწილეობის სურვილი, საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენა, მუსიკისგან სიამოვნების მიღება და ერთმანეთთან თანამშრომლობით ახალი გამოცდილების მიღება.

მომავალშიც გაერთიანებაში კიდევ არაერთი ახალი იდეისა და პროექტის განხორციელება იგეგმება, ახალი სასწავლო მიმართულებები, შემოქმედებითი პროგრამები, თანამედროვე ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ინიციატივები, სხვადასხვა ასაკისა და ინტერესის მქონე ადამიანებისთვის ახალი შესაძლებლობები.

- **საცხენოსნო კლუბ „ხარებას**“ დაფინანსებისთვის 9 თვეში გახარჯულია 60,0 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა საცხენოსნო სპორტული ღონისძიების ორგანიზების და ცხენების საკვებით უზრუნველყოფაზე
- **სსიპ „ქალაქ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის“** ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში 9 თვეში თეატრის პოპულარიზაციის ღონისძიებებზე, საგასტროლო და ახალი სპექტაკლების სადადგმო ხარჯებისთვის მიიმართა 45,0 ათასი ლარი.
- **ქართული ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაზე** 2026 წლის 9 თვეში ასიგნება პროგნოზირებული იყო 645,0 ათასი ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ შეადგინა 526,0 ათასი ლარი.

2026 წელი საფეხბურთო სკოლისათვის მნიშვნელოვანი ინსტიტუციური და ორგანიზაციული ცვლილებებით დაიწყო. 2026 წლის 20 იანვარს საფეხბურთო კლუბ „ოდიში 1919“-ის ძირითადი გუნდი გასხვისდა და საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ლიგა 2-ში ასპარეზობა განაგრძო შპს „ოდიში 1919“-ის სახელით. აღნიშნული ცვლილების შედეგად, 2026 წლის თებერვლიდან დაიწყო საფეხბურთო კლუბის რეორგანიზაციის პროცესი, რომლის ფარგლებში შეიცვალა ორგანიზაციის სახელწოდება და წესდება და დაფუძნდა ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა „ოდიში 1919“. რეორგანიზაციის შედეგად სკოლის საქმიანობის მთავარ მიმართულებად განისაზღვრა ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთის განვითარება, ასაკობრივი გუნდების ფუნქციონირება, ახალგაზრდა და პერსპექტიული ფეხბურთელების გამოვლენა, მათი სპორტული მომზადება და შემდგომი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ სკოლას 2026 წელს მიენიჭა II კატეგორია და გამოეყო 20 000 (ოცი ათასი) ლარის დაფინანსება, რომელიც სრულად იქნა ათვისებული საწვრთნელი ინვენტარისა და სათამაშო ფორმების შესაძენად. აღნიშნულმა დაფინანსებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ასაკობრივი გუნდების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გაუმჯობესებასა და საწვრთნელი პროცესის სათანადო დონეზე წარმართვას. ამასთან, 2026 წლის მარტიდან დაიწყო მზადება 2026-2027 წლების კატეგორიზაციის პროცესისთვის. აღნიშნული პროცესის ფარგლებში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ექსტრანეტის პლატფორმაზე სრულად აიტვირთა მოთხოვნილი დოკუმენტაცია შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ზოგადი და სამართლებრივი; საკადრო-ადმინისტრაციული; სპორტული; ინფრასტრუქტურული; სოციალური და ფინანსური. საფეხბურთო სკოლამ წარმატებით გაიარა კატეგორიზაციის ყველა ეტაპი, მიიღო 2026-2027 წლების კატეგორიზაცია და კვლავ მიენიჭა II კატეგორია („ფეხბურთის სკოლა“). სკოლის ასაკობრივმა გუნდებმა 2026 წლის თებერვლიდან 1 აპრილამდე გაიარეს ინტენსიური მოსამზადებელი პერიოდი, რომელიც მოიცავდა ყოველდღიურ საწვრთნელ პროცესს, საკონტროლო და ამხანაგურ შეხვედრებს და გუნდების ჩემპიონატებისთვის სათანადოდ მომზადებას. აღნიშნული მოსამზადებელი ეტაპის დასრულების შემდეგ გუნდებმა აქტიურად განაგრძეს მონაწილეობა როგორც სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონულ ჩემპიონატში, ისე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ჭაბუკთა ლიგაში.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონულ ჩემპიონატში „ჭაბუკთა შეჯიბრში“ საფეხბურთო სკოლა „ოდიში 1919“ წარმოდგენილი იყო U10, U11, U11 დუბლი, U12, U12 დუბლი, U13, U13 დუბლი და U14 ასაკობრივი გუნდებით. 2026 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, აღნიშნულმა გუნდებმა ჯამში ჩაატარეს 140 ოფიციალური საშინაო და გასვლითი მატჩი. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ჭაბუკთა ლიგის, მათ შორის „ბრინჯაოს ლიგის“, ფარგლებში სკოლას წარმოადგენდნენ U15 და U17 ასაკობრივი გუნდები, რომლებმაც 2026 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით ჩაატარეს 32 ოფიციალური მატჩი, ხოლო სეზონის დაწყებამდე გამართეს 8 ამხანაგური შეხვედრა.

2026 წლის 9 თვის განმავლობაში საფეხბურთო სკოლა „ოდიში 1919“-ის ასაკობრივმა გუნდებმა წარმატებით იასპარეზეს როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ და რეგიონულ ტურნირებზე. აღნიშნული შედეგები ადასტურებს სკოლის ასაკობრივი გუნდების კონკურენტუნარიანობასა და საწვრთნელი პროცესის ეფექტიანობას.

სკოლის საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგად უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა ფეხბურთელების სელექციისა და განვითარების მიმართულებით მიღწეული შედეგიც. U14 ასაკობრივი გუნდის 9 ფეხბურთელმა წარმატებით გაიარა შერჩევითი ეტაპი და ოფიციალურად გახდა სამეგრელოს რეგიონალური ნაკრების წევრი. აღნიშნული ფეხბურთელები არიან: **ანდრია კერძევაძე, ანდრია ლაგვილავა, ლევან თამაზოღლი, გიორგი ტაბაღუა, დავით ანთია, ანდრია ვარდანია, ანდრია ქირია, ნიკოლოზ ჩერშინცევი და ანდრია ბახტაძე.** აღნიშნული შედეგი წარმოადგენს სკოლის მიერ ფეხბურთელთა საბაზო მომზადებისა და სელექციის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებელს.

2026 წლის განმავლობაში საფეხბურთო სკოლა „ოდიში 1919“-ის საქმიანობა ეფუძნებოდა საქართველოსა და საერთაშორისო საფეხბურთო სივრცეში მოქმედი წესებისა და რეგლამენტების შესაბამისად შეჯიბრებებში მონაწილეობის პრინციპს, ასაკობრივი გუნდების

სისტემურ განვითარებას, საწვრთნელი პროცესის უწყვეტობას, ახალგაზრდა ფეხბურთელების სპორტული და პროფესიული პოტენციალის გამოვლენას, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი პირობების შექმნას, სამწვრთნელო პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და მომავალი მაღალი დონის ფეხბურთელების მომზადებას

## ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფერო

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებისათვის განვლილ პერიოდში პროგნოზირებული იყო 3886,1 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო შესრულებამ შეადგინა 3006,5 ათასი ლარი /77,6%/.

ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებანი ჯანდაცვის და სოციალურ სფეროს მიკუთვნებული პროგრამების მიხედვით მიიმართა:

- **მუნიციპალიტეტზე დელეგირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსებაზე**, რომელიც ხორციელდება ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს მიერ, 9 თვეში ათვისებულია 429,6 ათასი ლარი (გეგმა-პროგნოზი 444,2 ათასი ლარი)

- 2026 წლის 9 თვის საანგარიშგებო პერიოდში ზუგდიდის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში სასწრაფო და რუტინული შეტყობინების საფუძველზე დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონულ ინტეგრირებულ სისტემაში (დზეი) დარეგისტრირებული იქნა ინფექციური დაავადებების 890 შემთხვევა. მათ შორის ტუბერკულოზზე საეჭვო 675 შემთხვევა, რომელთა შორის აქტიური ტუბერკულოზი მგბ(+) დაუდასტურდა 10-ს, მგბ(–) 15-ს, ინფექციის კერებში 68 კონტაქტირებულ პირს ჩაუტარდა სკრინინგული კვლევა, დამყარდა მეთვალყურეობა აქტიური ტუბერკულოზის გამოვლენის მიზნით.
- 2026 წლის 9 თვის საანგარიშგებო პერიოდში რეგისტრირდა ცხოველთან ექსპოზიციის 2316 შეტყობინება, აქედან აფხაზეთში მცხოვრები 29 პირი, სხვა რაიონში მცხოვრები 410 პირი. ანტირაბიული მკურნალობის სრული კურსი ჩაუტარდა 758 პირს, პირობითი 1564 პირს. შეწყვიტა მკურნალობა ცხოველთა იდენტიფიცირების შედეგად 103–მა პირმა.
- „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სამედიცინო დაწესებულებაში ხორციელდება ორსულთა გამოკვლევა „ბ“ ჰეპატიტზე, აივ-ინფექციაზე, სიფილისსა და C ჰეპატიტზე, სულ ამ პერიოდის განმავლობაში გამოკვლეულია 496 ორსული. ტესტირებით „ბ“ ჰეპატიტზე 1, C ჰეპატიტზე 3,

ხოლო სიფილისზე - 1 დადებითი შემთხვევა გამოვლინდა, რომელთა ბიოლოგიური მასალა კონფირმაციული კვლევისთვის გადაგზავნილ იქნა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში.

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-60/ნ „პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის, აგრეთვე იმუნიზაციის მართვის წესების და საჭირო სააღრიცხვო-საანგარიშგებო ფორმების შესრულების შესახებ“ ბრძანების შესაბამისად, ჩატარდა 50 მონიტორინგი ამბულატორიებში წინასწარ შემუშავებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, 29 საექიმო და 4 სამედიცინო დაწესებულებაში.
- საანგარიშგებო პერიოდში ზუგდიდის ტერიტორიაზე სულ განხორციელდა 6937 აცრა. მ.შ. გეგმიური 6429. ბცჟ ვაქცინაცია ჩაუტარდა 472 ახალშობილს; ბ ჰეპატიტის საწინააღმდეგო 480-ს, ბავშვთა იმუნიზაცია ჰექსაქციმით (6 ვალენტიანი ვაქცინა) ჩატარდა 981 აცრა, ტეტრაქსიმით (18 თვის; 5 წლის ასაკში) - 1036, წითელა-წითურა-ყბაყურის საწ. 1,2 დოზით აიცრა 899 ბავშვი, როტა 1 და 2 დოზით - 544. პნევმოკოკი - 966, აპვ ვაქცინით 690, ტდ ვაქცინით 361 აცრა და არაგეგმიური 508 აცრა (პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო 13-45 წლის ქალები აიცრა-99, ბიჭები 48, პნევმოკოკის საწინააღმდეგოდ ჩატარდა 60 წლის - 4 აცრა, ბ-ჰეპატიტის საწინააღმდეგო ჩატარდა - 357).
- 2026 წლის საანგარიშგებო პერიოდში გრიპის და გრიპისმაგვარი დაავადებების მონიტორინგის ფარგლებში ჰოსპიტალიზირებულ პაციენტთა რაოდენობამ შეადგინა 9864, მათ შორის რესპირატორული ინფექციის გართულებით 866. ამბულატორიული მომსახურება გაეწია 35062 პაციენტს, გრიპისმაგვარი დაავადება გამოვლენილი იყო 1576 შემთხვევაში.
- სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ცენტრში 2026 წლის 9 თვის პერიოდში მიღებულ იქნა 447 205,89 ლარის და გაცემული იქნა 430 102,17 ლარის ვაქცინები, სტრატეგიული შრატები, სწრაფი მარტივი ტესტები სახარჯი მასალით.
- საანგარიშგებო პერიოდში ჩატარებული იქნა მონიტორინგი 31 საბავშვო ბაღში, მათ შორის 5 კერძო ბაღში. მონიტორინგის დროს სახელმწიფო საბავშვო ბაღში გამოვლენილი დარღვევების შესახებ ეცნობა ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრს ზომების მისაღებად.
- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მონიტორინგი 64 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, მათ შორის 7 კერძო სკოლაში. შემოწმდა სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები და გაიცა რეკომენდაციები.
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სტომატოლოგიური სერვისის მიმწოდებლებში ინფექციის კონტროლის ღონისძიებებზე ზედამხედველობა განხორციელდა 36 კაბინეტში. მონიტორინგის ფარგლებში გამოვლინდა სასტერილიზაციო ოთახის მოწყობის საჭიროება ცალკეულ კაბინეტებში, ინსტრუმენტების სარეცხი-სადეზინფექციო საშუალებების სრულყოფილი ნაკრები არ გააჩნდათ 5 კაბინეტს, ნორმატივებით განსაზღვრულ დოკუმენტაციას სრულყოფილად აწარმოებს 27 ხოლო არ აწარმოებს 9 კაბინეტი, ნარჩენების წესის დარღვევა გამოვლინდა 4 კაბინეტში. თითოეულ წესის დამრღვევ სტომატოლოგიური სერვისის მიმწოდებელს მიეთითა დარღვევებზე დროულად მოახდინონ რეაგირება და გონივრულ ვადაში მოახდინონ ხარვეზების აღმოფხვრა.
- ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამის ფარგლებში C ჰეპატიტზე, აივ-ინფექციასა და ტუბერკულოზზე სკრინინგი ჩაუტარდა 464 ბენეფიციარს, ხოლო B ჰეპატიტზე - 386-ს. ჩატარებული კვლევების შედეგად C ჰეპატიტი დაუდასტურდა 3-ს, ხოლო B ჰეპატიტი - 7 ბენეფიციარს.
- ცენტრის პარაზიტოლოგიური სამსახურის მიერ პარაზიტულ დაავადებებზე ლაბორატორიული კვლევა ჩაუტარდა ბაღების 903 აღსაზრდელს, მათ შორის ინვაზირებული აღმოჩნდა 37 აღსაზრდელი. დაინვაზირება შეადგენს გამოკვლეულთა 4%-ს.
- 9 თვეში განახორციელა ზედამხედველობა და მონიტორინგი ზუგდიდის ტერიტორიაზე მდებარე საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებზე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად: მონიტორინგი ჩაუტარდა 32 ბიზნესოპერატორს. მათ შორის სანიტარიულ-ჰიგიენური წესები და ნორმები სრულად არის დაცული 118 შემთხვევაში. მეორადი (გადამოწმება) მონიტორინგი, გონივრული ვადის გასვლის შემდეგ ჩაუტარდა 92 ბიზნეს ოპერატორს დარღვევები გათვალისწინებულია. 24 ბიზნეს ოპერატორი ექვემდებარება გადამოწმებას. 2 ბიზნეს ოპერატორზე შედგა ჯარიმის ოქმი. საქართველოს სამართალდარღვევათა კოდექსის 432 პრიმა მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის** მიმართულებით მიმდინარე წლის 9 თვეში სხვადასხვა პროგრამის განხორციელებაზე, მიიმართა სულ 2576,9 ათასი ლარი, რითაც ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისი და დახმარება მიიღო **5805-მა** ადამიანმა (3,666 ქალი და 2139 მამაკაცი).

- **ჯანდაცვის განყოფილების** მიერ საანგარიშო პერიოდში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში, ჩატარებულია ჯანმრთელობის დაცვის საკითხების შემსწავლელი კომისიის 28 სხდომა. **2465 (1297 ქალი, 1168 კაცი)** ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურების დაფინანსებისთვის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის საკასო შესრულებამ შეადგინა **1 176.1 ათასი ლარი.** ქვეპროგრამების მიხედვით თანხა მიიმართა:

● **161.0 ათასი ლარი** - ძვირადღირებული გამოკვლევების (კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია) თანადაფინანსებაზე. ისარგებლა 657 მოქალაქემ (ქალი-433, კაცი-224)

● **46.0 ათასი** ლარი - კორონაროგრაფიის თანადაფინანსებაზე. ისარგებლა 46 მოქალაქემ (ქალი-27, კაცი-19)

● **14.0 ათასი ლარი** - PET/კტ კვლევის თანადაფინანსებაზე. ისარგებლა 14 მოქალაქემ (ქალი-6, კაცი-8)

● **84.3 ათასი ლარი** - სამედიცინო მომსახურების (ქირურგიული ოპერაცია) თანადაფინანსებაზე. ისარგებლა 122 მოქალაქემ (ქალი-63, კაცი-59)

● **113.8 ათასი ლარი** - ძვირადღირებული მედიკამენტების თანადაფინანსებაზე. ისარგებლა 487 მოქალაქემ (ქალი-289, კაცი-198)

● **95.0 ათასი ლარი** - სხვადასხვა სახის ინტელექტუალური შეზღუდვისა და ქცევითი აშლილობის მქონე 0-18 წლამდე ბავშვებისათვის სარეაბილიტაციო მკურნალობის დაფინანსება/თანადაფინანსებაზე. ისარგებლა 253 ბავშვმა (გოგონა-81, ვაჟი-172)

● **3.5 ათასი ლარი** - 18 წლის და მეტი ასაკის შშმ (მკვეთრად გამოხატული) პირების სარეაბილიტაციო მკურნალობის თანადაფინანსებაზე. ისარგებლა 7 მოქალაქემ (ქალი-4, კაცი-3)

● **10.9 ათასი ლარი** - იშვიათი დაავადებების (ცელიაკია/ ფენილკეტონურია/მუკოვისციდოზი) მქონე პირების სპეციალიზირებული საკვების შესაძენი თანხით უზრუნველყოფაზე. ჩართულია 4 მოქალაქე (ქალი-2, კაცი-2)

● **4.5 ათასი ლარი** - განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სპეციფიკური მოვლის საშუალებების თანადაფინანსებაზე (ექსკრემენტის მიმღები კონტეინერი) დაფინანსება. ისარგებლა 15 მოქალაქემ (ქალი-4, კაცი-11)

● **25.1 ათასი ლარი** - ბინაზე მყოფი პალიატიური ზრუნვის საჭიროების მქონე პირების სამედიცინო ერთჯერადი სახარჯი მასალის, მოვლის, დამხმარე საშუალებებისა და სხვა ნივთების შესაძენი თანხით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაზე. ჩართულია 28 მოქალაქე (ქალი-16, კაცი-12)

● **0.6 ათასი ლარი** - 0-18 წლამდე კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბავშვებისათვის, იმპლანტის დამხმარე საშუალებების შესაძენი თანხით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის დაფინანსებაზე. ისარგებლა 1 ბავშვმა (ვაჟი-1)

● **12.7 ათასი ლარი** - ფილტვის კიბოს ადრეული გამოვლენის ქვეპროგრამაზე. ისარგებლა 258 მოქალაქემ (ქალი-70, კაცი-188)

● **75.2 ათასი ლარი** - ძვირადღირებული თერაპიის (ქიმიო, სხივური, რადიო, ტარგეტული ან სხვა) საჭიროების მქონე ონკოლოგიური ავადმყოფების ფინანსური მხარდაჭერის ქვეპროგრამაზე. ისარგებლა 376 მოქალაქემ (ქალი-266, კაცი-110)

ამასთან, ერთი მოქალაქის (1 ქალი) თურქეთის კლინიკიდან საქართველოში ტრანსპორტირების ხარჯი **2.8** ათასი ლარი და მეორე მოქალაქის (1 კაცი) ჩასატარებელი ოპერაციის შემდგომი სარეაბილიტაციო პროცედურების ღირებულება **3.1** ათასი ლარი - სულ **5.9 ათასი ლარის** ოდენობით გაიხარჯა სარეზერვო ფონდიდან, რომელიც დაზუსტდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამაში (კოდი 06 01 03).

➢ **523.6 ათასი ლარი** - **აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამა -** პროგრამაში ჩართულია 195 ბავშვი (გოგონა-35, ვაჟი-160), რაზეც დაიხარჯა 122.7 ათასი ლარი (კოდი 060103) და 400.9 ათასი ლარი (კოდი 060104).

**მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა ჯანმრთელობის დაცვას მოხმარდა** 775.2 ათასი ლარი.

➢ **სოციალური დაცვის** პროგრამების ფარგლებში, საკასო მაჩვენებლით, **3 170** მოქალაქის **(ქალი-2268, კაცი-902)** სოციალურ დახმარებებსა და სერვისებზე ათვისებულია **1 340.5 ათასი ლარი.** ჩატარებულია სოციალური საკითხების შემსწავლელი კომისიის 13 სხდომა, რომლებზეც განხილულ იქნა, კომისიურ გადაწყვეტილებას დაქვემდებარებული, ასობით მოქალაქის საკითხი. შემოსული განცხადებების შესაბამისად, განხორციელდა მოსახლეობასთან კომისიური გასვლები. მარტოხელა და მარტომცხოვრებ მოქალაქეებს შეუფერხებლად მიეწოდათ შინმოვლის სერვისი, ასევე, 81 მოქალაქეს გაეწია შუამდგომლობა სხვადასხვა უწყებაში.

დაფინანსების თანხა პროგრამების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად:

- **198.3 ათასი ლარი - სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამაზე,** რომლითაც საანგარიშო პერიოდში ისარგებლა 297 (ქალი-196, კაცი-101) მოქალაქემ.
- **33.5 ათასი ლარი -** ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამაზე, ისარგებლა 8 (ქალი-2, კაცი-6) მოქალაქემ. კერძოდ, თანხები მიიმართა:
- **24.0 ათასი ლარი** - ა(ა)იპ „ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ზუგდიდის ვეტერანთა კავშირის“ ფინანსური უზრუნველყოფისთვის.
- **1.5 ათასი ლარი** - გარდაცვლილი ომის მონაწილის 5 ოჯახის ფინანსური მხარდაჭერისთვის (თითოეულს 300 ლარის ოდენობით).
- **6.8 ათასი ლარი -** 2008 წლის 8 აგვისტოს დაღუპულის ოჯახის წევრის სწავლის საფასურის გადახდა და 3 ოჯახის ფინანსური დახმარება
- **0.8 ათასი ლარი -** 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით, ომის ვეტერანთან გათანაბრებული 4 პირის ოჯახის ფინანსური მხარდაჭერისთვის (თითოეულს 200 ლარის ოდენობით)
- **0.4 ათასი ლარი -** გმირების სასაფლაოების შესამკობი ყვავილების გვირგვინების შესასყიდად

**40.7 ათასი ლარი -** ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა, ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამაზე, რომლითაც ისარგებლა 138 (ქალი-89, კაცი-49) მოქალაქემ. კერძოდ, თანხები მიიმართა:

- **2.9 ათასი ლარი -** დედ-მამით ობოლი 4 ბავშვის ფინანსური მხარდაჭერისთვის (ყოველთვიურად თითოეულს 100 ლარის ოდენობით).
- **7.9 ათასი ლარი -** ოჯახში ძალადობის მსხვერპლი 18 მოქალაქის ფინანსური მხარდაჭერისთვის (თითოეულს 100-800 ლარამდე).
- **25.7 ათასი ლარი -** 112 მრავალშვილიანი ოჯახის ფინანსური მხარდაჭერისთვის (თითოეულს 200-500 ლარის ოდენობით).
- **3.0 ათასი ლარი - 3** ოჯახის ფინანსური მხარდაჭერისთვის ტყუპის შეძენასთან დაკავშირებით (თითოეულ ოჯახს 1000 ლარი).

- **1.2 ათასი ლარი -** სოციალურად დაუცველი 3 ოჯახის ფინანსური მხარდაჭერისთვის პირველი-მეორე შვილის შეძენასთან დაკავშირებით (თითოეულს 500 ლარის ოდენობით ვაუჩერი).
- **130.8 ათასი ლარი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამაზე,** რომლითაც ისარგებლა 580 მოქალაქემ (ქალი-379, კაცი-201). აღნიშნული თანხა მიიმართა:
- **4.0 ათასი ლარი -** შეზღუდული შესაძლებლობისა და მძიმე ქრონიკული ავადმყოფობის მქონე 120 ბავშვის ფინანსური მხარდაჭერისთვის (თითოეულს 200 ლარის ოდენობით).
- **28.7 ათასი ლარი** - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 307 პირის კომუნალური გადასახადებისთვის (თითოეულს 25-25 ლარი ოთხი თვის განმავლობაში).
- **72.4 ათასი ლარი -** განსაკუთრებული ზრუნვის საჭიროების მქონე 51 შშმ პირისა და ხანდაზმულის მომვლელისათვის (ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით).
- **5.7 ათასი ლარი -** 2 ბენეფიციარის პერსონალური ასისტენტის მომსახურებისთვის

საჭიროების მქონე პირთა ინდივიდუალური მობილობა - „თავისუფალი გადაადგილების სოციალური სერვისი“-ს ფარგლებში, განხორციელდა 1504 გასვლა სხვადასხვა მიმართულებით, სულ სერვისით ისარგებლა 100 მოქალაქემ, მათ შორის 19 არასრულწლოვანია (ქალი-59, კაცი-41).

**88.7 ათასი ლარი - მარტოხელა მშობლის სოციალური დაცვის პროგრამაზე,** ისარგებლა 251 (ქალი-236, კაცი-15) მოქალაქემ. თანხები მიიმართა:

- **37.8 ათასი ლარი -** მარჩენალდაკარგული პირებისთვის, ისარგებლა 189 მოქალაქემ (თითოეულს 200 ლარი).
- **50.9 ათასი ლარი -** მარტოხელა მშობლებისთვის, ისარგებლა 62 მოქალაქემ (თითოეულს 100 ლარი ყოველთვიურად).
- **14.0 ათასი ლარი - ხანდაზმულთა, მარტოხელა მოხუცების შინმოვლისა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამაზე,** ისარგებლა 26 (ქალი-19, კაცი-7) მოქალაქემ. თანხა მიიმართა:

  **11.0 ათასი ლარი -** 100 წელს გადაცილებული 11 ბენეფიციარისთვის (თითოეულს 1000 ლარის ოდენობით).

  **3.0 ათასი ლარი -** სოციალურად დაუცველი 15 გარდაცვლილი პირის ოჯახის დასახმარებლად (თითოეულს 200 ლარის ოდენობით).

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მარტოხელა და მარტომცხოვრებ ხანდაზმულთა შინმოვლის სერვისი: სხვადასხვა სოციალური მომსახურების გაწევის მიზნით, სპეციალურად ადაპტირებული მიკროავტობუსის საშუალებით ექიმით, მომვლელი ქალითა და მძღოლით დაკომპლექტებულმა მობილურმა ჯგუფმა 75 ბენეფიციართან განახორციელა 783 ვიზიტი.

- **47.5 ათასი ლარი - სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა -** სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამაზე, თანხა გახარჯულია აღდგომასთან დაკავშირებით მრავალშვილიანი ოჯახების, დედ-მამით ობოლი ბავშვების, მარტოხელა მშობლების, 100 წელს გადაცილებული ხანდაზმულების, უფასო სასადილოს და სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარების და უკიდურესად შეჭირვებული მოქალაქეების სასაჩუქრე პაკეტისათვის. 550 მოსარგებლე (ქალი-387, კაცი-163).
- **108.4 ათასი ლარი - ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამაზე**, ისარგებლა 138 (ქალი-93, კაცი-45) მოქალაქემ. კერძოდ:
- **97.4 ათასი ლარი -** ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული 84 მოსარგებლის ტრანსპორტირების თანადაფინანსებისთვის (ყოველთვიურად თითოეულს 100-150 ლარის ოდენობით).
- **10.0 ათასი ლარი** - სოციალურად დაუცველი 50 სტუდენტის ტრანსპორტირების თანადაფინანსებისთვის (თითოეულს 200 ლარის ოდენობით).
- **1.0 ათასი ლარი -** სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის დღის ცენტრების ქვეპროგრამაში ჩართული 4 შშმ ბავშვის თანხმლებ პირთა ტრანსპორტირების თანადაფინანსებისთვის.

- **263.4 ათასი ლარი - სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამაზე.** ისარგებლა 157 (ქალი-102, კაცი-55) მოქალაქემ, თანხა მიიმართა:
  - **201.8 ათასი ლარი -** 122 მოსარგებლის ბინის ქირით უზრუნველყოფისათვის (ყოველთვიურად თითოეულს 200 ლარის ოდენობით).
  - **52.0 ათასი ლარი -** ხანძრის შედეგად დაზარალებული 17 ოჯახის ფინანსური მხარდაჭერისთვის (თითოეულს 5 000 ლარის ფარგლებში).
  - **7.5 ათასი ლარი -** მეწყრის შედეგად დაზარალებული 15 ოჯახის ფინანსური მხარდაჭერისთვის (500 ლარი თითოეულს)
  - **2.1 ათასი ლარი -** სტიქიის შედეგად დაზარალებული 3 ოჯახის ფინანსური მხარდაჭერა (3000 ლარამდე)
- **33.2 ათასი ლარი - დევნილთა მხარდაჭერის პროგრამაზე,** ისარგებლა 166 (ქალი-130, კაცი-36) მოსარგებლემ (თითოეულს 100 ლარის ოდენობით).
- **200.8 ათასი ლარი - სოციალურად დაუცველი ოჯახების გათბობის საშუალებებით უზრუნველყოფისა და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამაზე.** ისარგებლა 817 (ქალი-589, კაცი-228) მოქალაქემ. კერძოდ, აღნიშნული თანხა მიიმართა:
  - **33.4 ათასი ლარი -** 336 სოციალურად დაუცველი ოჯახის კომუნალური გადასახადებისთვის, (თითოეულს 25-25 ლარის ოდენობით ოთხი თვის განმავლობაში).
  - **163.8 ათასი ლარი -** სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი 472 ოჯახის ფინანსური დახმარებისთვის (თითოეულს 100-500 ლარის ფარგლებში).

- **3.6 ათასი ლარი -** სოციალურად დაუცველი 9 ოჯახის გაზიფიცირებისთვის.

➢ **5.0 ათასი ლარი - სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების პროგრამა -** დაფინანსდა 1 (25 ბენეფიციარი) პროექტი.

➢ **1.4 ათასი ლარი - პროგრამა „სოციალური საცხოვრისი კეთილმოწყობილ გარემოში“ –** 14 (ქალი-13, კაცი-1) მოსარგებლე, რომელიც მიიმართა სოციალურ საცხოვრისში ჩასახლებული 14 ოჯახის კომუნალური ხარჯების ასანაზღაურებლად (იანვარი, თებერვალი, მარტის თვეებში თითოეულს 25-25 ლარის ოდენობით).

➢ **174.8 ათასი ლარი - უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამის** ფარგლებში, შესრულდა 2025 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად 3 საცხოვრებელი სახლის სამშენებლო სამუშაოები და 1 ოჯახის „ერთი თბილი ოთახი“.

➢ საანგარიშო პერიოდში, **ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამის** ფარგლებში, 18 წლამდე ასაკის ბავშვების ფინანსურ მხარდაჭერასა და სერვისებზე საკასო შესრულებამ ჯამში შეადგინა 60.3 ათასი ლარი. დაფინანსება/მომსახურება ქვეპროგრამების მიხედვით მიიღო **170** (გოგონა-101, ვაჟი-69) მოსარგებლემ, რომელიც გადანაწილდა შემდეგნაირად:

- **35.0 ათასი ლარი** - სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის მატერიალური დახმარების ქვეპროგრამაზე. ისარგებლა 75 მოქალაქემ (გოგონა-42, ვაჟი-33);

- **2.9 ათასი ლარი** - ბავშვთა სადღესასწაულო და სოლიდარობის დღეების აღნიშვნის ქვეპროგრამაზე (დაუნის სინდრომის და აუტიზმის საერთაშორისო დღეებში დღის ცენტრებისთვის საჩუქრების შესყიდვა და 1 ივნისის გასართობი ღონისძიების დაფინანსება 60 ბავშვისთვის (გოგონა-37, ვაჟი-23)).

- **10.7 ათასი ლარი -** ინგლისური ენის შემსწავლელი წრის დაფინანსებაზე. ისარგებლა 25 მოქალაქემ (გოგონა-17, ვაჟი-8);

- **11.7 ათასი ლარი -** საცურაო აუზის მომსახურებაზე (წყლის თერაპია) 10 ბავშვისთვის (გოგონა-5, ვაჟი-5). მ/წლის 1 სექტემბრიდან, დაზიანების გამო, კერძო სკოლა „ჯიჯის“ ბაზაზე არსებული საცურაო აუზი დროებით არ ფუნქციონირებს. ამდენად, წლის ბოლომდე შეჩერებულია ზემოხსენებული მომსახურების მიწოდება.

განყოფილება აქტიურად მუშაობს მოწყვლადი ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების კუთხით. საანგარიშო პერიოდში სოციალური მუშაკის მიერ განხორციელდა 54 ვიზიტი, რომლის შედეგადაც რამდენიმე ბავშვიანი ოჯახი ჩართულ იქნა შესაბამის მუნიციპალურ პროგრამებში, ასევე, საჭიროებისამებრ, განხორციელდა მათი გადამისამართება სხვადასხვა თემატურ სახელმწიფო უწყებაში.

მ/წლის 21 მარტს - დაუნის სინდრომის მსოფლიო დღესთან და 2 აპრილს - აუტიზმის ცნობადობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, განყოფილების წარმომადგენლებმა სიმბოლური საჩუქრები გადასცეს კავშირი „ნერგების“ ბაზაზე არსებული დღის ცენტრისა და აუტიზმის ცენტრის ბენეფიციარებს. ასევე, 1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, პროგრამებში ჩართული 60 ბავშვისთვის მოეწყო გასართობი ღონისძიება.

მ/წლის აპრილ-მაისში ჩატარდა „პოზიტიური მშობლობის“ ტრენინგების მორიგი ციკლი. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 6-მა მშობელმა.

### მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა 13812,2 ათასი ლარი (გეგმა-პროგნოზი 14533,4 ათასი ლარი).

- **წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის** უზრუნველყოფისათვის მიიმართა 10465,5 ათასი ლარი, მათ შორის:
- საკრებულოს საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფაზე 1859,0 ათასი ლარი;
- მერიის სამსახურებისა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების დაფინანსებისათვის 8606,5 ათასი ლარი;
- **მგფ-დან და საქართველოს მთავრობისგან მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სასესხო ვალდებულებების** გრაფიკის მიხედვით დაფარვაზე მიიმართა - 3065,9 ათასი ლარი.
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების მოწყობა-დამონტაჟებისა და მომსახურების ღონისძიებების დაფინანსებაზე - 201,4 ათასი ლარი;

➢ მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 9 თვის გადასახდელების შესრულება სინთეზურად, კონკრეტული მუხლების მიხედვით ხასიათდება შემდეგი ფინანსური პარამეტრებით, კერძოდ გადასახდელების საერთო თანხიდან (73752,7 ათასი ლარი) ხარჯები შეადგენს - 52002,3 ათას ლარს, აქედან:

- შრომის ანაზღაურება - 7952,8 ათასი ლარი;
- საქონელი და მომსახურება - 5447,3 ათასი ლარი;
- პროცენტი - 563,3 ათასი ლარი;
- სუბსიდიები - 33722,8 ათასი ლარი;
- გრანტები - 115,0 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 2418,5 ათასი ლარი;

- სხვა ხარჯები - 1782,6 ათასი ლარი.

➢ მიმდინარე წლის განვლილ 9 თვეში არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა - 19769,7 ათასი ლარი;

➢ ფინანსური ვალდებულებების კლება შეადგენს - 1980,7 ათას ლარს;

განვლილ 9 თვეში ხარჯების ცალკეული მუხლების მიმართ საბიუჯეტო სახსრების გადამეტებას (ზეგეგმიური ხარჯვა) ადგილი არ აქვს.

ბიუჯეტის შესრულების წარმოდგენილი მიმოხილვითი ინფორმაცია ცხადყოფს, რომ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს (მერია), ბიუჯეტის სახსრების განკარგვაზე პასუხისმგებელ იურიდიულ პირებს 9 თვის შედეგებიდან გამომდინარე ჩატარებული აქვთ მნიშვნელოვანი მუშაობა საბიუჯეტო საქმიანობის საკვანძო მიმართულებების მიხედვით.

მუნიციპალიტეტის მერია წლის დარჩენილ პერიოდში განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს, ბიუჯეტის როგორც შემოსულობების მაქსიმალურ მობილიზაციის, ისე გადასახდელების ნაწილში ხარჯების მიზნობრივად და ეკონომიურად განკარგვის საკითხს.

*დანართი 3*

# ინფორმაცია ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული კაპიტალური (საინვესტიციო) პროექტების შესახებ

*(ლარი)*

| პროგრამული კოდი | დასახელება | ფაქტი 2025 წლის ჩათვლით | 2026 წლის დაზუსტებული გეგმა | 2027 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | სულ | ბიუჯეტის სახსრები / ტრანსფერი / სხვა კაპიტალური გრანტები | კრედიტი / გრანტი |
| 02 01 01; 02 09 | ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, ცაიშის და ოქტომბრის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები | 700 000 | 1 635 490 | 1 021 866 | 970 773 | |
| 02 01 01; 02 09 | ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სამანიოს, სანაჭყებიოს და ჯინჯოლავების უბანში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები | 600 905 | 199 094 | 736 973 | 700 124 | |
| 02 01 01; 02 09 | უჩაშონას ადმინისტრაციულ ერთეულში მაცხოვრის კარის (გორკის ქუჩის) შემაერთებელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები | 600 000 | 664 606 | 378 150 | 359 243 | |
| 02 01 01; 02 09 | ხეცერის ადმინისტრაციულ ერთეულში, იონა მეუნარგიას ქუჩის (საფირცხელაო-სამელიოს უბანი) გზის რეაბილიტაცია | | 350 000 | 511 699 | 486 114 | |
| 02 01 01; 02 09 | ინგირის ადმინისტრაციულ ერთეულში, 9 აპრილის ქუჩის და 9 აპრილის ქუჩის III შესახვევში საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები | | 450 000 | 438 999 | 417 049 | |
| 02 01 01; 02 09 | ცაცხვის ადმინისტრაციულ ერთეულში, სკვერის მოწყობის სამუშაოები | | 210 526 | 577 063 | 548 210 | |
| 02 01 01; 02 09 | ახალაბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში კოსტავას, ღესელიძის და თბილისის ქუჩებზე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია | | 300 000 | 583 300 | 554 135 | |
| 02 01 01 | საავტომობილო გზების მოვლა-შეკეთების სამუშაოები | 508 062 | 787 700 | 500 000 | | |
| 02 01 02 | ქ. ზუგდიდში, რიგის ქუჩაზე, მდ. კუჩხობოწზე საავტომობილო ხიდის მშენებლობა | | | 156 000 | | |
| 02 02 01 | ჩხორიის და ყულიშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია | | | 300 000 | | |
| 02 02 02 | სანიაღვრე არხების მშენებლობა-რეაბილიტაცია | 595 325 | 251 200 | 200 000 | | |
| | **ჯამი** | **3 004 292** | **4 848 616** | **5 404 050** | **4 035 648** | |




ზუგდიდის

მუნიციპალიტეტის

# 2027 წლის პროგრამული ბიუჯეტი

## ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები

2026 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა სხვადასხვა აქტივობები, შემუშავდა 2027 – 2030 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ფუნქციონირება.

## ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური წინსვლის საფუძველია და ბიუჯეტის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიმართულებით გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია, წყალმომარაგების სისტემების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება. ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობასთან ერთად, მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას და მისი ექსპლოატაციისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსებას.

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2027 წლის პროექტი |
|---|---|---|
| **02 00** | **ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია** | 17,673.4 |
| **02 01** | **საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება** | 950.0 |
| 02 01 01 | გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა | 500.0 |
| 02 01 02 | ხიდების მშენებლობა-რეაბილიტაცია | 100.0 |
| 02 01 03 | საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება | 350.0 |
| **02 02** | **წყლის სისტემის განვითარება** | 500.0 |
| 02 02 01 | წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | 300.0 |
| 02 02 02 | სანიაღვრე არხების მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | 200.0 |
| **02 03** | **გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია** | 1,400.0 |
| **02 04** | **მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება** | 5,399.3 |
| 02 04 01 | მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამა | 5,399.3 |
| **02 05** | **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა** | 250.0 |
| **02 06** | **სოფლის მხარდაჭერის პროგრამა** | 200.0 |
| **02 07** | **კეთილმოწყობა** | 6,352.6 |
| 02 07 01 | მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებათა უზრუნველყოფის პროგრამა | 5,852.6 |
| 02 07 03 | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების კეთილმოწყობა და შეძენა | 500.0 |
| **02 08** | **სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის პოპულარიზებისკენ მიმართული აქტივობების კოორდინირება** | 50.0 |

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2027 წლის პროექტი |
|---|---|---|
| 02 09 | რგფ-დან და მგფ-დან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება | 650.0 |
| 02 10 | სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების პროგრამა | 100.0 |
| 02 11 | სამშენებლო ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები | 500.0 |
| 02 12 | საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯი | 501.5 |
| 02 13 | მიწების საკადასტრო ნახაზების შედგენისა და ქონების შეფასების ხარჯები | 20.0 |
| 02 15 | საინვესტიციო პროექტების, დონორებთან ურთიერთობისა და ტურიზმის ხელშეწყობის პროგრამა | 50.0 |
| 02 16 | სამოქალაქო ბიუჯეტი | 750.0 |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 02 01 | 70451 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური; ზედამხედველობის სამსახური; ეკონომიკის სამსახური | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია |

| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | |
|---|---|
| პროგრამის მიზანია გზების და ხიდების მშენებლობა, რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა და განვითარება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი საავტომობილო გზებისა და საგზაო კომუნიკაციების, ხიდების სხვა ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა. | |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა** | მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა;<br>მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები |
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | გაუმჯობესებულია საგზაო ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება, ადაპტირებულია ქალაქის ქუჩების ნაწილი და შექმნილია თანაბარხელმისაწვდომი ფიზიკური გარემო შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის. |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 02 01 01 | 70451 | გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა | სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური; ზედამხედველობის სამსახური | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია |

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის შიდა გზების არსებული საფარის მიმდინარე (ორმული შეკეთება) და კაპიტალური შეკეთების სამუშაოები და მოსაცდელების მშენებლობა-რეაბილიტაცია, ასევე არაასფალტირებული გზების ხრეშოვანი საფარის რეაბილიტაცია, ადმინისტრაციულ ერთეულებში პრობლემური აღმართების რეაბილიტაცია. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს და ზუგდიდის მუნიციპალიტეტს შორის შეთანხმების საფუძველზე №22 ზონის მიმდებარედ, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთებასთან დაკავშირებული სამუშაოები. გარდა ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებისა, 2027 წელს გაგრძელდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდით დასაფინანსებელი პროექტების განხორციელება.
ქვეპროგრამის მიზანია საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანებული, ავარიული მონაკვეთების და მოსაცდელების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

| | |
|---|---|
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა** | მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა;<br>მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები |
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურა; მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა;<br>• მუნიციპალური გზების საექსპლუატაციო ვადის გახანგრძლივება და მათი მუდმივი მზადყოფნის (მოვლა-პატრონობის) უზრუნველყოფა; |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურა; მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა | რეაბილიტირებული (ასფალტ-ბეტონის ან ბეტონის საფარით მოწყობილი) გზების სიგრძე (კმ) | 0 | 15 კმ | 20% სამუშაოების მცირედით გადავადება არახელსაყრელი ამინდის გამო | არახელსაყრელი კლიმატური პირობები (უხვი ნალექი); ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა ან გაჭიანურება |
| მუნიციპალური გზების საექსპლუატაციო ვადის გახანგრძლივება და მათი მუდმივი მზადყოფნის (მოვლა-პატრონობის) უზრუნველყოფა | მიმდინარე შეკეთების (ორმული რემონტი, მოხრეშვა) ფარგლებში განახლებული გზები | წლის დასაწყისში არსებული დაზიანებული გზები | ცენტრალურ გზებზე აღმოფხვრილი ორმოები და დაზიანებები | 20% წლის განმავლობაში ახალი ორმოების წარმოქმნა | გზებზე დასაშვებ ნორმაზე მძიმეწონიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა; |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 02 01 02 | 70451 | ხიდების მშენებლობა-რეაბილიტაცია | სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური; ზედამხედველობის სამსახური | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია |

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**

პროგრამა ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ამორტიზებული და ავარიული ხიდების, ხიდ-ბოგირების, მილ-ხიდების რეაბილიტაციას, რეკონსტრუქციასა და ახლის მშენებლობას. დაგეგმილია ქ. ზუგდიდში, რიგის ქუჩაზე, მდ. კუჩხობოწზე საავტომობილო ხიდის მშენებლობა. პროგრამის მთავარი მიზანია საავტომობილო და საფეხმავლო კავშირების უწყვეტობის შენარჩუნება ადმინისტრაციულ ცენტრსა და სოფლებს შორის, ავარიული დაზიანებების დროული აღმოფხვრა.

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | | მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა;<br>მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები | | |
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი | | ავარიული სახიდე გადასასვლელების რეაბილიტაცია/მოდერნიზაცია და მუნიციპალიტეტის სოფლებს შორის უსაფრთხო და შეუფერხებელი მიმოსვლის უზრუნველყოფა. | | |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| ავარიული სახიდე გადასასვლელების რეაბილიტაცია/მოდერნიზაცია და მუნიციპალიტეტის სოფლებს შორის უსაფრთხო და შეუფერხებელი მიმოსვლის უზრუნველყოფა | რეაბილიტირებული ან ახლად აშენებული ხიდების, ხიდ-ბოგირებისა და მილ-ხიდების რაოდენობა (ერთეული) | 0 | 1 | 50% სამშენებლო პროცესის მცირედი გახანგრძლივება რთული საინჟინრო ეტაპების გამო | ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა ან ვადების დარღვევა;<br>გეოლოგიური ან ჰიდროლოგიური სირთულეები მშენებლობის პროცესში |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 02 01 03 | 7049 | საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება | ეკონომიკის სამსახური | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია |

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საავტომობილო გზების საგზაო მონიშვნების მოწყობა და განახლება. სამუშაოები მოიცავს საავტომობილო გზების ღერძულა და განივ მონიშვნებს, ქვეითთა გადასასვლელებს, გაჩერების ხაზებს, მიმართულების აღმნიშვნელ და სხვა საჭირო საგზაო მონიშვნებს.

პროგრამის მიზანია საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების გაუმჯობესება, სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითთა გადაადგილებისათვის უსაფრთხო და მოწესრიგებული გარემოს შექმნა.

| | |
|---|---|
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა;<br>• მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები |
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პრიორიტეტულ საავტომობილო გზებზე განახლებული და მოწესრიგებული საგზაო მონიშვნები;<br>• საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხო გადაადგილების პირობების გაუმჯობესება. |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პრიორიტეტულ საავტომობილო გზებზე განახლებული და მოწესრიგებული საგზაო მონიშვნები | განახლებული/მოწყობილი საგზაო მონიშვნის ფართობი | 10300 | 7000 | 10% | ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა |
| | მონიშნული საგზაო მონაკვეთების რაოდენობა | 20 | 15 | 10% | ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხო გადაადგილების პირობების გაუმჯობესება | საგზაო მონიშვნებთან დაკავშირებული მოქალაქეთა მოთხოვნების დაკმაყოფილების მაჩვენებელი | 20 | 15 | 10% | ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 02 02 | 7049 | წყლის სისტემის განვითარება | სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური; ზედამხედველობის სამსახური | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია |

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**

პროგრამის მიზანია მოსახლეობის ტექნიკური წყლით უზრუნველყოფა. პროგრამა ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. ასევე სანიაღვრე არხების მოწყობასა და რეაბილიტაციას.

| | |
|---|---|
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა** | მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია<br>• მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები |
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • მოწესრიგებული, განახლებული და ახლად მოწყობილი წყალგაყვანილობის ქსელი და ტექნიკურად გამართული წყალმომარაგების სისტემის საშუალებით მოსახლეობის უზრუნველყოფა სანიტარული ნორმების შესაბამისი უსაფრთხო წყლით. |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 02 02 01 | 7063 | წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური; ზედამხედველობის სამსახური | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია |

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**

პროგრამა ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის, პრიორიტეტულია მოსახლეობის ტექნიკური წყლით უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. დაგეგმილია ჩხორიის და ყულიშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია. პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში. პროგრამის მიზანია:

— მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობდეს წყლის სტაბილური მიწოდება;

— მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს ჰქონდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს წყალს;

— წყლის სისტემების ექსპლუატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები დროულად აღმოიფხვრას.

| | |
|---|---|
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა** | მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია<br>მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები |
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • მოწესრიგებული, განახლებული და ახლად მოწყობილი წყალგაყვანილობის ქსელი და ტექნიკურად გამართული წყალმომარაგების სისტემის საშუალებით მოსახლეობის უზრუნველყოფა სანიტარული ნორმების შესაბამისი უსაფრთხო წყლით. |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| მოწესრიგებული, განახლებული და ახლად მოწყობილი წყალგაყვანილობის ქსელი | ახლად აშენებული ან რეაბილიტირებული წყალმომარაგების ქსელის სიგრძე (გრძ. მ) | 0 | 2000 გრძ. მ | 30% | ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა ან ვადების დარღვევა |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 02 02 02 | 7049 | სანიაღვრე არხების მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური; ზედამხედველობის სამსახური | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია |

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სანიაღვრე და წყალსაწრეტი არხების რეაბილიტაცია, ასევე ახალი წყალსაწრეტი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მოწყობა. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის სანიაღვრე ქსელის გაფართოება და გამტარუნარიანობის გაუმჯობესება, მიწისზედა წყლების (წვიმების, ნალექების) უსაფრთხო, სწრაფი გატარება, რათა მინიმუმამდე შემცირდეს ქალაქის ტერიტორიების დატბორვის რისკები. დაგეგმილია ჯუმის ადმინისტრაციულ ერთეულში, შოთა ბიგვავას ქუჩიდან მდ. ჯუმის მიმდებარე ტერიტორიამდე სანიაღვრე არხის მოწყობა-რეაბილიტაცია.

| | |
|---|---|
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა** | • მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები |
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • ახლად მოწყობილი, რეაბილიტირებული და გაუმჯობესებული გამტარუნარიანი სანიაღვრე ქსელი და მოსახლეობისთვის უსაფრთხო საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა. |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| ახლად მოწყობილი, რეაბილიტირებული და გაუმჯობესებული გამტარუნარიანი სანიაღვრე ქსელი | რეაბილიტირებული/აშენებული სანიაღვრე არხების სიგრძე (გრძ. მ) | 0 | 2000 გრძ. მ | 30% | არშემდგარი ტენდერები; ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა ან ვადების დარღვევა |

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 02 03 | 7064 | გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური; ა(ა)იპ კეთილმოწყობის მართვის ცენტრი | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია |

**პროგრამის აღწერა და მიზანი**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქისა და სოფლების ქუჩების, მოედნების, პარკებისა და სხვა საჯარო სივრცეების უწყვეტი და ეფექტიანი გარე განათება, ახალი გარე განათების ქსელის მოწყობა იმ ქუჩებსა და დასახლებებში, სადაც განათება არ არის;ქსელის ექსპლუატაცია და მიმდინარე მოვლა-შენახვა: დაზიანებული სანათების, კაბელებისა და მართვის ფარების შეკეთება ან შეცვლა. პროგრამის მიზანია გაუმჯობესებული და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემო.

| | |
|---|---|
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა** | • მიზანი 7 - ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერგია |
| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განათებულია ქუჩების მეტი ნაწილი, ქსელი კი მუშაობს გამართულად და უწყვეტად. |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| ახალი, რეაბილიტირებული და მოვლა-პატრონობის ქვეშ მყოფი გარე განათების ქსელი | გარე განათების ქსელის გამართული მუშაობა (მუნიციპალიტეტში არსებული განათების წერტილების რაოდენობრივი მაჩვენებელი) | 14000-მდე | 14140 | 5%-ზე ნაკლები | ფორსმაჟორული სიტუაციები — ძლიერი ქარი, სტიქია; ენერგომომარაგების სისტემაში შეფერხებები |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 02 04 01 | 70455 | მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამა | შპს „ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი“ | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია |

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამა არის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფინანსებული სოციალურ-ეკონომიკური ინიციატივა, რომელიც მუნიციპალური საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამართულ მუშაობასა და მოსახლეობის მობილობის გაზრდას უზრუნველყოფს. პროგრამა ახორციელებს სამგზავრო გადაყვანების ფინანსურ სუბსიდირებას, რაც საშუალებას იძლევა, შენარჩუნდეს დაბალი და ხელმისაწვდომი ტარიფები. იგი მოიცავს ქალაქის (შიდა) და სოფლების მარშრუტების მართვას, ავტოპარკის ტექნიკურ მხარდაჭერას, ეკოლოგიური სტანდარტების დაცვას და სხვადასხვა სოციალური ჯგუფისთვის (მაგ. სტუდენტები, ვეტერანები) შეღავათიანი სამგზავრო სისტემის ფუნქციონირებას. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უსაფრთხო, ხელმისაწვდომი, შეღავათიანი და კომფორტული გადაადგილება და ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა.

| | |
|---|---|
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა** | • მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება |
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • მუნიციპალური ტრანსპორტის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა და მოსახლეობის მობილობის გაზრდა;<br>• მოსახლეობის (მათ შორის, სოციალურად შეღავათიანი კატეგორიების) უზრუნველყოფა ხელმისაწვდომი, უსაფრთხო და კომფორტული მგზავრობის სერვისით. |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური ტრანსპორტის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა და | მუნიციპალური ავტოპარკის მიერ წლიურად შესრულებული რეისების/მარშრუტების რაოდენობა | 95040 | 104500 | 4% | გზების გაუმართაობა და მიმდინარე სარემონტო სამუშაოები |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| მოსახლეობის მობილობის გაზრდა | | | | | |
| მოსახლეობის (მათ შორის, სოციალურად შეღავათიანი კატეგორიების) უზრუნველყოფა ხელმისაწვდომი, უსაფრთხო და კომფორტული მგზავრობის სერვისით | წლიურად გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა | 2587503 | 2768620 | 7% | სეზონურობა |
| | შეღავათიანი ტარიფით (ან უფასოდ) მოსარგებლე მგზავრთა წლიური რაოდენობა და სერვისით კმაყოფილების დონე | 439774 | 461775 | 9% | სეზონურობა |

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 02 05 | 7061 | ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა | ეკონომიკის სამსახური | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია |

**პროგრამის აღწერა და მიზანი**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების საერთო სარგებლობის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა, მათ შორის: ლიფტების, შიდა წყალგაყვანილობის საერთო სარგებლობის სისტემების, სადარბაზოების, პარაპეტების, წყალსაწრეტი მილების, სახურავებისა და სხვა დაზიანებული ინფრასტრუქტურული ელემენტების რეაბილიტაცია; ასევე ეზოების კეთილმოწყობის მიზნით შესაბამისი ინფრასტრუქტურის, მათ შორის შლაგბაუმების, მოწყობა.

პროგრამის მიზანია მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრები მოსახლეობისათვის უსაფრთხო, მოწესრიგებული და გაუმჯობესებული საცხოვრებელი გარემოს შექმნა, საერთო სარგებლობის ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და საცხოვრებელი კორპუსების ექსპლუატაციის პირობების გაუმჯობესება.

| | |
|---|---|
| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • რეაბილიტირებული და მოწესრიგებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების საერთო სარგებლობის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;<br>• მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხოების და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების უზრუნველყოფა. |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა** | • მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| • რეაბილიტირებული და მოწესრიგებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების | რეაბილიტირებული/მოწესრიგებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რაოდენობა | 10 | 10 | 10% | ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| საერთო სარგებლობის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; | | | | | |
| მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხოების და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების უზრუნველყოფა. | გაუმჯობესებული საცხოვრებელი გარემოთი უზრუნველყოფილი მოსახლეობის რაოდენობა | 600 | 800 | 10% | ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა |
| | განხორციელებული ღონისძიებებით დაკმაყოფილებული დასაბუთებული მოთხოვნების წილი | 50% | 60% | 5% | ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა |

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 02 06 | 70421 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია |

**პროგრამის აღწერა და მიზანი**

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული თანხები მიიმართება ადმინისტრაციული ერთეულების პირველი რიგის მცირე ინფრასტრუქტურულ საჭიროებათა დასაფინანსებლად. ზუსტად იმ საჭიროებებზე, რომლებსაც თავად ადგილობრივი მაცხოვრებლები მიიჩნევენ პრიორიტეტულად სოფლის კრებებზე. პროგრამის მიზანია ადმინისტრაციული ერთეულების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის მხარდაჭერა. პროექტის კონკრეტული მიზნებია: 1. სოფლის შიდა გზების რეაბილიტაცია; 2. წყალმომარაგების სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია; 3. გარე განათების სისტემების მოწყობა; 4. სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია; 5. სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაცია; 6. სკვერების და პარკების მოწყობა-რეაბილიტაცია.

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | | • მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება | | |
| პროგრამის მოსალოდნელი შედეგი | | • ადგილობრივი მოსახლეობის უშუალო ჩართულობით სოფლად პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა. | | |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| ადგილობრივი მოსახლეობის უშუალო ჩართულობით სოფლად პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა | განხორციელებული მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა | 0 | მოსახლეობის მიერ პროექტების შერჩევის პროცესში პრიორიტეტად დასახელებული პროექტები | 20% | შესყიდვების პროცედურების გაჭიანურება |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 02 07 01 | 7049 | მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებათა უზრუნველყოფის პროგრამა | ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“ | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | | | | |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სარგებლობაში/საკუთრებაში არსებული ობიექტების კეთილმოწყობა და მოვლა:<br>— გარე განათებისა და სანიაღვრე ქსელების, შადრევან-აუზების, ტროტუარებისა და ბორდიურების მოწყობა, მოვლა, ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია;<br>— მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამწვანება, ხეებისა და მცენარეების დარგვა, არსებული ნარგავების ჩანაცვლება და მოვლა-პატრონობა;<br>— შიდა სარგებლობის გზების, ხიდების, მიწისქვეშა გადასასვლელის, მდინარეთა ჯებირებისა და სხვა საინჟინრო ნაგებობების მოწყობის, შეკეთებისა და ექსპლუატაციის უზრუნველყოფა;<br>— გზაჯვარედინების მარეგულირებელი შუქნიშნების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია;<br>— მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელის ექსპლუატაცია-რეაბილიტაცია;<br>— მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სადღესასწაულო დღეებში გაფორმების ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა;<br>— მუნიციპალიტეტში მცხოვრები უმწეო და სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის, მიზნობრივი მიმართვის საფუძველზე, საცხოვრებელი შენობის მცირე შეკეთებითი სამუშაოების ჩატარება;<br>— ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული „სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის“ წესის შესაბამისად სამუშაოების ჩატარება.<br>პროგრამის მთავარი მიზანია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საზოგადოებრივი სივრცეების, ინფრასტრუქტურისა და გამწვანების ზონების მოვლა-პატრონობა, რათა ქალაქსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში უზრუნველყოფილ იქნეს მოწესრიგებული, ეკოლოგიურად სუფთა და ვიზუალურად გამართული გარემო. | | | | |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა** | • მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება | | | |
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებისა და მოვლა-პატრონობის ეფექტიანობის ამაღლება;<br>• ქალაქისა და მუნიციპალიტეტის სასოფლო ადმინისტრაციული ერთეულების გაუმჯობესებული იერსახე;<br>• ბუნების სტიქიისა და რთული მეტეოროლოგიური პირობების შედეგად მოსახლეობისათვის შესაძლო ზიანისა და მატერიალური ზარალის მიყენების შემცირებული რისკები;<br>• კეთილმოწყობილი და დასუფთავებული სასაფლაო მეურნეობა;<br>• მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული ეკოლოგიური მდგომარეობა. | | | |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| ახალი, რეაბილიტირებული და მოვლა-პატრონობის ქვეშ მყოფი გარე განათების ქსელი | გარე განათების ქსელის გამართული მუშაობა (მუნიციპალიტეტში არსებული განათების წერტილების რაოდენობრივი მაჩვენებელი) | 14000-მდე | 14140 | 5%-ზე ნაკლები | ფორსმაჟორული სიტუაციები — ძლიერი ქარი, სტიქია; ენერგომომარაგების სისტემაში შეფერხებები |
| ახალი, რეაბილიტირებული და მოვლა-პატრონობის ქვეშ მყოფი სკვერები, პარკები, მოედნები და ბულვარი | რეაბილიტირებული და საექსპლუატაციოდ მზად მყოფი სკვერები, პარკები, მოედნები და ბულვარი (რაოდენობრივი მაჩვენებელი) | 103 | 110 | 3%-ზე ნაკლები | ინფრასტრუქტურის განზრახ დაზიანება (ვანდალიზმი); მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დროული განახლების შეფერხება |
| მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მწვანე საფარის მოვლა-პატრონობა | მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოვლილი და გამწვანებული ხე-მცენარეების ოდენობა | 3309 | 3500 | 5%-ზე ნაკლები | არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობები (გვალვა, უხვი ნალექი); ვანდალიზმის ფაქტები მწვანე ნარგავების მიმართ |
| | მწვანე ზოლის გათიბვითი სამუშაოები (ტერიტორიის ფართობი) | 155 000 ჰა (წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 3–4-ჯერ გათიბვა) | 160 000 ჰა | 5%-ზე ნაკლები | არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობები (გვალვა, უხვი ნალექი); ვანდალიზმის ფაქტები მწვანე ნარგავების მიმართ |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 02 07 03 | 7049 | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების კეთილმოწყობა და შეძენა | ადმინისტრაციული სამსახური; ეკონომიკის სამსახური | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია |

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**

ქვეპროგრამის მიზანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებისთვის უსაფრთხო და სათანადო სამუშაო პირობების შექმნა, ასევე მოქალაქეთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია:

— მერიის ადმინისტრაციული შენობის (რუსთაველის ქ. №90) მარჯვენა ფლიგელის კიბის უჯრედის რეაბილიტაცია. კიბის უჯრედი ავარიულ მდგომარეობაშია და მისი ექსპლუატაცია სახიფათოა;

— იმავე შენობის სარდაფის კეთილმოწყობა და სასაწყობე მეურნეობად გადაკეთება;

— მერიის ადმინისტრაციული შენობების (რუსთაველის ქ. №90 და ზვ. გამსახურდიას ქ. №45) სახურავების რემონტი;

— ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების ოფისების რეაბილიტაცია და მოწყობა.

— ახალი გენერატორის შესყიდვა მერიის უწყვეტი ელექტრომომარაგებისთვის;

— უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრა.

| | |
|---|---|
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა** | • მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება |
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში ექნებათ უსაფრთხო და სათანადოდ აღჭურვილი სამუშაო ოფისები. მოქალაქეებს ადგილზევე ოპერატიულად მოემსახურებიან, რაც გაზრდის მომსახურების ხარისხსა და მოქალაქეთა კმაყოფილებას. |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში ექნებათ უსაფრთხო და სათანადოდ აღჭურვილი სამუშაო ოფისები. მოქალაქეებს ადგილზევე ოპერატიულად მოემსახურებიან, რაც გაზრდის მომსახურების ხარისხსა და მოქალაქეთა კმაყოფილებას. | ოფისით უზრუნველყოფილი ადმინისტრაციული ერთეულები | 0 | 8 | 10% | |

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 02 08 | 70473 | სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის პოპულარიზებისკენ მიმართული აქტივობების კოორდინირება | ა(ა)იპ სამეგრელოს დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია |

**პროგრამის აღწერა და მიზანი**

პროგრამის მთავარ ფოკუსს წარმოადგენს:

— უნიკალური ტურისტული პროდუქტების შექმნა, ინტერმუნიციპალური პროექტებისა და თემატური ტურების დაგეგმვა, რომლებიც ხელს შეუწყობს ვიზიტორთა დანახარჯებისა და რეგიონში დაყოვნების ხანგრძლივობის გაზრდას;

— საჯარო და კერძო სექტორებს, ასევე სამოქალაქო ორგანიზაციებს შორის მჭიდრო პარტნიორობის უზრუნველყოფა ერთობლივი მარკეტინგული და სარეკლამო აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებისათვის;

— სამეგრელოს საინფორმაციო ცენტრის გამართული ფუნქციონირება, ინფოტურების ორგანიზება, სარეკლამო-საინფორმაციო მასალების/ბანერების მომზადება და სოციალურ ქსელებში ტურისტული ობიექტებისა თუ სერვისების აქტიური პოპულარიზაცია;

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| — ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით და ტურიზმის სფეროში დასაქმებულ თანამშრომელთა სისტემატური გადამზადება/კვალიფიკაციის ამაღლება.<br>პროგრამის მიზანია მდგრადი ტურიზმის პრინციპებზე დაყრდნობით სამეგრელოს რეგიონისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის განვითარება, რეგიონის იმიჯისა და ცნობადობის ამაღლება ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე, უნიკალური ტურისტული პროდუქტებისა და ინტერმუნიციპალური მარშრუტების დანერგვა, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და საჯარო-კერძო თანამშრომლობის გზით ვიზიტორთა რაოდენობის, დანახარჯებისა და რეგიონში დაყოვნების ხანგრძლივობის გაზრდა. | | | | |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა<br>მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა | | | |
| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • ადგილობრივი და საერთაშორისო ვიზიტორების ნაკადის სტაბილური ზრდა;<br>• რეგიონის პოპულარიზაციისკენ მიმართული რესურსების ოპტიმალური და ეფექტური გადანაწილება. | | | |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| ადგილობრივი და საერთაშორისო ვიზიტორების ნაკადის სტაბილური ზრდა | რეგიონში რეგისტრირებული ადგილობრივი და საერთაშორისო ვიზიტორების ჯამური რაოდენობა წლის განმავლობაში | 1200 ვიზიტორი | 20%-ით ზრდა | 8%–10% (დამოკიდებულია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კვლევის შედეგებზე) | გეოპოლიტიკური არასტაბილურობა ან რეგიონული კრიზისები; სეზონურობა და ამინდის მკვეთრი გაუარესება (განსაკუთრებით მაღალმთიან ზონაში) |
| რეგიონის პოპულარიზაციისკენ მიმართული რესურსების ოპტიმალური და ეფექტური გადანაწილება | ერთობლივად (კოორდინირებულად) ათვისებული ბიუჯეტის წილი მთლიან რეგიონულ მარკეტინგულ დანახარჯებში | 20% კოორდინირებული ბიუჯეტი | 70% კოორდინირებული ბიუჯეტი | 5% (შიდა საორგანიზაციო და ბიუროკრატიული ვადების | მუნიციპალიტეტებს შორის პრიორიტეტების აცდენა ან ფინანსურ კოორდინაციაზე უარის თქმა |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | გადაცილების ალბათობა) | |
| უნიკალური ტურისტული პროდუქტებისა და თემატური ტურების დანერგვა | შემუშავებული და ბაზარზე გაშვებული ახალი თემატური მარშრუტების რაოდენობა | 3 | 5 ახალი ტური (გასტრონომიული, სათავგადასავლო, კულტურული) | 10% (კერძო სექტორის მხრიდან პროდუქტის ათვისების ტემპი) | კერძო სექტორის (გიდები, საოჯახო სასტუმროები) დაბალი ჩართულობა ან არასაკმარისი კვალიფიკაცია |

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 02 09 | 7049 | რგფ-დან და მგფ-დან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება | სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური; ზედამხედველობის სამსახური | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია |

**პროგრამის აღწერა და მიზანი**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტების თანადაფინანსება. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის სახსრებით ხორციელდება ძირითადი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორიცაა გზების მშენებლობა, სანიაღვრე არხების მოწყობა, წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა და სხვა. პროგრამის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური და ინსტიტუციური გაძლიერება რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების გზით. დაგეგმილია შემდეგი პროექტების თანადაფინანსება: ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, ცაიშის და ოქტომბრის ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სამანიოა, სანაჭყებიოს და ჯინჯოლავების უბანში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები; უჩაშონას ადმინისტრაციულ ერთეულში მაცხოვრის კარის (გორკის ქუჩის) შემაერეთებელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ხეცერის ადმინისტრაციულ ერთეულში, იონა მეუნარგიას ქუჩის (საფირცხელაო-სამელიოს უბანი) გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ინგირის ადმინისტრაციულ ერთეულში, 9 აპრილის ქუჩის საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ცაცხვის ადმინისტრაციულ ერთეულში, სკვერის მოწყობის

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| სამუშაოები; ახალაბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში, კოსტავას, ლესელიძის და თბილისის ქუჩებზე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია; ადმინისტრაციულ ერთეულებში პრობლემური აღმართების სარეაბილიტაციო სამუშაოები. | | | | |

| | |
|---|---|
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა<br>მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება |
| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • მუნიციპალიტეტში სოციალურ-ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესება და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება მოდერნიზებული, გამართული და მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნის გზით. |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| მუნიციპალიტეტში სოციალურ-ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესება და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება მოდერნიზებული, გამართული და მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნის გზით | განხორციელებული მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა | 2026 წელს დაფინანსდა 35 პროექტი | 40-მდე პროექტი | 20% | არახელსაყრელი კლიმატური პირობები (უხვი ნალექი); ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა ან გაჭიანურება |

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 02 10 | 7049 | სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების პროგრამა | სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური; ზედამხედველობის სამსახური | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, |

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| | | | | რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია |

**პროგრამის აღწერა და მიზანი**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები. გარდა ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებისა, სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში სტიქიური მოვლენების დროს ინფრასტრუქტურისთვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად საჭირო ფინანსურ-მატერიალური საფუძვლების შექმნა.

| | |
|---|---|
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები<br>მიზანი 13 - კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებები |
| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული მუნიციპალური ინფრასტრუქტურის სწრაფი აღდგენა, მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ცხოვრების ჩვეული რიტმის მაქსიმალურად მოკლე ვადებში დაბრუნება. |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული მუნიციპალური ინფრასტრუქტურის სწრაფი აღდგენა, მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ცხოვრების ჩვეული რიტმის მაქსიმალურად მოკლე ვადებში დაბრუნება | სტიქიის შედეგად დაზიანებული და სრულად რეაბილიტირებული/აღდგენილი ინფრასტრუქტურის წილი (%) | 0 | სტიქიის შედეგად დაზიანებული ყველა ობიექტის აღდგენა | 20% | მეორადი სტიქიური მოვლენები; რთული გეოლოგიური პირობები; პროექტირების პროცესის გაჭიანურება |

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 02 11 | 7049 | სამშენებლო ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები | სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური; ზედამხედველობის სამსახური | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია |
| **პროგრამის აღწერა და მიზანი** | | | | |
| პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოს საპროექტო დოკუმენტაციისა და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზა, მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის გაწევის მიზნით საექსპერტო მომსახურების შესყიდვა, შენობა-ნაგებობებისა და საინჟინრო კომუნიკაციების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ ექსპერტიზების მომზადება. პროგრამის მიზანია ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზა და სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა. | | | | |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | • მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა<br>• მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება | | | |
| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • მუნიციპალიტეტში ხარისხიანად შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მაღალი სიზუსტე და სამშენებლო ნორმების ზედმიწევნით დაცვა. | | | |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| მუნიციპალიტეტში ხარისხიანად შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მაღალი სიზუსტე და სამშენებლო ნორმების ზედმიწევნით დაცვა | ექსპერტიზაგავლილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წილი | 100% | საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება | 10% დოკუმენტაციაში მცირე ტექნიკური ხარვეზების გაპარვის ალბათობა | საპროექტო ორგანიზაციების მიერ არასრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენა |
| | ხარისხის სტანდარტების დარღვევით შესრულებული და რეაგირების გარეშე დარჩენილი სამუშაოების წილი | 0 | საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება | 5% ფარული დეფექტების არსებობა, რომელთა იდენტიფიცირება რთულია | კონტრაქტორი კომპანიების მხრიდან ვალდებულებების არაკეთილსინდისიერად შესრულება |

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 02 12 | 7049 | საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯი | სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია |

**პროგრამის აღწერა და მიზანი**

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების წინასწარი კვლევა, დეტალური საინჟინრო-არქიტექტურული პროექტების მომზადება და ზუსტი ფინანსური გაანგარიშება. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი სხვადასხვა სახის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციისა და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვების შედგენა. კერძოდ: ქ. ზუგდიდში, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები; კოკის და ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული ადმინისტრაციული შენობების

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| სარეაბილიტაციო სამუშაოები; ინგირის, დარჩელის და განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინისტრაციული შენობების მშენებლობის სამუშაოები; ქ. ზუგდიდში, სპირიდონ კედიას შესახვევის და სანკტ-პეტერბურგის ქუჩის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის მშენებლობის სამუშაოები; ქ. ზუგდიდში, ჯანაშიას ქუჩაზე, ავტოსადგომის (პარკირების სივრცე) მოწყობის მოწყობის სამუშაოები; ურთის და აბასთუმნის ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელ გზაზე (9 აპრილის ქუჩა), მდ. ჯუმზე საავტომობილო ხიდის მშენებლობის სამუშაოები; განმუხურის, რუხის, ცაიშის, ინგირის ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ადმინისტრაციულ ერთეულებში სტიქიის შედეგად დაზიანებული ნაპირდამცავი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები. | | | | |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | • მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა<br>• მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება | | | |
| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • მუნიციპალიტეტში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დროული, კვალიფიციური და სტანდარტების შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციითა და სახარჯთაღრიცხვო გათვლებით უზრუნველყოფა;<br>• ინფრასტრუქტურული ტენდერების ეფექტიანად და მინიმალური შეფერხებებით წარმართვა. | | | |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| მუნიციპალიტეტში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დროული, კვალიფიციური და სტანდარტების შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციით უზრუნველყოფა; ინფრასტრუქტურული ტენდერების ეფექტიანად და მინიმალური შეფერხებებით წარმართვა | შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების რაოდენობა | 2026 წელს მომზადდა 25 ერთეული პროექტი | ბიუჯეტით დაგეგმილი ყველა ინფრასტრუქტურული ობიექტის პროექტი | 10% | შესყიდვების პროცედურების გაჭიანურება ან ტენდერის ჩაშლა პრეტენდენტების არარსებობის გამო; პროექტირების პროცესის გაჭიანურება |
| | მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე წარმატებით დაწყებული/დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების წილი | 100% | საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება | 10% | საპროექტო ორგანიზაციების მიერ ხარვეზიანი დოკუმენტაციის მოწოდება, რაც იწვევს კორექტირების საჭიროებას |

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 02 13 | 7049 | მიწების საკადასტრო ნახაზების შედგენისა და ქონების შეფასების ხარჯები | ეკონომიკის სამსახური | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია |

**პროგრამის აღწერა და მიზანი**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ან მუნიციპალიტეტის მართვაში/სარგებლობაში არსებული უძრავი ქონებისა და ინფრასტრუქტურული ობიექტების საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების, სიტუაციური გეგმების, შენობა-ნაგებობების შიდა ფართების აზომვითი ნახაზებისა და ხაზოვანი ნაგებობების შესაბამისი ნახაზების მომზადება.

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ქონების შესახებ ზუსტი და განახლებული ტექნიკური/გრაფიკული ინფორმაციის უზრუნველყოფა, ქონების რეგისტრაციის, აღრიცხვის, მართვისა და განკარგვის პროცესების ხელშეწყობა, ასევე საპროექტო და ინფრასტრუქტურული ღონისძიებებისათვის საჭირო აზომვითი და გრაფიკული მასალების მომზადება.

| | |
|---|---|
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება<br>მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე |
| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • მუნიციპალური ქონების რეგისტრაციის, აღრიცხვის, მართვისა და განკარგვის პროცესებისათვის შექმნილია შესაბამისი ტექნიკური და გრაფიკული საფუძველი. |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური ქონების რეგისტრაციის, აღრიცხვის, მართვისა და განკარგვის პროცესებისათვის შექმნილია შესაბამისი ტექნიკური და გრაფიკული საფუძველი | მომზადებული საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების რაოდენობა | 38 | 80 | 10% | აზომვის პროცესში ტექნიკური სირთულეების გამოვლენა; ობიექტზე დაშვების შეზღუდვა |
| | მომზადებული შიდა ფართების აზომვითი ნახაზების რაოდენობა | 10 | 20 | 10% | შენობა-ნაგებობების ფაქტობრივი მდგომარეობის ცვლილება |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| | მომზადებული ხაზოვანი ნაგებობების ნახაზების რაოდენობა (გრძ. მ) | 1300 | 2600 | 10% | რთული რელიეფი; ობიექტის ფაქტობრივი მონაცემების დაზუსტების საჭიროება |

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 02 15 | 70473 | საინვესტიციო პროექტების, დონორებთან ურთიერთობისა და ტურიზმის ხელშეწყობის პროგრამა | ეკონომიკის სამსახური | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია |

**პროგრამის აღწერა და მიზანი**

პროგრამა წარმოადგენს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიულ კომპონენტს, რომელსაც ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკის განყოფილება. პროგრამა აერთიანებს ადგილობრივი საინვესტიციო პოტენციალის მობილიზების, საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის, მწვანე და კლიმატზე ორიენტირებული ურბანული პროექტების, ტურიზმის განვითარებისა და მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ დონეზე დანერგვის ღონისძიებებს. პროგრამის მიზანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი, ინკლუზიური და მდგრადი განვითარება, რათა ქალაქი ჩამოყალიბდეს რეგიონის ძირითად ეკონომიკურ, ტურისტულ, კულტურულ და საგანმანათლებლო ჰაბად. მიზნის მისაღწევად პროგრამა უზრუნველყოფს ხელსაყრელი ბიზნესგარემოს შექმნას, ინვესტიციების მოზიდვას, ენერგორესურსების ეფექტიან მართვას, გარემოსდაცვითი სტანდარტების გაუმჯობესებას და დონორებთან პარტნიორობის გაღრმავებას.

| | |
|---|---|
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა<br>მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა |
| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • მუნიციპალიტეტის გაუმჯობესებული საინვესტიციო და ბიზნესგარემო, ინვესტიციებისა და საერთაშორისო დონორული რესურსების მოზიდვის გაზრდილი შესაძლებლობები, ტურიზმისა და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის გაძლიერებული მექანიზმები;<br>• მუნიციპალიტეტის გაუმჯობესებული მწვანე და კლიმატზე ორიენტირებული განვითარების პრაქტიკა, ენერგორესურსების ეფექტიანი გამოყენების ზრდა და გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვა, მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრირება ადგილობრივი განვითარების დაგეგმვის პროცესებში. |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| მუნიციპალიტეტის გაუმჯობესებული საინვესტიციო და ბიზნესგარემო, ინვესტიციებისა და საერთაშორისო დონორული რესურსების მოზიდვის გაზრდილი შესაძლებლობები, ტურიზმისა და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის გაძლიერებული მექანიზმები | მოზიდული/დამტკიცებული დონორული პროექტების რაოდენობა (ერთეული) — საერთაშორისო და ადგილობრივ დონორებთან თანამშრომლობით მომზადებული და დაფინანსებული პროექტების რაოდენობა | 1 | 1 | 2% | საინვესტიციო და დონორული რესურსების მოზიდვის პროცესში არასაკმარისი დაინტერესება |
| მუნიციპალიტეტის გაუმჯობესებული მწვანე და კლიმატზე ორიენტირებული განვითარების პრაქტიკა, ენერგორესურსების ეფექტიანი გამოყენების ზრდა და გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვა, მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრირება ადგილობრივი განვითარების დაგეგმვის პროცესებში | განხორციელებული მწვანე და კლიმატზე ორიენტირებული პროექტების რაოდენობა (ერთეული) — მუნიციპალიტეტის მიერ ან პარტნიორებთან თანამშრომლობით განხორციელებული შესაბამისი პროექტების რაოდენობა | 1 | 1 | 2% | მოსახლეობისა და ბიზნესსექტორის დაბალი ცნობიერება გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის, ენერგოეფექტურობისა და კლიმატის ცვლილების საკითხებზე, რაც შეაფერხებს მწვანე ინიციატივების განხორციელებასა და მათში საზოგადოების ჩართულობას. |

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 02 16 | 7049 | სამოქალაქო ბიუჯეტი | სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია |

**პროგრამის აღწერა და მიზანი**

სამოქალაქო ბიუჯეტი არის პირდაპირი დემოკრატიის მექანიზმი, რომელიც ქმნის შესაძლებლობას მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნას საზოგადოებრივი ინტერესები.
პროგრამის მიზანს წარმოადგენს საბიუჯეტო პროცესში ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთქმედების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეებს სთავაზობს თავად შეიმუშაონ კონკრეტულ დასახლებაში არსებული პრობლემის გადაჭრის გზები და რიგი პროცედურების გავლის შედეგად განსაზღვრონ პრიორიტეტული პროექტები.
პროგრამაში ასევე გათვალისწინებულია ყოველწლიური საინფორმაციო კამპანიის მასალების შესასყიდად საჭირო თანხა 5000 ლარის ოდენობით.

| | |
|---|---|
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა** | მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება |
| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | ხელშეწყობილია ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოსახლეობის ურთიერთთანამშრომლობა პრიორიტეტების განსაზღვრის საქმეში, უზრუნველყოფილია მოსახლეობის ჩართულობა საბიუჯეტო პროცესში და ქ. ზუგდიდში გაუმჯობესებულია საცხოვრებელი გარემო; |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| ხელშეწყობილია ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოსახლეობის ურთიერთთანამშრომლობა პრიორიტეტების განსაზღვრის საქმეში, უზრუნველყოფილია მოსახლეობის ჩართულობა საბიუჯეტო პროცესში და ქ. ზუგდიდში გაუმჯობესებულია საცხოვრებელი გარემო; | სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესის ფარგლებში მოქალაქეებიდან შემოსული პროექტების რაოდენობა; | 0 | რაოდენობა დამოკიდებულია მოსახლეობის აქტიურობაზე | 5% | მოქალაქეთა მომართვიანობის ნაკლებობა |
| | ახალშექმნილი სხვადასხვა ტიპის ინფრასტრუქტურული პროექტი | 0 | დამოკიდებულია მოსახლეობის მიერ პროექტების შერჩევის პროცესზე | 10% | არშემდგარი ტენდერები, ხელშეკრულების პირობების დარღვევა |

## დასუფთავება და გარემოს დაცვა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოსდაცვითი ღონისძიებები, მყარი ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, ქარსაფარი ზოლების დაცვა და მეჩხერი ფართობების აღდგენა. შესაბამისად, პროგრამა ითვალისწინებს ქალაქისა და 48 ადმინისტრაციული ერთეულის სანიტარული წესრიგის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას; მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის ყოველდღიურ დაგვა-დასუფთავებას, ნარჩენების გატანასა და მათ სრულ იზოლირებას მოსახლეობისა და გარემოსგან; ქალაქის კეთილმოწყობისა და გამწვანების სამუშაოებს, მათ შორის ერთწლოვანი და მრავალწლოვანი ნარგავების დარგვასა და სკვერებში ბალახის გათიბვას; ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა-მოწესრიგებას, მოვლა-პატრონობასა და ზედამხედველობას, დასვენებისთვის გაუმჯობესებული გარემოს შექმნას.

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2027 წლის პროექტი |
|---|---|---|
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 11,190.7 |
| 03 01 | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | 8,500.0 |
| 03 02 | შპს „ანაკლია-განმუხურის ბულვარის“ ფინანსური ხელშეწყობა | 800.0 |
| 03 03 | ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამა | 1,790.7 |
| 03 05 | პარკების, სკვერებისა და ბულვარის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის პროგრამა | 100.0 |

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 03 01 | 7051 | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“ | დასუფთავება და გარემოს დაცვა |

**პროგრამის აღწერა და მიზანი**

პროგრამის მიზანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მყარი მუნიციპალური ნარჩენების სრულყოფილი, ეფექტიანი და გარემოსთვის უსაფრთხო მართვის სისტემის უზრუნველყოფა და განვითარება. პროგრამა ხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წლის 1 აპრილს დამტკიცებული „ნარჩენების მართვის 2016–2030 წლების ეროვნული სტრატეგიის“, „ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმის“ და საკრებულოს მიერ დამტკიცებული „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2026–2030 წლების სამოქმედო გეგმის“ პრიორიტეტების შესაბამისად. პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“.

პროგრამის ფარგლებში ქალაქ ზუგდიდსა და 48 სოფლის ტერიტორიულ ერთეულში ხორციელდება საჯარო და საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილების დაგვა-დასუფთავება. ეს მოიცავს სკვერებს, გაზონებს, შიდა გზებს, ტროტუარებს და მოსახლეობის ყოველდღიური კონცენტრაციის ადგილებს, მათ შორის სუპერმარკეტებისა და სხვა დიდი კომერციული ობიექტების მიმდებარე ტერიტორიებს. ნარჩენები იკრიფება, გროვდება და იტვირთება სატრანსპორტო საშუალებებზე შემდგომი ტრანსპორტირებისთვის.

მოსახლეობიდან ნარჩენების შეგროვება ხორციელდება ორი მეთოდით. კარდაკარ შემოვლით ნარჩენები გააქვთ ქალაქის 475 ქუჩაზე მცხოვრები 13.1 ათასი კომლიდან და სოფლის ტერიტორიულ ერთეულებში მცხოვრები 18.2 ათასი კომლიდან. კოლექტიური (კონტეინერული) მეთოდით იცლება 2482 კონტეინერი. გარდა ამისა, ნარჩენები გააქვთ მუნიციპალიტეტში მოქმედი 481 კომერციული, ინსტიტუციური და ინდუსტრიული ობიექტიდან. შეგროვებული ნარჩენები ტრანსპორტირდება ნაგავსაყრელზე. ბოლო სამი წლის საშუალო მაჩვენებლით, ნაგავსაყრელზე წელიწადში 30 521 ტონა ნარჩენი გადის.

ნარჩენების მართვის 5-წლიანი გეგმის შესაბამისად და საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის ხელშეწყობით, 2023 წლის თებერვლიდან ხორციელდება ქაღალდისა და მუყაოს სეპარირება-რეციკლირების პროგრამა. კომპანიამ გადმოსცა 7 მ³ მოცულობის ნაგავმზიდი, 175 სპეციალური კონტეინერი, საპრესი დანადგარი და დამტვირთველი, ხოლო ოპერირების ხარჯებს ცენტრი საკუთარი სახსრებით ფარავს. 2025 წელს რეალიზებულია 280 ტონა ქაღალდი და მუყაო, რამაც 90.4 ათასი ლარის შემოსავალი მოიტანა. პროგრამის დაწყებიდან ჯამში რეალიზებულია 707.8 ტონა, ადგილობრივ ბიუჯეტში კი შემოსულია 199.9 ათასი ლარი. პროგრამა ითვალისწინებს სეპარირებისა და რეციკლირების მიმართულებების გაფართოებას:

— პლასტმასის სეპარირება-რეციკლირება. იგეგმება ქაღალდის პროგრამის ანალოგიური სისტემის ამოქმედება. ამისთვის საჭიროა კონტეინერების, ნაგავმზიდებისა და დამუშავების დანადგარების შეძენა, ასევე სეპარირების საამქროს ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

— მწვანე და ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირება. ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II-ის ფარგლებში 2026–2027 წლებში დაიწყება საპილოტე კომპოსტირების ცენტრის მშენებლობა, რომელიც 2028 წლისთვის დასრულდება. ცენტრი ქალაქ ზუგდიდში წელიწადში დაახლოებით 90 ტონა ნარჩენს გადაამუშავებს. ამისთვის გამოიყოფა 0.5 ჰექტარი მიწის ფართობი, აშენდება დაახლოებით 3000 კვ.მ შენობა და შეძენილი იქნება შესაბამისი ტექნიკა.

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს ნარჩენების გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას, ნაგავსაყრელზე გაზიდული ნარჩენების მოცულობის კლებას და ნარჩენების მართვის მაღალი სტანდარტების დანერგვას. შედეგად ქალაქი და სოფლები, სანაპირო ზოლი და ტურისტული ობიექტები დასუფთავებული და სანიტარულად უსაფრთხო იქნება როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ისე მუნიციპალიტეტის სტუმრებისთვის. | | | | |

| | |
|---|---|
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა** | • მიზანი 12 - მდგრადი მოხმარება და წარმოება |
| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • დასუფთავებული და სანიტარულად უსაფრთხო ქალაქი და სოფლები, სანაპირო ზოლი და ტურისტული ობიექტები. ნარჩენები რეგულარულად გაიტანება, გაფართოებულია სეპარირება-რეციკლირების სისტემა, შემცირებულია ნაგავსაყრელზე გატანილი ნარჩენების მოცულობა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება. |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| დასუფთავებული და სანიტარულად უსაფრთხო ქალაქი და სოფლები, სანაპირო ზოლი და ტურისტული ობიექტები. ნარჩენები რეგულარულად გაიტანება, გაფართოებულია სეპარირება-რეციკლირების სისტემა, შემცირებულია ნაგავსაყრელზე გატანილი ნარჩენების მოცულობა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება | ნარჩენების გატანის სერვისით მოცული მოსახლეობის წილი | 98% | 100% | 10% | ნაგავსაყრელის სტიქიური წარმოქმნა |
| | სეპარირებით შეგროვებული და რეალიზებული ქაღალდი და მუყაო (წარმოქმნილის %) | 25%-მდე | 30%-მდე | 15% | ბაზრის ფასის ცვლილება, მოსახლეობის ჩართულობა |
| | ყოველდღიურად დასუფთავებული ტერიტორიის ფართობი | | | | |

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 03 02 | | შპს „ანაკლია-განმუხურის ბულვარის“ ფინანსური ხელშეწყობა | შპს „ანაკლია-განმუხურის ბულვარი“ | დასუფთავება და გარემოს დაცვა |

**პროგრამის აღწერა და მიზანი**

პროგრამა მიზნად ისახავს ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიისა და მასზე არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობას, განახლებასა და განვითარებას, სპორტული და დასასვენებელი სივრცეების, მწვანე საფარისა და ხე-მცენარეების სათანადო მდგომარეობაში შენარჩუნებას. იგი ითვალისწინებს სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის, საფეხმავლო ხიდის, ამფითეატრის, კაფე-რესტორნისა და სპორტული მოედნების მოვლას, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, ტერიტორიის კეთილმოწყობასა და უსაფრთხო, თანამედროვე და ადაპტირებული გარემოს შექმნას. პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს სანაპირო ბულვარის ტურისტული მიმზიდველობის ზრდას, ადგილობრივი მოსახლეობისა და ვიზიტორებისთვის დასვენებისა და სპორტული აქტივობებისთვის სათანადო პირობების უზრუნველყოფასა და ეკონომიკური საქმიანობის განვითარებას.

| | |
|---|---|
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა** | მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა<br>მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება |
| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარი და მისი ინფრასტრუქტურა მოვლილი, განახლებული და უსაფრთხოა. მოსახლეობასა და ვიზიტორებს აქვთ სათანადო პირობები დასვენებისა და სპორტისთვის, ხოლო ბულვარის ტურისტული მიმზიდველობა გაზრდილია. |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარი და მისი ინფრასტრუქტურა მოვლილი, განახლებული და უსაფრთხოა. მოსახლეობასა და ვიზიტორებს აქვთ | მოვლილი ტერიტორიისა და მწვანე საფარის ფართობი (ჰა) | 18 ჰა | 18 ჰა | 10% | სტიქია, არახელსაყრელი ამინდი |
| | მოვლილი და ფუნქციონირებადი ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა | 25 ობიექტი | 25 ობიექტი | 15% | დაზიანება, შესყიდვის შეფერხება |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| სათანადო პირობები დასვენებისა და სპორტისთვის, ხოლო ბულვარის ტურისტული მიმზიდველობა გაზრდილია | ბულვარის ვიზიტორთა რაოდენობა (წელიწადში) | 2 250 000 -მდე | 3 000 000-მდე | 15% | ტურისტული სეზონის შემცირება |

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 03 03 | 7056 | ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამა | ა(ა)იპ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი | დასუფთავება და გარემოს დაცვა |

**პროგრამის აღწერა და მიზანი**

პროგრამა ითვალისწინებს ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში არსებულ მცენარეთა მოვლას, კოლექციების ახალი სახეობებით გამდიდრებას, ისტორიული მნიშვნელობის ხეივნების აღდგენას და მრავალფეროვანი სერვისების დანერგვას. ბოტანიკური ბაღის სტრატეგიული განვითარების გეგმის (7–10) შესაბამისად ტარდება მცენარეთა ინვენტარიზაცია და კოლექციების დოკუმენტირება. კოლექციები ივსება მერქნიანი, დეკორატიულ-ბალახოვანი, იშვიათი, ენდემური, სამკურნალო და მაღალი საკონსერვაციო სტატუსის მქონე სახეობებით. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საკონსერვაციო სამუშაოები, მცენარეთა დაცვის ღონისძიებები, სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო პროგრამები და პროექტები. ასევე იმართება და ახლდება ბაღის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ხორციელდება საჭირო ინფრასტრუქტურული პროექტები და უზრუნველყოფილია თანამშრომელთა და ვიზიტორთა უსაფრთხოება.

პროგრამის მიზანია ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის კოლექციების შენარჩუნება, დაცვა და განვითარება, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის, სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა, ასევე ბაღის ცნობადობის ამაღლება და ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა.

| გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | • მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება |
|---|---|

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | | • ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე მოვლილი და შენარჩუნებული ტურისტული მარშრუტები, მცენარეთა კოლექცია და დეკორატიული უბნები; ეტიკეტირებული და დოკუმენტირებული მცენარეთა კოლექციები; მოვლილი მცენარეთა კოლექციის გაზრდილი რაოდენობა;<br>• ვიზიტორებისა და ადგილობრივი დამთვალიერებლებისთვის ხელმისაწვდომი ბოტანიკური ბაღი, დამთვალიერებელთა გაზრდილი რაოდენობა;<br>• ბოტანიკური ბაღის მოწესრიგებული და გამართული ტურისტული და სამეურნეო ინფრასტრუქტურა და განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; თანამშრომელთა და ვიზიტორთა დაცული უსაფრთხოება. | | |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე მოვლილი და შენარჩუნებული ტურისტული მარშრუტები, მცენარეთა კოლექცია და დეკორატიული უბნები; ეტიკეტირებული და დოკუმენტირებული მცენარეთა კოლექციები; მოვლილი მცენარეთა კოლექციის გაზრდილი რაოდენობა | მცენარეთა ყოველწლიური განახლება | 500 სახეობის 7500 მცენარე (2025 წლის მაჩვენებლით) | საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება | 15% | მცენარეთა გამრავლებისათვის არახელსაყრელი პირობები |
| | მოვლილი და შენარჩუნებული საკოლექციო ნაკვეთები | 64% | საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება | 0% | არახელსაყრელი კლიმატური და ბუნებრივი პირობები; ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა |
| ვიზიტორებისა და ადგილობრივი დამთვალიერებლებისთვის ხელმისაწვდომი ბოტანიკური ბაღი, დამთვალიერებელთა გაზრდილი რაოდენობა | დამთვალიერებელთა რაოდენობა | 11 432 დამთვალიერებელი (2025 წლის მაჩვენებლით) | 5%-იანი ზრდა | 15% | ქვეყანაში ვიზიტორთა რაოდენობის შემცირება |

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 03 05 | 7056 | პარკების, სკვერებისა და ბულვარის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის პროგრამა | სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | დასუფთავება და გარემოს დაცვა |

| პროგრამის აღწერა და მიზანი | |
|---|---|
| პროგრამის ფარგლებში ხორციელდება არსებული პარკების განახლება-რეაბილიტაცია, ახალი სკვერებისა და პარკების მშენებლობა. დაფინანსდება ცაცხვის ადმინისტრაციულ ერთეულში, სკვერის მოწყობის სამუშაოები. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მწვანე სივრცეების განვითარება და რეკრეაციული ზონების გამრავალფეროვნება. | |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა** | • მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება |
| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • ზუგდიდის მოსახლეობისა და მუნიციპალიტეტის სტუმრებისთვის ეკოლოგიურად სუფთა, უსაფრთხო და კომფორტული სარეკრეაციო სივრცეების მოწყობა და მწვანე საფარის განვითარება |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| ზუგდიდის მოსახლეობისა და მუნიციპალიტეტის სტუმრებისთვის ეკოლოგიურად სუფთა, უსაფრთხო და კომფორტული სარეკრეაციო სივრცეების მოწყობა და მწვანე საფარის განვითარება | რეაბილიტირებული და მოწყობილი პარკების/სკვერების რაოდენობა | 0 | 2 | 50% | შესრულების ვადების გადაცილება კონტრაქტორი კომპანიის მიერ; არახელსაყრელი კლიმატური პირობები |
| | განახლებული სივრცეებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა | 0 | 2000-მდე ადამიანი | 50% | საზოგადოებრივი ჩართულობის დაბალი დონე; მოქალაქეთა მოლოდინების შეუსაბამობა რეალურ პროექტთან |

## განათლება

მომავალი თაობების აღზრდაში დაწყებით და ზოგად განათლებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას. სკოლამდელი განათლება თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება და მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

მომდევნო წლებშიც მუნიციპალიტეტი დააფინანსებს საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯებს, უზრუნველყოფს მათ ინვენტარით, განახორციელებს შენობების რეაბილიტაციას და ხელს შეუწყობს აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლებას. ეს ღონისძიებები მყარ საფუძველს ჩაუყრის სკოლამდელი ასაკის ბავშვების ხარისხიან და ეფექტიან მომზადებას სასკოლო განათლებისთვის.

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2027 წლის პროექტი |
|---|---|---|
| **04 00** | **განათლება** | 20,130.0 |
| 04 01 | სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამა | 18,169.0 |
| 04 03 | სკოლისგარეშე სწავლისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა | 1,371.0 |
| 04 04 | საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური ხელშეწყობა | 540.0 |
| 04 06 | შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხელშეწყობის პროგრამა | 50.0 |

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 04 01 | 7091 | სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამა | ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი | განათლება |

**პროგრამის აღწერა და მიზანი**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 63 საბავშვო ბაღი; მათგან 18 — ქალაქში, ხოლო 45 — სოფლის ტერიტორიულ ერთეულებში, რომელთა ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი. პროგრამის მიზანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროს მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამის/მეთოდოლოგიის განვითარება, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა სასწავლო-სააღმზრდელო გარემოს გაუმჯობესებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ზუგდიდის საჯარო საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარება, საბავშვო ბაღებში კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ასაკის ბავშვების მოთხოვნის დაკმაყოფილება (სკოლამდელი აღზრდის მომსახურების მიღების მსურველთა არსებული მოთხოვნის რაოდენობის მაქსიმალურად დაკმაყოფილებისთვის სხვადასხვა ღონისძიების განხორციელება, მათ შორის: ახალი ბაღების მშენებლობა, არსებულ ბაღებში სააღმზრდელო ჯგუფების მოწყობა), საბავშვო ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება, მათი კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა და სხვა.

| | |
|---|---|
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა** | • მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის |
| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეკონსტრუქცია/კაპიტალური რეაბილიტაცია;<br>• ბაღებში რეგისტრაციის მსურველთა მოთხოვნის დაკმაყოფილება და აღსაზრდელთა სტანდარტის შესაბამისად მომსახურება;<br>• საბავშვო ბაღების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ფუნქციონირება. |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| ბაღებში რეგისტრაციის მსურველთა მოთხოვნის დაკმაყოფილება და | ბავშვთა მიმართვიანობისა და მოთხოვნის | დაკმაყოფილების მაჩვენებელი 90% | დაკმაყოფილების მაჩვენებლის ზრდა 100%-მდე | 10% | მიმართვიანობის შემცირება/გაზრდა |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| აღსაზრდელთა სტანდარტის შესაბამისად მომსახურება | დაკმაყოფილების მაჩვენებელი | | | | |
| თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეკონსტრუქცია/კაპიტალური რეაბილიტაცია | აშენებული/განახლებული/რეაბილიტირებული საბავშვო ბაღების რაოდენობა | 8 აშენებული 4 რეაბილიტირებული | 4 აშენებული 2 რეაბილიტირებული | სახელშეკრულებო ღირებულების 10% | ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა |

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 04 03 | 7091 | სკოლისგარეშე სწავლისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა | ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე | განათლება |

**პროგრამის აღწერა და მიზანი**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე წარმოადგენს სკოლისგარეშე, მრავალპროფილიან სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც მოზარდებს ეხმარება თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებასა და შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენაში. უზრუნველყოფს პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევების ათვისებისათვის პრაქტიკული და თეორიული მუშაობის წარმართვას, საყმაწვილო ჟურნალისტიკის განვითარებას. უზრუნველყოფს ხელოვნების სხვადასხვა დარგის მაღალპროფესიულ დონეზე სწავლებასა და პოპულარიზაციას (ქართული ფოლკლორი, ხალხურ საკრავთა ანსამბლი, კლასიკური და საესტრადო მუსიკა, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი, ქართული ხალხური ქორეოგრაფია, საყმაწვილო თეატრი, სამეჯლისო-სპორტული და თანამედროვე ცეკვები, ბალეტი, პანტომიმა, დრამატული სტუდია). სასახლეში ტარდება სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციები, ინტელექტუალურ-შემეცნებითი თამაშობები, ვიქტორინები, სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო პროექტები, თემატური გამოფენები, შეხვედრები, ლაშქრობები, მასობრივი სპორტული ღონისძიებები, სხვა საგნობრივი კონკურსები, გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა-კონკურსები, ექსპედიციები, საქველმოქმედო აქციები, მოსწავლე-ახალგაზრდობის დღეები. წრეებსა და სტუდიებში გაერთიანებულია 820-მდე მოზარდი. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს ემსახურება 67 თანამშრომელი, მათგან 26 პედაგოგია. ყოველწლიურად მოსწავლეთა სასახლის აღსაზრდელთათვის არაერთი საინტერესო პროექტი ხორციელდება, სასახლის მხატვრული კოლექტივები წარმატებით მონაწილეობენ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ გამართულ საერთაშორისო კონკურს-ფესტივალებსა და სხვა ღონისძიებებში.

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | | • მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის | | |
| პროგრამის მოსალოდნელი შედეგი | | • მოზარდებისა და ახალგაზრდების გაზრდილი ჩართულობა ახალგაზრდულ საგანმანათლებლო, შემეცნებით და განვითარების ღონისძიებებში, მათი ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება;<br>• წლის განმავლობაში განხორციელებულ პროგრამებსა და ღონისძიებებში ჩართულ მოზარდთა და ახალგაზრდების რაოდენობის ზრდა. | | |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| მოზარდებისა და ახალგაზრდების აქტიური ჩართულობისა და განვითარების ხელშეწყობა, მათი ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების გაუმჯობესება, პროფესიული ორიენტაციისა და განვითარების ხელშეწყობა | ღონისძიებებისა და პროექტების რაოდენობა | 20 | 32 | 10% | ნაკლები მიმართვიანობა/მონაწილეთა დაბალი აქტივობა; ამინდის არახელსაყრელი პირობები (ღია ცის ქვეშ გამართული ტურნირები) |
| | ღონისძიებებში მონაწილეთა და ბენეფიციართა საერთო რაოდენობა | 800 | 1000 | 10% | ცნობიერების დაბალი დონე; ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა მომწოდებლების მხრიდან |

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 04 04 | 7091 | საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური ხელშეწყობა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება | განათლება |

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|

| პროგრამის აღწერა და მიზანი |
|---|
| პროგრამა ითვალისწინებს საზოგადოებრივი და არაფორმალური განათლების ხელშეწყობას, საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროექტებისა და ღონისძიებების, ბანაკების, კონფერენციების, კონკურსებისა და სასწავლო-შემეცნებითი ტურების ორგანიზებას. ასევე, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობას, მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების ფინანსურ მხარდაჭერას (მერის სტიპენდია), მათ შორის უცხოეთში სწავლის ხელშეწყობას, აგრეთვე მედალოსანი კურსდამთავრებულების დაჯილდოებას და სხვა ღონისძიებებს. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა, მოსწავლეთა, სტუდენტთა და პედაგოგთა შესაძლებლობების გაძლიერება და წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერა. |

| | |
|---|---|
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | • მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის |
| პროგრამის მოსალოდნელი შედეგი | • არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების ხელშეწყობა, წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერა, ეროვნული და სახელმწიფოებრივი ღირებულებების პოპულარიზაცია. |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების ხელშეწყობა, წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერა, ეროვნული და სახელმწიფოებრივი ღირებულებების პოპულარიზაცია | ღონისძიებებისა და პროექტების რაოდენობა | 10 | 20 | 10% | ნაკლები მიმართვიანობა/მონაწილეთა დაბალი აქტივობა; ამინდის არახელსაყრელი პირობები (ღია ცის ქვეშ გამართული ღონისძიებები) |
| | სტიპენდიის მიმღები სტუდენტების რაოდენობა | 150 | 150 | 10% | სტიპენდიის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის არასრულად/არასათანადოდ წარმოდგენა |
| | უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში | 80 | 100 | 10% | დაფინანსების მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| | ჩარიცხული, მერიის მიერ დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობა | | | | არასრულად/არასათანადოდ წარმოდგენა |

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 04 06 | 7091 | შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხელშეწყობის პროგრამა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება | განათლება |

| პროგრამის აღწერა და მიზანი | |
|---|---|
| პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც ახორციელებს პროფესიულ, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს. გამოყოფილი ფინანსური რესურსი მიიმართება სტუდენტური აქტივობების მხარდაჭერის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, საგანმანათლებლო პროექტების დაფინანსებისა და თანადაფინანსებისათვის. | |
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | • მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის |
| პროგრამის მოსალოდნელი შედეგი | • გაუმჯობესებულია უმაღლესი განათლების ხარისხისა და სტუდენტთა განვითარების ხელშემწყობი პირობები. |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| მხარდაჭერილი საგანმანათლებლო და | მხარდაჭერილი სტუდენტებისა და | 250 | 350 | 10% | სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის დაბალი ჩართულობა დაგეგმილ აქტივობებში |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| სტუდენტური პროექტების რაოდენობა | აკადემიური პერსონალის რაოდენობა (ბენეფიციარი) | | | | |

## კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურულ და ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად აუცილებელია კულტურული ტრადიციების დაცვა და მათი ღირსეული გაგრძელების ხელშეწყობა. ერთ-ერთი პრიორიტეტია ასევე ახალგაზრდების მრავალმხრივი, სულიერი და ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერა ხელს უწყობს რეგიონის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას. ეს სფეროები სხვა დარგებთანაც არის დაკავშირებული და ხელს უწყობს ტურიზმისა და მეწარმეობის განვითარებას, ასევე ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას და წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას. ის შექმნის შესაბამის პირობებს, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა. ასევე ჩატარდება ღონისძიებები ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით.

ამ მიმართულებით პროგრამებს ახორციელებენ მერიის კულტურის სამსახური და კულტურისა და სპორტის სფეროში შექმნილი ა(ა)იპ-ები.

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2027 წლის პროექტი |
|---|---|---|
| **05 00** | **კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები** | 9,397.7 |
| **05 01** | **სპორტისა და ახალგაზრდული პროგრამების განვითარების ხელშეწყობა** | 2,540.0 |
| 05 01 01 | მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი | 1,950.0 |
| 05 01 02 | სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება | 90.0 |
| 05 01 03 | მინი სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია | 200.0 |
| 05 01 04 | რაგბის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა | 300.0 |
| **05 02** | **კულტურის სფეროს განვითარება** | 6,030.7 |

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2027 წლის პროექტი |
|---|---|---|
| 05 02 01 | ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამა | 2,421.0 |
| 05 02 02 | კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამა | 30.0 |
| 05 02 03 | საბიბლიოთეკო დარგის განვითარების პროგრამა | 1,550.0 |
| 05 02 04 | კულტურული ღონისძიებების დაფინანსება | 300.0 |
| 05 02 05 | ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | 40.0 |
| 05 02 06 | რელიგიის ხელშეწყობის პროგრამა | 135.0 |
| 05 02 07 | სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა | 1,534.7 |
| 05 02 08 | ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ფინანსური ხელშეწყობა | 20.0 |
| **05 03** | **საცხენოსნო კლუბ „ხარებას“ ფინანსური ხელშეწყობა** | 80.0 |
| **05 04** | **ქართული ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა** | 717.0 |
| **05 05** | **სსიპ შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის ხელშეწყობის პროგრამა** | 30.0 |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 05 01 01 | 7081 | მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების პროგრამა | ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი“ | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები |
| **ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი** | | | | |
| მუნიციპალური სპორტის განვითარების პროგრამა წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის სტრატეგიულ მიმართულებას, რომელიც ორიენტირებულია როგორც მასობრივი სპორტის ხელშეწყობაზე, ისე პროფესიული ეტაპების მხარდაჭერასა და შესაბამისი გარემოს შექმნაზე. პროგრამა მიმართულია მუნიციპალიტეტში ფიზიკური აქტივობის ხელმისაწვდომობის გაზრდაზე, მასობრივი სპორტის განვითარებასა და ჯანსაღი თაობების აღზრდაზე. იგი უზრუნველყოფს როგორც დამწყები, ისე პროფესიონალი სპორტსმენებისთვის შესაბამისი პირობების შექმნას, მუნიციპალური სპორტული ობიექტების ეფექტურ ფუნქციონირებას და ადგილობრივი ნიჭის გამოვლენა-მხარდაჭერას, სპორტული ინფრასტრუქტურის განახლებას, სხვადასხვა სპორტული სექციის მუშაობის ხელშეწყობას და ნიჭიერი სპორტსმენების გამოვლენას, ადგილობრივი და გასვლითი ტურნირების დაფინანსებას სპორტის სხვადასხვა სახეობაში და წარმატებული სპორტსმენების წახალისებას, ადგილობრივი ტურნირების მოწყობას და სპორტსმენების მივლინებას ქვეყნის მასშტაბით გამართულ შეჯიბრებებზე. პროგრამის ძირითადი მიზანია მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარება, ხელშეწყობა, პოპულარიზაცია და მოსახლეობაში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებში, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, სპორტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ახალგაზრდობის სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარება, სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობა. | | | | |
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • სპორტული სექციების მრავალფეროვნება და სტაბილურობა — ყველა ძირითადი სპორტული მიმართულების უწყვეტი ფუნქციონირება საწვრთნელი ბაზების მატერიალური უზრუნველყოფის ხარჯზე;<br>• სპორტში ჩართულობის ზრდა და ხელმისაწვდომობა — მუნიციპალიტეტის მასშტაბით სპორტში ჩართული ბავშვებისა და მოზარდების რაოდენობის ყოველწლიური ზრდა;<br>• სპორტული ღონისძიებების ინტენსივობა — მუნიციპალური ტურნირების, პირველობებისა და ტრადიციული მემორიალური შეჯიბრებების ჩატარება;<br>• მაღალი სპორტული მიღწევები ეროვნულ დონეზე — ნიჭიერი სპორტსმენების დროული იდენტიფიცირება (სელექცია), მათი ოპტიმალური მომზადება და, შედეგად, ზუგდიდელი სპორტსმენების მიერ მსოფლიოს, ევროპისა და საქართველოს ჩემპიონატებსა და თასის გათამაშებებზე მოპოვებული საპრიზო ადგილებისა და მედლების რაოდენობის ზრდა. | | | |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| სპორტულ სექციებში ახალგაზრდების ჩართულობის ზრდა. მოზარდებში სპორტის ხელმისაწვდომობის გაფართოება | სპორტულ სექციებში (ჭიდაობა, კრივი, ცურვა, ძალოსნობა და ა.შ.) ჩარიცხული მოზარდების ჯამური რაოდენობა | 1480 | 1500 | 15% | წლის ბოლოს მიგრაცია |
| მასობრივი და პროფესიული სპორტის მხარდაჭერა. ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და ადგილობრივი სპორტსმენების შედეგების გაუმჯობესება | წლის განმავლობაში ცენტრის მიერ ორგანიზებული ან თანადაფინანსებული სპორტული ტურნირებისა და მასობრივი ღონისძიებების რაოდენობა | 40 | 60 | 10% | სპორტული ტრავმები ან შეჯიბრებების გადადება |
| | საერთაშორისო და ეროვნულ ჩემპიონატებში საპრიზო ადგილზე გასული ზუგდიდელი სპორტსმენების რაოდენობა | 108 | 120 | 10% | სპორტული ტრავმები ან შეჯიბრებების გადადება |
| სპორტული ინფრასტრუქტურის ეფექტური მართვა და ხელმისაწვდომობის გაზრდა. მუნიციპალური ბაზების, მოედნებისა და ახალი სპორტკომპლექსის გამართული ფუნქციონირება | ცენტრის დაქვემდებარებაში არსებული ფუნქციონირებადი სპორტული ობიექტების (დარბაზები, მოედნები) რაოდენობა | 4 | 6 | 5% | უამინდობა, სამუშაოების შეფერხება |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 05 01 02 | 7081 | სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები |

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**

პროგრამა ითვალისწინებს სპორტისა და ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობას, სპორტული და ახალგაზრდულ-შემეცნებითი ღონისძიებების, პროექტებისა და ინიციატივების განხორციელებასა და ფინანსურ მხარდაჭერას. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მასობრივი და ეროვნული სპორტის სახეობების პოპულარიზაცია, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა, არაფორმალური განათლებისა და მოხალისეობრივი საქმიანობის მხარდაჭერა, ახალგაზრდების უნარებისა და შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა.

პროგრამის მიზანია სპორტისა და ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა, ახალგაზრდების ფიზიკური, ინტელექტუალური და შემოქმედებითი შესაძლებლობების გაძლიერება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა.

| | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • პროგრამის განხორციელების შედეგად გაიზრდება მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდების, ჩართულობა სპორტულ, შემეცნებით და საზოგადოებრივ აქტივობებში, გაუმჯობესდება სპორტისა და ახალგაზრდული საქმიანობის ხელმისაწვდომობა, გაძლიერდება ახალგაზრდების უნარები და ინიციატივები, ხელი შეეწყობა ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| პროგრამის განხორციელების შედეგად გაიზრდება მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდების, ჩართულობა სპორტულ, შემეცნებით და | განხორციელებული სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებებისა და პროექტების რაოდენობა | 10 | 15 | 10% | პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და პროექტების განხორციელებისას მონაწილეთა არასაკმარისი ჩართულობა, ასევე დაგეგმილი აქტივობების ვადებში განხორციელების შეფერხება |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| საზოგადოებრივ აქტივობებში, გაუმჯობესდება სპორტისა და ახალგაზრდული საქმიანობის ხელმისაწვდომობა, გაძლიერდება ახალგაზრდების უნარები და ინიციატივები, ხელი შეეწყობა ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას | სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებსა და პროექტებში მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა | 1000 | 2000 | 10% | პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და პროექტების განხორციელებისას მონაწილეთა არასაკმარისი ჩართულობა, ასევე დაგეგმილი აქტივობების ვადებში განხორციელების შეფერხება |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 05 01 03 | 7086 | მინი სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია | სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები |
| **ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი** | | | | |
| პროგრამა მოიცავს არსებული დაზიანებული მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაციას და ახალი მინი სტადიონების/მოედნების მშენებლობას. პროგრამის მიზანია ბავშვთა და მოზარდთა სპორტის და ჯანსაღი ცხოვრების წესის შემდგომი განვითარება. | | | | |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა<br>• მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა | | | |
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • მუნიციპალიტეტში სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების უზრუნველყოფა, მოსახლეობის (განსაკუთრებით ახალგაზრდების) ჩართულობის გაზრდა მასობრივ სპორტში და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. | | | |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| მუნიციპალიტეტში სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების უზრუნველყოფა, მოსახლეობის (განსაკუთრებით ახალგაზრდების) ჩართულობის გაზრდა მასობრივ სპორტში და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია | აშენებული და რეაბილიტირებული მინი სპორტული მოედნების რაოდენობა | 0 | 2 | 50% | ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა ან ვადების დარღვევა |
| | ახალი/რეაბილიტირებული სივრცეებით რეგულარულად მოსარგებლე მოქალაქეთა რაოდენობა | 0 | სამიზნე ლოკაციებზე სპორტულ აქტივობებში ჩართულ პირთა რაოდენობის ზრდა მინიმუმ 40%-ით | 10% | სეზონური/არახელსაყრელი ამინდები; ალტერნატიული გასართობი სივრცეების არსებობა |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 05 01 04 | 7086 | რაგბის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები |

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის რაგბის სასწავლო-საწვრთნელ პროცესზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, საკლუბო რაგბის განვითარების ხელშეწყობასა და რაგბის, როგორც სპორტის სახეობის, პოპულარიზაციას. სასწავლო-საწვრთნელი პროცესი ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მწვრთნელებისა და სპეციალისტების მიერ და მოიცავს ბავშვების ფიზიკურ, ტექნიკურ და ტაქტიკურ მომზადებას. პროგრამის ფარგლებში ასევე უზრუნველყოფილია სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ეფექტიანი წარმართვისთვის საჭირო ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის მიზანია რაგბის განვითარების, ახალგაზრდების სპორტული აღზრდისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა.

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი | | • გაუმჯობესდება რაგბის სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ხარისხი, გაიზრდება მონაწილეთა რაოდენობა და გაუმჯობესდება სპორტული შედეგები. | | |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| გაუმჯობესდება რაგბის სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ხარისხი, გაიზრდება მონაწილეთა რაოდენობა და გაუმჯობესდება სპორტული შედეგები | საწვრთნელ პროცესში ჩართული ბავშვებისა და ახალგაზრდების რაოდენობა | 152 | 160 | 10% | არახელსაყრელი ამინდის პირობები, რამაც შესაძლოა ღონისძიებების გადადება ან გაუქმება გამოიწვიოს; ჯანმრთელობის პრობლემები ან სპორტსმენების ტრავმირება |
| | სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილე გუნდების რაოდენობა | 4 | 4 | 10% | არახელსაყრელი ამინდის პირობები, რამაც შესაძლოა ღონისძიებების გადადება ან გაუქმება გამოიწვიოს; ჯანმრთელობის პრობლემები ან სპორტსმენების ტრავმირება |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 05 02 01 | 7082 | ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამა | ა(ა)იპ ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | | | | |
| ა(ა)იპ „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის“ სტრუქტურა შედგება მიხეილ (მაცი) ხორავას სახელობის სამხატვრო გალერეის, ადგილობრივი მუზეუმების, ჩხორიის სამოყვარულო თეატრისა და კულტურის განვითარების განყოფილებისგან. ქვეპროგრამის მიზანია: ქართული ფოლკლორის | | | | |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| აღორძინება, ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის შენარჩუნება, განვითარება და პოპულარიზაცია; ფოლკლორული ჯგუფების ხელშეწყობა, ქართული ხალხური სიმღერების აღდგენა და შენარჩუნება; ხალხური ცეკვის სასცენო დამუშავების (დადგმის) მხატვრული კანონების დაცვა მისი წარმომავლობისა და კუთხური თავისებურებების (მოძრაობა, ილეთები, შესრულების მანერა) გათვალისწინებით. ასევე სახელოვნებო ნიჭით დაჯილდოებული პირების გამოვლენა, ღვაწლმოსილი ხელოვანი ადამიანების წარმოჩენა; ლიტერატურულ-თეატრალური წარმოდგენების გამართვა, მუდმივად სხვადასხვა მხატვრის ექსპოზიციებისა და თემატური გამოფენების გახსნა, რაც ხელს უწყობს სახვითი ხელოვნების განვითარებას; ადგილობრივი მუზეუმების შენარჩუნება, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდებში ინტერესის გაღვივებას ეროვნული ფასეულობებისა და ჩვენი კულტურული მემკვიდრეობისადმი. | | | | | |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | • მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება | | | |
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • ქართული ფოლკლორისა და ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის შენარჩუნება, განვითარება და პოპულარიზაცია;<br>• ფოლკლორული ჯგუფების შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა და ხალხური სიმღერისა და ცეკვის ტრადიციების შენარჩუნება;<br>• სახელოვნებო ნიჭით დაჯილდოებული პირებისა და ღვაწლმოსილი ხელოვანების გამოვლენა და წარმოჩენა;<br>• ლიტერატურულ-თეატრალური და საგამოფენო საქმიანობის განვითარება;<br>• ადგილობრივი მუზეუმების ფუნქციონირებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების უზრუნველყოფა;<br>• ახალგაზრდებში ეროვნული და კულტურული ფასეულობებისადმი ინტერესის გაძლიერება და კულტურულ ცხოვრებაში მათი ჩართულობის ზრდა. | | | |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| ქართული ფოლკლორისა და ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის შენარჩუნება, განვითარება და პოპულარიზაცია;<br>ფოლკლორული ჯგუფების შემოქმედებითი საქმიანობის | კულტურული ღონისძიებების რაოდენობა | 40 | 44 | 10% | ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა |
| | კულტურულ ღონისძიებებზე ვიზიტორთა რაოდენობა | 9000 | 10000 | 10% | სტიქიური მოვლენები და ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა |
| | ადგილობრივ მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა | 3000 | 4000 | 10% | სტიქიური მოვლენები და ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| ხელშეწყობა და ხალხური სიმღერისა და ცეკვის ტრადიციების შენარჩუნება; სახელოვნებო ნიჭით დაჯილდოებული პირებისა და ღვაწლმოსილი ხელოვანების გამოვლენა და წარმოჩენა; ლიტერატურულ-თეატრალური და საგამოფენო საქმიანობის განვითარება; ადგილობრივი მუზეუმების ფუნქციონირებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების უზრუნველყოფა; ახალგაზრდებში ეროვნული და კულტურული ფასეულობებისადმი ინტერესის გაძლიერება და კულტურულ ცხოვრებაში მათი ჩართულობის ზრდა | | | | | |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 05 02 02 | 7082 | კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | | | | |
| პროგრამა ითვალისწინებს მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ინვენტარიზაციას, აღწერას, რეესტრის წარმოებასა და პოპულარიზაციას; შემეცნებითი ექსკურსია-ლაშქრობებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სამეცნიერო-კვლევითი კონფერენციების ორგანიზებას; კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში მომუშავე ორგანიზაციებთან პარტნიორული თანამშრომლობის განვითარებას.<br>პროგრამის მიზანია კულტურული მემკვიდრეობის აღრიცხვის, დაცვისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება. | | | | |
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა | • მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება | | | |
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი | • აღრიცხული და პოპულარიზებულია კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები, ამაღლებულია მოსწავლე-ახალგაზრდობის ცნობიერება კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ და გაძლიერებულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში პარტნიორული თანამშრომლობა. | | | |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| აღრიცხული და პოპულარიზებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების რაოდენობა; კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის ღონისძიებებში მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩართულობისა და პარტნიორული | აღრიცხული და პოპულარიზებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების რაოდენობა | 3 | 4 | 2% | ობიექტების გამოვლენისა და აღრიცხვის პროცესში ინფორმაციის სიმწირე და კვლევითი სამუშაოების შეზღუდული შესაძლებლობები |
| | კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის ღონისძიებებში მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩართულობისა და | 40 | 70–80 | 1% | სამიზნე ჯგუფების ჩართულობის არასტაბილურობა და პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის უწყვეტობის შენარჩუნების სირთულე |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| თანამშრომლობის მაჩვენებელი | პარტნიორული თანამშრომლობის მაჩვენებელი | | | | |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 05 02 03 | 7082 | ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა | ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი“ | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები |

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**

ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა უზრუნველყოფს ბიბლიოთეკების მართვის ცენტრში შემავალი 31 ბიბლიოთეკის — ერთი ცენტრალური, სამი საქალაქო და 27 სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალის — ფუნქციონირებისა და განვითარების ხელშეწყობას.

ბიბლიოთეკების ფონდები მოიცავს სხვადასხვა ტიპის საბიბლიოთეკო რესურსებს, მათ შორის ბეჭდურ, ელექტრონულ და მულტიმედიურ მასალებს. ბიბლიოთეკებში შექმნილია კულტურულ-საინფორმაციო და საგანმანათლებლო სივრცეები, რომლებიც ხელმისაწვდომია სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისათვის და ხელს უწყობს განათლების, წიგნიერებისა და კულტურული აქტივობების განვითარებას.

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მკითხველთა მომსახურება, საბიბლიოთეკო ფონდების გამოყენების ხელშეწყობა, წიგნის პრეზენტაციები, შეხვედრები მწერლებთან და თანამედროვე ავტორებთან, კონფერენციები, ტრენინგები, დისკუსიები, შემოქმედებითი საღამოები, კლუბური და საგანმანათლებლო აქტივობები, კინოჩვენებები, ფოტოგამოფენები, ფესტივალები და გასვლითი კულტურული ღონისძიებები. ასევე, ორგანიზდება მოსწავლეებისა და ახალგაზრდების ვიზიტები და მათთვის სხვადასხვა შემეცნებითი და შემოქმედებითი აქტივობა.

პროგრამა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვებისა და ახალგაზრდების წიგნითა და კითხვის კულტურით დაინტერესებას, მათი შემოქმედებითი და ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებას, ასევე ბიბლიოთეკების საზოგადოებრივ და საგანმანათლებლო ცხოვრებაში აქტიური როლის გაძლიერებას.

პროგრამის მიზანია მოსახლეობისათვის ხარისხიანი საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ახალი თაობის წიგნითა და განათლებით დაინტერესების ზრდა, საზოგადოების წიგნიერების, ინფორმირებულობის, შემოქმედებითი და ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარება და ბიბლიოთეკების, როგორც საგანმანათლებლო, კულტურული და საზოგადოებრივი სივრცეების, როლის გაძლიერება. ამ

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| მიზნით, მნიშვნელოვანია სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურული და შემეცნებითი პროექტისა და ფართომასშტაბიანი ღონისძიების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს ბიბლიოთეკების პოპულარიზაციასა და მათი მომსახურებით სარგებლობის ზრდას. | | | | |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | • მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება | | | |
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • მოსახლეობისათვის განახლებული სერვისების შეთავაზებით მკითხველთა დაინტერესების ზრდა;<br>• საბიბლიოთეკო სფეროს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა. | | | |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| მოსახლეობისათვის განახლებული სერვისების შეთავაზებით მკითხველთა დაინტერესების ზრდა | სერვისებით მოსარგებლე პირთა რაოდენობა | 80 000-მდე პირი საშუალოდ წლის განმავლობაში | საბაზისო მაჩვენებლის ზრდა 20%-ით | 5% (მკითხველი) | ინტერესის ნაკლებობა |
| | საგანმანათლებლო-სამეცნიერო და კულტურული ღონისძიებების რაოდენობა | 70-მდე ღონისძიება საშუალოდ წლის განმავლობაში | საბაზისო მაჩვენებლის ზრდა 20%-ით | 3 ღონისძიება | ნაკლები ინტერესი, ღონისძიების ცვლილება |
| საბიბლიოთეკო სფეროს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა | განახლებული სივრცეების რაოდენობა | მუდმივად ხორციელდება ფილიალების აღჭურვა ინვენტარით, ტექნიკით, წიგნადი, აუდიო, ვიდეო და ციფრული | განახლებული სივრცეების დამატება — 4 ობიექტი (სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალები) | 1 ობიექტი | ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| | | ფონდებით; სარემონტო სამუშაოების ჩატარებით თანამედროვე სივრცის შექმნა | | | |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 05 02 04 | 7082 | კულტურული ღონისძიებების დაფინანსება | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები |

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**

პროგრამა უზრუნველყოფს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში კულტურული ღონისძიებების სისტემურ დაგეგმვას, ხარისხიან ორგანიზებასა და განხორციელებას, რომლის მიზანია მათი საზოგადოებრივ ტრადიციებად ჩამოყალიბება. ის მოიცავს სახელმწიფოებრივ, ისტორიულ, ადგილობრივ ტრადიციულ და შემოქმედებით ღონისძიებებს, ასევე კულტურულ-საიმიჯო აქტივობებს.

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება და ხორციელდება სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიება, მათ შორის: კონცერტები, შემოქმედებითი და საიმიჯო პროექტები, საიუბილეო და სახელმწიფო მნიშვნელობის თარიღებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ასევე ადგილობრივი ტრადიციული და საზოგადოებრივი მნიშვნელობის კულტურული ინიციატივები. აღნიშნული ღონისძიებები ხელს უწყობს კულტურული ტრადიციების შენარჩუნებას, შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერას და მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების გააქტიურებას.

პროგრამის მიზანია საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე ტრადიციული და მასობრივი კულტურული ღონისძიებებისა და კულტურული გამოცდილების განვითარება.

| | |
|---|---|
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | • მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი | | • მასობრივი და სტაბილური აუდიტორიის ფორმირება და ღონისძიებების ტრადიციულ მოვლენებად დამკვიდრება;<br>• კულტურული იდენტობის გაძლიერება და კულტურული ცხოვრების მდგრადი, ხარისხიანი განვითარება. | | |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| გაზრდილია მოსახლეობის კულტურულ ღონისძიებებში ჩართულობა, შენარჩუნებული და პოპულარიზებულია ადგილობრივი კულტურული ტრადიციები და გაძლიერებულია მუნიციპალიტეტის კულტურული იდენტობა და საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალფეროვნება | კულტურულ ღონისძიებებზე დამსწრე აუდიტორიის რაოდენობისა და დინამიკის მაჩვენებელი | 4000 | 6000 | 2% | აუდიტორიის მოზიდვისა და შენარჩუნების შესაძლებლობებზე მოქმედი ფაქტორები, მათ შორის საზოგადოების ინტერესის ცვლილება და ღონისძიებების ხელმისაწვდომობა |
| | რეგულარულ, ტრადიციულ კულტურულ მოვლენებად დამკვიდრებული ღონისძიებების რაოდენობა და კულტურულ ცხოვრებაში საზოგადოების ჩართულობის მაჩვენებელი | 7 | 10 | 2% | კულტურული ღონისძიებების უწყვეტობისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად საჭირო ორგანიზაციული და ფინანსური რესურსების შეზღუდულობა და საზოგადოების ჩართულობის არასტაბილურობა |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 05 02 05 | 7083 | ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახური | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | | | | |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, საგანმანათლებლო, ისტორიული, მემუარული, საცნობარო და სხვა მნიშვნელოვანი გამოცემების ხელშეწყობა, ასევე თანამედროვე ციფრული და მულტიმედიური საშუალებების გამოყენებით მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ეფექტიანი გავრცელების უზრუნველყოფა. | | | | |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | • მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე | | | |
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა;<br>• მუნიციპალიტეტის ციფრული და მულტიმედიური საკომუნიკაციო შესაძლებლობების გაუმჯობესება;<br>• მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო, ისტორიული, მემუარული და საცნობარო გამოცემების მომზადებისა და გავრცელების უზრუნველყოფა. | | | |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა; მუნიციპალიტეტის ციფრული და მულტიმედიური მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვან გამოცემათა უზრუნველყოფა. | მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინ ფრასტრუქტურული პროექტების და სხვა ღონისძიებების გაშუქების დონე | ყოველდღიურად შუქდება ყველა სიახლე და მიეწოდება ინფორმაცია მოქალაქეებს | საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება | 3% | ტექნიკური შეფერხებები, ვებგვერდისა და სოციალური ქსელების მომსახურების ხარვეზები ან ინფორმაციის დროული მომზადების შეფერხება, რამაც შესაძლოა დაგეგმილი მასალების განთავსების რაოდენობაზე იმოქმედოს |
| | მაცნეზე გამოქვეყნებული საკანონმდებლო აქტების ოდენობა | აბსოლუტურად ყველა საკანონმდებლო აქტი ქვეყნდება | საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება | 2% | გაუთვალისწინებელი გარემოება |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| | | მაცნეზე, თუ ამას მოითხოვს კანონმდებლობა | | | |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 05 02 06 | 7082 | რელიგიის ხელშეწყობის პროგრამა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები |

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მოქმედი რელიგიური ორგანიზაციების ფინანსურ ხელშეწყობას და მათი საჭიროებების გათვალისწინებით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 თებერვლის №177 დადგენილების შესაბამისად, სსიპ – რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან შეთანხმებითა და სააგენტოს მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე, ხორციელდება რელიგიურ-საკულტო დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობის, რეაბილიტაციის, რესტავრაციისა და რეკონსტრუქციის ღონისძიებები.

ქვეპროგრამის მიზანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მოქმედი რელიგიური ორგანიზაციების საჭიროებების მხარდაჭერა, რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპების ხელშეწყობა, რელიგიურ გაერთიანებებს შორის ურთიერთთანამშრომლობისა და ინტერრელიგიური დიალოგის გაძლიერება, აგრეთვე საკულტო-სარიტუალო შენობა-ნაგებობების შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

| | |
|---|---|
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | • მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება |
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • რელიგიური ორგანიზაციებისთვის შესაბამისი და თანაბარი პირობების გაუმჯობესება;<br>• საკულტო-სარიტუალო შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშეწყობა. |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| რელიგიური ორგანიზაციებისთვის შესაბამისი და თანაბარი პირობების გაუმჯობესება; საკულტო-სარიტუალო შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშეწყობა | რეაბილიტირებული, აღდგენილი ან კეთილმოწყობილი საკულტო-სარიტუალო შენობა-ნაგებობების რაოდენობა | 5 | 7 | 2% | შესყიდვის პროცედურების გაჭიანურებამ შესაძლოა შეაფერხოს დაგეგმილი სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელება |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 05 02 07 | 7082 | სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა | ა(ა)იპ „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება“ | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები |
| **ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი** | | | | |
| სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა მიზნად ისახავს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ბავშვებისა და მოზარდების მუსიკალური და სახვითი ხელოვნების მიმართულებით შემოქმედებითი უნარების განვითარებას, ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებასა და ხელოვნების საფუძვლების შესწავლას. პროგრამა უზრუნველყოფს სამუსიკო, საგუნდო-სამუსიკო და სამხატვრო სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობას, მოსწავლეთათვის ხარისხიანი სახელოვნებო განათლების ხელმისაწვდომობას, ქართული ფოლკლორისა და კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციას, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა-შენარჩუნებასა და შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებას. აღნიშნული მიზნების მისაღწევად პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სასწავლო და შემოქმედებითი საქმიანობა, კონცერტები, გამოფენები, კონკურსები და ფესტივალები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა პროფესიულ განვითარებასა და კულტურულ ცხოვრებაში მათ აქტიურ ჩართულობას. | | | | |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | მიზანი 5 -გენდერული თანასწორობა<br>მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა | | | |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი | | • გაუმჯობესდება სახელოვნებო განათლების ხარისხი და ხელმისაწვდომობა, განვითარდება მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარები, გაიზრდება კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მათი მონაწილეობის შესაძლებლობა. | | |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| გაუმჯობესდება სახელოვნებო განათლების ხარისხი და ხელმისაწვდომობა, განვითარდება მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარები, გაიზრდება კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მათი მონაწილეობის შესაძლებლობა | სახელოვნებო განათლების პროგრამებში ჩართული მოსწავლეების რაოდენობა | 466 | 600 | 5% | სახელოვნებო განათლების მიმართ მოსწავლეთა ინტერესის შემცირებამ შესაძლოა გამოიწვიოს პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობის კლება |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 05 02 08 | 7082 | ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ფინანსური ხელშეწყობა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | | | | |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა მოიცავს სხვადასხვა სახის მხარდაჭერას, რომელიც ხელს უწყობს ზუგდიდის, როგორც ისტორიულ-კულტურული ცენტრის, პოზიციონირებას, შეუფერხებელი ტურისტული პოლიტიკის წარმოების შესაძლებლობას, დადიანების მუზეუმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებას და შემოქმედებითი ნაშრომების პუბლიკაციას.<br>პროგრამის მიზანია სსიპ ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული სამუზეუმო კომპლექსის ფინანსური ხელშეწყობა და პოპულარიზაცია. | | | | |
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • მუზეუმის მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება;<br>• მუზეუმში დაცული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და არტეფაქტების პოპულარიზაცია და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის გაზრდა;<br>• დადიანების სასახლის საგანძურისა და ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;<br>• ზუგდიდის, როგორც ისტორიულ-კულტურული და ტურისტული ცენტრის, პოპულარიზაციის ხელშეწყობა. | | | |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| მუზეუმის მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება; მუზეუმში დაცული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და არტეფაქტების პოპულარიზაცია და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის გაზრდა; დადიანების სასახლის საგანძურისა და ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება; ზუგდიდის, როგორც ისტორიულ-კულტურული და ტურისტული ცენტრის, პოპულარიზაციის ხელშეწყობა | უზრუნველყოფილია კულტურული, ისტორიული და სამეცნიერო ღირებულების პუბლიკაციებისა და გამოცემის მხარდაჭერა | 1 | 1 | 1% | გამოცემების მიმართ მკითხველთა დაბალი ინტერესი და სამიზნე აუდიტორიაში მათი გავრცელების შეზღუდული შესაძლებლობები |

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 05 03 | 7086 | საცხენოსნო კლუბ „ხარებას“ ფინანსური ხელშეწყობა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები |

**პროგრამის აღწერა და მიზანი**

პროგრამის მიზანია სპორტული და ტრადიციული ცხენოსნობის პოპულარიზაცია, ახალგაზრდობის დაინტერესება საცხენოსნო სპორტით და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობის უზრუნველყოფას ქვეყნის მასშტაბით ორგანიზებულ შეჯიბრებებში ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში (ისინდი, ცხენბურთი, დოღი, მარულა), ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტული ღონისძიებების, მათ შორის ცხენოსნობის სპორტულ და ეროვნულ სახეობებში შეჯიბრებების, ორგანიზებას. პროგრამა ხელს უწყობს ცხენოსნობის ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებასა და მომავალი თაობისთვის გადაცემას.

| | |
|---|---|
| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • გაზრდილია ცხენოსნობის სპორტული და ეროვნული სახეობების პოპულარობა და მათით დაინტერესებული ახალგაზრდების რაოდენობა;<br>• უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეჯიბრებების ჩატარება და მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობა ეროვნულ შეჯიბრებებში. |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| გაზრდილია ცხენოსნობის სპორტული და ეროვნული სახეობების პოპულარობა და მათით დაინტერესებული ახალგაზრდების რაოდენობა; უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეჯიბრებების ჩატარება და მუნიციპალიტეტის | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებული შეჯიბრებებისა და ეროვნულ შეჯიბრებებში მონაწილეობის რაოდენობა | 14 | 17 | 10% | არახელსაყრელი ამინდის პირობები, რამაც შესაძლოა ღონისძიებების გადადება ან გაუქმება გამოიწვიოს; ცხენების ჯანმრთელობის პრობლემები ან სპორტსმენების ტრავმირება |
| | შეჯიბრებებში მონაწილე სპორტსმენების, მათ შორის ახალგაზრდების, რაოდენობა | 3 | 5 | 10% | არახელსაყრელი ამინდის პირობები, რამაც შესაძლოა ღონისძიებების გადადება ან გაუქმება გამოიწვიოს; |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| წარმომადგენელთა მონაწილეობა ეროვნულ შეჯიბრებებში | | | | | ცხენების ჯანმრთელობის პრობლემები ან სპორტსმენების ტრავმირება |

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 05 04 | 7086 | ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის ხელშეწყობის პროგრამა | ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა „ოდიში 1919“ | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები |

**პროგრამის აღწერა და მიზანი**

ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის ხელშეწყობის პროგრამა ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვისკენ საფეხბურთო სკოლის საქმიანობაში, მათი მეთოდური აღზრდის, სპორტული განვითარებისა და დაოსტატების უზრუნველსაყოფად. „ოდიში 1919“-ის ასაკობრივი გუნდები მუდმივად და წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა დონის ტურნირებში, ასპარეზობენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ჭაბუკთა ლიგებში და აქტიურად მონაწილეობენ ამხანაგურ და საფეხბურთო ტურნირებში. სკოლა მუდმივად მუშაობს ინფრასტრუქტურისა და სამწვრთნელო შტაბის კვალიფიკაციის ამაღლებაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ჩატარებული ოფიციალური შეფასების საფუძველზე.

საფეხბურთო სკოლა „ოდიში 1919“-ის ინფრასტრუქტურის განვითარება, კვალიფიციური კადრების არსებობა, ნაყოფიერი სასწავლო-საწვრთნელი გარემოს შექმნა და სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა აღსაზრდელებს უვითარებს სასწავლო-საწვრთნელი პროცესის შედეგად მიღებულ ცოდნასა და უნარებზე დაყრდნობის უნარს, პასუხისმგებლობის გრძნობას, თვითპატივისცემას, დისციპლინასა და გუნდური მუშაობის კულტურას, რაც განაპირობებს აღსაზრდელთა რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდას.

პროგრამის მიზანია ნიჭიერი და პერსპექტიული აღსაზრდელების გამოვლენა, მათი შერჩევა და ხარისხიანი სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მეშვეობით განვითარება, რათა ჩამოყალიბდნენ მაღალი დონის ფეხბურთელებად. რაც უფრო ფართოა აღსაზრდელთა ბაზა, მით მეტია ნიჭიერი ფეხბურთელების აღმოჩენისა და განვითარების შესაძლებლობა. სწორედ ამიტომ, ფართო და ხელმისაწვდომი საფეხბურთო გარემოს შექმნა წარმოადგენს წარმატებული ფეხბურთელების აღზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობას.

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა | | • მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის | | |
| პროგრამის მოსალოდნელი შედეგი | | • ფეხბურთში ჩართული ზუგდიდელი ბავშვებისა და მოზარდების რაოდენობის ყოველწლიური ზრდა. სპორტული კულტურის ამაღლება და ახალგაზრდებში ჯანსაღი აქტივობების პოპულარიზაცია;<br>• ადგილობრივი სკოლის აღზრდილების (U6–U17) სტაბილური და უწყვეტი გადაყვანა პროფესიულ, ძირითად გუნდში. ეროვნულ ლიგა 2-ში პოზიციების გამყარება და ეროვნულ ლიგაში აღზევების რეალური პერსპექტივა;<br>• სკოლის სპეციალისტების მიერ UEFA-ს უმაღლესი კატეგორიის ლიცენზიების მოპოვება და თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვა. შედეგებზე მიბმული ბონუსების მაქსიმალური ათვისება და სკოლის ბიუჯეტის გამჭვირვალე, ეფექტური მართვა. | | |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| საფეხბურთო სკოლაში ჩართულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობის ზრდა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია | პროგრამაში ჩართული სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის (U6–U19) აქტიური სპორტსმენების (ბავშვების) საერთო რაოდენობა | 433 ბავშვი (მიმდინარე სეზონზე რეგისტრირებული ბავშვების რაოდენობა) | ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობის ზრდა მინიმუმ 15%-ით | 10% — შესაძლოა გამოწვეული იყოს სხვა ალტერნატიული სპორტული სექციების გახსნით ან მიგრაციით | დემოგრაფიული ცვლილებები, ბავშვთა ინტერესის კლება, სპორტული ეკიპირების დეფიციტი |
| ადგილობრივი ნიჭიერი ფეხბურთელების პროფესიული ზრდა და ძირითად გუნდში ინტეგრაცია | ასაკობრივი გუნდებიდან საფეხბურთო კლუბ „ოდიში 1919“-ის პირველ (ძირითად) გუნდში დაწინაურებული ახალგაზრდა მოთამაშეების რაოდენობა | 8 ფეხბურთელი (წინა სეზონში დაწინაურებული მოთამაშეები) | სეზონში მინიმუმ 4–5 პერსპექტიული მოთამაშის ძირითად/დუბლ | 15% — მოთამაშეთა ტრავმიანობა ან სხვა კლუბებში | სპორტული ტრავმები, კონკურენცია სხვა რეგიონულ აკადემიებთან, არასაკმარისი სათამაშო პრაქტიკა |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| | | | შემადგენლობაში გადაყვანა | ნაადრევი ტრანსფერები | |
| სამწვრთნელო შტაბის კვალიფიკაციის ამაღლება და თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვა | სფფ/UEFA-ს შესაბამისი ლიცენზიის (C, B, A) მქონე გადამზადებული მწვრთნელების პროცენტული წილი | 100% (ლიცენზირებული მწვრთნელების არსებული რაოდენობა) | სამწვრთნელო შტაბის 100%-მდე გაზრდა მოქმედი ლიცენზიებით | 5% — სასწავლო კურსების გრაფიკის ცვლილება ან მწვრთნელთა მიერ ატესტაციის ვერგავლა | კვალიფიციური კადრების გადინება, ლიცენზირების კურსების ფინანსური ხარჯები |

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 05 05 | 7086 | სსიპ შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის ხელშეწყობის პროგრამა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | | | | |
| პროგრამა ითვალისწინებს სსიპ ქალაქ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის ახალი სპექტაკლების სადადგმო ხარჯებისა, საქართველოს მასშტაბით საგასტროლო ტურნეების დაფინანსებას და სხვას. პროგრამის მიზანია თეატრის შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერა, ახალი სპექტაკლების შექმნა და ზუგდიდის თეატრის პოპულარიზაცია. | | | | |
| პროგრამის მოსალოდნელი შედეგი | • შექმნილია ახალი სპექტაკლები, გაზრდილია თეატრის შემოქმედებითი პროდუქტის ხელმისაწვდომობა საქართველოს მასშტაბით და გაძლიერებულია ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის ცნობადობა. | | | |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| თეატრის შემოქმედებითი საქმიანობის განვითარება, საგასტროლო ტურნეების განხორციელება და საზოგადოებისთვის მაღალი ხარისხის თეატრალური პროდუქციის ხელმისაწვდომობა | დადგმული ახალი სპექტაკლების რაოდენობა | 4 | 2 | 2% | ახალი სპექტაკლების დადგმის პროცესში შემოქმედებითი და საორგანიზაციო სირთულეები, მათ შორის შემოქმედებითი ჯგუფის დაკომპლექტებისა და დადგმის ვადების დაცვის შეფერხება |
| | განხორციელებული საგასტროლო ტურნეების რაოდენობა | 4 | 7 | 2% | საგასტროლო ტურნეების ორგანიზებისა და განხორციელების პროცესში ლოგისტიკური სირთულეები და მასპინძელ თეატრებთან ან ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შეფერხება |

## მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. არსებული რესურსების ფარგლებში მუნიციპალიტეტი კვლავ ეხმარება სოციალურად დაუცველ მოსახლეობას და უზრუნველყოფს მათ სხვადასხვა შეღავათით. ამასთან, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში ხორციელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაცვას გადამდები და ინფექციური დაავადებებისგან.

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2027 წლის პროექტი |
|---|---|---|
| **06 00** | **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | 5,228.0 |
| **06 01** | **ჯანმრთელობის დაცვა** | 2,625.8 |
| 06 01 01 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 640.8 |
| 06 01 03 | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა | 1,100.0 |
| 06 01 04 | აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამა | 885.0 |
| **06 02** | **სოციალური დაცვა** | 2,522.0 |
| 06 02 01 | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა | 360.0 |
| 06 02 02 | ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამა | 42.0 |
| 06 02 03 | ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ოჯახებისა და ბავშვების გაძლიერება | 65.0 |
| 06 02 04 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამა | 200.0 |
| 06 02 05 | მარტოხელა მშობლის სოციალური დაცვის პროგრამა | 115.0 |
| 06 02 06 | ხანდაზმულთა, შინმოვლისა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა | 25.0 |
| 06 02 07 | სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა | 100.0 |

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2027 წლის პროექტი |
|---|---|---|
| 06 02 08 | ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამა | 150.0 |
| 06 02 09 | სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამა | 400.0 |
| 06 02 10 | დევნილთა მხარდაჭერის პროგრამა | 40.0 |
| 06 02 11 | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გათბობის საშუალებებით მხარდაჭერისა და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამა | 250.0 |
| 06 02 12 | სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება | 15.0 |
| 06 02 13 | პროგრამა „სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში“ | 10.0 |
| 06 02 14 | უსახლკაროდ და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა | 750.0 |
| **06 03** | **ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა** | 80.2 |
| 06 03 01 | სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის მატერიალური დახმარების პროგრამა | 40.0 |
| 06 03 03 | ბავშვთა სადღესასწაულო და სოლიდარობის დღეების აღნიშვნის პროგრამა | 3.0 |
| 06 03 04 | სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი და საგანმანათლებლო წრეების დაფინანსების პროგრამა | 37.2 |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 06 01 01 | 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა |

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**

1. გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები:

1.1 პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება;

1.2 ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა;

1.3 დაავადების კონტროლის პირველადი ღონისძიებები;

1.4 ლაბორატორიული სინჯის აღება.

2. იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა:

2.1 იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით;

2.2 იმუნოპროფილაქტიკაზე რუტინული სტატისტიკური ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით;

2.3 მუნიციპალიტეტის იმუნოპროფილაქტიკის მონაცემთა რუტინული დამუშავება ელექტრონულ პროგრამაში;

2.4 იმუნოპროფილაქტიკის მონაცემთა რუტინული ანალიზი, შეფასება, დაზუსტება;

2.5 ვაქცინების, სხვა ასაცრელი მასალისა და ცივი ჯაჭვის ინვენტარის საჭიროების განსაზღვრა მუნიციპალიტეტისათვის დადგენილი წესის მიხედვით.

3. იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა:

3.1 ვაქცინების, სხვა ასაცრელი მასალის 1 თვის მარაგის შექმნა მუნიციპალიტეტში (ეპიდემიოლოგის ზედამხედველობის ქვეშ დაგეგმვა, მოთხოვნა, კოორდინაცია რეგიონულ დონესთან);

3.2 ვაქცინების, სხვა ასაცრელი მასალის მიღება, რეგისტრაცია, გაცემა მუნიციპალიტეტის პირველადი ჯანდაცვის რგოლის დაწესებულებებისათვის დადგენილი წესის მიხედვით;

3.3 „ცივი ჯაჭვის“ ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

3.4 იმუნოპროფილაქტიკაზე რუტინული სტატისტიკური ანგარიშის მომზადება;

3.5 ვაქცინების, სხვა ასაცრელი მასალისა და ცივი ჯაჭვის ინვენტარის საჭიროების განსაზღვრა.

4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა/დადგენა:

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 4.1 წყალსატევების პასპორტიზაცია დადგენილი წესით;<br>4.2 გადამტანების არსებობის დადგენა სეზონის განმავლობაში.<br>5. პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები:<br>5.1 წყალსატევებში გამბუზიის გავრცელება;<br>5.2 ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, მათ შორის გადამტანების წინააღმდეგ ბრძოლა.<br>6. პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა:<br>6.1 სხვა პარაზიტული და ჰელმინთური დაავადებების სკრინინგული კვლევა.<br>7. სანიტარული ღონისძიებები:<br>7.1 საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა;<br>7.2 საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;<br>7.3 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.<br>1. ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელობის ინფორმირება;<br>2. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ინფორმირება;<br>3. შესაბამისი სამსახურების ინფორმირება;<br>4. სახელმწიფო (ცენტრალური) პროგრამების ორგანიზებისა და განხორციელების ხელშეწყობა.<br>პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა; ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების გაუმჯობესება, გადამდები და არაგადამდები დაავადებების პრევენცია, დროული გამოვლენა და ეფექტიანი მართვა; იმუნიზაციის დონის გაზრდა და ინფექციური დაავადებების შემცირება; საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება და სტანდარტებთან შესაბამისობის მიღწევა; ეპიდემიური რისკების დროული გამოვლენა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის მზადყოფნის გაძლიერება; მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება პრევენციული ღონისძიებებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ; სხვადასხვა სექტორთან და უწყებასთან კოორდინაციის გაძლიერება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით.<br>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, ეპიდემიური რისკების დროული იდენტიფიცირება და შესაბამისი რეაგირება. ასევე გატარდება პრევენციული ღონისძიებები, უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და ცნობიერების ამაღლება. განხორციელდება დაავადებების გადამტანების გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებები; სამედიცინო | | | | |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის საფუძველზე უზრუნველყოფილი იქნება დაავადებების დროული გამოვლენა, ეფექტიანი რეაგირება და პრევენციული ღონისძიებების მიზნობრივი დაგეგმვა. | | | | |
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის<br>მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე | | | |
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის სტაბილიზაცია და გაუმჯობესება;<br>• ინფექციური და არაინფექციური დაავადებების გავრცელების შემცირება;<br>• მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება;<br>• სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის დონის ამაღლება საზოგადოებრივი მნიშვნელობის ობიექტებში;<br>• საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მონაცემებზე დაფუძნებული მართვის გაძლიერება;<br>• ეპიდემიური რისკების შემცირება და მართვადი გარემოს შექმნა. | | | |

| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **ინდიკატორის დასახელება** | **საბაზისო მაჩვენებელი*** | **მიზნობრივი მაჩვენებელი*** | **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** | **შესაძლო რისკები*** |
|---|---|---|---|---|---|
| მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვაქცინაციით პრევენცირებადი დაავადებების ავადობის, გართულებებისა და სიკვდილიანობის მინიმუმამდე შემცირება | ვაქცინაციით პრევენცირებადი დაავადებების ინციდენტობის მაჩვენებელი; ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული აცრებით იმუნიზაციის მოცვის პროცენტული მაჩვენებელი | ბცჟ – 98%<br>B ჰეპ – 96.9%<br>ჰექსა – 74.4%<br>წწყ – 77.3%<br>ტეტრა – 76.4%<br>ტდ – 60.8%<br>აპვ (გოგო) – 20.8%<br>აპვ (ბიჭი) – 21.5% | ≥95.5% | მიზნობრივ და საბაზისო მაჩვენებლებს შორის გადახრა შეადგენს 1%-დან 5%-მდე | მიზნობრივი ასაკობრივი ჯგუფების (სამიზნე პოპულაციის) ზუსტი რაოდენობის აცდენა რეალურ შობადობასთან ან მიგრაციასთან; უნდობლობა მშობელთა მხრიდან, ანტივაქსერული კამპანიები |
| გადამდები დაავადებების საერთო მაჩვენებლის შემცირება მოსახლეობაში | დაავადებების ინციდენტობის მაჩვენებელი; | მაღალი რისკის ჯგუფები — ვაქსიგრიპი: 3835 | რისკჯგუფების ვაქცინაცია ≥95% | მუნიციპალი ტეტისთვის გამოყოფილი | სტატისტიკური აცდენა; შტამების დამთხვევის ცდომილება; სეზონური დინამიკა და აღრიცხვა |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| | სეზონური გავრცელების შემცირების დინამიკა | აცრილი პირი, მუნიციპალიტეტ ისთვის გამოყოფილი ვაქცინის 95.8% | | ვაქცინის რაოდენობის თითქმის 100%-იანი ათვისება. ცდომილების ალბათობა 0-ის ტოლია; ზოგადი მოსახლეობის შემთხვევაში გადახრა 20%–25% | |
| სანდო და დროული ეპიდემიოლოგიური მონაცემების არსებობა | ეპიდაფეთქებებზე რეაგირების დრო; დროულად გამოვლენილი შემთხვევების % | დადასტურებულ შემთხვევებზე 100%-იანი დროული რეაგირება | დადასტურებულ შემთხვევებზე 100%-იანი დროული რეაგირება | ეპიდაფეთქებ ის დროს 1%-იანი გადახრაც კი კრიტიკულად მაღალ რისკს შეიცავს | ეპიდემიის გაჭიანურება და „ინფექციის კერების“ შექმნა; ვირუსის ახალი მუტაციის რისკი; ცრუ უსაფრთხოების განცდა; ჰოსპიტალური სისტემის გადატვირთვა |
| ანტირაბიული მომსახურების შედეგად დაკბენილ-დადორბლილ პაციენტთა შორის ჰიდროფობიის, ლეტალობის შემთხვევათა ნულოვანი მაჩვენებელი | ანტირაბიული მომსახურებით მოსარგებლე პირთა პროცენტული რაოდენობა; ცოფის შემთხვევების რაოდენობა; დასრულებული მკურნალობის % | 100% | 100% | გადახრა/ცდო მილება შეადგენს 8%-დან 12%-მდე, რაც ძირითადად პაციენტის მხრიდან კურსის თვითნებურ | გვიანი პოსტექსპოზიციური რეაგირება |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | შეწყვეტას უკავშირდება | |
| სუფთა, უსაფრთხო და ჰიგიენური გარემო საგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში | ინსპექტირებული დაწესებულებების პროცენტი, რომელიც აკმაყოფილებს სანიტარულ-ჰიგიენურ სტანდარტებს (%) | 80% | 100% | გადახრის/ცდომილების ალბათობა 12%–20% | ეპიდაფეთქებები ჩაკეტილ სივრცეში; აკადემიური პროცესის შეფერხება |
| გადამტანებით გავრცელებადი დაავადებების გავრცელების მინიმუმამდე დაყვანა და უსაფრთხო ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის უზრუნველყოფა | ჩატარებული პრევენციული/სადეზინსექციო ღონისძიებების რაოდენობა; დაავადებების ინციდენტობის მაჩვენებელი | 75% | მაღალი რისკის ზონებში 100% | გადახრის/ცდომილების ალბათობა 20%–25% | კერების გაფართოება |
| საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში გაუმჯობესებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა და სტანდარტებთან შესაბამისობის გაზრდილი მაჩვენებელი | სტანდარტებთან შესაბამისობის %; ინფექციური ინციდენტების შემცირება | 75–80% | 100% | გადახრის/ცდომილების ალბათობა 20%–25% | სისხლით გადამდები პათოგენების (C და B ჰეპატიტი) ტრანსმისია; ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციების გავრცელება |
| ჯანმრთელ ქცევებზე ორიენტირებული, ინფორმირებული მოსახლეობა | ცოდნის/ცნობიერების დონის ზრდა (% კვლევით) | 80% | 100% | | საინფორმაციო გადატვირთვა და „ცრუ“ ინფორმირებულობა |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 06 01 03 | 7076 | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა |

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სამედიცინო მომსახურებების დაფინანსება/თანადაფინანსება, მათ შორის:

1. ძვირადღირებული სამედიცინო გამოკვლევები: კომპიუტერული და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, კორონაროგრაფია და PET/CT კვლევა, შესაბამისი ლიმიტების ფარგლებში, პროგრამით განსაზღვრული მოსარგებლეებისთვის;

2. სტაციონარული სამედიცინო მომსახურება: გეგმიური და გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსება, მათ შორის სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამებით გათვალისწინებული ოპერაციების პაციენტის თანაგადახდის დაფინანსება, განსაზღვრული პირობებისა და ლიმიტების შესაბამისად;

3. ონკოლოგიური პაციენტების მხარდაჭერა: ქიმიოთერაპიის, სხივური, რადიო, ტარგეტული და სხვა სახის თერაპიის თანადაფინანსება;

4. ძვირადღირებული მედიკამენტების დაფინანსება ქრონიკული დაავადებების მქონე პირებისა და მოწყვლადი ჯგუფებისთვის;

5. 0–18 წლამდე ბავშვთა და შშმ პირთა რეაბილიტაცია: 0–18 წლამდე ბავშვებისა და 18 წლის ზევით შშმ პირების სარეაბილიტაციო მკურნალობის დაფინანსება/თანადაფინანსება, პროგრამით განსაზღვრული მოსარგებლეებისთვის, ლიმიტების ფარგლებში;

6. იშვიათი დაავადებების მქონე პირების მხარდაჭერა: ცელიაკიის, ფენილკეტონურიისა და მუკოვისციდოზის მქონე პირების სპეციალიზებული საკვებით უზრუნველყოფა;

7. ონკოლოგიური დაავადებების ადრეული გამოვლენა: ფარისებრი ჯირკვლისა და ფილტვის კიბოს ადრეული გამოვლენის მიზნით სკრინინგული მომსახურება;

8. სპეციფიკური მოვლის საშუალების — ექსკრემენტის მიმღები კონტეინერის — დაფინანსება;

9. ბინაზე მყოფი, პალიატიური ზრუნვის საჭიროების მქონე პირების სამედიცინო სახარჯი მასალითა და დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა;

10. კოხლეარული იმპლანტის მქონე ბავშვებისთვის სასმენი აპარატისა და პროცესორის დამხმარე საშუალებების დაფინანსება/თანადაფინანსება;

11. მხედველობის პრობლემების მქონე ბავშვების მხარდაჭერა.

პროგრამის მიზანია მოსახლეობის, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების, სამედიცინო მომსახურებებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა და ჯანმრთელობის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

| | |
|---|---|
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა<br>• მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი | | • მოწყვლადი ჯგუფებისა და საჭიროების მქონე პირებისათვის სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, დაავადებების ადრეული გამოვლენისა და დროული მკურნალობის ხელშეწყობა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და ცხოვრების ხარისხის ამაღლება. | | |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივ და დევნილ) პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა და მძიმე დაავადებების პრევენცია/პროფილაქტიკა | დაფინანსებული/თანადაფინანსებული ბენეფიციარების რაოდენობა | 5090 | 6000 | 2% | მომართვიანობის ცვლილება |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 06 01 04 | 7076 | აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | | | | |
| პროგრამა გულისხმობს მიმწოდებლის მიერ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა მოტორული, შემეცნებითი, სოციალური განვითარების, თვითმოვლისა და დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარების ჩამოყალიბების ხელშეწყობას, რაც მოიცავს მულტიდისციპლინური გუნდის, საჭიროების შემთხვევაში — რამდენიმე სპეციალისტის (ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, ნევროლოგი, ქცევითი თერაპევტი, ოკუპაციური თერაპევტი, ლოგოპედი, სპეციალური | | | | |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| პედაგოგი და სხვა) მომსახურებას. აუტიზმის სპექტრის დარღვევის (F84.0; F84.9) მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამის დაფინანსება გათვალისწინებულია 195 ბავშვისთვის. მომსახურება ფინანსდება ყოველთვიურად, არაუმეტეს 18 საათისა; თვეში დაფინანსების მაქსიმალური ლიმიტია 378 (სამას სამოცდათვრამეტი) ლარი. | | | | |
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა განვითარების სტიმულირება, ადაპტაციური ფუნქციონირების გაუმჯობესება, სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი ოჯახების მხარდაჭერა. | | | |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა განვითარების სტიმულირება, ადაპტაციური ფუნქციონირების გაუმჯობესება, სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი ოჯახების მხარდაჭერა | პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა, საშუალოდ თვეში | 195 | საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება | 2% | მიმართვიანობის ცვლილება |

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 06 02 | 7109 | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა |

**პროგრამის აღწერა და მიზანი**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისთვის გარკვეული შეღავათებისა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებული პირების უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა პროგრამების განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მარტოხელა მშობლების, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფსიქო- სოციალური მხარდაჭერასა და გენდერული თანასწორობის დაცვას. სოციალურად დაუცველი, კანონთან კონფლიქტში მყოფი და ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემების მქონე ბავშვების ეკონომიკურ და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერას.

| | |
|---|---|
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა<br>• მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა |
| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • გაზრდილია მუნიციპალურ და კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა. გამჯობესებულია საზოგადოების ცალკეული კატეგორიის სოციალური პირობები. |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 06 02 01 | 7109 | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა |

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფსიქოსოციალურ მხარდაჭერას — სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ცხელი სადილით უზრუნველყოფას, რომელიც გაანგარიშებულია ადამიანის სიცოცხლისთვის აუცილებელი კალორაჟის გათვალისწინებით. ყოველდღიური რაციონი (მენიუ) შეიცავს ისეთ ნივთიერებებს (ნახშირწყლები, ცილები, ცხიმები და სხვა), რომლებიც საჭიროა ადამიანის ჯანმრთელობისა და მისი სრულფასოვანი არსებობისთვის. სასადილოს ბენეფიციარები შეიძლება იყვნენ: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული პირები, მარტოხელა, უმუშევარი პენსიონერები, შშმ პირები და სხვა (300 ბენეფიციარი). აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სოფელში მცხოვრები, განსაკუთრებით მძიმე სოციალური და ეკონომიკური პირობების მქონე პირები (შშმ პირები, მარტო მცხოვრები მოხუცები და ა.შ.) მიიღებენ საკვები პროდუქტებით დახმარებას ერთჯერადად წლის განმავლობაში. | | | | |
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი | • სოციალურად დაუცველი და მოწყვლადი მოსახლეობის საკვებითა და ფსიქოსოციალური მხარდაჭერით უზრუნველყოფა, მათი ძირითადი კვებითი საჭიროებების დაკმაყოფილება, ცხოვრების ხარისხისა და სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა და განსაკუთრებით მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში მყოფი პირების მხარდაჭერა. | | | |
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა | მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა<br>მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა | | | |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| უფასო სასადილოს სერვისის მეშვეობით მოწყვლადი ჯგუფების კვებით უზრუნველყოფა | უფასო კვებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარების რაოდენობა | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 1 სასადილოა, რომლითაც სარგებლობს 300 ბენეფიციარი | უფასო სასადილოს მეშვეობით ბენეფიციარების კვებით უზრუნველყოფა | 2% | სოციალურად დაუცველი პირების რაოდენობის ცვლილება |
| ზამთრის თვეებში სოფელში მცხოვრები, განსაკუთრებით მძიმე სოციალური და | სერვისით მოსარგებლე ოჯახების რაოდენობა | 425 | სერვისით მოსარგებლე ოჯახების | 2% | მიმართვიანობის ცვლილება |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| ეკონომიკური პირობების მქონე ოჯახების საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა | | | საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა | | |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 06 02 02 | 7109 | ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა |

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**

პროგრამა ითვალისწინებს ომის ვეტერანთა და მათი ოჯახების ხელშეწყობას: მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებული პირების დახმარებას 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან — 9 მაისთან დაკავშირებით; ა(ა)იპ „ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ზუგდიდის ვეტერანთა კავშირის“ ფინანსურ უზრუნველყოფას ამავე კავშირის თავმჯდომარის მიმართვის საფუძველზე, ყოველი თვის ბოლო რიცხვებში; საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე ვეტერანების დაკრძალვის ხარჯების თანადაფინანსებას 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით; ყოველწლიურად, აგვისტოში, 2008 წლის აგვისტოს ომში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების ფინანსურ მხარდაჭერას, თითოეულ ოჯახზე 1000 (ათასი) ლარის ოდენობით წელიწადში ერთხელ, მათი ღვაწლის დაფასებისა და თანადგომის მიზნით.

| | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | • ომის ვეტერანებისა და საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე ვეტერანთა და მათი ოჯახების ფინანსური და სოციალური მხარდაჭერის უზრუნველყოფა, ვეტერანთა დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯების ნაწილობრივი დაფინანსება, დაღუპულთა ოჯახების მხარდაჭერა და ვეტერანთა ღვაწლისა და დამსახურების დაფასების ხელშეწყობა. |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთან გათანაბრებული პირების, გარდაცვლილ ვეტერანთა ოჯახების, აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახების მატერიალური მხარდაჭერა | პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა | 2026 წლის განმავლობაში ისარგებლა 18 ბენეფიციარმა | 2027 წელს საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება | 1% | ბენეფიციართა რაოდენობის კლება |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 06 02 03 | 7104 | ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ოჯახებისა და ბავშვების გაძლიერება | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა |

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მრავალშვილიანი და ახალშობილიანი ოჯახების ერთჯერად დახმარებას, დედ-მამით ობოლი ბავშვების ყოველთვიურ დახმარებას, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფინანსურ მხარდაჭერას.

ბავშვიანი ოჯახების სოციალური დაცვის ერთჯერადი ფულადი დახმარებები: მრავალშვილიანი ოჯახებისათვის — 18 წლამდე ასაკის 4 ბავშვზე 300 ლარი, 5 ბავშვზე 400 ლარი და ა.შ.; პირველი-მეორე შვილის შეძენისას სოციალურად დაუცველ ოჯახებზე (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები) ერთჯერადი ვაუჩერული დახმარება 500 ლარის ოდენობით ბავშვის მოვლისა და ჰიგიენის საშუალებების შესაძენად; ნებისმიერი კატეგორიისთვის ტყუპის შეძენისას — 1000 ლარი; დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ყოველთვიური დახმარება 100 ლარის ოდენობით; ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 100–800 ლარის ოდენობით (შემაკავებელი და დამცავი ორდერის მოქმედების პირობებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით), სტატუსის მოქმედების ვადის შესაბამისად.

ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობის ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალთა სოციალური და ეკონომიკური გაძლიერების საკითხებთან დაკავშირებული ღონისძიებების მხარდაჭერას, თემატური ტრენინგების ჩატარებას, საინფორმაციო ბიულეტენების მომზადებასა და მოსახლეობისათვის მიწოდებას, „ქალთა ოთახის“ სერვისის ხელშეწყობას.

პროგრამის მიზანია სოციუმში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობა, ოჯახებისა და ბავშვების მატერიალური სახსრებით გაძლიერება.

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა** | | მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე<br>• | | |
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | | • მრავალშვილიანი, ახალშობილიანი და დედ-მამით ობოლი ბავშვების მქონე ოჯახების, ასევე ქალთა მიმართ და/ან ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფინანსური და სოციალური მხარდაჭერის უზრუნველყოფა;<br>• ბავშვიანი ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და ბავშვთა საჭიროებების დაკმაყოფილების ხელშეწყობა;<br>• ქალთა სოციალური და ეკონომიკური გაძლიერებისა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა, შესაბამის სერვისებსა და მხარდამჭერ ღონისძიებებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. | | |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| ქალისა და მამაკაცის თანასწორობის უზრუნველყოფა; მრავალშვილიანი ოჯახების, დედ-მამით ობოლი ბავშვების, ტყუპების შეძენისას ოჯახების, ბავშვის შეძენისას სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერა | ფსიქოსოციალურად მხარდაჭერილი მრავალშვილიანი ოჯახების რაოდენობა | 154 | 160 | 2% | ბენეფიციართა რაოდენობის ცვლილება |
| | ფსიქოსოციალურად მხარდაჭერილი დედ-მამით ობოლ ბავშვთა რაოდენობა | 4 | 5 | 1% | ობოლ ბავშვთა რაოდენობის ცვლილება |
| | ტყუპების შეძენასთან დაკავშირებით ფსიქოსოციალურად მხარდაჭერილი ოჯახების რაოდენობა | 4 | 5 | 1% | ბენეფიციართა რაოდენობის ცვლილება |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი* | მიზნობრივი მაჩვენებელი* | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები* |
|---|---|---|---|---|---|
| | პირველი და მეორე შვილის შეძენასთან დაკავშირებით ფსიქოსოციალურად მხარდაჭერილი სოციალურად დაუცველი ოჯახების რაოდენობა | 8 | 12 | 1% | ბენეფიციართა რაოდენობის/მიმართვიანობის ცვლილება |
| | ფსიქოსოციალურად მხარდაჭერილი ოჯახში ძალადობის მსხვერპლი პირების რაოდენობა | 26 | 30 | 1% | მიმართვიანობის ცვლილება |

| ქვეპროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
